გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების

ცენტრი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან

# კრიმინოლოგი

# 2 (3)

თბილისი
2008

## გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
## დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი

# კრიმინოლოგი

ეძღვნება დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს: „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ"

**Университет имени Григола Робакидзе**
**Центр Исследования и Прогнозирования Преступности**

Научно - практический журнал

# Криминолог

Посвящается проекту Центра Исследования и прогнозирования преступности и Университета имени Григола Робакидзе при финансовой поддержке посольства Соединенных Штатов Америки в Грузии: „Молодежь против преступности "

**Grigol Robakidze University**
**The Centre of Study and Prediction of Crime**

Scientific – Practical Journal

# CRIMINOLOGIST

dedicated to the project: "Youth Against Crime" implemented by Grigol Robakidze University and the Centre of Study and Prediction of Crime with the financial support of the U.S. Embassy in Georgia

**2 (3)**

თბილისი – Тбилиси – Tbilisi
2008

2007 წლის 15 სექტემბრიდან დანაშაულობის კვლევის და პროგნოზირების ცენტრი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. საქართველოში ამერიკის შეერთებილი შტატების საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს:

## ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ

2008 წლის 29 თებერვალს "ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ"- პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "ახალგაზრდობა და ნარკომანია" რომელსაც უძღვებოდნენ: პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი მალხაზ ბაძაღუა; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე.

2008 წლის 4 აპრილს „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ" პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა" რომელსაც უძღვებოდა პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი მალხაზ ბაძაღუა; პროექტის მონაწილეებს სოციოლოგიური კვლევის შედეგები გააცნო პროექტის ასისტენტმა ცირა ჭანტურიამ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: გრ. როაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა – მამუკა თავხელიძემ; ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გამართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა – ქეთევან ხუციშვილმა; ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დაზარალებულთა დაცვის სახელმწიფო ფონდის დირექტორმა – მარინა მესხმა; საქართველოს იურისტთა ასოციაციის „არა! – ადამიანებით ტრეფიკინგს" პროექტის კოორდინატორმა - ხათუნა ჭითანავამ; გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტმა - სოფო ასანიძემ; გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა – ნინო ენდელაძემ. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები.

პროექტის ფარგლებში კავშირი დამყარდა აშშ-ს კრიმინოლოგიურ საზოგადოებასთან, რომლის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი კრის ესკრიჯი რომელიც ამასანავე არის ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი 11 – 14 ივნისს ვიზიტით იმყოფებოდა ქ. თბილისში, შედგა შეხვედრები საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, აფხაზეთის მთავრობაში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ასევე შეხვდა პროექტის მონაწილეებს და გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ – მასწავლებლებს და სტუდენტებს, რომლებსაც წაუკითხა ლექცია თემაზე: „კრიმინოლოგია და თანამედროვე სამყაროს გამოწვევები 21-ე საუკუნეში". გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა მამუკა თავხელიძემ უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის დამადასტურებელი სიგელი გადასცა ბატონ კრისტ ესკრიჯს, დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გეგმები.

2008 წლის 12 ივნისს აშშ-ს საელჩოში შედგა პროექტის დახურვის პრეზენტაცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი ქალბატონი - მაგდა მაღრაძე; პროექტის ავტორი და ცენტრის დირექტორი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა; გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი – მამუკა თავხელიძე, საქართველოში აშშ-ს საელჩოს პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ატაშე ბატონი – სტეფანე გაისი. პროექტის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები და მადლობის ბარათები.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების მასალები.

სარედაქციო კოლეგია:

მალხაზ ბაძაღუა – პროფესორი, მთავარი რედაქტორი
მამუკა თავხელიძე – პროფესორი
რომან შენგელია – პროფესორი
ოთარ კვაჭაძე
რამაზ ბერიძე – პროფესორი, აშშ
მიხეილ ბაძაღუა
ჯემალ ჯანაშია – პროფესორი
მარინა კვაჭაძე – პროფესორი
ქრის ესკრიჯი – პროფესორი, აშშ
ცირა ჭანტურია
გიორგი ღლონტი – პროფესორი
გიორგი თოდრია – პროფესორი

ISSN 1512-3804

© გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

რედაქციის მისამართი: ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6

criminologist@cspc.org.ge

С 15 сентября 2007 года университет им. Григола Робакидзе и Центр Исследования и прогнозирования приступности, с финансовой поддержкой посольства Соединенных Штатов Америки в Грузии осуществляют проект:

## “Молодежь против преступности”

29 февраля 2008 в рамках проекта „Молодежь против преступности” состоялся круглый стол: „Молодежь и наркомания” под руководством автора проекта, директора центра исследования и прогнозирования преступности профессора университета им. Григола Робакидзе Малхазом Бадзагуа, ректора университета им. Григола Робакидзе, профессора Мамукой Тавхелидзе и главным научным-консультантом центра, профессора Романом Шенгелия.

4 апреля 2008 в пределах того же проекта „Молодежь против преступности” состоялся круглый стол на тему: „Трефикинг и Молодежь”. Руководил встречей автор проекта, директор центра исследования и прогнозирования преступности, профессор университета им. Григола Робакидзе Малхаз Бадзагуа. Асистентка проекта Цира Чантурия ознакомила участников круглого стола итогами социального исследования. В дискусии приняли участие: Ректор им. Григола Робакидзе, профессор Мамука Тавхелидзе; секретарь межведомственного координационного совета осуществляющий мероприятия против трефикинга Кетеван Хуцишвили; директор государственного фонда защищающий жертв трефикинга Марина Месхи; координатор проекта ассоциация молодых юристов грузии «Нет! – Трефикингу людьми» Хатуна Читанава; докторантка юидического факультета университета им. Григола Робакидзе Софио Асанидзе; студентка 3-го курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе Нино Енделадзе. Участники круглого стола приняли рекомендации.

В рамках проекта были установлены отношения с криминологическим обществом США и его исполнительным директором профессором Крис Ескриджем, который также является членом редколлегии нашего журнала, находящиймся с 11 по 14 июня 2008 года с визитом в Тбилиси. Состоялись встречи в генеральной прокуратуре Грузии, в министерстве внутренних дел Грузии, в правительстве Абхазии, в неправительственных организациях. Профессор Ескридж встретился с участниками проекта, с профессорами, с лекторами и студентами юридического факультета университета им. Григола Робакидзе, и прочёл лекцию на тему: «Криминология и проблемы современного мира в XXI веке». Ректор им. Григола Робакидзе, профессор Мамука Тавхелидзе наградил профессора Ескриджа дипломом почетного профессора. Во время встречи был обсужден план будущего сотрудничества.

12 июня 2008 года, в посольстве США в Грузии состоялась презентация закрытия проекта, на котором выступили, представитель посольства США в Грузии Магда Маградзе, автор проекта и директор центра профессор Малхаз Бадзагуа, ректор университета им. Григола Робакидзе, профессор Мамука Тавхелидзе, атташе посольства США в Грузии со связью с прессой и с общественностью Стефан Гаисс. Участником проекта передали сертификаты и благодарственные дипломы.

В данном журнале опубликованы материалы круглого стола.

**Редакционный совет:**

**Малхаз Бадзагуа – Профессор, Главный редактор**
**Мамука Тавхелидзе - Профессор**
**Роман Шенгелия - Профессор**
**Отар Квачадзе**
**Рамаз Беридзе – Профессор, США**
**Михайл Бадзагуа**
**Джемал Джанашия - Профессор**
**Марина Квачадзе - Профессор**
**Крис Эскридж - Профессор, США**
**Цира Чантурия**
**Гиоргий Глонти – Профессор**
**Гиоргий Тодрия - Профессор**

ISSN 1512-3804

© Университет им. Григола Робакидзе

© «Центр исследования и прогнозирования преступности»

Адрес редакции: Тбилиси, ул. Джано Багратиони №6

criminologist@cspc.org.ge

Since September 15, 2007 Grigol Robakidze University and The Centre of Study and Prediction of Crime with the financial support of the U.S. Embassy in Tbilisi are carrying out the project:

## “Youth against crime”

On the February 29, 2008 within the project “Youth against Crime” was held the Round Table on the theme “Youth and Drug Addiction” which was supervised by the author of the project and director of the Centre of Study and Prediction of Crime, Full Professor of Grigol Robakidze University Malkhaz Badzagua, the Rector of Grigol Robakidze University Professor Mamuka Tavkhelidze.

On the April 4, 2008 within the scope of the project “Youth against Crime” was held the Round Table on the theme “Trafficking and Youth” which was supervised by the author of the project and director of the Centre of Study and Prediction of Crime, Full Professor of Grigol Robakidze University Malkhaz Badzagua. The assistant of the project Tsira Chanturia informed the participants about the results of the social research. The Rector of Grigol Robakidze University - Professor Mamuka Tavkhelidze, the Secretary of the Interdepartmental Coordination Council accomplishing measures against human trafficking - Ketevan Khutsishvili, Director of the State Fund defending victims of human trafficking - Marina Meskhi, the Coordinator of the project of the Lawyers’ Association of Georgia “No! to Trafficking” - Khatuna Chitanava, the doctoral students of the Faculty of Law of Grigol Robakidze University – Sophio Asanidze, the students of the Faculty of Law of Grigol Robakidze University –Nino Endeladze took part in the discussion. The participants of the Round Table accepted the recommendations.

Within the scope of the project were established the relations with the American Society of Criminology. The Executive Director of this Society Professor Chris Eskridge, who at the same time is the member of the editorial board of our journal, was on a visit in Tbilisi on June 11 – 14, 2008. The meetings were held at the State Office of Public Prosecutor of Georgia, the Ministry of Internal Affairs of Georgia, the Government of Abkhazia, and non-governmental organizations. Professor Eskridge met the participants of the project, professors, lecturers and students of the Faculty of Law of Grigol Robakidze University. He read the lecture on a theme: “Crime and Justice in the 21st Century”. The Rector of Grigol Robakidze University Professor Mamuka Tavkhelidze awarded Professor Eskridge the Diploma of Honorary Professor. During the meeting were discussed the plans of future collaboration.

On June 12, 2008 the presentation of closing of the project was held in the U.S. Embassy in Georgia. The representative of the U.S. Embassy in Georgia – Ms Magda Magradze, the author of the project and the director of the centre Professor Malhaz Badzagua, the Rector of Grigol Robakidze University Professor Mamuka Tavhelidze, Press and Information Attaché of the U.S. Embassy in Georgia Mr. Stephen Guice made speech during the presentation. The participants of the project were presented the certificates and thankful cards.

In the given journal are published the materials of the events considered within the scope of the project.

Editorial Board:

Malkhaz Badzagua – Professor, Chief Editor
Mamuka Tavkhelidze - Professor
Roman Shengelia - Professor
Otar Kvachadze
Ramaz Beridze – Professor, USA
Mikheil Badzagua
Jemal Janashia - Professor
Marina Kvachadze - Professor
Chris Eskridge – Profesor, USA
Tsira Chanturia
Giorgi Glonti – Professor
Giorgi Todria - Professor

ISSN 1512-3804

© Grigol Robakidze University

© The Center of Study and Prediction of Crime

Address of the publication-house: Tbilisi, 6 Jano Bagrationi street criminologist@cspc.org.ge

# ს ა რ ჩ ე ვ ი


*ჯემალ ჯანაშია*
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები ... 15

*ქეთევან შავგულიძე, მარინა შაქარაშვილი, ნინო მამულაშვილი*
არტ-თერაპია – მოზარდებში ნარკომანიის პრევენციის და ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობის ეფექტური მეთოდი ... 26

*ქეთევან აფციაური*
მედიის როლი ნარკომანიასთან ბრძოლაში ... 31

*გიორგი მირცხულავა*
ნარკოტიკების ლეგალიზაციის უპირატესობები აკრძალვასთან შედარებით ... 35

*ლოლიტა შენგელია*
ნარკომანიის ზოგადი პრობლემატიკის მიმოხილვა მოზარდებისათვის ... 45

*თეა ქავთარაძე, თამარ ქურთაული*
ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები ... 56

*მარი ჩხაიძე, ნანა ჯაყელი, ანა კორინთელი*
ნარკომანია, დანაშაულის ზღვარზე მყოფი ავადმყოფობა ... 63

*ეკატერინე ჩხაიძე, დარინა მუთიძე*
ნარკომანია და ნარკომანიით დაავადებული ადამიანების კრიმინოლოგიური დახასიათება ... 69

*ბექარ ქოჩიაშვილი*
ნარკობიზნესის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ... 76

*ამირან მოსულიშვილი*
მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგასლიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში ... 79

*ანა გრიგოლია*
ნარკომანია: დაავადება თუ დანაშაული ... 87

*აკაკი ჩალათაშვილი*
ნარკოტიკის ზიანი ადამიანისათვის და მისი პრევენციის გზები ... 96

*მარინა კვაჭაძე*
კომენტარები საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობის შესახებ ... 103

*ირმა მანჯავიძე*
მოზარდის ფსიქო-სოციალური თავისებურებები და მოტივაცია ნარკოტიკების მოხმარებისათვის ... 114

*მრგვალი მაგიდის „ახალგაზრდობა და ნარკომანია" დასკვნითი რეკომენდაციები* ... 124

*გიორგი ღლონტი*
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ „ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘᲡ" ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ... 126

*წოვინარ ნაზაროვა*
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ (ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘ) ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ... 129

*მიხეილ ბაძაღუა*
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ (ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘ) ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ... 134

*თამთა შაგულაშვილი*
ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘ ᲐᲜᲣ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ... 139

*სოფიო ბარნაბიშვილი, ეკა საათაშვილი*
ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ „ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ" ᲒᲖᲐ ... 145

*ია დადუნაშვილი*
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ... 152

*ნატალია მაისურაძე*
ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ... 156

*თამარ მარდალეიშვილი*
ᲢᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ... 166

*მრგვალი მაგიდის „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა" დასკვნითი რეკომენდაციები*

*კრის ესკრიჯი*
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ... 171

## Содержание

*Джемал Джанашия*
Социально-правовые аспекты и перспективы борьбы с наркоманией и с незаконным оборотом наркотиков ........ 15

*Кетеван Шавгулидзе, Марина Шакарашвили, Нино мамулашвили*
Арт-терапия - эффективный метод превенции наркомании среди молодежи и для лечения наркоманов ........ 26

*Кетеван Апсиаури*
Роль медии против наркомании ........ 31

*Гиоргий Мирцхулава*
Преимущество легализации наркотиков по сравнению с запретом ........ 35

*Лолита Шенгелия*
Общий обзор проблем наркомании для подростков ........ 45

*Тея Кавтарадзе, Тамар Куртаули*
Правовые аспекты борьбы с наркоманией ........ 56

*Мари Чхаидзе, Нана Джакели, Анна Коринтели*
Наркомания, болезнь на грани преступности ........ 63

*Екатерина Чхаидзе, Дарина Мутидзе*
Криминальная характеристика наркомании и больных наркоманов ........ 69

*Бекар Кочиашвили*
Правовые и криминологические аспекты наркобизнеса ........ 76

*Амиран Мосулишвили*
Возможные последствия легализации легких наркотических средств в Грузии ........ 79

*Анна Григолия*
Наркомания: болезнь или преступление ........ 87

*Акаки Чалаташвили*
Ущерб от наркотиков и превенциальные меры ........ 96

*Марина Квачадзе*
Комментарии к законодательству борьбы с наркоманией в Грузии ........ 103

**Ирма Манджавидзе**
Психо-социальные особенности подросткового возраста и мотивация к приминению наркотических веществ ........ 114

*Рекомендации принятые в рамках круглого стола „ Молодежь и наркомания “* ........ 124

*Гиоргии Глонти*
Некоторые вопросы квалификаций торговли людьми согласно новому грузинскому законодательству ... 126

*Цовинар Назарова*
Международное сотрудничество на Южном Кавказе
по проведению борьбы торговлей людьми ... 129

*Михеил Бадзагуа*
Торговля людьми (трефикинг) и государственная политика в Грузии ... 134

*Тамта Шагулашвили*
Трефикинг или рабство в XXI веке ... 139

*Софио Барнабишвили, Ека Сааташвили*
Трефикинг-путь „спасения” малодёжи ... 145

*Иа Дадунашвили*
Грузия, как страна источник трудовой миграции и торговлей людьми ... 152

*Наталья Маисурадзе*
Праблема трефикинга в страннах Южного Кавказа ... 156

*Тамар Мардалеишвили*
**Действия международной организации миграции против трефикинга в Грузии** ... 166

*Рекомендации принятые на круглом столе „Трефикинг и Молодежь“*

*Крис Ескридж*
Криминология и проблемы современного мира в 21 веке ... 171

## The Content

***Jemal Janashia***
Social and legal aspects and prospects of struggle against drug addiction and illegal rotation of drugs ..... 15

***Ketevan Shavgulidze, Marina Shakarashvili, Nino Mamulashvili***
Art therapy – effective method of drug prevention among youth and for treatment of drug abusers ..... 26

***Ketevan Aptsiauri***
The role of media in struggle against drug addiction ..... 31

***George Mirtskhulava***
Advantage of drug legalization in comparison with prohibition ..... 35

***Lolita Shengelia***
Review of the problem of drug addiction for youth ..... 45

***Tea Kavtaradze, Tamar Kurtauli***
Legal aspects of struggle against drug addiction ..... 56

***Mari Chkhaidze, Nana Jakeli, Ann Korinteli***
Drug addiction, illness on the verge of crime ..... 63

***Ekaterine Chkhaidze, Darina Mutidze***
Criminological characteristic of drug addiction and drug abusers ..... 69

***Bekar Kochiashvili***
Legal and criminological aspects of narcobusiness ..... 76

***Amiran Mosulishvili***
Possible outcomes of the Legalization of light narcotic drugs in Georgia ..... 79

***Ann Grigolia***
Drug addiction: disease or crime ..... 87

***Akaki Chalatashvili***
The harm from drugs and the preventive ways ..... 96

***Marina Kvachadze***
Comments under the legislation of struggle against a drug use in Georgia ..... 103

***Irma Manjavidze***
Psycho-social particularities of adolescence and motivation to drug abuse ..... 114

***Recommendations developed at the round table "Youth against Crime"*** ..... 124

*Georgi Glonti*
Qualification issues of human "trafficking" according to the new Georgian legislation .......... 126

*Tsovinar Nazarova*
International collaboration in struggle against human trafficking in South Caucasus .......... 129

*Mikheil Badzagua*
Human trafficking and state policy in Georgia .......... 134

*Tamta Shagulashvili*

Human trafficking or slavery in the XXI century .......... 139

*Sophio Barnabishvili, Eka Saatashvili*
Trafficking - the way of "saving" youth .......... 145

*Ia Dadunashvili*
Georgia, as the source country of labour migrations and human trafficking .......... 152

*Natalia Maisuradze*
Problems of trafficking in the countries of South Caucasus .......... 156

*Tamar Mardaleishvili*
Counter trafficking activities of IOM in Georgia .......... 166

*Recommendations developed at the round table "Trafficking and Youth"*

*Chris Eskridge*
Crime and justice in the 21st century .......... 171

*ჯემალ ჯანაშია*

# ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივ - სოციალური ასპექტები და პერსპექტივები

ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო!

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობს საქართველოში არსებული ნარკოტიკული სიტუაციის ფონზე, რომელიც უმძიმესია, უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

თუ გადავხედავთ ამ პრობლემატიკის ისტორიას დავინახავთ, რომ მისი აფეთქება ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმეჯერ არის დაფიქსირებული.

**პირველად** ამ მოვლენის მომსწრენი ვიყავით 80-იანი წლების ბოლოს, თუმცა იგი თავისი არც თუ დიდი მასშტაბების გამო სპეციალისტთა და მეცნიერთა გარკვეული ჯგუფისათვის იყო მხოლოდ შესამჩნევი.

**ნარკოტიკული სიტუაციის მეორე შესამჩნევი აფეთქების მომსწრენი გავხდით 1992-95 წლებში,** საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების ფონზე, როდესაც იმ ცნობილი მოვლენებისას ნარკოტიკები მეომართათვის საომარი ოპერაციების წინ მასტიმულირებელი საშუალება, ხოლო ბრძოლის შემდეგ დამამშვიდებელი საშუალება გახლდათ.

სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო მაფია აქტიურად ეძებს, შემდეგ აყალიბებს კიდეც, აზიიდან ევროპისაკენ უმოკლეს და უკონტროლო ნარკოტრასებს სამხრეთ კავკასიის გავლით. ევროპული და ამერიკული სპეცსამსახურები ამავე პერიოდში აფიქსირებენ ნარკოტიკების დიდი პარტიების მიწოდებას კავკასიური მარშრუტების გავლით, რომელშიც სამწუხაროდ საქართველოც ჩაერთო.

**გაგაცნობთ ერთ ასეთ შემთხვევას: 1998 წლის 8 იანვარს სარფის საბაჟოზე თურქმა მებაჟეებმა ტურისტული ავტობუსის სამალავიდან, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო გადასერა—ამოიღეს 486კგ და 976გრ. ჰეროინი.**

რამოდენიმე ხნით ადრე, ჩეჩნეთში მომდინარე საომარი მოქმედებების პარალელურად იქ მთელი დატვირთვით ამუშავდა ჰეროინის ლაბორატორია, კერძოდ, რაიონულ ცენტრი შალიში, საიდანაც ნარკოტიკების არა ერთი პარტია გადაიზიდა ვერტმფრენით ევროპისაკენ და როგორც ევროპელი სპეცსამსახურები აზუსტებენ მათი საბოლოო დასაწყობების ადგილი ფამაგუსტას პორტი იყო.

90-იანი წლების შუა პერიოდში არალეგალურად სინტეტიკური ნარკოტიკები მზადდებოდა აზერბაიჯანის სუმგაითში-(ქიმიური მრეწველობის ცენტრში), საიდანაც იგი ძირითადად დსთ-ს სივრცეში ვრცელდება.

მოკლედ, სწორედ ამ პერიოდში ინტენსიურად ყალიბდება ნარკოტიკების კავკასიური მარშრუტები, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორი საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა, სადაც ჩამოყალიბდა და ინტენსიურად მოქმედებდა **ნარკოტიკების ტრანზიტის და ასევე შიდა გავრცელების შვიდი მარშრუტი.**

## საქართველოში ნარკოტიკების ტრანზიტისა და გავრცელების მარშრუტები

(რუქა)




ნარკოტიკული სიტუაციის მესამე აფეთქების მომსწრენი საქართველოში უკვე 21-ე საუკუნეში გავხდით, როდესაც მისმა მოხმარებამ ჩვენი ქვეყნისათვის საშიშ დონეს მიაღწია და თუ დავეყრდნობით საეთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს დღეს საქართველოში ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით 200 ათასი ნარკომანი და ნარკოტიკის მომხმარებელი ცხოვრობს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ კატეგორიას შორის ზღვარი საკმაოდ პირობითია. საერთოდ კი როგორც ამ სფეროს ექსპერტი ვთვლი, რომ მოცემული სტატისტიკური მონაცემები აშკარად გაზვიადებულია და აი რატომ: სტატისტიკურ მონაცემებში ვერ აისახება მოსახლეობის იმ ასაკის მოქალაქეები, რომელთა ხნოვანებამ 60-ს გადააჭარბა, ამავე სტატისტიკურ მონაცემებში ვერ მოხვდება 12 წლამდე ასაკის მოზარდები ე.ი. ჩვენი კვლევის ობიექტი 2 მილიონამდე ან უფრო ნაკლები მოქალაქე იქნება, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებული მიგრაციის უდიდეს მაშტაბებსაც. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით გამოდის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 12-15% ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია, რაც არარეალურია. ასე, რომ იყოს ეს ერის "კოლექტიურ ინტოქსიკაციას" ნიშნავს. ასეთი მაშტაბები მე-17-მე-18 საუკუნის ჩინეთშიც არ ყოფილა, როდესაც "იმპერიას" ოპიუმის მასიური მოხმარების გამო გაქრობაც კი ემუქრებოდა.

საჭიროა სიღრმეული, მრავალმხრივი ფუნდამენტური გამოკვლევის ჩატარება, რომელიც მოგვცემდა რეალურ სურათს, სწორი დასკვნებისა და პროგნოზირების ასევე ეკონომიკური და ადამიანური რესურსების სწორი გათვლების გასაკეთებლად, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენისთანა შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

ამჟამად საერთაშორისო თანამეგობრობის მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, განვსაზღვროთ თუ როგორ ვებრძოლოთ ამ მრავალმილიონიანი მოგების მომტან ნარკობიზნესს და რით შეიძლება ავხსნათ, რომ მიუხედავად მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა პრობლემის სიმწვავე არ კლებულობს?

ახსნა ერთია, ნარკოტიკებით ვაჭრობას სხვა კრიმინალურ ქმედებებთან შედარებით უდიდესი მოგება აქვს.

აი ნარკობიზნესის უმთავრესი თვისება: მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, ხოლო საზოგადოებისათვის კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზს იმ გარემოებას, რომ ყაყაჩოს პროდუქციის (ოპიუმი, ჰეროინი, მორფინი) ღირებულება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე 700-ჯერ იზრდება, ხოლო კოკაინისა 2000-ჯერ, მაშინ, როდესაც ნავთობის და ბამბის მამრავლი მხოლოდ 40-ს უტოლდება. ცნობისათვის ნარკოშემცველი მცენარეების უკანონო პლანტაციები მსოფლიოში 200 000 ჰექტარზე ხარობს, რომელთაგან წელიწადში 4000 ტონა ოპიუმი, 450 ტონა ჰეროინი და 350 ტონა კოკაინი იწარმოება. უკანონო ბრუნვიდან კი წელიწადში საშუალოდ, მხოლოდ: 200 ტონა ოპიუმი და 20 ტონა კოკაინია ამოღებული. კიდევ ერთი ციფრი, მაშინ როდესაც მსოფლიოს საერთო ეროვნულმა შემოსავალმა წელიწადში 5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა და აქედან 1 ტრილიონი დოლარი შავ ბიზნესს ეკუთვნის, თითქმის მისი ნახევარი ნარკობიზნესზე მოდის.

ცალკე უნდა შევეხოთ ნარკოტიკებისა და სხვადასხვა სახის კონფლიქტებს შორის ურთიერთკავშირს. ამის ნათელი მაგალითია, აზიაში, კავკასიაში, ბალკანეთში და მსოფლიოს სხვა სივრცეებში მიმდინარე მოვლენები. მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იქ მიმდინარე კონფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს, სამოქალაქო ომებს, თითქმის ყოველთვის წინ უსწრებდა ან თან სდევდა ნარკოტიკული სიტუაციების გამწვავება.

კონფლიქტური და ნარკოტიკული კავკასია

(რუქა)




ამ სივრცეებში მუდმივად მუშაობდა ფორმულა:

**ნარკოტიკები ⇄ იარაღი**

ასევე აღსანიშნავია ნარკოტიკების და ტერორიზმის ურთიერთკავშირი, რომელიც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, რომელთაგან უმთავრესი ცვალებადი პოლიტიკური გარემოებებია. ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ მისი ყველაზე დიდი აფეთქება სწორედ ცივი ომის პერიოდს ემთხვევა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნარკოტიკები მსოფლიო წესრიგისათვის მრავალასპექტიანი პრობლემა გახდა და მისმა გამოყენებამ და ტრანსპორტირებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე მოახდინა გავლენა.

სწორედ ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ნარკოტიკების საკითხი უპირველესია მათი მუშაობის დღის წესრიგში: მშვიდობის განვითარების, გარემოს დაცვისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გვერდით.

ეხლა ნება მომეცით რამოდენიმე მოსაზრება ნარკოტიკების შიდა ეროვნულ და რეგიონალურ პრობლემებზე მოგახსენოთ.

ვთვლი, რომ ნარკობიზნესთან ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლაციამ და ზოგიერთ შემთხვევებში ნარკოტიკების პრობლემისადმი არაადეკვატურმა მიდგომამ და იმ იდეოლოგიამ, რომ ნარკოტიკების მოხმარება და ტრანსპორტირება დამახასიათებელია მხოლოდ კაპიტალისტური სამყაროსათვის, მოგვცა ის შედეგი, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, ჯამრთელობის სფერო, ფინანსური წრეები, განსაკუთრებით კი სამართლებრივი ბაზა მოუმზადებელი აღმოჩნდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გაზრდილი მასშტაბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღეს თითქმის თავიდან გვიწევს ამ სისტემების მოწყობა და ფუნქციონირება, რაც საკმაოდ მძიმე, შრომატევადი და ფინანსური თვალსაზრისით ძვირი პროცესია.

სამწუხაროდ არც შეცდომებია იშვიათი, როდესაც ექსპერტთა აზრის გაუთვალისწინებლად ხდება ამ სამსახურების ჩამოყალიბება. იგი იწვევს სისტემათა დუბლირებას, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენისთანა შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისთვის.

თუ გავაანალიზებთ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობას უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხაზით დავინახავთ, რომ ამ სახის დანაშაულთა მკვეთრ ზრდასთან გვაქვს საქმე. კერძოდ 2000 წელს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხაზით აღიძრა 1671 სისხლის სამართლის საქმე, 2001 წელს–1789, 2002 წელს–2196, 2003 წელს–1745, 2004–1159, 2005–1760, 2006–3542, ხოლო 2007 წელს ამ მაჩვენებელმა–რეკორდულ ციფრს 8493-ს მიაღწია, საიდანაც მძიმე სახისაა მხოლოდ–1970, მათ შორის; კონტრაბანდა–71, ნარკოტიკის რეალიზაცია–151, დანარჩენი–6301 როგორც ჩანს ეს არის საქმე აღძრული საცალო ნარკომოვაჭრეების მიმართ, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს ძირითადად პირადი მოხმარებისთვის ინახავენ და საზოგადოებისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოაგენენ.

სტატისტიკური მონაცემები ერთის მხრივ მიუთითებს სამართალდამცავი სტრუქტურების, პირველ რიგში შსს-ს გააქტიურებაზე, მეორე მხრივ კი სტატისტიკური მონაცემები ასევე გვიჩვენებს, რომ მკვეთრად გაიზარდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის გასამართლებულ პირთა რაოდენობა და იმ პირთა რაოდენობაც რომელნიც ასეთი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იქნა მოთავსებული, რამაც გამოიწვია მათი დამნაშავეთა სამყაროსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ინტეგრირებული ორგანიზებული დაჯგუფებების შექმნა. ამ პრობლემის ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ ამ უკანონო ბიზნესში აქტიურად არიან ჩართული ევროპის მრავალ ქვეყანაში, მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც რომელნიც მუდმივი სამუშაოს ძიების გამო ადვილად და აქტიურად ერთვებიან ნარკოტიკების წრიულ კონტრაბანდულ ქსელებში.

საერთოდ აღიარებულია, როდესაც კონფლიქტები, სეპარატისტული მოძრაობა და ომები უსასრულოდ იჭიმება, დიასპორის წევრები და ლტოლვილთა ჯგუფები მრავალნაირ კომერციაში ერთვებიან მათ შორის უკანონოშიც და საქმე, რომელიც დასაწყისში ელემენტარულად თავის რჩენის წყაროს წარმომადგენდა, მოკლე ხანში დასაბამს აძლევს სერიოზულ სავაჭრო ქსელებს. ასე იქმნება დანაშაულებრივი კავშირები დიასპორასა და კონტრაბანდულ ქსე-

ლებს შორის და ახლა ეს უკანასკნელნი თავიანთი უბედურებიდან მოგება-საც კი ნახულობენ, ხოლო უკანონო ბიზნესი თანდათან ძალას იკრებს.

მოკლედ დღეს პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. საერთაშორისო ორგანიზა-ციები მუდმივად იმაზე მუშაობენ, რომ შექმნან ისეთი სისტემები, რომელიც შეებრძოლება ნარკოტიკების შეღწევას აზიიდან ევროპულ სივრცეში, ხოლო ეხლა თვით ჩვენ გვიწევს თავის დაცვა ჭარბი ევროპული ნარკოტიკებისაგან და რაც დრო გავა ეს პრობლემა უფრო და უფრო გამწვავდება. ამის ნათელი მაგალითია, სუბოტექსის, ექსტაზისა და სხვა იაფი და ხელმისაწვდომი სინ-ტეტიური ნარკოტიკების დიდი ოდენობით გავრცელება და მოხმარება სა-ქართველოში, რომელთანაც საბრძოლველად ჩვენი სამართალდამცავი და ჯანმრთელობის სფეროს სტრუქტურები მზად არ აღმოჩნდნენ.

ასეთ დროს ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტისა და ქვეყანაში შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბაჟო სამსახურის ეფექ-ტურ საქმიანობას. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორი სისტემების ფუნქციონირებისას ქვეყანაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკე-ბის ნახევარზე მეტი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მოდის, საქართველოში კი საბაჟო სისტემაში ამ ხაზით მუშაობა ნაკლებად ეფექტურია, რადგან იქ ასეთი სტრუქტურები ან არ არსებობს ან კიდევ დაბალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ამ პრობლემას თან სდევს ეს არის ნარკობიზნესის პირამიდის პრობლემა.

ამ სახის დანაშაულის სახელმწიფოთაშორისი ხასიათის გამო იშვითია შემთხვევა, როდესაც სპეცსამსახურები ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორ-ტირების ოპერაციების რთული ჯაჭვის ყველა მონაწილეს ააშკარავებენ, გან-საკუთრებით კი მის სათავეს. ნარკოტიკებთან მებრძოლი სამსახურები, რო-გორც წესი ნარკოპირამიდის ძირში ფუსფუსებენ.

ნარკომაფიის რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნება შესანიშნავად შეაფასა ჩემმა იტალიელმა კოლეგამ: “ნარკოტიკების კონტრაბანდული ორგანიზაცია სპაგეტის თეფშს ჰგავს, თითქოს თითოეული ერთმანეთს ეხება, მაგრამ არ ხარ დარწმუნებული, სადამდის წაგიყვანს იგი. ზოგჯერ დავიჭერთ ვიღაცას, რომელიც ჩვენი რწმენით მნიშვნელოვანია დაჭერის მომენტამდე, მაგრამ ხელში ჩაგდებისთანავე ის პაწაწინა თაღლითად იქცევა ხოლმე და მის ად-გილზე ვიღაც უფრო მნიშვნელოვანი ჩნდება”.

სწორედ ამიტომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფე-ბის ლიდერების დასადგენად და დასაკავებლად საჭიროდ მიმაჩნია, ისეთი სამართლებრივი ბაზის შემუშავება რომ საგამოძიებო და ოპერატიულ ჯგუ-ფებს გაუადვილდეთ და ეფექტურად შეეძლოთ სათანადო ღონისძიებების გა-ტარება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა: ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ “ბრძენი კანონმდებელი დამნაშავის დასჯის ნაცვლად ეცდება თავიდან აი-ცილოს დანაშაული” ე.ი. თანამედროვე გაგებით საუბარია დანაშაულის პრე-ვენციაზე.

ამ თემაზე საუბარი გადამაწყვეტინა ამ ბოლო პერიოდში პრესაში და ტელე-ვიზიაში გავრცელებულმა ინფორმაციამ და დებატებმა **მარიხუანას არამავნე-ბლობის შესახებ და რომ შესაძლებელია მისი ნაწილობრივი ლეგალიზებაც კი.**

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის სწორი ორიენტირების განსაზღვრა, აი რა მაქვს მხედველობაში: თეორიიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვნებიც კანონმორჩილნი არიან, ე.ი. კანონის ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე თავს იკავებენ ნარკოტიკების მოხმარებისგან. გარკვეული სახის ნარკოტიკების (მაგალითად მარიხუანას) ლეგალიზება ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ, ამას მოყვება ის, რომ მკვეთრად გაიზრდება ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების, მათ შორის არასრულწლოვნების რიცხვი.

ამიტომ ჩვენის აზრით და ამ აზრს იზიარებს ბევრი მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკი, გარდა სხვა შემაკავებელი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა ადრეული ასაკიდან უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

ცალკე მსჯელობას მოითხოვს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება (მარიხუანა) ხელს შეუწყობს ნარკომანების გამოვლენას და თავიდან აგვაცილებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს სამართალდამცავთა მხრიდან.

ვერავინ განსაზღვრავს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მასშტაბებს მისი ნაწილობრივი ლეგალიზების შემთხვევაში. ერთი რამ ცხადია, რასაც მეცნიერული გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ მარიხუანას ყოველი მეოთხემეხუთე მომხმარებელი მძიმე ნარკოტიკზე (ოპიუმი, ჰეროინი, კოკაინი) გადადის. უფრო მეტიც სწორედ მარიხუანა გახდა საქართველოში ქალთა ნარკომანიის მაპროვოცირებელი ფაქტორი, რისი დასტურიც დღეს ქვეყანაში არსებული სიტუაციაა.

როგორც ამ დარგში საკმაო პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტი, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნარკოტიკების ნაწილობრივი ან მთლიანი ლეგალიზება ნარკობიზნესს ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები – დაიწყება კონკურენცია შიდა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების "იმპორტი" (კონტრაბანდა) ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დაიწყება ნარკოტიკული ნავთიერებების შემცველი მცენარეების მასიური დათესვა და მოყვანა ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი და პრაქტიკაში განხორციელდება ცნობილი მოსაზრება:

## ნარკოტიკები+ლეგალიზება=ბაზარს

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაიწყება მარიხუანას სხვა პროდუქტების მაგალითად ჰაშიშის ზეთის წარმოება, რომელიც თავისი მოქმედების ეფექტით 30–40-ჯერ უფრო ძლიერია მარიხუანაზე

მინდა ვისარგებლო შემთხვევით, გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა ჟურნალისტთა და მასობრივი ინფორმაციის სხვა წარმომადგენელთა მიმართ, და გამოვთქვა კიდევ რამოდენიმე მოსაზრება ნარკოტიკების საწინააღმდეგო პროპაგანდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ნარკოტიკების თემაზე საუბრისას უნდა ვიყოთ უაღრესად ფრთხილი, დაკვირვებული. ხმაურიანი განცხადებები კი ნარკომანიის ავადმყოფად და სოციალურ მოვლენად გამოცხადება ყოველთვის არ არის დადებითი შედეგის მომტანი, ხოლო, რაც შეეხება ზოგიერთი პიროვნების გამონათქვამი, თუ რო-

გორ უხსნის მას ტვინის უჯრედებს შემოქმედებითი საქმიანობისას “მარიხუა-
ნა” უაღრესად სახიფათოა. ეს მაგონებს გასული საუკუნის 30-იან წლებს,
როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში “მარიხუანას” ე.წ. ბუმი იყო და
ელა ფიცჯერალდმა გამოუშვა ალბომი: “When I Get Low, I Get High”…”როცა
დეპრესიაში ვარ, დავფრინავ”. იგი ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციამ
უმალვე აკრძალა. ასეთი მიდგომა ამერიკელებმა სასწრაფოდ ისტორიას მია-
ბარეს, ჩვენ კი ტრადიციულად სხვის შეცდომებზე არაფერს არ ვსწავლობთ
და თავიდან ვიმეორებთ ხოლმე მას.

მინდა გითხრათ, რომ გაერთიენებული ერების ორგანიზაციის ტიპიურ კანონ-
ში არის ასეთი მუხლი “ნარკოტიკების გამოყენების საჯაროდ წახალისება”,
იგი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და ხუთ წლამდე თავისუ-
ფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩემ გამოსვლას ამ საკითხზე ვამთავრებ ამერიკის შეერთებული შტატების
ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ცნობილი ექსპერტის ჯონ ჰეის-
ლიპის განცხადებით: “ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდე-
მიისა არის მოწოდებები ნარკოტიკების და მისი მოხმარების ლეგალიზების
შესახებ და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს უმეტეს სახელმწიფოთა
ხელისუფალნი არაადეკვატურნი არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშ-
კარად ჩანს ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიის შესწავლისას”.

კიდევ ერთ უმნიშვნელოვენეს საკითხს შევეხები, რომელიც **კანონმდებლობის
სრულყოფას ეხება.** დღევანდელი საერთაშორისო თანამეგობრობის უმთავრე-
სი ამოცანაა, სამართლის ნორმების, როგორც მოსახლეობის ნარკოტიკების
მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის ძირითად ინსტრუმენტად აღიარება. სწორედ
კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული
ნივთიერებების, მათი ანალოგების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვით გა-
მოწვეულ კანონდარღვევებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირება, გან-
საზღვროს მათ უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმე-
დებათა გამოვლენის და აღკვეთის, დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯის იუ-
რიდიული საფუძვლები და ამ მიმართებით სახელმწიფო ორგანოების, ფიზი-
კური და იურიდიული პირების უფლებამოსილებანი.

ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჩვენს კანონმდებლობაში ძალიან ბევრი ხარვე-
ზია და მათი აღმოფხვრა სასწრაფოდ არის საჭირო. შევეხები მხოლოდ რა-
მოდენიმე პოზიციას:

**პირელი-**რამოდენიმე წელია საქართველოში გამოიკვეთა არასწორი სისხლის
სამართლებრივი პოლიტიკა. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხაზით. კერ-
ძოდ, ყოველწლიურად იზრდება ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე-
თა რაოდენობა, რომელიც ალბათ მალე 10 000-ს გადააჭარბებს და უმთავრე-
სი პრობლემა კი ის არის, რომ დაკავებულთა უმეტესი ნაწილი ნარკოტიკე-
ბის საცალო მომხმარებელია, რომელნიც მას პირადი მოხმარების მიზნით
ინახავენ და საზოგადოებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ.
ამის ძირითადი მიზეზი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **260-ე
მუხლია, სადაც ერთად არის გაერთიანებული: “ნარკოტიკული საშუალების,
მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა,
შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება.**

ჩვენი აზრით, რასაც ბევრი იზიარებს ამ მუხლს უნდა გამოეყოს ნარკოტიკე-
ბით ვაჭრობა და ის ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს და ერთ-ერთი უმთავრე-
სი მაკვალიფიცირებელი მახასიათებელი უნდა იყოს უკანონო ბრუნვიდან
ამოღებული ნარკოტიკების ოდენობები და ასევე ნარკოტიკების სახეობები
მათი ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების სარისხის გათვალისწინებით.

მეორე-სრულყოფას მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის **273-ე მუხლი, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება.**

ამ მუხლშიც უნდა გაიმიჯნოს უკანონოდ მოხმარება დანაშაულის სხვა სახეებისგან. აქვე უნდა იყოს ნათლად მოცემული რა შემთხვევებში თავისუფლდება პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მოცემული უნდა იყოს ამის რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. მათ შორის კანონის ისეთი წამახალისებელი  ნორმები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან და პირის იზოლაციასთან მიმართებაში უპირატესობას მკურნალობის და გამოსწორების თანამედროვე მეთოდოლოგიას მიანიჭებს უპირატესობას.

ჯემალ ჯანაშია<br>გენერალ-მაიორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯემალ ჯანაშია

## ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები


### რეზიუმე

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი დებულებები და რეკომენდაციები რომელთა პრაქტიკული განხორციელება აუცილებელია და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას, ამისათვის;

**-საჭიროა** სიღრმეული, მრავალმხრივი ფუნდამენტური გამოკვლევის ჩატარება, რომელიც მოგვცემდა რეალურ სურათს, სწორი დასკვნებისა და პროგნოზირების ასევე ეკონომიკური და ადამიანური რესურსების სწორი გათვლების გასაკეთებლად, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენისთანა შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

**-საჭიროა** ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების მუდმივი სტრუქტურული, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური სრულყოფა კანონსაწინააღმდეგო სფეროში მიმდინარე პროცესების ადეკვატურად. ამ ეტაპზე, საჭიროა რეგიონებში–ადგილებზე ისეთივე ეფექტური სამსახურების შექმნა, როგორიც ფუნქციონირებს ფედერალურ დონეზე. მაგალითად ცენტრალური აპარატი საკმაოდ ბევრ და ეფექტურ ღონისძიებებს ახორციელებს, რასაც ვერ ვიტყვით ადგილებზე მომუშავე ოპერატიული დანაყოფების შესახებ;

**-აუცილებელია** საკანონმდებლო სისტემის ისეთი უნივერსალიზაცია, რომელიც შესამჩნევად გაადვილებს საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფების მუშაობას და უზრუნველყოფს ასეთი ჯგუფების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ეფექტურ საქმიანობას და ნარკოტიკული ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას;

**-შესაძლებელია,** უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების ოდენობების მეტად დიფერენცირება და სასჯელის უფრო დეტალურად განსაზღვრა მათზე დაყრდნობით, რაც ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ უფრო მკაცრი

სასჯელის გამოტანის ერთ-ერთი ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნიშანი იქნება;

**-მნიშვნელოვანია,** ნარკომანიით დაავადებულ პირებთან სამედიცინო, სოციალური და რეპრესიული მეთოდებით მუშაობის სწორი სისტემის შემუშავება, რისთვისაც აუცილებელია ამ კონტიგენტთან მომუშავე უწყებების და სამსახურების კომპეტენციის მკვეთრი გამიჯვნა.

**-დადგა დრო,** როდესაც განაჩენის გამოტანისას, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება, უნდა გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულებიც, მათ შორის ნარკოტიკული დანაშაული, რომელთა რიცხვიც წლიდან წლამდე იზრდება. ამის აუცილებლობაზე მიუთითებს 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 2 (a) (iii)პუნქტი, 1971 წლის კონვენციის 22-ე მუხლი 2 (a) პუნქტი, და 1988 წლის კონვენციის 3-ე მუხლის 5 (n) პუნქტი, რომელიც ადრე ჩადენილი სამართალდარღვევათა და რეციდიული დანაშაულის დადგენის მიზნით სხვა ქვეყნებში გამოტანილი განაჩენების აღრიცხვიანობას ეხება.

*Джемал Джанашия*

## Социально-правовые аспекты и перспективы борьбы с наркоманией и с незаконным оборотом наркотиков

### Резюме

**- Необходимо,** со стороны спецслужб, борющихся против наркобизнеса, обеспечение адекватного структурного, организационного, правового и методологического подхода к динамичным процессам, протекающим в сфере борьбы с наркоманией и наркобизнесом;

**-Нужно,** усовершенствование законодательной системы, которая значительно облегчит оперативно-сыскную деятельность спецслужб на территории различных стран, а также более широком обмене информации и обслуживающего персонала;

**-Возможно,** упорядочение законодательных норм для более детального определения соответствующих санкций за совершенные преступления, целесообразнее было бы точное дифференцирование количества наркотических средств, веществ и прекурсоров, изъятых из незаконного оборота наркотиков, что в большинстве случаев стало бы одним из главных квалифицирующих признаков при вынесения более строгого приговора.

**-Значительно,** разработать эффективную медицинскую, социальную и репрессивную систему работы с лицами больным наркоманией а также более конкретно разграничить компетенцию министерств и ведомств работающих в этой области.

**-Настало время,** когда при вынесении приговора как отягчающее вину обстоятельство должны быть учтены преступления, совершенные в других странах и приговоры, вынесенные за эти преступления.

Данные вопросы предусмотрены в пункте 2(a) (iii), ст. 36 конвенции 1961г., в пункте 2(a), ст. 22 конвенции1971г., и в пункте 5 (n), ст.3 конвенции 1988г., которые указывают на необходимость учета приговоров, вынесенных в других странах с целью установления уголовных и рецедивов преступлений.

*Jemal Janashia*

## Social and legal aspects and prospects of struggle against drug addiction and illegal rotation of drugs

### The Summary

**The first –** adequate structure, organizational and methodological approach to dynaxic processes in illegal sphere by units fighting drug-business;

**The second** – such perfection of the legistation system, which would case the work of inspection-operational groups on the territories of various countries and strengthen the fight againts world TCOs.

**Third**- the author considers that for the more sublaboration of the legal previsions and more detailed classification of the sanctions would be helpful to differentiate precisely the narcotic drugs, psychotropic substances and precursors seized from the trade and pass the sentences on this basis, that would be one of the main qualifying characteristics for more severe sentences.

**Fourth –** in recent years the immigration of Georgians has raised drastically. More than one million people have migrated to commonwealth of independent states space for temporary jobs and some of them are involved in illegal actions, the illegal trafficking in drugs included. Thus, it is the time now when passing the sentence to take into consideration the crimes commited in other countries and the sentences for those crimes. This is specified in the paragraph 2(a) (iii), article 36 of 1961 Convention, the paragraph 2 (a), article 22 of 1971 Convention and paragraph 5 (n) article 3 of 1988 Convention which relate to the earlier deliquencies and the necessity of recording sentences passed by other country law courts in order to determine recurrent crimes.

*მარინა შაქარაშვილი, ქეთევან შავგულიძე, ნინო მამულაშვილი*

# არტ-თერაპია – მოზარდებში ნარკომანიის პრევენციისა და ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობის ეფექტური მეთოდი

არტ-თერაპია უძველესი ფსიქოთერაპიული მეთოდია, რომელიც ფართო მნიშვნელობით, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მეშვეობით (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, თეატრი და ა.შ.) ადამიანის "სულის მკურნალობას" გულისხმობს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არტ-თერაპევტები აქტიურად არიან ჩაბმულნი ფსიქიკური და ემოციური აშლილობის, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების, ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ არტ-თერაპია უშუალოდ არის დაკავშირებული სამკურნალო და სარეაბილიტაციო პრაქტიკასთან, მისი ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც ნარკომანიისადმი მიდრეკილთა და რისკის ჯგუფის წარმომადგენელთა ფსიქოკორექციის, ასევე ფსიქო-პროფილაქტიკისა და მოზარდებში ნარკომანიის პრევენციის მიზნით.

არტ-თერაპიის მნიშვნელობას და ეფექტურობას, მოზარდებში ნარკომანიის პრევენციისა და ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის პროცესში განსაზღვარავს ის ფაქტორი, რომ არტ-თერაპიული მეთოდები გრძნობების არავერბალურ გამოხატვაზეა დაფუძნებული, რაც ვერბალურ ფსიქოთერაპიასთან შედარებით მოზარდის შინაგანი სამყაროს თავისუფალ გახსნასა და მისი ფსიქოლოგიური დაცვისა და კომფორტის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

არტ-თერაპიის საფუძველს შემოქმედებითი პროცესი წარმოადგენს. არტ-თერაპევტის თანდასწრებით "უსაფრთხო" ფსიქოლოგიურ გარემოში (კაბინეტი ან სტუდია), სახვითი მასალების (საღებავი, თიხა და ა.შ) მეშვეობით იქმნება ვიზუალური სახეები, რომელიც მოზარდის პოტენციალის, პიროვნული თავისებურებების, ინტერესების, შინაგანი პრობლემების და კონფლიქტების, როგორც ადრეული, ასევე აქტუალური გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი გრძნობების, მიდრეკილებების, მოთხოვნილებების, სურვილების განსახიერებას წარმოადგენს (მათ შორის ისეთი შეგრძნებების, რომელთა ვერბალიზაცია საკმაოდ რთულია). მოზარდის შინაგანი სამყაროს თავისებურებების წარმოჩენის მიზნით არტ-თერაპიულ პროცესში პრიორიტეტული მნიშვნელობა მოზარდის მონაცემების – ხატვის, ძერწვის განსაკუთრებული შესაძლებლობების ნაცვლად, თვითგამოხატვის ინდივიდუალურ სტილს ენიჭება, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ვიდრე პროდუქტის ესთეტიკური მხარე. მეცადინეობების დროს მიუღებელია დირექტივები, ნამუშევრებს შედარება და შეფასება, მოზარდთა კრიტიკა და დასჯა, რაც თანაბარ უფლებებს ანიჭებს არტ-თერაპიული პროცესის მონაწილე თითოეულ მოზარდს, მათში უხერხულობის, სირცხვილის, წყენის გრძნობის გაჩენას გამორიცხავს და დადებითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე, ემოციურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს მოზარდთა შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენას და დაცვითი მექანიზმების აქტივიზირებას.

შინაგანი კონფლიქტების ვიზუალური ფორმებში, მხატვრულ სახეებში რეალიზების პროცესი, უშუალოდაა დაკავშირებული მთელ რიგ თერაპიულ მექანიზმებთან (რელაქსაცია, კათარზისი, თვითორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება და ა.შ.).

არტ-თერაპია საშუალებას აძლევს მოზარდს:

- გამოხატოს აგრესიული გრძნობები სოციალურად მისაღები ფორმით, (ხატვა, ძერწვა და ა.შ. დაძაბულობისაგან განმუხტვის უსაფრთხო მეთოდებია).

- ასახოს ქვეცნობიერი კონფლიქტები და შინაგანი დაძაბულობა (ამ შეგრძნებების ვიზუალიზაცია უფრო იოლია, ვიდრე სიტყვების მეშვეობით გადმოცემა)
- განავითაროს შინაგანი კონტროლის და წესრიგის გრძნობა (ხატვის, ძერწვის დროს აუცილებელია ფორმის, ფერის ორგანიზება), ყურადღების კონცენტრაციის, თვითრეგულაციის უნარი.
- დაუკვირდეს საკუთარ გრძნობებსა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.
- გააძლიეროს საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება.
- გადაჭრას "შინაგანი კონფლიქტები", პრობლემები სახვითი საშუალებების მეშვეობით იოლად და ესთეტურად.
- თვითგამოიხატოს და სიამოვნება მიანიჭოს საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

თანამედროვე ყოფაში ხარისხობრივად შეიცვალა მოზარდთა აზროვნების ფორმირების ხელშეწყობის ფაქტორები. დღეს მოზარდებს არჩევანის განუსაზღვრელი საშუალებები აქვთ, რაც მათში წინააღმდეგობისა და გაურკვევლობის გრძნობას ბადებს. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე დინამიკური ცვლილებების პროცესში, მათ უჭირთ "ახალი", მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. ზემოაღნიშნული ფაქტორები მოზარდებში ჯგუფური არტ-თერაპიის მნიშვნელობასა და ინდივიდუალურ არტ-თერაპიასთან შედარებით მის უპირატესობას განაპირობებს. ჯგუფური თერაპია მოზარდებს შორის გამოცდილების გაცვლის, საერთო განცდების არსებობის შემეცნებისა და ნარკომანიისადმი მიდრეკილთა და ნარკოდამოკიდებულთათვის ნიშანდობრივი მარტოობისა და იზოლაციის გრძნობის დაძლევის ეფექტურ საშუალებას წარმოად-გენს. დღესდღეობით პოპულარობით სარგებლობს ჯგუფური არტ-თერაპიის შემდეგი ფორმები:

- სტუდიური ტიპის "ღია ჯგუფი"
  (დემოკრატიული ატმოსფერო, არადირექტიული მიდგომა.
  განსაზღვრება "ღია" ახალი წევრების მიღების შესაძლებლობას გულისხმობს).
- დინამიკური (ანალიტიკური) ჯგუფი
  (ჯგუფის შემადგენლობა უცვლელია, ფსიქოთერაპევტი მიჰყვება ჯგუფურ პროცესს და არ ახდენს პროცესების ინიცირებას, დირექტიულობის ხარისხი მინიმუმამდეა დაყვანილი).
- თემატური ჯგუფი
  (ორიენტირებულია ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე).

ნარკომანიისადმი მიდრეკილ და ნარკოდამოკიდებულ მოზარდთა "ფსიქოლოგიური ინტეგრაციის" და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასების ეფექტურ და გავრცელებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ხატვა წრეში (მანდალოთერაპია).

იუდაიზმში, დაოსიზმში, ბუდიზმში მანდალა სამყაროს ერთიანობის მაგიურ სიმბოლოდ იყო მიჩნეული (მისი გამოსახულება გვხდება მართლმადიდებლურ ხატწერაში, გუთური ტაძრების ვიტრაჟებში, ჩრდ. ამერიკის უძველეს ბინადართა ქვიშის კომპოზიციებში). კარლ გუსტავ იუნგი მანდალას შემოქმედებითი თვითგამოხატვის და შემეცნების ეფექტურ ხერხად მიიჩნევდა (ადამიანის ფსიქიკის თავისებურ "ფოტოგრაფიად", რომელიც ნათლად ასახავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას მისი შექმნის ეტაპზე).

მანდალოთერაპია "შინაგანი" და "გარეგანი" რეალობის ჰარმონიზაციის, ენერგიის კონცენტრაციის და ემოციური თვითრეგულაციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ხელს უწყობს რელაქსაციას და ემოციური დაძა-

ზულობის მოხსნას. ნარკოდამო-კიდებულთა რეაბილიტაციის პროცესში არტ-თერაპევტები აქტიურად მიმართავენ წრე-ში ხატვის მეთოდს. პაციენტები ხშირად სანთლის შუქზე, რელაქსაციური მუსიკის თანხლებით მუშაობენ. (მანდალას შეიძლება ახლდეს კომენტარები ან მხატვრული ტექსტი, რომელიც პაციენტის დამოკიდებულებას ასახავს). გამოკვლევებს თანახმად ახალბედა პაციენტების მანდალების დიდი ნაწილი არ არის დაფერილი, ხშირად ჭარ-ბობს შავი და წითელი, ან ჭუჭყიანი ფერები, რაც პაციენტის ფსიქიკურ და ფიზიკურ დისკომფორტზე მიუთითებს. მათი ფსიქიკური დეზინტეგრაციის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მანდალას მკრთალი საზრვრები, მკვეთრი ხაზები კი პაციენტის სუსტი “მე”-ს დაცვის სურვილზე მეტყველებს. ნარკოდამოკიდებულთა მანდალებში ხშირად მეორდება სპირალის, ლაბირინთის, უსასრულო გზის თემა, რაც ცვლილებების მოტი-ვაციის არარსებობაზე მიუთითებს. გამოკვლევები ცხადჰყოფს, რომ რამდენიმე არტ-თერაპიული სეანსის შემდეგ მანდალებში ძლიერდება ცენტრი, პალიტრა ხდება უფრო მრავალფეროვანი (ჩნდება თბილი ფერები), ნახატი – ჰარმონიული, კომენტარები - გააზრებული.

ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობის და რეაბილიტაციის გავრცელებული არტ-თერაპიული მეთოდია პერფორმანსი. ხშირად ის არტ-თერაპიული პროცედურის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. პერფორმანსი საშუალებას აძლევს მოზარდს დრამატული მოქ-მედების მეშვეობით გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პრობლემების მიმართ. მოზარდები ქმნიან ნიღბებს – “მე გუშინ”, “მე ხვალ”, ნამუშევარს თემაზე “ჩემი გზა”
(გზა გუშინდლიდან ხვალამდე), წერენ 3 აქტიან სცენარს პირობითი სახელწოდებებით: “ბავშვობა”, “დამოკიდებულება”, “გამოსავალი“. ჯგუფის წევრთა ნამუშევრებს გაცნობა და განხილვა არტ-თერაპიული სეანსის აუცილებელ კომპონენტს წარმოად-გენს.

ჯგუფური არტ-თერაპიის დროს მოზარდთა საკუთარი თავისადმი და გარემოსადმი დამოკიდებულების კორექციის აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ნამუშევრების შექმნა თემაზე “ავტოპორტრეტი”, “ჩემი მიზნები”, “ჩემი მეგობრები”. ავტოპორტრეტზე მუშაობის პროცესში მოზარდები აცნობიერებენ პირად დამოკიდებულებას საკუთარი გარეგნობის, თავისებურების მიმართ (მეთოდები ხშირად სიტყვებით რთულად ასახსნელ ემოციურ ასპექტებს ასახავენ). კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით მოზარდები ერთობლივ ნამუშევარს ქმნიან – ჯგუფური ნახატი, ფრესკა.

ჯგუფურ არტ-თერაპიაში პოპულარობით სარგებლობს თემა “ნაგავსაყრელი”, რომელიც ნარკოდამოკიბულთა დამთრგუნელ, ნეგატიურ გრძნობებს (დანაშაულის შეგრძნება, დარდი, შიში, მარტოობის გრძნობა) ასახავს. მათგან გათავისუფლების მიზნით ჯგუფური განხილვისა და შეთანხმების შედეგად მოზარდები წვავენ ნამუშევარს. ეს პროცესი დადებითად მოქმედებს მათ ემოციურ მდგომარეობაზე და ბადებს შეგრძნებას, რომ მათ შესწევთ უნარი დაძლიონ პრობლემა.

ნარკომანიის რეაბილიტაციის პარალელურად საქართველოში, დღევანდელი საზოგადოებისათვის ნარკომანიის პრევენცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოად-გენს. მოზარდებში ნარკომანიის პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯგუგური არტ-თერაპიული მეთოდის დანერგვა ხელს შეუწყობს მოზარდთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და სტიმულირებას, ფსიქოდამოკიდებულების და მიდრეკილების ნიშნების ადრეულ ეტაპზე გამოვლენასა და ფსიქოკორექციას. მეთოდის თერაპევტული და საგანმანათლებლო მიზნების აღრევის თავიდან აცილების თვალსაზრისით მიზანშეწონილია ტერმინის “არტ-თერაპია”, განსხვავებული

შინაარსის სახელწოდებებით ჩანაცვლება. მაგ.: "არტ - მეთოდი", შემოქმედებითი თვითგამოხატვის მეთოდი" და ა.შ.

*ქეთევან შავგულიძე*
*ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი*
*გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი.*

*მარინა შაქარაშვილი*
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი*
*გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის*
*მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი.*

*ნინო მამულაშვილი*
*მომავლის სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бурно М.Е. Терапия творческим самовыражением. М. Медицина, 1989.
2. Копытин А.И. Основы арт-терапии. СПБ. Лань. 1999.
3. Копытин А.И., Свистовская Е.Е. Арт-терапия детей и подростков. М. Когито-центр. 2007.
4. Ялом И. Теория и практика групповой психотерапии. СПБ: Питер, 2000.
5. www.arttherapy.org.
6. www. arthea/s.org.

*ქეთევან შავგულიძე, მარინა შაქარაშვილი, ნინო მამულაშვილი*

## არტ-თერაპია – მოზარდებში ნარკომანიის პრევენციისა და ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობის ეფექტური მეთოდი

### რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია არტ-თერაპიული მეთოდები, მოზარდებში, ნარკომანიის, პრევენციისა და ნარკოდამოკიბულთა რეაბილიტაციის პროცესში, ჯგუფური არტ-თერაპიის მნიშვნელობა.

ვერბალურ ფსიქოთერაპიისთან შედარებით გრძნობების არავერბალურ გამოხატვაზე დაფუძნებული არტ-თერაპიული მეთოდები ნარკომანიისადმი მიდრეკილთა და ნარკოდამოკიდებულთა ფსიქოლოგიური დაცვისა და კომფორტის უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ჯგუფური არტ-თერაპია რისკის ჯგუფის მოზარდებისა თუ პაციენტებისათვის ნიშანდობლივი მარტოობის და იზოლაციის გრძნობის დაძლევის, მათში თვითრეგულაციის უნარის განვითარების, დაცვითი მექანიზმების აქტივიზირების, რელაქსაციის, ემოციური დაძაბულობის მოხსნის და შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

**Кетеван Шавгулидзе, Марина Шакарашвили, Нино Мамулашвили**

**Арт-терапия - эффективный метод превенции наркомании среди молодёжи и для лечения наркоманов**

**Резюме**

Статья анализирует методы арт-терапии в процессе превенции наркомании и лечения наркомании среди молодёжи, и важность терапии группового искусства. В отличие от устной психотерапии, методы арт-терапии, основанной по невербальному выражению производят более высокую степень психологической защиты и комфорта среди наркоманов и людей, склонных к наркомании, чтобы притупить использование наркотиков. Терапия искусства группы составляет эффективный метод, чтобы преодолеть чувство одиночества и изоляции, типичной для группы риска молодежи, развитие способности осуществить самообладание, защитные механизмы формирования, расслабление, освобождение эмоциональной напряженности, и стимулирования творческого потенциала.

***Ketevan Shavgulidze, Marina Shakarashvili, Nino Mamulashvili***

**Art therapy – effective method of drug prevention among youth and for treatment of drug abusers**

**The Summary**

The article analyses methods of art therapy during drug prevention and rehabilitation of drug addiction among youth, and the importance of group art therapy. In contrast to verbal psychotherapy, methods of art therapy based on non-verbal expression produce a higher degree of psychological protection and comfort among drug addicts and persons prone to drug use. Group art therapy constitutes an effective method for overcoming the feeling of loneliness and isolation, typical for the risk group of youth, developing the ability to exercise self-control, activating defense mechanisms, relaxing, relieving emotional tension, and stimulating creative potential.

*ქეთევან აფციაური*

# მედიის როლი ნარკომანიასთან ბრძოლაში

XXI საუკუნის ადამიანების ცხოვრებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თანამედროვე მედიას მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების აქამდე არნახული ბერკეტები გააჩნია. იგი ფაქტიურად გვაძლევს ცოდნას ქვეყნების, ადამიანების, პოლიტიკის, ეკონომიკის, კრიმინალის შესახებ და წარმართავს ჩვენი ღირებულებებისა და აზრების ფორმირებას. იგი გვაწვდის არა უბრალოდ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციის დანახვისა და გაგების გზებსაც.

დღეს ნარკომანიის თემა მეტად პოპულარულია. ამაზე ბევრს საუბრობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაგრამ პუბლიკაციების თუ გადაცემათა უმრავლესობა, მხოლოდ ნარკომანების მძიმე ცხოვრების დეტალების ან ოპერატიული რეიდების აღწერით შემოიფარგლება. არავინ საუბრობს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ნარკომანიის პრობლემის მიმართ ან რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

ხშირად გაგვიგონია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია ადამიანების მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარებაზე. სინამდვილეში, პირიქით არის. რეკლამა, რომ მომხმარებელზე არ ზემოქმედებდეს, თამბაქოს ინდუსტრია მასზე ფულს არ დახარჯავდა – ფულს, რომელიც გაცილებით მეტია თავად პროდუქციის წარმოებაზე დახარჯულ თანხაზე.

მასმედიით გაშუქებული ერთი კონკრეტული მასალა სიტუაციას კარდინალურად არ ცვლის, მაგრამ ყოველ მათგანს კონკრეტული წვლილი შეაქვს იმაში, რომ საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ მხარეს წარიმართოს. უფრო მეტიც – გააზრებული, ობიექტური ინფორმაცია საზოგადოებრივ აზრს აუცილებლად გადახრის არასასურველი და არაჯანსაღი მიმართულებით.

ჟურნალისტის პროფესია ადამიანს საშუალებას აძლევს, არა მარტო იცოდეს, თუ რა ხდება, არმედ ზემოქმედებაც მოახდინოს მოვლენებზე. ამ თვალსაზრისით ჟურნალისტი შეიძლება ფსიქოტერაპევტს შევადაროთ, რომელიც ადამიანს თავისი პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. კარგი ფსიქოთერაპევტი პაციენტს ყველა პირობას უქმნის იმისთვის, რომ პაციენტმა თავად იპოვოს გამოსავალი პრობლემური სიტუაციიდან. კარგი ჟურნალისტი ისე უნდა ასრულებდეს პროფესიულ მოვალეობას, რომ აუდიტორიას განსჯისკენ უბიძგოს და დაეხმაროს საუკეთესო გამოსავლის მოძებნაში.

საინტერესოა, თუ რა ხდება, რა სიტუაციაა ამ მხრივ, ქართულ მედიასივრცეში. სამწუხაროდ, ეს საკითხი არცთუ მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ჟურნალისტებისთვის. რეალურად არ შექმნილა პროგრამა, რომელიც ნარკომანიის თემას საფუძვლიანად და გასაგებად გააცნობს აუდიტორიას. არადა, მედიის საშუალებით გაცილებით ეფექტური იქნებოდა ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა.

"მედიას უდიდესი გავლენა აქვს, მაგრამ მას არანაირად არ იყენებს. იმისთვის, რომ შედეგი მივიღოთ გადაცემები რეგულარული და თანმიმდევრული უნდა იყოს, მაგრამ ამ თემას დამფინანსებელი არ ჰყავს"– განაცხადა ფსიქოლოგმა მარინა ჭავჭანიძემ.
ფაქტია, რომ პერიოდულობას ნამდვილად დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ფსიქოლოგიაზე. ერთი კონკრეტული ტელევიზიის მაგალითს თუ განვიხილავთ ვნახავთ, რომ ერთი წლის მანძილზე, ანუ 2007 წელს ტელეკომპანია "მზემ" ნარკომანიის თემას მხოლოდ 9 გადაცემა მიუძღვნა. ბუნე-

ბრივია, მაშინ როდესაც საქართველოში არაოფიციალური მონაცემებით 250-300 000 – მდე ნარკომანია 9 ტელეგადაცემა პრევენციულ ამინდს ვერ შექმნის, თუმცა საინტერესოა წამყვანის პოზიციაც: - " ჩემი გადაცემით ნარკომანი შეიძლება მხოლოდ დააფიქრო მაგრამ ის წამალს არ გადააგდებს. ვფიქრობ, რომ სოციალური სეგმენტი უნდა იყოს მსგავსი მოწოდებებით გაჯერებული." – აღნიშნა გადაცემა "ტაბუს" წამყვენმა მარინა სალუქვაძემ.

რიგი საკითხების გაშუქებისას ერთნი საუბრობენ მედიის გულგრილობასა და არაპროფესიონალიზმზე, ხოლო მეორენი თავად საზოგადოებისკენ იშვერენ ხელს. პრობლემა კი ორივე მხარეშია.ზოგადად, ქართული საზოგადოება დახურული საზოგადოებაა. ეს ცხადყო იმ მცირე მასშტაბის გამოკითხვამაც, რომელსიც გამოკითხულ იქნა 30 ახალგაზრდა ჟურნალისტი და მათგან 18 - მა თქვა, რომ პირად პრობლემებზე საუბრისას ქართული საზოგადოება გულწრფელი არ არის. მძიმე სოციალური პირობები ნარკომანიის პრობლემის მოგვარებას ხელს დიდად უშლის.

"ეს პრობლემა არის ერთი დიდი პრობლემის პატარა ფრაგმენტი – ეს კომპლექსური პრობლემაა, რომელშიც ერთიანდება განათლების და თვითკრიტიკის დაბალი დონე, ასევე დასავლური ცხოვრების რეკლამა. პრობლემის გადაჭრა უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი აზროვნების გარდაქმნით." – თქვა პროფესორმა თემურ ფაფერაშვილმა.

ნარკომანიის პრობლემაზე საუბრისას, დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმას, რომლითაც ის მივა აუდიტორიამდე. ზოგჯერ, პრესაში ჩნდება პუბლიკაციები, სადაც აღწერილია ადამიანის მდგომარეობა ნარკოტიკული თრობის დროს. ჩვეულებრივ, ეს დაკავშირებულია ნარკომანის ცხოვრების აღწერასთან. მართალია, ასეთი ინფორმაცია აუდიტორიას ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხის რეალობაში არწმუნებს, მაგრამ ნარკოტიკით გამოწვეული განცდების ხატოვანმა აღწერამ შეიძლება ზოგიერთი სუსტი ნებისყოფის ან ინტერესიან ახალგაზრდას ექსპერიმენტირებისაკენ უბიძგოს; ამიტომ ჟურნალისტებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებისგან, რომელიც შეიძლება ვიღაცისთვის მომხიბლავი აღმოჩნდეს.

ნებისმიერ თემაზე მუშაობის დროს აუცილებელია, პრობლემის დაფიქსირება და და მისი გადაჭრის გზების ძიებაც. ამიტომ, რადგან მედიას უზარმაზარი გავლენა აქვს ადამიანის ცნობიერებაზე და ამ შემთხვევაში, არც ნარკომანიის პრობლემაზე საუბარი წარმოადგენს გამონაკლისს, სასურველია, რომ მედიის საშუალებებით მომზადებულ ნებისმიერ მასალაში განხილულ იყოს მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს ნარკომანიის გავრცელებას საქართვრლოში, ხაზგასმული იყოს, რომ ინდივიდუალური ჯანმრთელობის პრობლემებზე პასუხისმგებელია არამარტო კონკრეტული ადამიანი, არამედ ის საზოგადოებაც, რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრობს.

ამიტომ, რადგან ნარკომანიის თემაზე საუბრის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ნარკომანიის პრობლემის შემცირებაა, სასურველი იქნება საზოგადოებას კონკრეტული შემთხვევების აღწერის გარდა – ნარკომანიის მკურნალობის, რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდებისა და იმ სამსახურების შესახებაც მივაწოდოთ ინფორმაცია, რომლებიც ამ მეთოდებს სთავაზობენ.

## კ ვ ლ ე ვ ა

რაოდენობა – 30
ასაკი – 21 – 22წ.
პროფესია – ჟურნალისტი

1. რამდენად საფუზვლიანად აშუქებს მედია პრობლემას?
   საფუძვლიანად – 2
   ზედაპირულად – 17
   მხოლოდ ვალს იხდის – 11

2. რამდენად გახსნილია ქართული საზოგადოება საჯარო საუბრისთვის?
   გახსნილია – 8
   დახურულია – 4
   გულწრფელი არ არის – 18

3. აქ უნდა მომზადდეს თუ არა გადაცემები პრობლემაზე?
   ა) დიახ – 25
   "გადაცემამ თვალი უნდა აუხილოს ნარკომანებს"
   ბ). არა – 1
   "გამაღიზიანებელი იქნება და უკურეაქციას გამოიწვევს"
   გ). აზრი არ აქვს – 4
   "როცა ნარკომანი ხარ, საუბარს, რომ ნარკომანია ცუდია აზრი ეკარგება."

4. თქვენ, რომ იყოთ წამალზე დამოკიდებული ადამიანი ისაუბრებდით თუ არა საჯაროდ?
   ა). დიახ – 3
   ბ). არა – 9
   გ). დავფიქრდებოდი – 18

*ქეთევან აფციაური*
*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა*
*ინსტიტუტის, ჟურნალისტიკისა და მედია*
*მენეჯმენტის კავკასიური სკოლის სტუდენტი*
*გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული*

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების" როგორ გავაშუქოთ ნარკომანიისა და შიდსის პრობლემები. საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი". თბილისი 2003წ.

2. „ქართული ტელევიზია დღეს – პრობლემები, ძიებანი და პერსპექტივები" თ. ფაფერაშვილის სატელევიზიო შემოქმედებითი სახელოსნო. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი. 2005წ.

3 „ნარკომანიის ანი და ბანი" საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიცია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო. თბ. .2006წ

*ქეთევან აფციაური*

## მედიის როლი ნარკომანიასთან ბრძოლაში

### რეზიუმე

მოცემული ნამუშევარი აღწერს მედიის როლს ნარკომანიასთან ბრძოლაში. იგი აღწერს მედიის ფუნქციებს, თუ როგორ უნდა იმუშაოს ამ თემაზე და როგორ ზეგავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე. თემა შეიცავს თანამედროვე მედიის პრობლემებს და ლიტერატურის მიხედვით იძლევა რეკომენდაციებს თუ როგორ მივიღოთ პროფესიონალური მედია პროდუქტი.

***Кетеван Апциаури***

## Роль медии против наркомании

### Резюме

Данная работа описывает роль медии в борьбе с наркоманией. Статья объясняет функции медии, как воздействовать на эту проблему, как медия влияет на общество. Тема содержит современные проблемы медии, и основываясь на литературе дает рекомендации как должна достигнуть медия профессиональный уровень в этой сфере.

***Ketevan Aptsiauri***

## The role of media in struggle against drug addiction

### The Summary

The given work describes the media role against the drugs and drug edicts. It explains the functions of media, how to work on this issue, how the media influences on the society. The theme contains the modern media problems and according to the literature gives recommendations how to make professional media product.

*გიორგი მირცხულავა*

# ნარკოტიკების ლეგალიზაციის უპირატესობები აკრძალვასთან შედარებით

## მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ნარკოტიკებს კაცობრიობა მრავალი საუკუნეა იცნობს, ასევე დიდი ხანია მიმდინარეობს მათ წინააღმდეგ ბრძოლაც, თუმცა შედეგები არც თუ ისე სახარბიელოა. ცალკეულ კულტურათა შორის ურთიერთობამ ხელი შეუწყო ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებას, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კი ნარკოტიკების გავრცელებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია და ისინი კაცობრიობის დიდ თავსატეხად იქცა. დღეს ხშირად გაისმის მოწოდება ნარკოტიკების ლეგალიზაციისკენ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს არის ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლეგალიზაციის იდეა არაა ახალი. ჩინეთის იმპერატორს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოუწოდებდნენ ჩინელი თანამდებობის პირები ოპიუმით ვაჭრობის ლეგალიზაციისაკენ. ნარკოტიკების ლეგალიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ ლეგალიზაციის შედეგად ყველა პრობლემა მოგვარდება და ნარკომანებიც აღარ იარსებებენ, არამედ ეს არის ნარკოტიკებით გამოწვეული პრობლემის დიდი ნაწილის გადაჭრის ეფექტური გზა.

## ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემები და მათ გამომწვევ მიზეზთა ზოგადი დახასიათება

ნარკოტიკების მოხმარებას ყოველთვის თან სდევს გარკვეული პრობლემები, როგორიცაა ნარკომანთა შორის შიდსის, B და C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, ასევე სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელება; ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა; ნარკოტიკული დანაშაულების ზრდა; ნარკოტიკებთან დაკავშირებული პროსტიტუცია; ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვის წინააღმდეგ დახარჯული სახსრები, ნარკოტიკებით მოვაჭრეების ჩართვა სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში და ა. შ. ნარკოტიკების მოხმარების ზემოთ ჩამოთვლილი შედეგები სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული, განვიხილოთ ყოველი მათგანი დამოუკიდებლად.

ნარკომანთა დიდი ნაწილი არის ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, ეს კი ქმნის ინფექციური დაავადებების გავრცელების მომეტებულ საფრთხეს. ნახმარი ნემსებისა და შპრიცების გამოყენება ნარკომანთა შორის კი ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რაც ინფექციური დაავადებების გავრცელების მიზეზი ხდება. აღსანიშნავია, რომ შიდსის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს გზას სწორედ ინექციური ნარკოტიკების გავრცელება წარმოადგენს. შიდსისი ვირუსის გავრცელება ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ძალიან მაღალია, ზოგან შიდსით ინფიცირებულია ნარკომანთა 50%, ზოგან კი 90%. ამის მიზაზად კი შეიძლება მიჩნეული იქნეს ნარკომანთა კონტროლის არაეფექტური მექანიზმი.

ნარკოტიკების მოხმარების კიდევ ერთი არასასურველი შედეგი არალეგალური ბაზარია, მოწოდების წინააღმდეგ ბრძოლას არ აქვს სასურველი შედეგი და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგანაც მომწოდებლები ბაზარს ყოველთვის აწვდიან იმას, რაზეც არის შესაბამისი მოთხოვნა, თუ არსებობს პროდუქტზე დიდი მოთხოვნა და სახელმწიფო მას არალეგალურად აცხადებს, მაშინ მოთხოვნას შავის ბაზარი აკმაყოფილებს. ასევეა ნარკოტიკების შემთხვევაშიც; აკრძალვის შედეგად ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა გაეროს მონაცემებით მთელი მსოფლიოს მაშტაბით არც თუ ისე დიდია, იგი

მერყეობს 10%-დან 30% მდე, მიუხედავად ამისა, მოთხოვნა მაინც კმაყოფილდება.

ნარკოტიკული საშუალებების მოსაპოვებლად ფულის არქონის შემთხვევაში არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ნარკომანები ჩაერთვებიან პროსტიტუციაში.

ხშირად ნარკომოვაჭრეები თავიანთი გეგმების განსახორციელებლად ხელს უწყობენ კორუფციის განვითარებას და ქრთამის სანაცვლოდ იღებენ ცალკეული თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების მფარველობას ამ ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა აკრძალულია და შესაბამისად ნარკომოვაჭრეები იძულებული არიან მიმართონ კორუფციას, თავიანთი მიზნების მისაღწევად, მეორეს მხრივ, კი ნარკოტიკების აკრძალვა ნარკოვაჭრობას აქცევს სარფიან ბიზნესად და შესაბამისად ნარკომოვაჭრეებს შესწევთ ცალკეულ თანამდებობის პირთა მოქრთამვის უნარი.

ნარკოტიკები მართლსაწინააღმდგო ქმედებებთან მრავალმხრივაა დაკავშირებული, ნარკოტიკების მოხმარება, შენახვა, დამზადება ან დისტრიბუცია წარმოადგენს სამართალდარღვევას. ნარკოტიკები წარმოშობენ ძლადობასა და ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებულ არალეგალურ ქმედებებს, ამ შემთხვევაში ნარკოტიკების აკრძალვას და შესაბამისი არალეგალური ვაჭრობის განვითარებას ისეთივე შედეგი აქვს, როგორიც ეს იყო აშშ-ში 1920-1933 წლებში როცა მოქმედებდა მშრალი კანონო, სადაც აკრძალვამ ვერ გამოიტანა სასურველი შედეგი. ალკოჰოლით ვაჭრობა, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, არ შეწყვეტილა და აქედან მილიონობით დოლარის ოდენობის შემოსავალს ნახულობდა არა სახელმწიფო, არამედ ორგანიზებული დანაშაული, რომელის გაძლიერებამაც ხელი შეუწყო ისეთი დანაშაულების მომრავლებას როგორებიცაა: ქურდობები, მკვლელობები, კორუფცია და ა.შ.

ასევე ნარკომანები ნარკოტიკების შესაძენი ფულის არქონის გამო, იძულებულნი არიან ჩაიდინონ სხვადასხვა სახის დანაშაულები, რათა შეძლონ ნარკოტიკების შეძენა. ასევე ჩაერთონ პროსტიტუციაში და ა. შ. აღსანიშნაია ასევე ის ფაქტი, რომ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ჩადენილი ქურდობების, მაღაზიათა ძარცვის, ყაჩაღობებისა და მანქანათა გატაცების ფაქტების ძირითადი წარმომშობი მიზეზი სწორედ ნარკოტიკებია.

## რატომ მოიხმარენ ადამიანები ნარკოტიკებს?

არსებობს რამოდენიმე თეორია იმის თაობაზე, თუ რატომ იყენებენ ადამიანები ნარკოტიკებს. ყველა ეს თეორია შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: ბიო-ფსიქო-სოციალურ და ფიზიოლოგიურ თეორიებად. ადამიანები ნარკოტიკებს მრავალი მიზეზის გამო მოიხმარენ, ასეთი შეიძლება იყოს: ყოველდღიური პრობლემებისგან დროებით გაქცევის სურვილი; მოწყენილობა; თვითგამოხატვის სურვილი; სიამოვნების მიღების სურვილი; სულიერი სითბოსა და სიყვერულის უკმარისობა; ცნობიერებაზე ექსპერიმენტი; ცნობისმოყვარეობა; თანატოლთა მხრიდან ზეწოლა; შინაგანი დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძნობის არქონა; მოტივაციის არქონა; სერიოზული შინაგანი კონფლიქტები; სოციალიზაციის პრობლემა; თავდაჯერებულობის არქონა; პოპულარობისა და ახალი ნაცნობების შეძენის სურვილი; დეპრესიის დამარცხების სურვილი და ა.შ.

## ნარკოტიკების ლეგალიზაცია

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ საბოლოო ჯამში მათი საბოლოოდ აღმოფხვრა ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო, პირიქით ბრძოლას ხშირად საპირისპირო შედეგი მოაქვს, რადგანაც ხშირად რაიმეს აკრძალვა იძლევა ე.წ. "აკრძალული ხილის ეფექტს", რაც გულისხმობს იმას, რომ რაიმე ნივთი ან საქციელი მიმზიდველია, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აკრძალულია და საზოგადოების გარკვეული ნაწილი მას შეიძლება განიხილავდეს, როგორც პროტესტის ერთგვარ ფორმას. აკრძალვა, როგორც ამას პრაქტკა აჩვენებს არ არის გამოსვალი და მას ყოველთვის მოჰყვება არასასურველი შედეგები და დამატებითი ხარჯები. ჩნდება კითხვა, თუ ალკოჰოლის ლეგლიზაციამ არ მოიტანა სასურველი შედეგი, რატომ უნდა იქნეს წარმატებული ნარკოტიკების აკრძალვა? ადამიანები ეძებენ ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებს, ერთ-ერთ ასეთ გამოსავალს სწორედ ნარკოტიკების ლეგალიზაცია წარმოადგენს.

როდესაც საუბარია ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე, შეიძლება სხვადასხვა რამ იგულისხმებოდეს. როგორც წესი, ლეგალიზაციას საფუძვლად უდევს ნარკოტიკების პირობითი დაყოფა ე.წ. "მსუბუქი" და "მძიმე" ნარკოტიკებად, თან ძირითადად საუბარია მხოლოდ "მსუბუქი" ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, ასეთი პოლიტიკა არაა საკმარისი პრობლემათა ფართო სპექტრის მოგვარებისათვის, არამედ სასურველი შედეგი, მაგალითად ეს არ აღმოფხვრის ნარკობიზნესს და ა.შ. არამედ უნდა მოხდეს ნარკოტიკების კულტივირების, დამზადებისა და ვაჭრობის დეკრიმინალიზაცია. სპეციალური ლიცენზიის საფუზველზე ნებისმიერ პირს გარკვეული ასაკიდან უნდა ჰქონდეს ე.წ. "მსუბუქი" ნარკოტიკების შეძენის უფლება. ასევე სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე გარკვეული ტიპის დაწესებულებებს (*Cofee Shop)* უნდა ჰქონდეთ მათი კულტივირებისა და სრულწლოვან მოქალაქეებზე მათი გაყიდვის უფლება. უნდა იქნეს გამოყენებული ე.წ. "ზიანის შემცირების" პროგრამები, რაც გულისხმობს ნარკოტიკების ჩანაცვლებას სხვა ნარკოტიკული საშუალებებით (მაგალითად მეტადონი), რომელიც პროგრამის მონაწილე პირებს უნდა დაურიგდეთ უფასოდ. აღსანიშნავია, რომ თუ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომპლექსურად განხორციელება არ მოხდა, ამან დამატებით შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული პრობლემები.

ნარკოტიკების ლეგალიზება არ უნდა იყოს განხილული, როგორც ნარკომანიის აღმოფხვრის საშუალება, არამედ ნარკოტიკებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაჭრის საშუალება. ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე საუბარი ხშირად აღძრავს შიშს იმისა, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ნარკოტიკების მომხმარებელთა ზრდა, თუმცა ნიდერლანდების მაგალითი საპირისპიროს ადასტურებს. ჰოლანდიაში მამრობითი სქესის ახალგაზრდობის დაახლოებით 9.7% ე.წ. "მსუბუქ" ნარკოტიკებს მოიხმარს თვეში ერთხელ, მაშინ როცა ევროპული სახელმწიფოების ნაწილში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია (იტალია 10.9%, გენმანია 9.9%, გაერთიანებული სამეფო 15.8%, ესპანეთი 16.4%). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია არ იწვევს ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვის უკონტროლო ზრდას. ნარკოტიკების მოხმარების (არასამედიცინო მიზნით), კულტივაციის და მისი თავისუფალი ბრუნვის ლეგალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდება გარკვეული პრობლემების გადაჭრა: მობილური დაბეგვრის არსებობის შემთხვევაში განადგურდება არალეგალური ნარკოტიკების ბაზარი; შეიზღუდება ნარკომანთა შორის ისეთი დაავადებების გავრცელება როგორიცაა შიდსი, B და C ჰეპატიტი და სხვა ინფექციური დაავადებები; მინიმუმამდე დავა ნარკოტიკულ დანაშაულთა რიცხვი; ასევე მინიმუმამდე

შემცირდება ნარკოტიკების მოხმარებით პროვოცირებულ დანაშაულთა რაოდენობა; შეიქმნება ნარკომანთა ეფექტური კონტროლის შესაძლებლობა; ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავალი შევა სახელმწიფო ბიუჯეტში; განვითარდება ტურიზმი (ე. წ. "ნარკოტურიზმი"); აღმოიფხვრება ნარკოტიკებთან დაკავშირებული კორუფცია; სახელმწიფოს ანტინარკოტიკულ ოპერაციებში დაეხარჯება გაცილებით უფრო ნაკლები სახსრები; შემცირდება ციხეებში პატიმართა რაოდენობა; მდედრობითი სქესის ნარკომანებს არ მოუწევთ პროსტიტუციაში ჩაბმა, ნარკოტიკების მოსაპოვებლად საჭირო ფულის საშოვნად და ა. შ.

## ნარკოტიკების ლეგალიზაციის გამოცდილება ზოგიერთ სახელმწიფოში

საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ნარკოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. მაგალითად ჰოლანდიის მაღაზიებში თავისუფლად შეიძლება ე. წ. "მსუბუქი" ნარკოტიკების შეძენა (შეზღუდული რაოდენობით). ჰოლანდიის ქალაქებში დღე-ღამის განმავლობაში დგანან სპეციალური ავტობუსები, სადაც ნარკომანებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ მეტადონი ასევე აქ შესაძლებელია ნახმარი ერთჯერადი შპრიცების გადაცვლა ახლებზე, მაგრამ მიუხედავად ასეთი პოლიტიკისა ნიდერლანდებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ბევრ სხვა მეზობელ სახელმწიფოში, აქ ასევე ნაკლებია ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილიანობაც. ლატვიაში კი მეტადონს ნარკომანებს უფასოდ ურიგებდნენ და ერთჯერად შპრიცებსაც აძლევდნენ, რამაც შეამცირა მათ შორის ინფექციური დაავადებების გავრცელება. შვეიცარიაში კი ნარკომანებს ურიგებენ მეტადონს, ხოლო ციურიხში ჩატარდა სპეციალური აქცია, სადაც ნებისმიერ მსურველს უკეთებდნენ მორფინს. ექსპერიმენტმა ექსცესების გარეშე ჩაიარა და აღმოჩნდა, რომ ექსპერტთა მოლოდინის მიუხედავად, აქციაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორასამდე ადამიანმა. აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციაში ხშირად სახელმწიფოებს მხარს უჭერენ სხვადასხვა ორგანიზაციები.

ნარკოტიკების ლეგალიზაციამ, რა თქმა უნდა, ვერ გადაჭრა ნარკომანიის პრობლემა ვერც ერთ სახელმწიფოში, თუმცა იგი წარმოადგენს ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას.

## ნარკოტიკების მოხმარება როგორც უფლება

ადამიანის პირადი ცხოვრება სახელმწიფოს მიერ არ უნდა რეგულირდებოდეს. პირს შეუძლია თავის სხეულს რაც უნდ ის გაუკეთოს, მათ შორის სიამოვნების მისაღებად გამოიყენოს ნარკოტიკები და ამით მიაყენოს მას ზიანი, მაგრამ ამით არ უნდა დააზიანონ სხვისი უფლებები. ჯონ სტიუარტ მილი ამბობდა, რომ: "სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ინდივიდის საქმეში და აუკრძალოს მას იმ ქმედების განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს მხოლოდ მას და არა საზოგადოების სხვა წევრებს". ალისტერ ქროულის აზრით კი ნარკოტიკების გამოყენება წარმოადგენს "უმსხვერპლო დანაშაულს" აქედან გამომდინარე სახელმწიფოს არ აქვს უფლება აკრძალოს იგი ან დასაჯოს მისი მომხმარებელი ისევე როგორც არ აქვს უფლება დასაჯოს ადამიანები ზედმეტი ჭამისათვის.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-4 მუხლის შესაბამისად ადამიანს უფლება აქვს გააკეთოს ყველაფერი ის, რაც ხელს არ უშლის გარშემომყოფთ. თუ ნარკოტიკების მომხმარებელი არ ავნებს საზოგადოებას, არამედ მხლოდ საკუთარ თავს, ალბათ მას უნდა ჰქონ-

დეს უფლება გამოიყენოს ნარკოტიკები. მეორეს მხრივ, ნარკოტიკების აკრძალვა დაკავშირებულია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. მართალია კონვენციაში პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემა მოიცავს ნარკოტიკების მოხმარების უფლებასაც, თუმცა საქმეზე კოსტელო-რობარტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ პირადი ცხოვრება წარმოადგენს ფართო კონცეფციას, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ დეფინიციას. ეს კი არ გამორიცხავს იმას, რომ ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვა ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფო აშკარად და გაუმართლებლად ერევა ინდივიდის პირად ცხოვრებაში, რაც ყოვლად მიუღებელია.

## ლეგალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

1.<u>შიდსის და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების შეზღუდვა</u>
სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ეფექტური კომპლექსური ღონისძიებების გატარება, ხელს შეუწყობს ნარკომანთა შორის შიდსის, ჰეპატიტების, ტუბერკულიოზისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების შეზღუდვას. თუ სახელმწიფო უფასოდ დაურიგებს ნარკომანებს მეტადონსა და ნახმარ ერთჯერად შპრიცებს გადაუცვლის მათ ახლებში, ეს შეამცირებს ნარკომანთა შორის შიდსის გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ ასეთი მეთოდი აპრობირებულია ზოგიერთ დასავლურ სახელმწიფოში. არსებული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკომანების ნემსებითა და მეტადონით უზრუნელყოფას, შეუძლია შეამციროს ნარკომანებს შორის ინფექციური დაავადებების გავრცელება.

2. <u>არალეგალური ბაზრის განადგურება</u>
ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროლემას სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ნაროტიკების არალეგალური ბაზრის არსებობა. მის წინააღმდეგ ბრძოლა კი ყოველთვის წარუმატებლობით სრულდება, რადგანაც თუ არსებობს პროდუქტზე დიდი მოთხოვნა და სახემწიფო მას არალეგალურად აცხადებს, მაშინ მოთხოვნას შავი ბაზარი აკმაყოფილებს. ზუსტად ასე ხდება ნარკოტიკების შემთხვევაშიც. აღსანიშნავია, რომ აკრძალვის პირობებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა არც თუ ისე დიდია, იგი მერყეობს 10%-დან 30% მდე, მიუხედავად ამისა, არსებული მოთხოვნა მაინც არკმაყოფილდება.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამ

3. <u>ნარკოტიკულ დანაშაულებათა საგრძნობი შემცირება</u>
ნარკოტიკები მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან მრავალმხრივაა დაკავშირებული, ნარკოტიკების მოხმარება; შენახვა; დამზადება ან დისტრიბუცია წარმოადგენს სამრთალდარღვევას. ნარკოტიკები ასევე დაკავშირებული არიან დანაშაულთან იმის მიხედვით, თუ როგორ ეფექტს ახდენენ ისინი მომხმარებლის ქცევაზე. ნარკოტიკები წარმოშობენ ძალადობასა და ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებულ არალეგალურ ქმედებებს. ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

ნარკოტიკებისა და დანაშაულის ურთიერთდამოკიდებულება

| ნარკოტიკებისა და დანაშაულის ურთიერთდამოკიდებულება | განსაზღვრება | მაგალითები |
|---|---|---|
| ნარკოტიკებთან დაკავშირებული ქმედებები რომელიც უშუალოდ სამართალდარღვევადაა | იმ სამართლის ნორმების დარღვევა, რომლებიც კრძალავენ არალეგალური ნარკოტიკების | ასეთ დანაშაულებს განეკუთვნება, მაგალითად: ნარკოტიკების დისტრიბუცია, |

| | | |
|---|---|---|
| გამოცხადებული | შენახვას, მოხმარებას, დისტრიბუციას, დამზადებას და ა.შ. | დამზადება და ა.შ. |
| ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები | ეს არის ის სამართალდარღვევები, რომლებსაც წარმოშობს ნარკოტიკების ფარმაკოლოგიური ეფექტი; სამართალდარღვეები, რომლებიც მოტივირებულია ნარკომანთა მოთხოვნილებით იშოვონ ფული ნარკოტიკების შესაძენად | მაგალითად ასეთი დანაშაულებებია, ქურდობები, ძარცვები, ყაჩაღობები, ძალადობა ნარკოდილერთა კონკურენტ ნარკოდილერთა წინააღმდეგ და ა.შ. |
| ცხოვრების სტილი, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკების მოხმარებასთან | ცხოვრების სტილი, რომელიც შეიცავს არალეგალური საქმიანობის ზრდის საფრთხეს, რადგანაც ნარკოტიკების ბიზნესში ჩართული პირები არ მონაწილეობენ ლეგიტიმურ ბიზნესში და შესაბამისად ხელს უწყობენ დანაშაულის გავრცელებას | ცხოვრების სტილი, რომელიც ორიენტირებულია მოკლევადიან მიზნებზე და რომელსაც ხელს უწყობს არალეგალური საქმიანობა.არალეგალურ საბაზრო საქმიანობაში ჩართვა |

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების სტილი, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკების გამოყენებასთან ა.შ.შ-სთვის დანაშაულის წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. თუ მოხდება ნარკოტიკების ლეგალი-ზაცია, მაშინ სამართალდარღვევად არ ჩაითვლება ნარკოტიკების მოხმარება და მათი შენახვა, კულტივირება, დამზადება, გადატანა, გადაგზავნა და ა.შ. შესაბამისად ამ ქმედებისათვის პირებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, სისხლის სამართებრლივი იქნება ეს თუ ადმინისტრაციული. თუ სახელმწიფო უფასოდ მისცემს ნარკომანებს (რომლებიც ამის საჭიროებას განიცდიან) მეტადონს მაშინ საგრძნობლად, უნდა შემცირდეს ნარკოტიკების საშოვნად ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. როცა საუბარია ნარკოდანაშა-ულების წინააღმდეგ ბრძოლაზე, უნდა აღინიშნოს,რომ რეალიზაცია გამოიწვევს ზემოთ ხსენებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაზე, უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზაცია გამოიწვევს ზემოთ ხსენებული დანაშაულების საგრძნობლად შემცირებას, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას რომ ეს დანაშაულები სრულიად აღმოიფხვრება. ყველაფერი ამის შედეგი იქნება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის გასამართლებულ პირთა რიცხვის შემცირება, რაც ავტომატურად გამოიწვევს ციხეებში პატიმრების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულების ხვედრითი წილის 2005 წლის მონაცემების 4.79%, ხოლო აშშ–ში ნარკოტიკული დანაშაულებისათვის გასამართლებულ პატიმართა ხვედრითი წილი 20%-ია. ნარკოტიკების ლეგალიზაცია გამოიწვევს ციხეებში პატიმართა შემცირებას ნარკოტიკული დანაშაულებისათვის გასამართლებულ პირთა ხარჯზე.

4. <u>მოსალოდნელი შემოსავლები</u>

ლეგალიზაციის შედეგად გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავალი. სახელმწი-ფოები უამრავ თანხას ხარჯავენ ნარკოტიკებით წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ სახელმწიფო მოახდენს ნარკოტიკების ლეგალიზაციას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი შემცირდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების რიცხვი, შესაბამისად ნაკლები თანხები დაიხარჯება ნარკოტიკების წი-ნააღმდეგ საბრძოლველად, თუ შემცირდება არალეგალური ნარკობიზნესის მაშტაბები, შემცირდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის გასამართლებულ პირთა რიცხვი, რაც სახელმწიფოს საშუალება მისცემს დაზოგოს პენიტენციურ სისტემაში დახარჯული სახსრები, თუ შემცირდება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების მაშტაბები სახელმწიფო დაზოგავს ასეთი ავადმყოფების სამკურნალოდ დახარჯული სახსრები, თუ შემცირდება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების მაშტაბები სახელმწიფო დაზოგავს ასეთი ავადმყოფების სამკურნალოდ დახარჯულ თანხებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული მხოლოდ ერთი ნაწილია მხოლოდ ლეგალიზაციით მიღებული შემოსავლებისა, მეორეს მხრივ ნარკოტიკების ლეგალიზაცია გამოიწვევს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოზიდვას, იმ ქვეყნებიდან სადაც ნარკოტიკები არაა ლეგლიზებული, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება.

5. <u>ნარკოტიკებთან დაკავშირებული კორუფციის შემცირება</u>
ხშირად ნარკომოვაჭრეები მფარველობისათვის მიმართავენ თანამდებობის პირებს და ქრთამის სანაცვლოდ იღებენ მათ მფარველობას. ამ ყველაფრის მიზეზი კი სწორედ ისაა, რომ ნარკოტიკები არაა ლეგალური. ლეგალიზაციის შემთხვევაში კი ნარკობიზნესი სახელმწიფს მიერ დაიბეგრება და ნარკოვაჭრობა ლეგალური გახდება, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული კორუფცია, შესაბამისად შეცირდება კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილი სახსრების რაოდენობა.

## ლეგალიზაციის პერსპექტივა

მართალია ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე ბევრი საუბარი მიდის, თუმცა ლეგალიზაცია სრულად არსად განხორციელებულა. ლეგალიზაცია არსად არ მომხდარა საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის ნიდერლანდებშიც. აღსანიშნავია, რომ ლეგალიზაცია ვერ მოხდება საკონონმდებლო დონეზე, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება 1961 წლის ერთიან კონვენციას ნარკოტიკული ნივთიერების შესახებ, 1972 წლის პროტოკოლს რომლითაც ცვლილებები შევიდა 1961 წლის კონვენციაში, 1971 წლის კონვენციას ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახხებ და 1988 წლის კონვენციას ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ. გაეროს კონვენციები ხელს უშლის ცალკეული სახელმწიფოების მცდელობას მოახდინონ ნარკოტიკების ან მათი ნაწილის პირადი გამოყენებისთვის ლეგალიზება. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონვენციები წარმოადგენენ ლეგალიზებისათვის იურიდიულ ბარიერს. მეორეს მხრივ ნარკოტიკების ლეგალიზაციისათვის აუცილებელია მოსახლეობის მზადყოფნა ასეთი ნაბიჯისათვის, რადგანაც საბოლოო ჯამში სწორედ ხალხის გადასაწყვეტია სურთ თუ არა მათ ნარკოტიკების ლეგალიზაცია, ამა თუ იმ ფორმით.

*გიორგი მირცხულავა*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი*

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 33-ე, ნარკოტიკული დანაშაული;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი;
3. The Evropian Convention of Human Right, Article 8;
4. Castello-Roberts v. the United Kingdom, Judjment of 25 March 1993, Application no. 13134/87, paragraph;
5. Single Convention on Narcotic Drugs (New York 30 March 1961);
6. Protocol amending the Single Convention on Narcotic Drugs (25 March 1972);
7. Convention on Psychotropic Substances (Vienna, 21 February 1971)
8. Convention Against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances (Vienna, 20 December 1988)
9. Universal Declaration of Human Rights (Adopted and proclaimed by General Assembly resolution 217 A (III) of 10 December 1948)

10. «Наркобизнес – глобальная проблема XXI века» – Р.К.Щецин, Г.А.Сулейманова, (Журнал «Мировая экономика и международные отношения», 2006, №6, с.50-57);
11. Tod Hiro Mikuriya, M.D. – Physical, Mental, and Moral Effects of Marijuana: The Indian Hemp Drugs Commission Report; San Francisco California;
12. Tim Rhodes, Catherine Lowndes, Ali Judd, Larissa A. Mikhailova, Anya Sarang, Andrey Rylkov, Mikhail Tichonov, Kim Lewis, Nina Ulyanova, Tatiana Alpatova, Victor Karavashkin, Mikhail Khutorskoy, Matthew Hickman, John V. Parry and Adrian Renton: Explosive Spread and High prevalence of HIV infection among injecting drug users in Togliatti City, Russia; AIDS 2002, 16:F25-F31
13. Richard Davenport-Hines, in his book The Pursuit of Oblivion (W.W. Norton & Company, 2001)
14. თეონა ბერუაშვილი – ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულების კრიმინოლოგიური დახასიათება, ჟურნალი კრიმინოლოგი №1, 2007;
15. Rydell & Evering, Controlling Cocaine, Prepared for the Office of National Drug Control Policy and the United States Army (Santa Monica, CA: The RAND Corporation, 1994.)
16. Associated Press, "U.N. Estimates Drug Business Equal to 8 percent of World Trade," (1997, June 26)
17. Transform Drug Policy Foundation; After the War on Drugs. Options for Control;
18. "New Tactics in the War on Drugs Tilt Scales of Justice Off Balance"; New York Times, (29 December 1989)
19. Douglas N. Husak – Drugs and Rights; Chap. 1 Drugs, Drug Use, and Decriminalization John Stuart Mill – On Liberty; London 1869
20. Rydell & Evering, Controlling Cocaine, Prepared for the Office of National Drug Control Policy and the United States Army (Santa Monica, CA: The RAND Corporation, 1994.)
21. Associated Press, "U.N. Estimates Drug Business Equal to 8 percent of World Trade," (1997, June 26)
22. Rumsfeld Tells Senators His Views on Drug War," The Los Angeles Times, January 12, 2001

http://www.druglibrary.org/SCHAFFER/Misc/friedm1.htm
http://www.whitehousedrugpolicy.gov/publications/factsht/crime/index.html
http://en.wikipedia.org/wiki/Pharmacologic
http://www.druglibrary.org/SCHAFFER/Misc/media2.htm
http://www.whitehousedrugpolicy.gov/publications/factsht/crime/index.html
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition#User_cost_of_drugs
http://www.totse.com/en/drugs/legal_issues_of_drug_use/12reasns.html
http://www.gargaro.com/drugs.html
http://www.cato.org/pubs/handbook/hb109/hb_109-24.pdf
http://www.annals.org/cgi/content/full/124/8/776-b
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition#Economics
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition#Economics
http://www.totse.com/en/drugs/legal_issues_of_drug_use/12reasns.html
http://en.wikipedia.org/wiki/Drug_policy_of_the_Netherlands#Drug_law_enforcement
http://www.ecad.ru/oon/oon-kom1.html
http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D0%Ba%D0%B0#.D0.A2.D1.80.D0.B0.D0.B4.D0.B8.D1.86.D0.B8.D0.BE.D0.BD.D0.BD.D0.BE.D0.B5_.D0.B8.D1.81.D0.BF.D0.BE.D0.BB.D1.8C.D0.B7.D0.BE.D0.B2.D0.B0.D0.BD.D0.B8.D0.B5
http://www.nida.nih.gov/PODAT/PODAT6.html
http://www.soros.org/initiatives/ihrd/russian/publication2.html
http://candidates2003.emcdda.europa.eu/en/page75-en.html
http://ar2006.emcdda.europa.eu/download/ar2006-en.pdf
http://stats06.emcdda.europa.eu/en/elements/nsptab08-en.html
http://candidates2003.emcdda.europa.eu/en/page71-en.html
http://www.druglibrary.org/think/~jnr/duke.htm

http://www.totse.com/en/drugs/legal_issues_of_drug_use/12reasns.html
http://en.wikipedia.org/wiki/Victimless_crime_%28political_philosophy%29
http://www.halexandria.org/dward267.htm
http://www.privacilla.org/government/victimlesscrimes.html
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition#Health_2
http://drgs.chat.ru/ld_2.html
http://www.cedro-uva.org/lib/cohen.tackling.html
http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/693257.stm
http://candidates2003.emcdda.europa.eu/en/page71-en.html
http://www.swissworld.org/en/people/drugs_and_alcohol/hard_drugs/
http://en.wikipedia.org/wiki/Morphine
http://www.nplg.gov.ge/publishers/foreign/index.php?do=view&id=9214
http://drgs.chat.ru/ld_2.html
http://www.soros.org/initiatives/health/focus/ihrd
http://www.aclu.org/drugpolicy/gen/10758pub19950106.html
http://en.wikipedia.org/wiki/Arguments_for_and_against_drug_prohibition#Forbidding_drugs_can_romanticize_them
http://en.wikipedia.org/wiki/Forbidden_fruit
http://en.wikipedia.org/wiki/Prohibition_of_alcohol#Nordic_countries
https://amsterdamescape.com/coffeeshop.html
http://en.wikipedia.org/wiki/Drug_policy_of_the_Netherlands#_note-comp
http://www.forbes.com/2005/06/02/cz_qh_0602pot.html
http://en.wikipedia.org/wiki/Sicilian_Mafia
http://www.totse.com/en/drugs/legal_issues_of_drug_use/12reasns.html
http://en.wikipedia.org/wiki/Prohibition_in_the_United_States#National_Prohibition
http://www.homeoffice.gov.uk/crime-victims/reducing-crime/drug-related-crime
http://www.umsl.edu/~keelr/180/theordrg.html
http://www.antinarcotics.psd.gov.jo/english/index.php?option=com_content&task=view&id=33&Itemid=50
http://www.request.org.uk/issues/topics/drugs/drugs03.htm
http://www.adroga.casadia.org/abuse/abuse02_i.htm
http://www.druglibrary.org/schaffer/kids/choc2morph/c2m3.htm
http://www.wikihow.com/Understand-Why-People-Use-Drugs
http://www.hc-sc.gc.ca/hl-vs/pubs/adp-apd/straight_facts-faits_mefaits/drug_use-consommation_drogues_e.html
http://www.narkotiki.ru/kids_182.html
http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D0%B4#.D0.AD.D0.BF.D0.B8.D0.B4.D0.B5.D0.BC.D0.B8.D0.BE.D0.BB.D0.BE.D0.B3.D0.B8.D1.8F
http://www.unodc.org/pdf/WDR_2004/Chap1_injecting_drugs.pdf

*გიორგი მირცხულავა*

## ნარკოტიკების ლეგალიზაციის უპირატესობები აკრძალვასთან შედარებით

### რეზიუმე

მოცემულ სტატიაში საუბარია ნარკოტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის ლიბერალიზაციაზე, ნარკოტიკების აკრძალვის არაეფექტურობაზე, ასევე ნარკოტიკების მოხმარებაზე როგორც უფლებაზე. აქვე განიხილება შედეგები და უპირატესობები, რომელიც მოჰყვება ლიბერალიზაციას. სტატიაში ასევე საუბარია სხვადასხვა ქვეყანაში, საზოგადოებასა და საერთაშორისო სამარ-

თალში არსებულ მიდგომებზე. ასევე განხილულია ნარკოტიკების ლეგალიზაცია როგორც ზიანის შემცირების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი და არა როგორც ყველა პრობლემის აღმოფხვრისა და გადაჭრის საშუალება.

*Гиоргий Мирцхулава*

**Преимущество легализации наркотиков по сравнению с запретом**

**Резюме**

В данной статье предметом обсуждения является либерализация наркополитики и стратегии, неэффективность нынешней политики запрета, а также право на употребления наркотических веществ. В работе рассматриваются последствия и преимущества легализации наркотиков. В статье также обсуждаются подходы существующие в разных странах и в международном праве.

В статье легализация наркотиков рассматривается как эффективный механизм уменьшения вреда, а не как средство искоренения и разрешения всех существующих проблем.

*George Mirtskhulava*

**Advantage of drug legalization in comparison with prohibition**

**The Summary**

In the given article is reviewed liberalization of drug and strategy, ineffectiveness of drug prohibition policy, and right of using drugs. Alleged results and adventages of drug legalization are also considered. Approach of different countries and international law to this issue is also reviewed.

The author of the article considers legalization as an effective mean of decreasing harm, and not as universal remedy for solving and eradication all existing problems.

*ლოლიტა შენგელია*

# ნარკომანიის ზოგადი პრობლემატიკის მიმოხილვა მოზარდებისთვის

**ზოგადი სიტუაციის მიმოხილვა.** ნარკომანია გლობალური პრობლემაა და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. საქართველოსთვის ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების შედეგები უმძიმესია. ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოზარდებში, ნარკომანია სწრაფად ვრცელდება.

**პრობლემის დაყენება.** ნარკომანთა პრობლემები, ნარკომანია თუ ნარკობიზნესი მოუგვარებელ პრობლემად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანაში მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლაა გამოცხადებული. ნარკომანია მთელ დედამიწას იპყრობს, ხოლო ნარკომანთა რიცხვი პროგრესულად იზრდება. ამასთან ახალგაზრდობასთან ერთად, ნარკოტიკების მიმართ მოზარდი თაობის ინტერესიც დიდია.

***მოზარდობა*** ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც ცხოვრების მშფოთვარე პერიოდი, რომელიც განწყობილების უკიდურესი ცვლილებებითა და რთული, არაპროგნოზირებადი ქცევით – „ქარიშხლითა და სტრესით“ – ხასიათდება.

სამწუხაროდ, იმ მოზარდებს, რომლებიც ძნელად ეგუებიან ცვალებად პირობებს, მოსალოდნელია, რომ მოგვიანებით, მოზრდილობაშიც ახასიათებდეთ ასეთივე სირთულეები (Offer et al., 1998; Stattin & Magnusson, 1996). არსებობს მრავალი კვლევა, რომელმაც აჩვენა ძლიერი კავშირი მოზარდთა ქცევით პრობლემებსა და მოზრდილობაში განხორციელებულ კრიმინალურ ქცევას შორის.

მოზარდობა პირველი პერიოდია, როდესაც თანატოლები ეცილებიან მშობლებს პიროვნების განწყობებისა და ქცევების ფორმირებაში. თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში მოზარდები თანდათანობით საზღვრავენ თავიანთი განვითარებადი იდენტობების სოციალურ კომპონენტს – საზღვრავენ, როგორ ადამიანებად სურთ ყოფნა და როგორი ურთიერთობები სურთ, რომ ჰქონდეთ (Berndt, 1992; Hartup, 1996). ამიტომ მოზარდები და მათი მეგობრები ხშირად მჭიდროდ შეკრულ ჯგუფებს ქმნიან, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ნარკოტიკების მიღებას (Dinges & Oetting, 1993).

ვინაიდან მოზარდობაში თანატოლების ჯგუფი სოციალური მხარდაჭერის მზარდი მნიშვნელოვნების წყაროდ იქცევა, მატულობს მათგან შესაძლო უარყოფით გამოწვეული შფოთვაც. ამის შედეგად ვითარდება თანატოლების ფასეულობებისადმი და ქცევებისადმი დამყოლობა – ***თანატოლების ზეწოლა,*** რომლისაც ასე ეშინიათ მშობლებს და რომელიც თავის პიკს დაახლოებით 12-13 წლის ასაკში აღწევს (Brown, 1989). თანატოლების მხრიდან ზეწოლის შესაძლებლობის გამო, მშობლები ხშირად განიცდიან, რომ მათ კონკურენცია უნდა გაუწიონ საკუთარი შვილის მეგობრებს, რათა დაიცვან ისინი საზიანო განწყობებისა და ქცევების განვითარებისგან. თუმცა, სიმართლესთან უფრო ახლოს დგას ის ფაქტი, რომ ზოგადად, მოზარდები, ცხოვრებისეული გამოცდილების სხვადასხვა კატეგორიის შესახებ საუბრობენ მშობლებთან და თანატოლებთან. მაგალითად, მოზარდები მიუთითებენ, რომ მათ სკოლაში მიღწეული წარმატებების განხილვა განსაკუთრებით ურჩევნიათ მშობლებთან და არა – მეგობრებთან, თუმცა, მეგობრებთან გაცილებით მეტი ხალისით საუბრობენ პაემანზე მომხდარ

ამბებზე, ნარკოტიკებზე და სექსზე, ვიდრე – მშობლებთან (Youniss & Smollar, 1985).

როგორი საშიშიც არ უნდა იყოს ნარკომანია, როგორც ადამიანის დაავადება, ანუ როგორც სამედიცინო ფაქტი, არანაკლებ, და, შესაძლოა, უფრო საშიშიც იყოს ნარკომანიის პრობლემის ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტები: როგორც ეკონომიკური მოვლენა – ეს ყოველთვის არის ორგანიზებული კრიმინალური ბიზნესი, ხოლო მორალისა და სამართლის თვალსაზრისით – ეს ყოველთვის არის ორგანიზებული მკვლელობა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული საფრთხე საქართველოში ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ნარკოტიკების მომხმარებელთა ოფიციალურად რეგისტრირებული რაოდენობა 9-ჯერ გაიზარდა. 2004 წლის ბოლოსთვის ოფიციალურად რეგისტირებული იყო 24,000-მდე ნარკოტიკების მომხმარებელი ან მათზე დამოკიდებული პირი (2005 წლის მონაცემები არ არსებობს). ექსპერტული შეფასებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სავარაუდო რაოდენობამ 250 ათასს გადააჭარბა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების მოხმა-რების ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 2004 წელს 275 000-მდე ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, 2005 წელს მათმა რაოდენობამ 350000-ს მიაღწია. 2002-2004 წწ ნარკოტიკის მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი საქართველოში 2 წლით გაახალგაზრდავდა (18–დან 16 წლამდე).

საქართველოში ნარკომანიასთან საბრძოლველად განხორციელებული ღონისძიებები მეტად არაეფექტიანია, კერძოდ:

ა) არ ხორციელდება ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებები;
ბ) ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს;
გ) არ არსებობს ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა და ნარკომანიით დაავადებულ პირთა აღრიცხვისა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის გამართული სისტემები;
დ) ნარკოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა საგრძნობლად შეზღუდულია;
ე) აღინიშნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
ვ) ქვეყანაში თითქმის არ არსებობს სრულფასოვანი სარეაბილიტაციო მომსახურება;

წლების განმავლობაში ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოს ნარკომანიის სფეროში არ გააჩნდა ეროვნული პოლიტიკა, შესაბამისად, მასთან საბრძოლველად განხორციელე-ბული ღონისძიებები მეტად არაეფექტიანი იყო. საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 13 თებერვალს მიიღო დადგენილება „საქართველოს ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ", რასაც მოჰყვა 2007 წლის 3 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცე-ლების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას.

**კანონმდებლობის განვითარება**

90-იან წლებში საქართველოში დასრულდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო კოვენციის რატიფიცირება; 1999 წელს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, ხოლო 2002 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”, რომელიც ძალაში 2003 წლის მარტში შევიდა.

ახალი კანონმდებლობის ძირითად პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებების გათვალისწინებით პიროვნების მიერ ნარკოტიკების შეძენისა და მოხმარების მაქსიმალური შეზღუდვა და, ამასთანავე, წამალდამოკიდებული ადამიანის ავადმყოფად აღიარება.

ახალი კანონით განისაზღვრა სახელმწიფო ვალდებულებები ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ. კანონის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ კონტინგენტის გამოკვლევა, ექსპერტიზა, დიაგნოსტიკა, დისპანსერიზაცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია. თუმცა, გამომდინარე ქვეყნის დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან, აღნიშნული დახმარების განხორციელება სახელმწიფოში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია. დღეისათვის მკურნალობის არც ერთი შემთხვევა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერჯ

სხვა სტრატეგიულ სიახლეებთან ერთად, კანონმა შემოიღო ნარკომანიით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა აუცილებელი და ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემა; დაუშვა საქართველოს ტერიტორიაზე ჩანაცვლებითი მკურნალობის დანერგვა; მისცა ნარკოლოგიურ ავადმყოფებს უფლება, იმკურნალონ ანონიმურად; განსაზღვრა სავალდებულო მკურნალობის ზოგადი პრინციპები; შემოიღო ნარკოტიკული დანაშაულის გამო დაკავებული და სასჯელმისჯილი პირებისათვის სავალდებულო მკურნალობა (დღეს, სამწუხაროდ, ვერც ეს სრულდება ფინანსური და ინსტიტუციური დეფიციტის გამო).

კანონის ამ დებულებათა შესრულების რეგულირების მიზნით, საჭირო გახდა და დაიწყო სამუშაოები შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გამოცემისა და ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებების შეტანის მიმართულებით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის შესრულება ლიმიტირებულია ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური და ფინანსური რესურსებით.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემუშავებული "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”, "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე", "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტები უკვე განიხილეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

**პრობლემის ანალიზი.** მაინც რა ძალა აქვს ნარკოტიკს ისეთი, რომ ამდენი მომხმარებელი, გამომყენებელი და დამაწყევარი ჰყავს? რა არის ის, რაც თავისუფალ ადამიანს უნებისყოფო, გონებადაბინდულ და წამალზე დამოკიდებულ არსებად აქცევს? რატომ ჰქვია ნარკომანიას „დამოკიდებულების დაავადება"?

ნარკოტიკულ ნივთიერებებს გააჩნიათ თვისება, ისე იმოქმედონ ადამიანზე, რომ გამოიწვიონ ფსიქიკური და ფიზიკური მიჩვევა – დამოკიდებულება.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანი „ზარმაცდება" – მას აღარ სჭირდება გარემოში ეძიოს სიამოვნების მომტანი ახალი მოვლენები თუ ურთიერთობები, იყოს ინტერესიანი და მიზანდასახული. ამ ყველაფერს მას „კაიფი" და ნარკოტიკის მორიგი დოზა უცვლის, რომლის მოპოვებაც თავისთავად იქცევა ცხოვრების მთავარ მიზნად. ფიზიკურ დამოკიდებულებას კი იმ ნეიროქიმიური და ფიზიოლოგიური მექანიზმების დარღვევა განაპირობებს, რომელიც უზრუნველყოფენ სიამოვნების ბუნებრივ პროცესს.

**საბოლოო ჯამში ნარკომანის ცხოვრებას მთლიანად ნარკოტიკი განსაზღვრავს.**

რა სიმპტომები აქვს ნარკომანიას?

\მთავარი სიმპტომი, რომელიც დაავადების უშუალო წინამორბედია და ყურადღების მიქცევას საჭიროებს ქცევის ცვლილებაა. როგორც წესი, ამ დროს ადამიანი იცვლის მეგობრების ჩვეულ წრეს, ინტერესებს, ჩნდება ტყუილი, „საიდუმლო" ზარები, საქმეები, და ა.შ. თავად დაავადების სიმპტომები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოხმარებული ნარკოტიკის სახეზე. ზოგიერთი იწვევს ჰალუცინაციებს, ზოგიერთი გაბრუებასა და ეიფორიას, არის დამამშვიდებელი, ან მასტიმულირებელი ნივთიერებებიც.

დაავადების სიმპტომების სიმძაფრეზე მოქმედებს მოხმარების ხანგრძლივობა („სტაჟი") და თავად მომხმარებლის პიროვნული თავისებურებები. რაც უფრო ხანგრძლივია მოხმარების „სტაჟი", მით უფრო ღრმა და შეუქცევადია ნარკოტიკებით გამოწვეული ის ცვლილებები, რომელთაც ადამიანი, ბოლოსდაბოლოს, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ინვალიდობამდე მიჰყავთ.

თვითონ ახალგაზდები მათთვის ხელმისაწვდომ ერთ-ერთ საიტზე http://forum.boom.ge/lofiversion/index.php/t3243.html 2007 წლის 26 იანვარს საუბრობდნენ „მიაქციეთ ყურადღება სტუდენტებს, და აღმოაჩენთ რომ ყველაზე დიდი პრობლემა ნარკომანიაა." სადაც თანატოლები თვითონვე ცდილობდნენ პრობლემის სათავე ეპოვათ „ყველაზე დიდი პრობლემა, ნიჰილიზმია. უდარდელობა, გულგრილობა და რაღაც ამდაგვარი. ნარკომანია მხოლოდ შედეგია". აქვე მესამე ერთვება „სამწუხაროდ ნარკომანია მარტო სტუდენტობის პრობლემაა არაა. ძალიან ბევრი ბავშვი ვიცი 14-15 წლის, რომელიც უკვე ნარკომანია".

ახალგაზრდებში პოპულარული კიდევ ერთი საიტი http://www.fortuna.ge/forums/ 2007 წლის 22 აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით ფორუმში იხილავდა თემას ნარკომანია მოზარდებში, სადაც შემდეგი მოწოდებები დაფიქსირდა: „მოკლედ მთავარია სახელმწიფო ატარებდეს სწორ პოლიტიკას (არა მარტო ანტინარკოტიკულ ღონისძიებებს) და ეს პრობლემა გადაიჭრებოდა", „ჩემი აზრით სახელმწიფო არაფერ შუაშია, მთავარია ოჯახიდან ქონდეთ მათ გათვითცნობიერებული თუ რა სენია ნარკოტიკების მიღება! სამწუხაროდ ბევრი, ოჯახში არ იზრდება და მათ არასწორ აღზრდას, ქცევებს

სახელმწიფოს ნუ დავაბრალებთ!“, „რაც არ უნდა პლაკატები ვაკრათ "ნარკოტიკი = სიკვდილს!" არაფერი შეიცვლება! ეგ მართალია, ტრანსფარანტების უაზრო ფრიალი არაფერს გვიშველის!“, „სახელმწიფო უნდა ეცადოს ხელი არ შეუწყოს მათ, იმ მხრივ, რომ ნარკოტიკების შემოტანის საშუალება არ უნდა მისცეს ხალხს!“

ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კომპლექსური, დაბალანსებული და თანმიმდევრული ანტინარკოტიკული პოლიტიკით, რომლის პრიორიტეტებია: ნარკოტიკულ საშუალებებზე/ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე მოთხოვნის შემცირება და მათი მიწოდების შეზღუდვა, ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების პირველადი პრევენცია, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია, ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება, ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი და კვლევა, საზოგადოებასთან ეფექტიანი მუშაობა, კვალიფიციური კადრების მომზადება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

**არსებული რესურსები.** საქართველოში ნარკომანიის სფეროში მუშაობენ სპეციალიზებული სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები; ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელიც ნარკომანიის პრობლემითაა დაკავებული. ასე, რომ **თუ ადამიანს გააჩნია სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება, ის აუცილებლად იპოვის დახმარებას.** უნდა გახსოვდეთ, რომ ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა. იგი აზიანებს არა მარტო ადამიანის ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობას, სოციალურ უნარებსა და კავშირებს.

2005 წლიდან თბილისში, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე ამოქმედდა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პირველი პროგრამა. ეს პროგრამა ფინანსდება შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ. *2007 წელს* პროგრამის წყალობით გამოსავალი დაახლოებით 210 ადამიანმა მოძებნა.

**მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია.** ოპიოიდებზე დამოკიდებულება, ანუ ოპიოიდური ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა, რომელიც რეციდივებით, ანუ გამწვავებებით მიმდინარეობს. ამ დაავადებას იწვევს ისეთი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, როგორიცაა ოპიუმი, ჰეროინი, მორფინი, სუბუტექსი და სხვა.

ოპიოიდური ნარკომანია, ჩვეულებრივ, ძალიან სწრაფად ყალიბდება და ძალზედ მძიმე დაავადებას წარმოადგენს. იგი ხასიათდება ნარკოტიკისადმი ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით. დამოკიდებული ადამიანის მიერ ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტა იწვევს უმძიმეს აღკვეთის მდგომარეობას, ანუ ე.წ.”ლომკას”. თუმცა დამოკიდებულების მქონე პირისთვის ყველაზე უფრო მძიმე თვით „ლომკა” კი არ არის, არამედ მისი გადალახვის შემდეგ ფსიქიკურ ლტოლვასთან გამკლავება და ნარკოტიკის მიღებისგან თავის შეკავება.

***რამდენად ეფექტურია ოპიოიდური ნარკომანიის მკურნალობა?***
არსებობს ამ დაავადების მკურნალობისადმი სხვადასხვა მიდგომა. პიოიდური დამოკიდებულების მკურნალობის უნივერსალური ეფექტური მეთოდი ჯერჯერობით შემუშავებული არ არის.

ოპტიმალურად აღიარებულია მკურნალობის ისეთი მეთოდები, რომლებიც თავიდანვე ორიენტირებულია ნარკოტიკების მიღების შეწყვეტაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მრავალწლიანმა საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, დღეს არსებული სხვადასხვა სახის მკურნალობის ეფექტურობა არც ისე მაღალია.

პაციენტთა უმრავლესობა მკურნალობიდან გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდება ნარკოტიკებს. თუმცა არსებობს ბევრი ადამიანი, რომელმაც შეძლო ნარკოტიკებზე სამუდამოდ უარის თქმა. ექიმები ამას გამოჯანმრთელებას უწოდებენ. მაგრამ ასეთმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ოპიოიდებზე დამოკიდებული პირი, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრების მანძილზე დაავადებულად რჩება, ვინაიდან იგი გამუდმებით იმყოფება ნარკოტიკების მიღების განახლების მაღალი რისკის ქვეშ. ასეთი ადამიანებისთვის ჯანსაღი მდგომარეობის შენარჩუნების პირობა არის ნარკოტიკების თუნდაც ეპიზოდური მოხმარებისგან სამუდამოდ უარის თქმა.

***რა არის ოპიოიდებზე დამოკიდებულების ჩანაცვლებითი თერაპია?***
ჩანაცვლებითი თერაპია ოპიოიდური ნარკომანიის მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდია. იგი პირველად შემოღებულ იქნა აშშ-ში 1960-იან წლებში და ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი. მას წარმატებით იყენებენ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, ირანი, ჩინეთი და სხვ. ამასთან, ყოველწლიურად იზრდება ამ პროგრამებში ჩართულ პირთა რიცხვი. ჩანაცვლებითი პროგრამების ფართოდ გავრცელებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა აივ/შიდსის ეპიდემიამ, ვინაიდან ჩანაცვლებითი თერაპია ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირებში ინექციური გზით აივ/შიდსისა და ჰეპატიტების გავრცელების შეზღუდვის ერთერთი ძირითადი საშუალებაა.

*ჩანაცვლებითი თერაპია მკურნალობის განსხვავებული მეთოდია.* ის გულისხმობს შედარებითხანგრძლივი ვადის მანძილზე პაციენტისათვის ჩამანაცვლებელი ნარკოტიკული საშუალების მიცემას, რაც სასურველია ხორციელდებოდეს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებებთან კომპლექსში. დღესდღეობით, ჩანაცვლებითი თერაპია ოპიოიდებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის, დეკრიმინალიზაციის, სოციალური ინტეგრაციისა და „ქუჩის ნარკოტიკების" მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების (მათ შორის შიდსისა და ჰეპატიტების ვირუსებით დაინფიცირების) ყველაზე ეფექტური და იაფი საშუალებაა.

*მეტადონი* ხანგრძლივი მოქმედების სინთეზური ნარკოტიკული საშუალებაა. იგი ოპიოიდების „ანტაგონისტია", რაც იმას ნიშნავს, რომ ის მორფინისა და მისი მსგავსი სხვა ნარკოტიკული საშუალებების ანალოგიურად მოქმედებს.

მეტადონი პირველად დამოკიდებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისთვის გამოყენებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში. როდესაც მეტადონი შესაბამისი დოზებით გამოიყენება ჩანაცვლებითი თერაპიისთვის, არ იწვევს ეიფორიის და სედაციის განცდას, კოორდინაციისა თუ ყურადღების დარღვევას. ამავე დროს, ადექვატური დოზა ნარკოტიკული ეფექტის წარმოქმნის გარეშე აღმოფხვრის ნარკოტიკების მოთხოვნილებას და აღკვეთის სინდრომის (ე.წ."ლომკის") ნიშნებს.

როგორც წესი, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მეტადონით მკურნალობისას პაციენტი თავს ნორმალურად გრძნობს, ადექვატური და შრომისუნარიანია.

ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი თერაპია რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

*ვინ შეიძლება ჩაერთოს მეტადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში?*

მეტადონური პროგრამები ყველა პაციენტისთვის არ არის რეკომენდებული. მეტადონი საკმაოდ ძლიერი ნარკოტიკია და თავად იწვევს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამიტომ, ასეთი მკურნალობა არ არის რეკომენდებული შედარებით ახალბედა ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირებისთვის.

ეს მეთოდი უფრო ისეთი პაციენტებისთვის არის განკუთვნილი, რომლებმაც რამდენჯერმე უკვე სცადეს უნარკოტიკო მეთოდებით მკურნალობა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ამიტომ, მეტადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები სპეციალურად არის განსაზღვრული ჯანდაცვის მინისტრის „ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების მეთოდიკით".

კრიტერიუმები შემდეგია:
1. ოპიოიდებზე დამოკიდებულების სინდრომის (აქტიური დამოკიდებულება) დიაგნოზისა და მასთან ერთად მე-2 პუნქტში აღნიშნულ კრიტერიუმთაგან არანაკლებ ერთ-ერთის არსებობა;]
2.
   ა) არანაკლებ 25 წლის ასაკისა; ოპიოიდური ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მინიმუმ 3 წლის, ამასთან, ინტრავენური მოხმარების, სულ მცირე, 1 წლის სტაჟის არსებობა; ოპიოიდური დამოკიდებულების სხვა მეთოდებით წარუმატებელი მკურნალობის, მინიმუმ, ორი შემთხვევა.
   ბ) აივ/ინფიცირება, შიდსით დაავადება;
   გ) ფეხმძიმობა;
   დ) სხვა განსაკუთრებული კლინიკურ-სოციალური მაჩვენებლების შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილება.

**რეინტეგრაცია საზოგადოებაში და საზოგადოების დამოკიდებულება.** ფართო გაგებით მკურნალობის საბოლოო, სასურველ შედეგს საზოგადოებაში ადამიანის რეინტეგრაცია წარმოადგენს. სწორედ ეს არის ქართული რეალობისთვის ყველაზე „სუსტი წერტილი", იმის გამო, რომ ამ პროცესში სპეციალისტების გარდა, მნიშვნელოვან როლს ოჯახი, მთლიანი საზოგადოება და სახელმწიფო უნდა ასრულებდეს. ჩვენში კი სამივე ეს კომპონენტი გარდაქმნისა და ჩამოყალიბების პროცესშია და საბჭოთა წარსულისა, თუ ფსევდო-ეროვნული ტრადიციებისგან ჯერ არ განთავისუფლებულა. ოჯახი ნარკომანიით დაავადებულს „სირცხვილად" აღიქვავს, საზოგადოება – „ცუდ ბიჭად და გოგოდ)", სახელმწიფო – ადრე კრიმინალად აღიქვამდა, ეხლა კი ავადმყოფად, და არც ერთს არ აწყობს მათი გამომჟღავნება. ასეთი დამოკიდებულების „დამსახურებაცაა", რომ მიჩქმალული დაავადება სულ უფრო მეტად იძენს ეპიდემიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამიტომ, პრობლემის დაძლევისათვის მიმართული ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ტაბუს მოხსნას, სოციალური სამსახურების ჩამოყალიბებას, ამ სფეროს მოქმედი კანონმდებლობის ძირფესვიან, და არა კოსმეტიკურ ცვლილებებს.

**მთავარი რჩევები.** მიუხედავად იმისა, რომ ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა, საშველი არსებობს, და დაავადების რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მიმართავთ სპეციალისტს, მით უკეთესი იქნება შედეგი.
*რჩევა ახალგაზრდა მომხმარებელს:*

1. შეწყვეტა ყოველთვის შესაძლებელია, თუკი ნამდვილად გსურს და მტკიცე არჩევანს გააკეთებ ფხიზელი ცხოვრების სასარგებლოდ.
2. თუ ვერ ახერხებ შეწყვეტას, უნდა მიმართოთ სპეციალისტს – ექიმ-ნარკოლოგს. იგი გაგიწევთ საჭირო კონსულტაციას დაავადების, მისი მკურნალობის მეთოდების, შესაძლო გართულებების და მათი თავიდან აცილების გზების შესახებ. ამის შემდეგ თქვენ გექნებათ საშუალება, სპეციალისტთან ერთად დაგეგმოთ შემდგომი მკურნალობა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტური და მისაღები იქნება თქვენთვის.

*რჩევა ახლობლებს:*

1. იყავით ყურადღებიანი და დროზე შენიშნეთ ის ცვლილებები, რომელიც შეიძლება ნარკოტიკმა გამოიწვიოს მომხმარებლის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობაში, ქცევაში შინ და გარეთ.
2. დაეხმარეთ მომხმარებელს პრობლემის გაცნობიერებაში და იზრუნეთ, რომ მაქსიმალურად სწრაფად მიმართოს სპეციალისტს.
3. დაეხმარეთ მომხმარებელს პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ნუ შეეცდებით პრობლემის მის მაგიერ გადაჭრას.

**მომავლის მიზნები**

მოზარდობა არის პერიოდი, როდესაც ინდივიდმა სერიოზულად უნდა გასცეს პასუხი მარადიულ შეკითხვას: „ვინ უნდა იყო, როცა გაიზრდები?“ კითხვა „ვინ უნდა იყო?" თავისთავად ასახავს გავრცელებულ დაშვებას, რომ ინდივიდების იდენტობას, ნაწილობრივ, მათი მიზნები განამტკიცებს. მომავალი პროფესიის არჩევა, მაგალითად, იდენტობის ფორმირების ძირითად საკითხებს მოიცავს: ესაა ინდივიდის შესაძლებლობებისა და ინტერესების შეფასება, რეალური ალტერნატივების მოაზრებისა და არჩევანის გაკეთების და მისი რეალურად განხორციელების უნარი. მოზარდებს საკუთარი მომავალი პირადი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით აფიქრებთ. ისინი ღელავენ როგორც საკუთარი საქმიანობისა და ოჯახის, ისე – ეკონომიკური კოლაფსის, გლობალური საფრთხის ან ბირთვულ ომის გამო (Nurmi, 1991). გარდა ამისა, მოზარდები მძაფრად შეიგრძნობენ, თუ როგორ უნდა განვითარდეს მათი ცხოვრება ასაკის მომატებასთან ერთად: – ჯერ განათლება უნდა მიიღონ, შემდეგ პროფესიას უნდა დაეუფლონ, ბოლოს კი ოჯახი უნდა შექმნან. თითოეულ დასახელებულ ეტაპზე მიზნების ფორმირება გენდერული როლების, ოჯახური გარემოსა და არსებული რესურსების გათვალისწინებით ხდება.

ცხადია, ყველა მოზარდი ერთსა და იმავეს არ ელოდება მომავლისგან. მკვლევრებმა შეისწავლეს ის სოციალური და პიროვნული პროცესები, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს, თუ როგორ ისახავენ მოზარდები მიზნებს.

ცხადია, თუ მოზარდებს არ აქვთ მისწრაფება სამუშაოსადმი, ისინი ვერც მიიღებენ მას. რა უნდა გაკეთდეს ღარიბი უბნებიდან გამოსული ბავშვების მისწრაფებებისა და მოლოდინების შესაცვლელად? ამ კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ბავშვების მოლოდინებზე გავლენას ახდენდა მათი მოლოდინი განათლებასთან დაკავშირებით ანუ მოლოდინი იმისა, თუ რამდენად ჰქონდათ საგანმანათლებლო სარბიელზე წინსვლის უნარი. შესაბამისად, ღარიბი უბნებიდან გამოსული ბავშვების მიერ მომავლის აღქმის შეცვლა, საბოლოო ჯამში, საგანმანათლებლო რეფორმას საჭიროებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა მოსწავლეს, ირწმუნოს სწავლის მნიშვნელობა და შედეგიანობა.

მოზარდობის დასასრულს არჩეულმა მიზნებმა – როგორი განათლება მიიღოს და რა პროფესიას დაეუფლოს – შეიძლება არსებითი გავლენა

მოახდინოს მოზარდის მომავალზე. თუმცა, იდენტობის ყველა ასპექტის მსგავსად, მიზნების დასახვის გააზრება უკეთესი იქნება ცხოვრების მთლიანი ციკლის კონტექსტში. მოზარდობისას მიღწეული წარმატებები საფუძველს უმზადებს მოზრდილი ადამიანის განვითარებას.

**ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება ნარკომანიის პრობლემის დაძლევის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა.** ნარკოტიკზე მიჩვევა და დამოკიდებულება, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა. შესაბამისად, ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება წარმოადგენს ჯანმრთელობის ზოგადი პოლიტიკის ნაწილს. ამავე დროს, იგი არ უნდა იყოს იზოლირებული ქვეყნის პოლიტიკისაგან ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტისა და სხვა სფეროებში, რომელთა ერთობლივი რეალიზება მიმართულია საზოგადოების განვითარებაზე.

ტერმინი "მოთხოვნილების შემცირება" - გამოიყენება პოლიტიკასა და პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავს გაეროს კონვენციებით აკრძალული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებაზე მოთხოვნის შეზღუდვას.

**ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება გამოიწვევს:**

1. ნარკოტიკების მოხმარების დაწყების შემცირებას;
2. ნარკოტიკების ავადმოხმარების შემცირებას;
3. ნარკომანიით დაავადებულ პირთა რიცხვის შემცირებას;
4. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას;
5. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული გართულებების შემცირებას;
6. ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე ფინანსური და სოციალური დანახარჯების შემცირებას;
7. ნარკოტიკების მოხმარებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შემცირებას.

ამ სფეროში ევროკავშირის სტრატეგია მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების, წამალდამოკიდებულებისა და ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური რისკების შემცირებას **მოთხოვნილების შემცირების ეფექტური და სრულყოფილი სისტემის შექმნის გზით, რომელიც მოიცავს პრევენციულ, ადრეული ინტერვენციის (ჩარევის), მკურნალობის, ზიანის შემცირების, რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის ღონისძიებებს.**

**კონსტრუქციული წინადადება**

ნარკომანიასთან ბრძოლაში გარდა, სახელმწიფოს მხრიდან და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მხარდაჭერისა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს საზოგადოებისა და მესამე სექტორის როლი (არასამთავრობო ორგანიზაციები). ამ კეთილშობილური საქმის განსახორციელებას სჭირდება ასევე კარგი სოციალური მუშაკები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, პრობლემის გათავისება, თანამშრომლობა ოჯახთან, სკოლასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობისას დაიცვას მათი ინტერესები.

როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში სოციალური მუშაკი არის პირველადი პროფესიული ჯგუფი, რომლის დანიშნულებაა სოციალური დახმარების გაწევა, თუმცა სოციალური მუშაკებთან ერთად სხვა პროფესისს წარმოადგენლებიც მონაწილეობენ ამ სფეროში: ნარკოლოგები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, მენტალური-ფსიქიური ჯანმრთელობის კონსულტანტები (mental health

counselors), სკოლის მასწავლებლები, ოჯახის თერაპევტები, ექთნები (Nurses) და სანიტარული მუშაკები.

ასევე, სოციალური მუშაკი უნდა იყოს კლიენტის ადვოკატი ახდენდეს კლიენტისათვის ისეთი რესურსების მოპოვებას, რომელთაც იგი დამოუკიდებლად ვერ მოიპოვებს. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ვალდებულებაა, შეაფასოს საკუთარი ინტერვენციის ეფექტურობა და მოახდინოს კლიენტთა (მომხმარებელთა) მდგომარეობის პროგრესის სისტემური მონიტორინგი. სოციალური მუშაობის პროცესის ყველა საფეხურზე შეფასება (evaluation) მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს, თვითონ დახმარების პროცესი 4 ძირითადი ფაზისაგან შედგება: 1. პრობლემის შესწავლა-(იდენტიფიკაცია), კვლევა (assessment) და მიზნების ჩამოყალიბება (დაგეგმვა); 2. მოქმედების გეგმის განვითარება; 3. იმპლემენტაცია (განხორციელება); 4. დასრულება, შედეგის შენარჩუნების სტრატეგიის დაგეგმვა, შეფასება.

*ლოლიტა შენგელია*
*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა*
*და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ*
*მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მაგისტრანტი*

*ლოლიტა შენგელია*

## ნარკომანიის ზოგადი პრობლემატიკის მიმოხილვა მოზარდებისთვის

### რეზიუმე

ნარკომანია გლობალური პრობლემაა და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. საქართველოსთვის ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების შედეგები უმძიმესია. ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოზარდებში, ნარკომანია სწრაფად ვრცელდება.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული საფრთხე საქართველოში ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ნარკოტიკების მომხმარებელთა ოფიციალურად რეგისტრირებული რაოდენობა 9-ჯერ გაიზარდა.

საქართველოში ნარკომანიის სფეროში მუშაობენ სპეციალიზებული სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები; ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელიც ნარკომანიის პრობლემითაა დაკავებული.

2005 წლიდან თბილისში, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე ამოქმედდა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პირველი პროგრამა.

პრობლემის დაძლევისათვის მიმართული ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ტაბუს მოხსნას, სოციალური სამსახურების ჩამოყალიბებას და ამ სფეროს მოქმედი კანონმდებლობის ძირფესვიან ცვლილებებს.

*Лолита Шенгелия*

## Общий обзор проблем наркомании для подростков

### Резюме

Наркомания - глобальная проблема и является предметом тревоги в каждой стране. Результат употребления наркотиков и психотропных веществ в Грузии весьма тяжелый. В последнее время эта отрава в нашем обществе, особенно у молодёжи распространяется очень быстро. Опасность, связанная с наркотиками характеризуется постоянным ростом.

В течении последних 15 лет количество наркоманов увеличилась в девять раз. В Грузии в сфере наркомании работают специализированные государственные и частные медицинские учреждения. С 2005 года в Тбилиси задеиствована первая программа заменительной терапии метадоном на базе Научных Исследований Института по Наркомании.

Мероприятия, направленные на ликвидацию проблемы должны осуществляться на основе избавления общества от табу, создания специальных служб и коренных изменении действующего законодательства в этом сфере.

***Lolita Shengelia***

## Review of the problem of drug addiction for youth

### The Summary

Drug industry is the global problem of the world and Government takes care of drug addicts everywhere. The results of Drug traffic is the most severe for Georgia. At present Drug addiction is fast diffusing problem especially among youth in Georgia. Drug habit problems are characterised by permanent increase. The number of officially registered users has been multiplied to 9 - during the last 15 years.

There are some special state and private Medical Institutions and many other NGOs working on addiction programs and the Georgian Orthodox Church has Drug Abuse treatment centre also in Georgia. At the Institute of Drug Research and Science there was started a Methadone alternative therapy program since 2005 in Tbilisi.

Actions for resolving this problem should be aimed to release social stigma, to create social services and to change acting legislation in this field.

*თეა ქავთარაძე, თამარ ქურთაული*

## ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ნარკომანია განიხილება, როგორც ერთ-ერთი რთული და საშიში მოვლენა. ამ სახის დანაშაულობები უშუალოდ ხელყოფს უმთავრეს საზოგადოებრივ ღირებულებას ადამიანს, მის ჯანმრთელობას, სულიერ წონასწორობას და თვით სიცოცხლესაც კი.

ნარკომანია თანამედროვეობის აქტუალური, მტკივნეული და საკმაოდ რთულად დასაძლევი პრობლემაა. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო წარმოების, მათი მოთხოვნის ზრდის ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ნარკომანიასთან დაკავშირებულია ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოების განვითარებას.[1] მხედველობაშია მისაღები ის, რომ საქართველოში ნარკოტიკულ საშუალებებს არ აწარმოებენ და იგი კონტრაბანდული გზით შემოდის.

საქართველოში დამნაშავეობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, იზრდება ნარკოტიზმის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვიც. საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვამ უკანასკნელ წლებში არნახული მასშტაბები შეიძინა, რამაც შეიძლება ითქვას ეროვნული კატასტროფის წინაშე დაგვაყენა. ბოლო 15 წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულებებთან დაკავშირებით დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა 16.500 მეტ საქმეზე

უზენაესი სასამართლოს მონაცემები:

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| 260 მ. | 825 | 779 | 1171 | 1149 |
| 263 მ. | 8 | 17 | 6 | 31 |
| სხვა ნარკოტ.საშ. | 526 | 643 | 562 | 54 |

მსჯავრდებულთა რაოდენობა ნარკომანიის სფეროში:

| 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|
| 1233 | 1245 | 1300 | 1353 | 1165 |

2006 წლიდან 2007 წლის 1-5 თვემდე შსს-ს მიერ ნარკომანიის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გამოვლენილია 9500-მდე ფაქტი, მათ შორის 215 მსხვილი რეალიზატორი.

განსაკუთრებით საგანგაშოა ნარკომანიის გავრცელება მოზრდილებსა და ახალგაზრდებს შორს. ნარკოტიკების მომხმარებელთა 2/3 სხ-დან 30 წლამდე ასაკისაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს სტატისტიკა მიახლოებითაც არ ასახავს რეალურ სურათს, ადვილი წარმოსადგენია რა კატასტროფის წინაშეც ვდგავართ. სამწუხაროა, რომ საზოგადოება არც ისე დიდ ყურადღებას აქცევს ნარკოტიკებზე ექსპერიმენტების ჩამტარებელ ახალგაზრდებს. უფროსებს არ სცალიათ, ისინი ცდილობენ როგორმე ყოფითი პრობლემები მოაგვარონ, მათ დრო ენანებათ და სიამაყე უშლით ხელს დაინტერესდნენ უბედურებაში მოხვედრილი არასრულწლოვნებით. თუ ჩვენ ვაპირებთ გავაგრძელოთ ეს პოლიტიკა, ჩვენს შთამომავლობაში უფრო მეტი ნარკომანი იქნება, ე.ი. იქნება უფრო მეტი უბედურობა, დანაშაული, ავადმყო-

[1] დავით კაჭკაჭიშვილი-ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები

ფობა და სიკვდილი. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ითხოვენ და იმუქრებიან, მაგრამ ამ პრობლემას მუქარა კი არა ქმედითი ნაბიჯები გადაწყვეტს. უნდა ვებრძოლოთ ნარკომანიას და არა მარტო შედეგს, არამედ მის საფუძველსა და მიზეზს.

ნარკოტიზმი მისი ისეთი გამოვლინებით, როგორიცაა ნარკომანია და ნარკოტიკული ბიზნესი, უკანასკნელ პერიოდში გლობალური მასშტაბის სოციალურ უბედურებად იქცა. ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა მიზეზებია: დიდი ოდენობით ბუნებრივი ნარკონედლეულის მომხმარებელთა არსებობა, სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა და ნარკომანთა კოლონიაში ერთად მოთავსება, რაც იწვევს ნარკოტიზმის გავრცელებას.2 ნარკობიზნესი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმა, არც საქართველოს დღევანდელობისთვისაა უცხო. თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლა აუცილებლად მოითხოვს მის მიმართ სისტემატურ  და კომპლექსურ მიდგომას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს დახვეწილ კანონმდებლობასა და სამართალდამცავი ორგანოების მაღალ პროფესიონალიზმს, სოციალური ხასიათის სხვა აუცილებელ ღონისძიებათა პარალელურად მათ ურთიერთშეთანხმებით. ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და მის წინააღმდეგ ბრძოლა გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალ ებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ. ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალების შესახებ", გეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ",გაეროს 1988 წლის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ". ასევე მოქმედებს რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც მიღებულია საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის და შს სამინისტროს მიერ და გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაშიც:

ა) ნარკოტიკული საშუალებების კრიტერიუმები და ჩამონათვალი, უკანონო ბრუნვისას აღმოჩენილი საშუალებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.
ბ) უკანონო მფლობელობაში ან ბრუნვაში აღმოჩენილ მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების განმსაზღვრელი ნარკოტიკული საშუალებების ცხრილი.
გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების კრებსითი ჩამონათვალი.3

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით,  პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაწესებულია ცალკე თავით. ეს თავი სსკ-ის მე-9 კარი-დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ შემადგენელი ნაწილია.

ადამიანები პირველად ნარკოტიკებს იღებენ ელემენტარული ცნობისმოყვარეობისათვის, ცდილობენ რა შეიცვალონ ხასიათი, არსებულ რეალობასთან

---

[2] ინგა ლომსაძე-ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა  გახსნისა და გამოძიების მეთოდების პრობლემები

[3] ზაზა ბეროზაშვილი-საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპილი ნივთიერებების და მათი პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა

დამოკიდებულება ან საკუთარი ემოციური მდგომარეობა. ნარკოტიკი ელვისებურად მოქმედი საშუალებაა მჟუდროების, აფორიაქებულობის, დაძაბულობის და ტკივილისაგან გასათავისუფლებლად. თანდათანობით იზრდება ტოლერანტობა ამ ნივთიერებისადმი, უფრო მოგვიანებით კი ვითარდება აბსტინენცია, ანუ ნარკოტიკული შიმშილი. ნარკომანია, ეს არის ქრონიკული, შებრუნებადი დაავადება, რომელსაც ახასიათებს, როგორც პიროვნული, ასევე სოციალური თავისებურებები. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების პოტენციური მომხმარებლები არიან უნებისყოფო, სასოწარკვეთილი ადამიანები, ან საიამოვნების მაძიებელი ეგოისტები.

საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის კანონოთ დადგენილი წესის დაცვას.4 ამ დანაშაულთა უმრავლესობას აქვს თავისი საგანი, მაგალითად: ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, ან პრეკურსორი (სსკ-260-ე, 262-ე, 264-ე, 273-ე მუხლები), ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი, ან ძლიერმოქმედი ნივთიერება (სსკ–261-ე, 263-ე, 264-ე მუხლები) და ყალბი რეცეპტი (სსკ–267-ე, 268-ე მუხლები). ობიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიურობითაა ჩადენილი (სსკ–260-ე, 261-ე, 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე მუხლები). ზოგი მათგანის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (სსკ–269-ე და 274-ე მუხლები). ობიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმრავლესობა ფორმალური შემადგენლობისაა (სსკ–262-ე, 263-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 274-ე მუხლები), ხოლო ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კანონში მითითებული შედეგის დადგომა (სსკ–264-ე, 269-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწ. 270-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწ. 272-ე მუხლი). ობიექტური მხარის ფაკულტატურ ნიშნებს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს იშვიათ შემთხვევაში (სსკ–262-ე, 264-ე, მუხლის მე-2 ნაწ. “ვ” და მე-3 ნაწ. “გ” პუნქტი).

ნარკოტიკულ დანაშაულთა სუბიექტი უმრავლეს შემთხვევაში არის ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. ხოლო 2008 წლის 1 ივნისიდან 12 წელს მიღწეული პირი. გვხვდებიან სპეციალური სუბიექტებიც (სსკ–260-ე მუხლის მე-2 ნაწ. “გ” პუნქტი, 261-ე მუხ მე-2 ნაწ. “გ” პუნქტი, 269-ე, 270-ე მუხლები). სსკ-ის 274-ე მუხლით გათვალისწნებული დანაშაულის სუბიექტია ის ნარკომანი, რომელსაც სასამართლოს მიერ დაკისრებული აქვს იძულებითი მკურნალობა. სუბიექტური მხრივ ნარკოტიკულ დანაშაულთა უმრავლესობა განზრახაა. იშვიათ შემთვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩადენა შეიძლება გაუფრთხილებლობითაც (სსკ–269-ე, 270-ე მუხლები).

სსკ-ის 260-ე მუხლის 1 ნაწილით “ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა”, რისთისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 10 წლამდე. უსამართლო განაჩენთან და უკანონო მსჯავრდებასთან გვექნება საქმე, თუ კანონმდებელმა არ დააკონკრეტა და ზუსტად არ განსაზღვრა ეს ნორმა, რომლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით შემძენი, დამამზადებელი და ა.შ.5 ან მისი მომხმარებლის დანაშაულებრივი ქმედება, რაც მომავალში თავიდან აგვაცილებს გაუგებრობებს, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები იძულებულნი აღარ გახდებიან პირის დანაშაულებრივი ქმედება “როგორმე მოარგონ” მუხლის დისპოზიციას. როცა კანონმდებელი უშვებს ადმინისტრაციულ სახ-

4 ნონა თოდუა-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - ნარკოტიკული დანაშაული

5 ნაირა გოგიტაშვილი-ნარკოდანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ჟურნალი “სამართალი” 1999 წ.

დელს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შენახვის ან მოხმარებისათვის, მაშინ შესაბამისი ნარკოტიკული საშუალების სისხლის სამართლის წესით დასჯადი ოდენობა ერთჯერად მინიმალურ დოზას მაინც უნდა აღემატებოდეს. დღეს სამართალდამცავები თვითონ წყვეტენ ამ საკითხს. კვლევებით ირკვევა, რომ დაახლოებით (ცდომილება შესაძლებელია) თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება:

| სუბოტექსი | მარიხუანა | ჰეროინი | | |
|---|---|---|---|---|
| 0,0012-0,012გრ | 5-50გრ | ——— | 6 თვიდან | 10–წმ-მდე |
| 0,012-0,12გრ | 50-500გრ | 0,6-1გრ | 6-დან | 12–წმ-მდე |
| 0,12გრ-ზე მეტი | 500გრ-ზე მეტი | 1გრ-ზე მეტი | 8-დან | 20–წმ-მდე ან უვადოდ |

რაც არასწორად მიმაჩნია, რადგან რიგ ქვეყნებში სუბოტექსი, როგორც ნარკოტიკული ნივთიერება არცკი განიხილება. ამასთანავე ამ საკითხის რეგულირება უნდა ხდებოდეს კანონოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის თანახმად შესაბამის ნარკოტკულ საშუალებებზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 273-ე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლების არსს. პარადოქსი იყო 2006 წლის 1 ნოემბრამდე–პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, რისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არაფერს ითვალისწინებდა ასეთი ქმედებისათვის. კანონმდებელი საკმაოდ გვიან მიხვდა ამ ანომალიას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღევათა კოდექსის 45-ე მუხლი: ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სახდელს არ ითვალისწინებს პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებისათვის. რაც ღიად რჩება, რადგან საქართველოს სსკ-ის 273 მ-ით აღნიშნული ქმედება ისჯება ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. ვფიქრობ აღნიშნულ ქმედებას ასახვა უნდა ეპოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლში.

ნარკომანიის მუდმივმა ყოველდღიურმა პრობლემამ შექმნა ნარკობიზნესის წარმოშობა და მისი სწრაფი გლობალური განვითარება. იგი იქცა სარფიანი შემოსავლის კრიმინალურ წყაროდ. სამწუხაროდ, ასეთ მოვლენას საქართველოშიც შეექმნა საუკეთესო მყარი ნიადაგი. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, სასაზღვრო ზოლის დაუცველობა, საბაჟო კონტროლის სუსტი მექანიზმი, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის თვალსაზრისით, საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევის რეალურ საშიშროებას უქმნის.

არაეფექტური კონტროლის სისტემა ქართულ და უცხოელ მაფიოზურ ფორმირებებს საშუალებას აძლევს მოახდინონ მსხვილი კაპიტალის ლეგალიზაცია, ინვესტირების და კომერციული სტრუქტურების მეშვეობით. აგრეთვე მათ საშუალება ეძლევათ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლები მიმართონ სახელმწიფო აპარატის კორუმპირებისაკენ.6

---

6 კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა-ავტორთა კოლექტივი.

ნარკომანია პირველ რიგში სოციალური მოვლენაა და ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლისას უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მივმართოთ სოციალურ-ეკონომიკურ მეთოდებს. ამასთანავე არსებითი მნიშვნელობა აქვს წმინდა იურიდიული ხასიათის მქონე ზომებს, ვინაიდან ისინი წარმოქმნიან შესაბამის სამართლებრივ ბაზას სხვა ზომების მისაღებად.

ნარკოტიზმის, როგორც სოციალური მოვლენის გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია, ამ პრობლემის შესწავლას შეიძლება საფუძვლად დაედოს 4 ძირითადი მიმართულება: ბიოფიზიოლოგიური, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, მიკრო სოციალური და მაკრო სოციალური. საჭიროა სამართლის მოთხოვნათა გარდაქმნა ადამიანის შინაგან მრწამსად და ზნეობრივი აღზრდის ფორმების ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დამნაშავეობის მაღალი ლატენტურობა. ნარკომანიის, როგორც ნეგატიური, სოციალური და პოლიტიკური მოვლენის არსებობა, მის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსურ მიდგომას ითხოვს, მან ნარკომანიის პრევენციულ-სამართლებრივი, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საგანმანათლებლო, პროფილაქტიკური, რეაბილიტაციური და სხვა მეთოდები უნდა მოიცვას. პროფილაქტიკის ეფექტიანი პროგრამების ცხოვრებაში გატარება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ციხეების მშენებლობა და ნარკომანიისაგან გამოწვეული სამედიცინო ხარჯები. სპეციალური პროფილაქტიკური პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების კულტურას და რეგიონის თავისებურებებს. ასეთი პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ფსიქოლოგიურ და მოზარდთა, მოსწავლეთა თუ სტუდენტთა ასაკობრივ ხედვას. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს:

ა) ნარკოტიკული საშუალებების კანონიერი ბრუნვის რეგულირების წესის სრულყოფა;
ბ) მათ უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა;
გ) ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარების თავიდან აცილება;
დ) ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობა და სოციალური რეაბილიტაცია (რესოციალიზაცია).

ნარკოტიკების მიმართ პოლიტიკას ყოფენ სამ მიმართულებად: ლიბერალური, რეპრესიული და რესტრიქტიული.

– ლიბერალური პოლიტიკა–რომელიც გატარებულია ჰოლანდიასა და დანიაში ნებას რთავს ნარკოტიკებით ვაჭრობასა და მოხმარებაზე.
– რეპრესიული პოლიტიკა–ხასიათდება ნარკოტიკების მომხმარებელი ინდივიდუმების სამართლებრივი დევნით. ასეთი პოლიტიკა ტარდება პაკისტანში, სინგაპურსა და სხვა ქვეყნებში. ასეთ ქვეყნებში ნარკოტიკების გამოყენების დონე ძალიან დაბალია, რითაც რეპრესიული პოლიტიკის უვარგისობა არ დასტურდება.
– რესტრიქტიული (შემაკავებელი) პოლიტიკა–როდესაც სახელმწიფო ნარკოტიკების გამოყენებისათვის კი არ სჯის, არამედ ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ნარკომანიით დაავადებულთ. ამავე დროს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას კრძალავს და მკაცრად აკონტროლებს. ეს მოდელი კარგად არის განვითარებული აშშ-ში და შვედეთში.7 რომლის დანერგვაც სასურველია მოხდეს საქართველოშიც.

ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობაა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. ინტერპოლის საქართველოს ეროვნული ბიუროს მოღვაწეობის ფარგლებში. უნდა დაჩქარდეს ნარ-

---

[7] ქეთევან ბარამიძე, ზაზა ბეროზაშვილი-ნარკოტიკები, ნარკომანები და სახელმწიფო. ჟურნალი “სამართალი” 2003 წელი.

კოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბება.

ნარკომანია რთული მრავალასპექტიანი ფენომენია. მისი შესწავლა მოითხოვს: კრიმინოლოგიური ასევე სოციალური, სამედიცინო ფსიქოლოგიური, ეთიკური, სამართლებრივი და აქსიოლოგიურ ასპექტების განხილვას..

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წიმააღმდეგ ბრძოლა გლობალური ხასიათის პრობლემაა, ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად საერთაშორისო თანამშრომლობაა მიჩნეული.

ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენი ღონისძიებები, შეიძლება დაიყოს: ორგანიზაციულ-მმართველობითი, სამედიცინო, აღმზრდელობითი და სამართლებრივ ღონისძიებებად.8

სამართალდამცავი ორგანოების ამოცანაა: აღმზრდელობითი და იძულებითი ღონისძიებების დაბალანსებული გამოყენება საქართველოში ნარკოტიკებზე კონტროლის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად.

განსაკუთრებული როლი ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში საზოგადოებას აკისრია, ამიტომ მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების გაერთიანებული ძალისხმევით შეიძლება დადებითი შედეგების მიღწევა.

*თეა ქავთარაძე, თამარ ქურთაული*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ. და საქართველო. ავტორთა კოლექტივი.
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი–წიგნი 1. ავტორთა კოლექტივი.
3. საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი–პეტრე დაუთაშვილი.
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2007 წელი.
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 2007 წელი.
6. საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ."
7. დავით კაჭკაჭიშვილი–"ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები". 2001 წელი.
8. ინგა ლომსაძე–"ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების მეთოდიკის პრობლემები."
9. ქეთევან ბარამიძე, ზაზა ბეროზაშვილი–ნარკოტიკები, ნარკომანები და სახელმწიფო. ჟურნალი „სამართალი"-2003 წელი.
10. ზაზა ბეროზაშვილი–ნარკომანია და დანაშაული. ჟურნალი "სამართალი" 2002 წელი
11. ნაირა გიგიტაშვილი–ნარკოდანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ჟურნალი "სამართალი"1999 წელი.
12. ზაზა ბეროზაშვილი–საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა. ჟურნალი "სამართალი"2002 წელი.

---

[8] ინგა ლომსაძე-ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების მეთოდიკის პრობლემები

*თეა ქავთარაძე, თამარ ქურთაული*

## ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები

### რ ე ზ ი უ მ ე

ამ სტატიის განსახილველი საგანია: ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები. ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს ამ კუთხით: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოქმედი კანონმდებლობის არასრულყოფილება, სასაზღვრო ზოლის დაუცველობა, საბაჟო კონტროლის სუსტი მექანიზმი.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველი უნდა იყოს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. კანონები, რომლებიც დაარეგულირებენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ბრუნვის მაქსიმალურად ყველა საკითხს, რომელიც არსებობს და შეიძლება წარმოიქმნას. ამასთანავე, პასუხობდეს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს და რეკომენდაციებს.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, სასურველია და აუცილებელიც საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების გაერთიანებული ძალისხმევით შეიძლება დადებითი შედეგების მიღწევა.

***Тея Кавтарадз.е, Тамар Куртаули***

## Правовые аспекты борьбы с наркоманией

### Резюме

Данная статья рассматривает правовые аспекты борьбы с наркоманией. Внимание уделяется существующим проблемам: географическому расположению Грузии, социально-экономическому состоянию, действующему законодательству, незашишённостю пограничной полосы. Фундаментом борьбы с наркоманией должена быть совершенная правовая база. Законы, которые будут регулировать максимально все вопросы связанные с наркотиками.

Для искоренения этой проблемы, желательно и обязательно активное участие общественности. Только при совместными усилиями можно достичь положительных результатов.

***Tea Kavtaradze, Tamar Kurtauli***

## Legal aspects of struggle against drug addiction

### The Summary

Given clause considers legal aspects of struggle against a narcotism. Attention is given to those problems which exist on this question: a geographical arrangement of Georgia, a social and economic condition, imperfection of the current legislation, inobservance of border land. The foundation of struggle against a narcotism should be the perfect legal base. Laws which will settle as much questions connected with drugs as possible.

For eradication of this problem, it is also desirable and necessary an active participation of the public. Only at joint efforts it is possible to get positive results.

*მარი ჩხაიძე, ნანა ჯაყელი, ანა კორინთელი*

## ნარკომანია, დანაშაულის ზღვარზე მყოფი ავადმყოფობა

დღესდღეობით შეიძლება ჩვენი თემის დასაწყისი საკმაოდ უხეში და მიუღებელი იყოს მაგრამ იმისათვის რომ სწორად გავიგოთ თუ რამდენად პრობლემატიკური საკითხი დგას ჩვენს წინაშე სწორედ რომ დასაწყისად ეს უნდა ჩავთვალოთ..გთხოვთ რომ მოგვისმინოთ..

ეს არის სწორედ რომ იმ ადამიანების სიტყვები რომლებიც ყველაზე პირველნი აღმოჩნდნენ ამ პრობლემის წინაშე და რომელნიც ჩვენგან სწორედ რომ ჩვენგან მოელიან დახმარებას:

1. წამალი პირველად რომ გავიკეთე მაღებინა, მაგრამ მაშინვე ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა, სამყარომ ჩემს გარშემო დაიწყო ბრუნვა და კარგად გავხდი. მეორედ შიშის დასაძლევად გავიკეთე, მიზეზი მესამედ და მეოთხედაც გამოჩნდა. როცა ჩემსა და დანარჩენ სამყაროს შორის არსებული ფანჯრის ზომა, წამლით სავსე ნემსის დიამეტრს დაემთხვა, მივხვდი, რომ ნარკომანი გავხვდი. არ შემშინებია, იმიტომ რომ გარშემო უამრავი ასეთივე ადამიანი მყავდა; მათ მეგობრებს ვეძახდი და წამალს ვუყოფდი. როცა ყველაფერი, მათ შორის ოჯახიც და მეგობრებიც წამალმა გადაწონა და სახლშიც აღარაფერი დარჩა გასაყიდი, ყოველი მილიგრამისთვის დავიწყეთ საქმის გარჩევა. იყო პერიოდი, როცა "ვირთხებივით" მარტო ვიკეთებდით. მერე რომანტიზმის მაძიებელი ფულიანი ტიპი "შევაბით" და კარგა ხანს "ვწველიდით"...

2. "წამლის გასინჯვის" ყველასათვის საერთო მიზეზი არ არსებობს, ბევრი ამას მხოლოდ ახალგაზრდული სიტუტუცის და ინტერესის გამო აკეთებს; სხვები, უფრო ისეთევი, ერთი-ორი წიგნი რომ აქვთ წაკითხული და ერთი-ორი ფიასკო გამოვლილი, ნარკოტიკით საკუთარი თავის და ცხოვრების ახალი სიღრმის გახსნას ცდილობენ და მოსწონთ იმის შეგრძნება, რომ სიცოცხლე ფეხზე კიდიათ. მე რომელ კატეგორიას ვეკუთვნი არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის, როცა "ლომკა" მეწყება მწარედ ვაგინებ იმას დედას, ვინც პირველად ნემსი გამიკეთა."

საზოგადოების ისტორიას ახსოვს უამრავი ომი, რომელთა საბაბი ოდითგანვე იყო ოქრო, XX საუკუნეში შემოვიდა ტერმინი „შავი ოქრო“ (ნავთობი), რომელსაც უკავშირდება მრავალი სისხლისმღვრელი ომი; უკანასკნელ ათწლეულებში კი დღის წესრიგში დადგა „მწვანე ოქრო“ -ნარკოტიკები, რაც ხშირად არა მარტო საბაბი, არამედ ომის წარმოების საუკეთესო საშუალებაც ხდება („სადაც ნარკოტიკია, იქ ომიცაა“, ან „ნარკოტიკი - ომების ენერგია“). ჩინეთის, ბირმის, ლიბანის, ავღანეთის, ნიკარაგუის, პერუს, კოლუმბიის, ბალკანეთის, კავკასიის მაგალითები ცხადყოფს, რომ ნარკოტიკი არა მარტო ბრძოლის მასტიმულირებელი საშუალებაა, არამედ მოხეტიალე არმიების დაფინანსებისა და იარაღის ურთიერთგაცვლის მძლავრი ინსტრუმენტი.

თუმცა საზოგადოებისათვის ნარკოტიკების უაღრესად საშიში ხასიათი მხოლოდ „ომების ენერგიაში“ როდია - საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის შიში მისადმი გამოწვეულია იმით, რომ იგი საფრთხეს უქმნის ახალგაზრდობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ამასთან, ზნეობრივად და სულიერად ხრწნის ადამიანს, რომელიც თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოველგვარ ამორალურ ქცევაზე მიდის.

და მაინც რა არის ნარკოტიკი და რა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები არსებობს?

მარიხუანა - ეგრეთ წოდებული პლანი. ერნესტა აბელიას წიგნში «მარიხუანა: პირველი ორასი წელი»(1980) აღნიშნულია, რომ კანაბისის გამოყენება ჯერ კიდევ ქვის ხანაში, დაახლოებით 10000 წლის წინ დაიწყო. იგი ფარმაკოლოგიურ მიზნებისათვის ჩინეთის იმპერატორის შენ ნუნგოს მიერ ჩვენ წელთაღრიცხვამდე III საუკუნის დასაწყისში იქნა გამოყენებული.

მარიხუანას აშრობენ, აქუცმაცებენ და სიგარეტის სახით ეწევიან. პლანის მოწევა შემდეგ ეფექტებს იწვევს:
გუგების გაფართოება და სიწითლე;
თავბრუს ხვევა
გულის რევა
ეიფორია
დროისა და მანძილის შეგრძნების დაკარგვა და სხვა.

ზედმეტი დოზის მიღების შემთხვევაში იწვევს დაღლილობას, ფსიქიურ აშლილობას.

ექსტაზი – ჰეროინის მსგავსად საკმაოდ საშიში ნარკოტიკული საშუალებაა. დღესდღეობით იგი ყველაზე პოპულარულია ახალგაზრდებში. ექსტაზი პირველად შექმნილი იქნა 1912 წელს ფარმაკოლოგიური კომპანიის «მერკ»-ის მიერ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს ნარკოტიკი წვეულებების განუყოფელი ნაწილი გახდა. სტატისტიკის მიხედვით დღესდღეობით იგი ერთხელ მაინც აქვს გასინჯული 10 მლნ-ზე მეტ ადამიანს, რომელთაგან უმეტესობა ბავშვები და ახალგაზრდები არიან. ბევრი მათგანი ექსტაზის სისტემატური მომხმარებელი გახდა. იყო შემთხვევები, როცა ახალგაზრდები იღუპებოდნენ ექსტაზის ერთი დოზის მიღების შემდეგ. ექსტაზის მიღების შედეგებია:
1. მგრძნობელობის დაქვეითება,
2. დეპრესია,
3. ფსიქიური აშლილობა,
4. უძილობა,
5. საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა.

კოკაინი - ერთ ერთი ყველაზე ვერაგი ნარკოტიკი. რსებობს, როგორც ფხვნილის ისე კრისტალური სახით. კოკაინს სასუნთქი ან საყლაპავი გზების მეშვეობით მოიხმარენ. ზოგჯერ კი ყლაპავენ. ნარკომანი დედის შვილები ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებით და თანდაყოლილი დეფექტებით იბადებიან. ეს ნარკოტიკი ისევე როგორც ყველა სხვა იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას, რომლისგანაც შეუძლებელია თავის დაღწევა. კოკაინი იწვევს ეიფორიის, რომელსაც ადვილად ეჩვევიან, მაგრამ ამ ეფექტის გამეორება მხოლოდ დოზის გაზრდითაა შესაძლებელი. სიკვდილი ჰაერის უკმარისობით, ინსულტით, ინფაქტით, ტვინში სისხლის ჩაქცევით - სწორედ ეს არის კოკაინის ბედნიერების ბოლო. მიუხედავად ამისა კოკაინი კიდევ უფრო პოპულარული და ხელმისაწვდომი ხდება. ჯოჯოხეთისაკენ გზა ხსნილია.

კოკაინის მიღების შემდგომი ეფექტები:
ეიფორია,
აღელვება,
პულსის აჩქარება,
მადის დაკარგვა.

ჰეროინი - მიიღება ყაყაჩოს ღეროსაგან. უმეტეს შემთხვევაში მას ინექციით მოიხმარენ, რაც გარდა ძლიერი დამოკიდებულებისა, შიდსით დაავადების საფრთხეს წარმოშობს. პირველად ჰეროინი დამზადებული იქნა 1898 წელს გერმანიაში ფარმაკოლოგიური კომპანიის «ბაიერის» მიერ და ბაზარზე ტუ-ბერკულიოზისა და მორფის დამოკიდებულებისაგან სამკურნალო წამლის სახით მოხვდა.

გაეროს სტატისტიკის მიხედვით მსოფლიოში ჰეროინს იკეთებს 10 მლნ ადა-მიანი, რომელთაგან ამ წელს მოკვდება სამი ათასი ადამიანი. ჰეროინის 85 % მზადდება ავღანეთში და შემოსავლის რაოდენობა არის დაახლოებით 600 მლნ აშშ-ს დოლარი. უმეტეს შემთხვევაში ადამიანი არ ანებებს თავს ჰეროინს იმიტომ, რომ «ლომკის» შიში აქვს.

ჰეროინის გამოყენების თანმდევი ეფექტები:
ვენების დაშლა,
ტუბერკულიოზი,
სისხლძარღვების დაავადება,
ორგანიზმის დაშლა და ლპობა,
კომა.

დოზის  გადაჭარბების შემთხვევაში ადამიანი იღუპება.

ჩამოთვლილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გარდა არსებობს კიდევ მრავალი სახის სხვა ნივთიერებები, რომლებიც ძალზედ საშიშია ადამიანისთვის. ამ ნივთიერებათა რიცხვი დღითიდღე იმატებს და უფრო ხელმისაწვდომი ხდება.

ეხლა კი  მიმოვიხილოთ თუ რას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდე-ბლობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნარკოტიკულ დანაშაულს ეხება სსსკ-ის 33 თავი 260-274 მუხლები. ისინი მოიცავს  ისეთ საკითხებს როგორიც არის:
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკუსორის უკანონო დამ-ზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, შემოტანა, გასაღება, ნარკო-ტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.

ნარკოტიკული საშუალებების, ანალოგიის ან პრეკუსორის, აგრეთვე ფსიქო-ტროპული ნივთიერებებისა და ანალოგის დამზადების მიზნით ფარული ლა-ბორატორიის მოწყობა ან შენახვა.
ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანის წესის დარღვევა.
ექიმის დანიშნულების გარეშე ამ ნივთიერებათა გამოყენება.
იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება და სხვა.

ამ დანაშაულისათვის კოდექსი ითვალისწინებს შემდეგი სახის სასჯელებს:
ჯარიმა
გამასწორებელი სამუშაოები
საქმიანობის უფლების ჩამოღთმევა (იურიდიული პირი)
თავისუფლების აღკვეთა

მაქსიმალური სასჯელი არის უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც ითვალისწინებს 260 მუხლი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკუსორის უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდ-ვის, შემოტანის, გასაღებისათვის,

ისმის კითხვა: ნარკომანია დანაშაულია თუ ავადმყოფობა???

ამ კითხვაზე ყველას სხვადასხვა პასუხი გააჩნია.

საქართველოს კანონმდებლობაში არის კანონი «ნარკოტიკული საშუალებების, პრეკუსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ». კანონით გათვალისწინებულია, როგორც ნებაყოფლობითი (რაც ნიშნავს პიროვნების მკურნალობას შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში), აგრეთვე სავალდებულო მკურნალობას (რაც ნიშნავს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მკურნალობის ჩატარებას). აგრეთვე არის სხვადასხვა პროგრამები ნარკომანებისათვის დახმარებისა და მკურნალობის მიზნით შექმნილი.

მაგრამ საზოგადოებაში არის პროტესტის გრძნობა და ეს გამოწვეულია იმით, რომ პრაქტიკულად ეს ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო მკურნალობა არ ტარდება რადგანაც არ არის საჭირო საშუალებები და თუ კი დღესდღეობით შესული შეიძლება იყოს 100მდე განცხადება დაკმაყოფილებული იქნება 10 ხოლო დანარჩენი იქნებიან ეგრეთწოდებულ რიგში რაც ნარკომანიის გამწვავებასა და ნარკომანის იმედის დაკარგვას გამოიწვევს. ეს გამოწვეულია იმით რომ არ არის საკმარისი დაწესებულებები, ადგილები, სტატისტიკის მიხედვით დღეს საქართველოში 24000-მდე ნარკომანი არის რაც მოითხოვს სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას რადგანაც უმეტესი მათგანი ახალგაზრდები არიან.

ხოლო რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ საკითხს ნარკომანი ავადმყოფია თუ დამნაშევე უნდა ავღნიშნოთ რომ ნარკომანი არის ავადმყოფი.მაგრამ ამასთან არის პოტენციური დამნაშავე. ეს შეიძლება იმით დასაბუთდეს რომ ნარკომანია არის დამოკიდებულებითი სენი და სწორედ ამიტომ ნარკომანი ნებისმიერი გზით ცდილობს მოიპოვოს ნარკოტიკები და დოზის მიღების შემდგომ ვეღარ აკონტროლებს თავის ქცევას და არ შეუძლია განსაზღვროს თუ რას ჩადის ის. ამ დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი რომელშიც გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა ნარკომანი როგორც ავადმყოფი – მაგრამ პოტენციური დამნაშავე.

რა ზომები უნდა მივიღოთ რომ თავიდან ავიცილოდ
ასეთი მწვავე შედეგები.

კანონის გამკაცრება გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, დადებით შედეგს მოგვცემს მაგრამ აუცილებელია საზოგადოებაში შეიცვალოს ფსიქოლოგია და ხედვა ნარკოტიკული საშუალებებისადმი. საზოგადოება უნდა დავიდეს იმ დონემდე, რომ მოახდინოს ნარკოტიკებისადმი ინტერესის დაძლევა.

ჩვენი აზრით უფრო შედეგის მომცემი იქნებოდა ის, რომ არ მომხდარიყო ამ პრობლემის საზოგადოებამდე დაშვება ანუ პრევენციული მეთოდების გამოყენებით ადრეულ ეტაპზე შესაძლებელი გამხდარიყო მისი მოგვარება. მთავარია სწორად მივუდგეთ არსებულ პრობლემატურ საკითხს და სწორად შევარჩიოთ მისი აღმოფხვრის გზები. მთავარია არა მალე მიღებული შედეგი, არამედ პრობლემის გადაჭრის სწორი გზების დასახვით მივიღოთ სასურველი შედეგი.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიის როლის ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იქიდან გამომდინარე, რომ პიროვნებათა აქტიური ჩართვა ეკლესიურ ცხოვრაბაში დადებითად იმოქმედებს ადამიანის დამოკიდებულების შეცვლაზე ნარკოტიკებისადმი. ამ საკითხს თუ განვიხილავთ დროსთან მიმართებაში დავინახავთ, რომ ნარკოტიკული საშუალებებისადმი სწრაფვაზე დიდ გავლენას ახდენს

გლობალიზაციის ეტაპი. ისმის კითხვა რატომ არ ხდებოდა ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება ხშირად ადრე და რატომ ხდება დღეს?

თუ დავაკვირდებით ისტორიულად საქართველოს განვითარებას 80-იან წლებში ამ პერიოდის მონაცემებით ძალიან მცირე იყო ნარკომანიასთან დაკავშირებული ფაქტები, მითუმეტეს, რომ ეკლესიის როლი გაცილებით შესუსტებული იყო, მაინც რასთან გვაქვს საქმე?

ეს იმის გარკვევის საშუალებას გვაძლევს, რომ საქართველოში მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან ნარკოტოკების შემოსვლა საბჭოთა პერიოდში ფაქტიურად არ ხდებოდა, ხოლო რაც შეეხება ტრანზიტულ ქვეყნებს 80-იან წლებში არ იყო საზღვრები გახსნილი ისე როგორც არის დღეს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში დღეს არსებული ნარკოტიკული საშუალებების უმეტესი ნაწილი შემოდის არა მოსაზღვრე ქვეყნებიდან, არამედ ტრანზიტული გზით.

*მარი ჩხაიძე, ნანა ჯაყელი, ანა კორინთელი*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები*

*მარი ჩხაიძე, ნანა ჯაყელი, ანა კორინთელი*

## ნარკომანია, დანაშაულის ზღვარზე მყოფი ავადმყოფობა

### რეზიუმე

ჩვენი თემა შეეხება მთელი მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს დიდ პრობლემას – ნარკომანიას. ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო მისი არსი და განგვესაზღვრა ის მიზეზები თუ რის გამო მოიხმარენ ადამიანები, უმეტესწილად ახალგაზრდები ნარკოტიკებს. ეს მიზეზებია: ნარკოტიკებისადმი ინტერესი, მძიმე სოციალური მდგომარეობა, მცდელობა დაივიწყონ ყოველდღიური პრობლემები. ისინი თვლიან, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნით გადაწყვეტენ ყველა პრობლემა, რადგან როდესაც ისინი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არიან ქვეყანას ვარდისფერ ფერებში ხედავენ. თემაში ჩვენ გვაქვს მოცემული ნარკოტიკული საშუალებების კლასიფიკაცია, მათი აღწერა, ეს ნარკოტიკებია: ჰაშიში, ჰეროინი, კოკაინი და ა.შ.

აღნიშნულ თემაში ჩვენ მიმოვიხილეთ ნარკომანიის შესახებ და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ქართული საკანონმდებლო ბაზა და ჩამოვთვალეთ რამდენიმე გზა თუ როგორ დავამარცხოთ ნარკომანია, ესენია: ეკლესია, კანონის გამკაცრება, ნარკომანთა დახმარების სხვადასხვა პროგრამები, და ნარკომანთა სამკურნალო ცენტრები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები.

*Мари Чхаидзе, Нана Джакели, Анна Коринтели*

## Наркомания, болезнь на грани преступности

### Резюме

Наша тема - о проблеме, перед которой стоит целый мир, а также Грузия - наркотики. Мы попробовали перечислить причины, почему люди, особенно молодые, подростки становятся потребителями наркотиков. Причинами являются главным образом: интерес к наркотикам, трудная социальная ситуация, попытка забыть повседневные проблемы. Наркоманы думают, что получение дозы решит их проблемы, потому что, когда они под воздействием наркотиков, они видят мир в красивых цветах. В теме мы даём классификацию, и описание наркотиков: гашиш, героин, кокаин и другие наркотики.

В теме рассмотрено грузинское законодательство относительно наркотиков и борьбы с наркоманией и перечислены некоторые пути, борьбы с наркоманией: церковь, ограничение закона, программы помогающие наркоману, большое количество лечебных учереждений и центров для наркоманов.

*Mari Chkhaidze, Nana Jakheli, Ann Korinteli*

## Drug addiction, illness on the verge of crime

### The Summary

Our theme is about the problem that the whole world and also Georgia is facing –it is Narcotics. We tried to list the reasons why people, particularly young people, teenagers are becoming drug edicts. Those reasons are mainly: interest in drugs, hard social situation, attempt to forget day to day problems. They think that when they are intoxicated (not sober) they will solve their problems, because when they're high they see the world in beautiful colors. In the theme we have the classification, and description of narcotics, those are: hashish, heroin, cocaine and other drugs.

In the theme we have reviewed Georgian legislation regarding narcotic and combat against drugs and listed some ways how we can fight and defeat drugs, those are: Church, restriction of law, programs assisting drug addict, more hospitals and centres for the drug addicts.

*ეკატერინე ჩხაიძე, დარინა მუთიძე*

## ნარკომანია და ნარკომანიით დაავადებული ადამიანების კრიმინოლოგიური დახასიათება

დღესდღეობით არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა ახალგაზრდა თაობის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, რაც მათი კრიზისული სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაში ყოფნით არის გამოწვეული. ბავშვები მოცილებულნი არიან ოჯახურ გავლენას, დანგრეულია ქცევის უწინდელი სტერეოტიპები, შეცვლილია ღირებულებითი სისტემა.სოციალური გარემოს მზარდმა მოთხოვნებმა შექმნა მასობრივი ფსიქოემოციური დაძაბულობის ატმოსფერო, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა ახალგაზრდებსა და არამარტო მათ შორის ნარკოტიკების მოხმარების კატასტროფული გავრცელება. ამ ფონზე მოიმატა სოციალური დაავადებების სიხშირემაც, რომელთაგან აღსანიშნავია ნარკომანია.

ექსპერტთა მონაცემებით საქართველო ნარკომანთა რაოდენობით ევროპასა და აზიაში ლიდერია. ა.შ.შ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში 250-350 ათასამდე ნარკოტიკის მომხმარებელია. მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ევროპასა და აზიასთან შედარებით ყველაზე მეტი ნარკომანია.

სტატისტიკის მიხედვით ნარკოტიკების მომხმარებელ პატიმართა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. 2007წლის 5 თვის განმავლობაში ნარკოტიკული ზემოგმედების დროს ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს 500 პირი, მათ შორის 491 მამაკაცი, 4 ქალი და 5 არასრულწლოვანი.

გამოკითხულ ნარკომანთა უმრავლესობა ნარკოტიკის მოხმარების მიზეზად უმუშევრობას, ცუდ სოციალურ პირობებს, იმედგაცრუებას, უბრალოდ სიამოვნების სურვილს ან უნებისყოფობას ასახელებს. ნარკომანი ცდილობს ადამიანთა შორის ნეგატიურ ურთიერთობებისაგან თავის დაღწევას, სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე ომის, ‘’მე’’-სა და “არა მეს” შორის შერკინების შედეგად სულიერი ქარიშხლის

ერთგვარ შენელებას, გამოუვალ მდგომარეობასი მყოფი ადამიანი ნარკოტიკების საშუალებით აღწევს ამას – ხვდება ილუზიების, ჰალუცინირებულ სამყაროში. იგი დროებით მშვიდდება, რადგან იკმაყოფილებს ბიოლოგიურ მოთხოვნებს და მეორეს მხრივ, მირაჟების სამყაროში ყოფნის დროს აღწევს სულიერ სიმშვიდეს,მაგრამ ეს ყოველივე მოჩვენებითია. ნარკოტიკული საშუალების მრავალჯერადი გამოყენების შედეგად ყალიბდება დამოკიდებულება პიროვნებასა და ფსიქოაქტიურ საშუალებას შორის.

“შენ ფიქრობ, რომ შეგიძლია აკონტროლო ნარკოტიკების მიღება, მაგრამ ერთდილას გაიღვიძებ და მიხვდები, რომ შენ მის კლანჭებში ხარ. მაგრამ შეიძლება გვიან იყოს!!! შენ უკვე დაავადებული ხარ !

ცნობილი ქართველი ფსიქიატრი, აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი ნარკომანს შემდეგნაირად ახასიათებს: „ამ ავადმყოფობით გამოწვეული ყველაზე დიდი უბედურება და კატასტროფა ის არის, რომ ნარკომანიის შემთხვევაში, პირველ რიგში და უპირველეს ყოვლისა პიროვნება კარგავს ყველაზე დიდ საუნჯეს, იწყება მისი გადაგვარება, მორალური დეფექტი, ზნეობის დაქვეითება და ბოლოს მისი შინაგანი სინდისის ხმის სრული მოსპობა-განადგურება, ამიტომ ნარკომანიას მე განვიხილავ, როგორც მორალის და ზნეობის ავადმყოფობას”

ნარცომან ა ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მოხმარებით გამოწვეული დაავადებაა, რის შედეგადაც ფიზიკურად ინგრევა, ავადდება ადამიანის ორგანიზმი, სულიერად ჩანაგდება პიროვნება, იცვლება მისი ცხოვრების წესი და საგრძნობლად მცირდება მისი სასიცოცხლო წლები.

ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეუძლიათ იმდენად ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ტვინზე, რომ შეცვალოს აღქმა და სამყარო სრულიად სხვაგვარად წარმოადგინოს. იგი ასტიმულირებს, ამშვიდებს აბრუებს, იწვევს ჰალუცინაციებს და ეიფორიას. ზემოქმედება დამოკიდებულია ნარკოტიკული საშუალების შემადგენლობაზე და თვითონ მომხმარებელზე, მის განწყობაზე და გარემოცვაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა გამოკითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სტუდენტების მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ. გამოკითხული იქნა 500-მდე სტუდენტი 17-23 წლის ასაკობრივ ინტერვალში. ახალგაზრდებში ყველაზე მოხმარებად ნარკოტიკულ საშუალებად დასახელდა მარიხუანა (ჰაშიში, პლანი). სტუდენტ გოგონებში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების მაჩვენებელი ძლიერ უმნიშვნელოა, მხოლოდ რამოდენიმე ამის შემდეგ გამოკითხვა ჩავატარეთ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებთან. გამოკითხულ ნარკომანთა უმრავლესობა ნარკოტიკის მოხმარების მიზეზად უმუშევრობას, ცუდ სოციალურ პირობებს, უბრალოდ სიამოვნების სურვილს ან უნებისყოფობას ასახელებს.ნარკომანია, სამწუხაროდ, ისეთი სენია, რომელიც ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეეყაროს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ საქართველოში ნარკომანია არ ითვლება მძიმე დაავადებად. არ თვლიან ახალგაზრდები, რომ ამით ისინი დაავადდებიან და გართობის, პრესტიჟის, მოდურობისათვის ხდებიან ნარკომანები.კლუბური ცხოვრება და დისკოტეკა ვერ წარმოუდგენიათ ნარკოტიკების გარეშე. ეს იმის ბრალია, რომ ინფორმაციის ნაკლებობაა საზოგადოებაში. ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი ძალიან ცუდადაა დაყენებული საჭიროა აქტიური თანამშრომლობა მედიასთან, რომ გაშუქდეს ასეთი საკითხები. საქართველოში დღემდე მოდის იმაზე დავა, ნარკომანი კრიმინალია თუ ავადმყოფი. 20წელია ეს დებატები არ დამთავრდა. იმისთვის, რომ შემცირდეს ნარკომანტა რაოდენობა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მძიმე ავადმყოფებზე და ამასთან არ უნდა არსებობდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ჯარიმები, რადგან როდესაც ისინი წამლის ფულს ძლივს შოულიბენ, ზოგჯერ კი ფულის შოვნას ქურდობით და ძარცვით ცდილიბენ,

ჯარიმის გადასახდელად ისინი კვლავ მიმართავენ ამავე ხერხს. ჯარიმებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად, მგონი აჯობებდა მათი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება.

ნარკომანთა რაოდენობა ჯაჭური პროგრესიით იზრდება. ნარკომანია არის სახელმწიფოს პრობლემა. ეს არის „ფრინველის გრიპი" რომელსაც სახელმწიფო ებრძვის, ნარკომანია გრიპზე უარესი ეპიდემიაა, რომელსაც მოაქვს შიდსი, C-ჰეპატიტი, ინვალიდობა და ა.შ.

ნარკომანია ქვეყანას აუნაზღაურებელ დანაკლის აყენებს.

შემთხვევით არ არის, რომ საქართველოს მართმადიდებლურმა ეკლესიამაც უმთავრეს პრობლემად ნარკომანია დაასახელა. მართალია ის ბევრ სხვა ქვეყანას აწუხებს, მაგრამ ამან საქართველოში განსაკუთრებით საგანგაშო ფორმები მიიღო-იზრდება ნარკომანია საერთო რიცხვი მოზარდებში, მატულობს მომხმარებელთა რაოდენობა ქალებსა და გოგონებსაც შორის.სენი ახალგაზრდავდება და ღუპავს როგორც ცალკეულ ინდივიდებს ხორციელად და სულიერად, ასევე მთელ ქვეყანას უფსკრულისკენ ექაჩება. ქართველ ექს-

პერტთა შეფასებით. ქვეყანაში 200ათასზე მეტი ნარკომანია. ასევე თეორიული შეფასებით (რადგან სოციალური კვლევები უსახსრობის გამო ვერ ჩატარდა). 35-40 ათასი დამოკიდებული ავადმყოფია, რომელიც რეგულარულად მოიხმარს ნარკოტიკებს სამწუხაროა, რომ დღეს ნარკომანიის სამკურნალოდ პრაქტიკულად თანხებს არ გამოყოფს სახელმწიფო. ამიტომ ბევრი ნარკომანი პაციენტისთვის მკურნალობა მიუწვდომელია., არასაკმარისია სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობა (თბილისის ყველა კლინიკაში რიგებია), არ არსებობს სარეაბილიტაციო კლინიკები და სოციალური დახმარების სერვისი, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანს, ნარკოტიკების შეწყვეტის შემდეგ თავი დაემკვიდრებინა, თავისი ადგილი ეპოვა და საქმე გამოენახა.

ნარკოტიკი ნარკომანი ადამიანის ცხოვრების წამალია რომლის ზემოქმედების დროსაც ადამიანი სხვა ცხოვრებაში გადადის და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა

მათთვის, თუ როგორი შეხედულება აქვს მათზე ხალხს მაგრამ არის კატეგორია, რომლისთვისაც ნარკომანია უკვე ავადმყოფობაა, ზოგისთვის განკურნებადი და თვლიან, რომ ნარკოტიკის გადაგდება მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს შეუძლებელია ნარკომანი აბსოლიტურად ყველაფერზე წავა, ოღონდ წამალი იშოვოს და ე.წ. „ლომკა" დაიკმაყოფილოს. ის ფსიქიკას 99% წამალი მართავს.

ჩვენ შევძელით რამდენიმე ნარკომანს გავსაუბრებოდით.
27 წლის მამაკაცი პაატა:
– რა ასაკში დაიწყე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება?
– 17 წლისამ გავიკეთე პირვლად „გერაინი", პლანს არ ვეწეოდი
– რამ გიბიძგა მისკენ?
– ხალხის წრემ და ინტერესმა
– რას დაარქმევდი ნარკოტიკს შენს ცხოვრებაში მავნე ჩვევას თუ ავადმყოფობას?
– მავნე ჩვევასაც და ავადმყოფობასაც
– რა შეცვალა ნარკოტიკმა შენს ცხოვრებაში?
– ბევრი რამე, ნარკოტიკების მოხმარების შემდეგ ჩემი ცხოვრება უკან-უკან წავიდა
– გაგაჩნია თუ არა სინანულის გრძნობა ნარკოტიკებთან მიმართებაში?
– კი, ნარკოტიკი ანგრევს ადამიანს როგორც ფიზიკურად ისე სულიერად
– გქონია თუ არა მცდელობა თავი დაგენებებინა ნარკოტიკებისთვის?
– მრავალჯერ, მგონი ეხლა საბოლოოდ შევეშვი უფლის დახმარებით
– შეუძლია თუ არა ნარკომანს თავი დაანებოს ნარკოტიკების მოხმარებას და როგორ?
– კი, შეუძლია უფლის დახმარებით და ნებისყოფით
– როდის ხდება ნარკომანი ავადმყოფი?
– როცა წამალზე დამოკიდებული ხდება
– უნდა არსებობდეს თუ არა ნარკომანისათვის ფულადი ჯარიმის და სისხლის

სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება?
– არ უნდა იყოს, ნარკომანს უნდა უმკურნალი და არა დაიჭირო
– დრო რომ დაბრუნდეს ნარკოტიკს ისევ გასინჯავდი?
– რა
– რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?
– ჭარსულს
– რას აპირებ მომავალში?

– თავი უკვე დავანებე და ვეცდები აღარ გავეკარო წმალს
– რას ურჩევ ახალგაზრდებს ნარკოტიკებთან დაკავშირებით?
– არ გაეკარონ წამალს
– თუ მოგიპარავს ნარკოტიკების გამო რამე?
– კი, ნივთები, ფული, მანქანები
– რა შეგრძნება გაქვს ნარკოტიკების მიღებისას?
– მაგარი კარგი შეგრძნებაა.
– შენ, რომ მამა იყო, რითი დაეხმარებოდი ნარკომან შვილს?
– ვუმკურნალებდი და დავეხმარებოდი გამოჯანმრთელებაში.
– დაავადდით თუ არა ნარკოტიკების მოხმარებისას რაიმე დაავადებით (შიდსი, ჰეპატიტი.)
– კი, ჰეპატიტით.
– ბოლოს როდის გაიკეთეთ?
– ექვსი თვის წინ.
– შენთვის თუ დაუკისრებიათ ფულადი ჯარიმა ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარების გამო?
– კი, ფულადი ჯარიმაც და ახლა პირობითი მაქვს მისჯილი.

აღსანიშნავია, ისიც რომ პაატამ სამი თვე მონასტერში გაატარა, და ის ამ ფაქტს მიიჩნევს თავისი ცხოვრების უკეთესისკენ შეცვლის საფუძვლად.
23 წლის მამაკაცი გიორგი.
– რა ასაკში გასინჯე ნარკოტიკი?
– 18 წლის ასაკში “ჰეროინი”
– რამ გიბიძგა მისკენ?
– ინტერესმა და ხალხის წრემ.
– რა შეცვალა ნარკოტიკმა შენს ცხოვრებაში?
– ჩემი ცხოვრება უკან უკან წაიყვანა.
– რას დაარგმევდი ნარკოტიკს შენს ცხოვრებაში მავნე ჩვევას თუ ავადმყოფობას?
– ორივეს, უფრო აზარტია.
– შეუძლია თუ არა ნარკომანს თავი დაანებოს ნარკოტიკს?
– გარკვეული დროით დაანებებს, მაგრამ სამუდამოდ არა მგონია თავი დააღწიოს ამ ჯოჯოხეთს.
– როდის ხდება ნარკომანი ავადმყოფი?
– ნარკოტიკის გაკეთების პირველივე დღიდან.
– თუ მოგიპარავს ნარკოტიკების გამო?
– კი.
– რა შეგრძნება გაქვს ნარკოტიკების მიღებისას.?
– ძალიან მაგარია, აღწერა შეუძლებელია.
– როდის გაიკეთე ბოლოს?
– დაახლოებით ორი კვირის წინ, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა პასიური ნარკომანი ვარ, რადგან ღმერთის დახმარებით იშვიათად ვიკეთებ უკვე და ალბათ ნელ-ნელა თავს სამუდამოდ დავანებებ.

17 წლის გოგონა ქეთი (აბიტურიენტი)
– რა ასაკში დაიწყე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება?
– 15 წლის ასაკში.
– რამ გიბიძგა მისკენ?
– ცუდმა სიტუაციამ.
– გაგაჩნია თუ არა სინანულის გრძნობა?
– კი.

– გქონია თუ არა მცდელობა თავი დაგეღწია ნარკოტიკებისათვის?
– კი, წამალს ვსვავდი “ლომკის”მოსახსნელად.
– შეუძლია თუ არა ნარკომანს თავი დაანებოს ნარკოტიკს?
– ნაწილობრივ დაანებებს, მეგობრების დახმარებით და მკურნალობით.
– დრო რომ დაბრუნდეს კიდევ გასინჯავ ნარკოტიკს?
– არა.
– რას აპირებ მომავალში?
– გამოსწორებას, ცხოვრებას ნარკოტიკების გარეშე.
– რას ურჩევ ახალგაზრდებს ნარკოტიკებთან მიმართებაში?
– არასოდეს გაიკეთონ.
– თუ მოგიპარავს ნარკოტიკების გამო რამე?
– კი, ფული, მანქანა.
– შენ რომ დედა იყო რა რეაქცია გექნებოდა ნარკომან შვილზე?
– ძალიან ცუდი, მაგრამ ყველანაირად დავეხმარებოდი გამოჯანმრთელება-ში.
– შენს ოჯახში იციან ნარკოტიკებს რომ მოიხმარებ?
– არა.
– ბოლოს როდის გაიკეთე?
– ოთხი თვის წინ და იმედი მაქვს აღარასოდეს გავიკეთებ.

35 წლის ბერი.
– რა ასაკში გაიკეთე პირველად ნარკოტიკი?
– 17-18 წლის ასაკში გავიკეთე თვითონ წამალი, მანმადე “პლანს”ვეწეოდი.
– რამ გიბიძგა ნარკოტიკებისაკენ?
– როგორც ავღნიშნე სანამ წამალის გაკეთებას დავიწუებდი ვეწეოდი “პლანს”, შემდეგ იგი უკვე აღარ მაკმაყოფილებდა, რადაც უფრო ძლიერი მინდოდა და გადავედი უკვე ნარკოტიკების მოხმარებაზე.
– როგორ შეიძლება ადამიანმა თავი დააღწიოს ნარკოტიკების მოხმარებას?
– ადამიანმა შეიძლება თავი დაანებოს ნარკოტიკების მოხმარებას, მხოლოდ ღმერთის დახმარებით. მე პირადად რვა წელია მონასტერში ვცხოვრობ, სამი წელია უკვე ბერად აღვიკვეცე და ამ ხნის მანძილზე უკვე აღარ მო-მიხმარებია ნარკოტიკული საშუალებები ღმერთის შეწევნით და დახმარე-ბით
– თვლით თუ არა თავი დააღწიეთ ნარკოტიკების მოხმარებას?
– მე როგორც ავღნიშნე უკვე აღარ მოვიხმარებ ნარკოტიკულ საშუალებებს, აღარც სურვილი მაქვს მისი მოხმარების, არც ორგანიზმი მოითხოვს, მა-გრამ ტვინში მაინც რაღაც მღრნის, მაგრამ მე მაინც აღარ ვიკეთებ უკვე რვა წელია.შეიძლება ითქვას თავი დავაღწიე.
– რას ურჩევ ახალგაზრდებს ნარკოტიკებთან დაკავშირებით?
– ვთხოვ არასოდეს გაიკეთონ ნარკოტიკი, რადგან თუ ერთხელ გაიკეთეს, უკვე ძნელია თავის დაღწევა. ნარკოტიკების გაკეთება, იგივეა, რაც ჭაობში შესვლა, როგორც ჭაობიდან გამოსვლა თითქმის შეუძლებელია, ისევეა ნარკოტიკებისთვის თავის დაღწევა. ერთადერთი ჩემი თხოვნა იქ-ნება იარონ ეკლესიაში, ილოცონ და ღმერთი დაეხმარება მათ. მთავარი მონდომებაა და ღმერთი ყოველთვის დაგეხმარება. მრავალი ადამიანი მინახავს ნარკომანი, რომლებმაც ღმერთის დახმარებით თავი დააღწიეს ნარკოტიკების მოხმარებას და დღეს ეკლესიურ ცხოვრებას ეწევიან, უმე-ტესობა ბერად აღიკვეცა. კარგი იქნება თუ ილოცებთ ნარკომანი ადა-მიანებისათვის ლოცვა დაეხმარება მათ გამოჯანმრთელებაში.

მთელ მსოფლიოში გავრცელებულ სენს, ე.წ. ნარკომანიას, სამწუხაროდ საქართველომაც გვერდი ვერ აუარა. რა არის ეს? საშუალება, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს, თუ რეალობიდან გაქცევა, რომელშიც შენ ცხოვრობ.

ნარკომანები – ადამიანები, რომელთაც ყველანი არ სცნობენ, რომელთაც ფეხქვეშ თელავენ და ყოველ წუთს აძაგებენ მხოლოდ იმიტომ რომ, მათი აზრით, ნარკომანებს არ აქვთ უფლება, წამოაყენონ თავიანთი მოთხოვნები, პრინციპები. არავის აინტერესებს, რატომ მიმართავენ ისინი ამ საშუალებებს, რატომ იგდებენ თავს საფრთხეში, ხომ იციან, რომ ეს მათ სიცოცხლეს სავალალო შედეგამდე-აღსასრულამდე მიიყვანს. ამ კითხვაზე პასუხი ძნელად თუ მოიპოვება, ძნელად თუ გაარკვევ მიზეზს, თუ რატომ ებმებიან ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ნარკომანები და თვით დაუმარცხებელი სიკვდილი. ცხოვრება რთულია თუ ადამიანმა რამდენიმე სირთულე გადალახა, იგი არც შემდეგს შეუშინდება, მაგრამ თუკი ყველაფერს დაივიწყებს და გაუვნებლობის მიზნით ეიფორიას მიეცემა, ვინ იცის, მიაღწევს კი მისი გონება ახალ წინააღმდეგობამდე, თუ მისი სირთულე მხოლოდ იმით შემოიფარგლება, თუ როგორ მიეცეს კვლავინდებურ ეიფორიას. ადამიანი ცხოვრობს იმისთვის, რომ გადალახოს ღმერთისგან ბოძებული სირთულეები და ამით დაიმკვიდროს ადგილი სასუფეველში, მაგრამ ისინი, რომლებიც ცდილობენ გაექცნენ რეალობას და თავს ნარკომანიის ნიღბით იფარავენ, მხოლოდ საბედისწეროდ არიან განწირულნი.

ისინი ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ჩადიან უამრავ სისაძაგლეს: იპარავენ, კლავენ, ყიდიან საკუთარ ქონებას და ახლობლებსაც არ ინდობენ, მაგრამ, რატომ, რას ეძებენ მასში?! ხალხი დაუნდობელია, მათში უამრავი ბოროტი და ირონიული კითხვაა: ამდენი ფული აქვს და რა უნდა გასჭირვებოდა? ასეთ მამიკოს შვილს ყველაფერი გარანტირებული აქვს და რა ედარდება? მაგრამ იქნებ საქმე ფულში კი არა, მათშია. მათ, სითბო, ალერსი და ადამიანთა ნორმალური დამოკიდებულება ესაჭიროებათ და არა ფული, რაც მათ მხოლოდ ნარკომანობისკენ უბიძგებთ.

სინამდვილეში ნარკომანებიც ისეთივე ადამიაები არიან, როგორც ჩვენ, ამიტომ მათ უნდა დავეხმაროთ ამ სენის დაძლევაში. ნარკომანი დამოკიდებული არის წამალზე, მაგრამ, თუ თვითონ მოინდომებს და გარშემომუოფნიც დაეხმარებიან, ისინი აუცილებლად განიკურნებიან.

***ეკატერინე ჩხაიძე, დარინა მუთიძე***
***გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის***
***იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები***

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საერთაშორისო ფონდთან არსებული „ანტინარკოტიკული ცენტრი" www.Orthodox.ge
2. სტატისტიკის დეპარტამენტი www.statistic.ge

*ეკატერინე ჩხაიძე, დარინა მუთიძე*

## ნარკომანია და ნარკომანიით დაავადებული ადამიანების კრიმინოლოგიური დახასიათება


### რეზიუმე

ეს ნაშრომი ეხება ნარკომანიას და ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს. ეს სენი ახალგაზრდავდება და ღუპავს როგორც ცალკეულ ინდივიდებს ხორციელად და სულიერად, ასევე მთელ ქვეყანას უფსკრულისაკენ ექაჩება. ნარკომანთა რაოდენობა ჯაჭვური პროგრესიით იზრდება, ნარკომანია არის სახელმწიფოს პრობლემა. იგი ქვეყანას აუნაზღაურებელ დანაკლისს აყენებს. სახელმწიფომ კარგად უნდა გაიაზროს თუ რა საფრთხე ემუქრება ადამიანებს თუ სასწრაფოდ არ აღმოფხვრავს ამ დამღუპველ სენს. ასევე ეს ნაშრომი ეხება პირადად ნარკოტიკების მომხმარებელ ადამიანებს და გზებს რითაც შეიძლება ამ სენის თავიდან აცილება.


*Екатерина Чхаидзе, Дарина Мутидзе*

## Криминальная характеристика наркомании и больных наркоманов


### Резюме

Данная работа посвящена наркомании и людям, которые больны наркоманией, а также как можно избавитъся от этой болезни.

Эта болезнъ молодая и губит тело и душу, как отделъных индивидуумов, так и всю страну ведет к пропасти. Число наркоманов увеличивается по цепной прогрессии. Наркомания это государственная проблема. Она наносит безвозмездный урон стране. Государство должно осмыслитъ какую опасностъ несет людям наркомания, если быстро не искоренитъ эту пагубную болезнъ.


*Ekaterina  Chaidze, Darina Mutidze*

## Criminological characteristic of drug addiction and drug abusers


### The Summary

This labour is about drugs and diseases of drug users. This disease is getting younger day after day ruining as separate individuals as all the universe killing their corporal and moral values.

The quantity of drug users is increasing as the chain progress. This is also a big problem for the government, because this illness brings an irreparable losses.

The state must consider what danger will threat a person who uses this poison and the government has to eradicate this problem as soon as possible.

Besides, this work is about drug users and about the ways how to avoid this disease.

*ბექარ ქოჩიაშვილი*

# ნარკობიზნესის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

"ნარკოტიკი" ბერძნული სიტყვაა და გაშეშებას ნიშნავს,. ნარკოტიკების შესახებ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ასურეთსა და საბერძნეთში იცოდნენ. მე-19 საუკუნის ბოლომდე, ნარკოტიკები საერთაშორისო პრობლემას არ წარმოადგენდა და ძირითადად ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყანაში იყო გავრცელებული. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, როდესაც სატრანსპორტო საშუალებები და საერთაშორისო ვაჭრობა განვითარდა, დაიწყო ნარკოტიკების გავრცელება მთელს მსოფლიოში და დღეს, სამწუხაროდ, არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული ამ საფრთხისაგან.

ნარკოტიკების უკანონო გავრცელება არალეგალური ბიზნესის ერთ–ერთი ყველაზე მომგებიანი ფორმაა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მსოფლიოში ნარკოტიკების გასაღების ბაზრებისა და მარშრუტების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო.

საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში, ნარკოტიკების მოხმარების ზრდის ტენდენცია აღინიშნა. ნარკოსაქმოსნებისათვის კი განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საქართველო, რომელსაც შავი ზღვით ევროპაზე აქვს გასასვლელი, ხოლო კავკასიის ქედის საიდუმლო ბილიკებით რუსეთს უკავშირდება. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის არ გავრცელებამ, დანაშაულებრივ კლანებს საშუალება მისცა, საქართველო ექციათ ნარკოტიკების ნაკადის ტრანზიტულ არხად. რომლის გავლითაც ნარკოტიკები ავღანეთიდან და შუა აზიიდან ევროპასა და დსთ–ს ქვეყნებში ხვდება. ამასთანავე, თავად საქართველოში ნარკომანია ერთ-ერთი თანამედროვე პრობლემათაგანია. სხვადასხვა წყაროებში იუწყებიან, რომ ქვეყანაში ნარკოტიკებს 250 000-მდე ადამიანი მოიხმარს, ხოლო ნარკობიზნესის ყოველწლიური ბრუნვა 1 (ერთ) მილიარდამდე აშშ დოლარია. ნარკომანიაში ფართოდაა ჩათრეული ახალგაზრდობა, ასევე სახელმწიფო მოსამსახურეები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებიც. სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემების თანახმად, ნარკოტიკების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას და გასაღებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ასევე მატულობს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოცემული დანაშაულის ბრალდებით გასამართლდნენ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იზრდება ძლიერმოქმედი ნარკოტიკების (ჰეროინი, კოკაინი და სხვა) მომხმარებელთა რიცხვიც.

ნარკოტიკების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით ფინანსდება ყველა ტერორისტული ორგანიზაცია, მათ შორის, ოსამა ბინ ლადენის ორგანიზაცია " ალ–ქაიდა". ტერორისტებისათვის ფული სწორედ ქუჩაში, მათ შორის აქ, საქართველოში, გაყიდული ნარკოტიკებით მიღებული შემოსავლით იკრიბება. ვარდების რევოლუციის შემდეგ შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ, ამას ადასტურებს სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ და პრეზიდენტის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ გამოთქმული მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაგ: "ნულოვანი ტოლერანტობა". აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც ძირითადად ჯარიმის ოდენობის გაზრდაში აისახა, მე ვთვლი, რომ ეს არის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმწიფოს არასწორი მიდგომაა დანაშაულის პრევენციის

თვალსაზრისით, რაც რეალურად უკუშედეგს იწვევს, რადგან დაჯარიმების შედეგად ნარკოტიკების მომხმარებლებს ექმნებათ მძიმე ეკონომიკური პრობლემები და ამის გამო ჩადიან დანაშაულს. როდესაც სახელმწიფო ითხოვს, რომ ნარკომანია შემცირდეს, მან უნდა შექმნას შესაბამისი სარეაბილიტაციო ცენტრები, რაც ალბათ ყველაზე ეფექტური ბრძოლის მეთოდია ნარკომანიის წინააღმდეგ.

*ბექარ ქოჩიშვილი*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის*
*უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ( 2007 წლის 5დეკემბრის მდგომარეობით).
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი .
4. საქართველოს კანონი “ ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”.
5. საქართველოს კანონი “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”.
6. ავტორთა კოლექტივი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში.
7. ჯ. ჯანაშია – XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი 2001წ.

*ბექარ ქოჩიაშვილი*

## ნარკობიზნესის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

### რეზიუმე

თემა ეხება ნარკოტიკების უკანონო გავრცელებას, რომელიც არალეგალური ბიზნესის ერთ–ერთი ყველაზე მომგებიანი ფორმაა. თემაში აღნიშნულია, რომ ნარკოსაქმოსნებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საქართველო, რომელსაც შავი ზღვით ევროპაზე აქვს გასასვლელი, ხოლო კავკასიის ქედის საიდუმლო ბილიკებით რუსეთს უკავშირდება. ავტორი აღნიშნავს, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატება ძირითადად ჯარიმის ოდენობის გაზრდაში. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმწიფოს არასწორი მიდგომა და ამ მიზნით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი თავიდან აცილების კუთხით მუშაობას.

*Бекар Кочиашвили*

## Правовые и криминологические аспекты наркобизнеса

### Резюме

Тема касается незаконного распространения наркотиков. В работе высказано мнение, что Грузия является особо привлекательным для наркобизнеса, из за прохода через Чёрное Море к Европе и через Кавказскую горную цепь на Россию. После «Революции Роз», после ужесточения государственной политики по отношению к данным преступлениям, санкции в основном выявились в увеличении штрафа.

*Bekar Kochiashvili*

## Legal and criminological aspects of narcobusiness

### The Summary

The theme concerns illegal spreading of drugs. In work it is told that Georgia is especially attractive for narcobusiness, because of the path through Black sea to Europe and through the Caucasian mountain range to Russia. After the revolution of rose it is noticeable exasperation of a state policy under the attitude of a narcotic crime, which is basically shown in increasing of the penalty.

*ამირან მოსულიშვილი*

## მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში

ნარკობიზნესი საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, როგორიცაა: ტერორიზმი, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა და ა.შ.

მსოფლიოს კრიმინოგენური სიტუაციის ანალიტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ პერიოდში კრიმინალური გაერთიანებები ნარკოტიკების სატრანზიტოდ ეძებენ ახალ გზებს, ახალ მარშრუტებს, რომელთა შორისაც ისინი ერთ-ერთ უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. „კავკასიურ მარშრუტს," რომელიც სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზეც გადის.

საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით დღეს მეტად რთულ მდგომარეობაშია, მისი იურისდიქცია ცნობილი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ფაქტობრივად არ ვრცელდება ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე (ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი). ათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და საკუთარ სამშობლოში დევნილი ან იძულებით გადაადგილებული პირი გამხდარიყო, ამასთანავე მკვეთრად იმატა მოსახლეობის იძულებითმა მიგრაციამ, რამაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. მკვეთრად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. საქართველოს ის ტერიტორიები, სადაც არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია, სეპარატისტებისა და დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ მოხერხებულად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის უკანონოდ გადასაზიდად.

საქართველოში ნარკოტიკების უკანონო შემოტანის ძირითად მიმართულებებად ითვლება მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია (დაღესტანი) და საქართველოს მიერ ფაქტობრივად არაკონტროლირებადი ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

დღეისათვის საქართველოში კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული სირთულეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებმა კიდევ უფრო გააქტიურეს საქმიანობა ამ მიმართულებებით, რამაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სტატისტიკურ მაჩვენებელშიც ჰპოვა ასახვა. ნარკოდანაშაულის რაოდენობასთან ერთად განუხრელად იზრდება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობები და მათი ოდენობის მაჩვენებლები.

ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემა საქართველოში ხასიათდება მისი მუდმივი ზრდის ტენდენციით. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა თუ სხვა სახის სიძნელეებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებს, მისი ჩქარი ტემპებით მატებასა და ამ ფონზე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელ პირთა რაოდენობრივად ზრდასაც.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ პირთა სოციალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმეტესი ნაწილი უმუშევარია. ყოველწლიუ-

რად იზრდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გამო გასამართლებულ პირთა რაოდენობა.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველო ნარკომანიით უკიდურესად მძიმედ დაზიანებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე საკამათოდ შეიძლება იქნას მიჩნეული ზოგი მეცნიერისა და საზოგადოების გარკვეული ფენის მოსაზრება ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვის, მისი არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის სფეროში სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, სწორედ ამან განაპირობა დღეისათვის ის გარემოება, რომ კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

ნარკოტიკული დანაშაული იმით განსხვავდება პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყველა სხვა დანაშაულისაგან, რომ ზიანი ადგება არა მარტო კონკრეტულ პირს, არამედ მოქალაქეთა დიდ ნაწილს. სწორედ ამიტომაც, ნარკოტიკული დანაშაულის უშუალო ობიექტად მოსახლეობის ჯანმრთელობას მივიჩნევთ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დამნაშავეობა ადამიანთა სოციალური ქცევების ერთობლიობაა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებას და გამოიხატება დაწესებული სამართლებრივი ნორმების დარღვევაში, პრაქტიკა კი გვიჩვენებს რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულს მთლიანად დანაშაულის საერთო მოცულობაში, თავისი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმებამ შესაძლოა გამოიწვიოს არა მარტო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის რაოდენობრივად ზრდა, არამედ ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ზრდაც.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ნარკოტიკების ლეგალიზაციის იდეის მომხრეთა გააქტიურების ტენდენცია, რომლებიც ამ გზას ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მიზანმიმართულ შესაძლებელ ხერხს უწოდებენ, ასეთი სერიოზული პრობლემისადმი ამდაგვარი მიდგომა თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მასაც აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნება ყოველთვის საშიშია საზოგადოებისთვის. ეს ფაქტი უდაოდაა მიჩნეული და დადასტურებულია მსოფლიო პრაქტიკით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ვაკეთოთ ყველაფერი ის, რაც არ ავნებს გარშემო მყოფთ.“

ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნებით მოხმარება იწვევს სხვადასხვა ფსიქიკურ პათოლოგიებს, კერძოდ ეიფორიულ მდგომარეობას.

„ეიფორია“ სპეციალურ ლიტერატურაში განსაზღვრულია, როგორც უსაფუძვლოდ მომატებული უდარდელობის შეგრძნება, რომელსაც თან ერთვის უზრუნველობა და საკუთარი მდგომარეობის კრიტიკული შეფასების უნარის შესუსტება. ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებისას კი აღინიშნება აღქმის დარღვევები და ცნობიერების მოშლა. თავისთავად, ჰალუცინაციურ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება საშიში ხდება საზოგადოებისათვის, გარშემო მყოფთათვის. ასეთი საშიშროების უარყოფა ეწინააღმდეგება პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებს, მის უსაფრთხოებას.

ნარკოტიკული საშუალებების მიღების მიზნით, პირი შესაძლოა იძულებული გახდეს, ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება ამ საშუალებების შესაძენად, დასამზადებლად თუ შესანახად. ბუნებრივია, რომ ალოგიკურია მართლზომიერად მივიჩნიოთ ქმედება, რომელიც მოსდევს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარება კანონმდებლობით მაინც დასჯადია.

რაც შეეხება იმ პრობლემას, რომ მოზარდ – ახალგაზრდობაში მოხდეს მსოფლმხედველობის სწორი ორიენტაციის პრინციპების ჩამოყალიბება და განხორციელება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებული იქნას მოქმედი სამართლებრივი ნორმების პრევენციული მნიშვნელობა ანუ ის შემაკავებელი ფაქტორი, რომლის გაუქმებამაც შეიძლება მოგვცეს სავალალო შედეგი და უბიძგოს ახალგაზრდობას ნარკოტიკების მოხმარებისაკენ.

ერთის მხრივ, ნარკოტიკულ საშუალებათა თავისუფლად მოხმარება, როგორც მოვლენა და ფაქტი, თავისთავად წარმოადგენს ამ სენის გავრცელებისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობ პირობას, ვინაიდან ნარკომანი საზოგადოებას სთავაზობს მისეულ, არაჯანსაღ, ავადმყოფური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რაც თავისთავად, ზიანს აყენებს არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებას; თუმცა, მეორის მხრივ, დღევანდელი საქართველოს საზოგადოების უმეტესი ნაწილი აცნობიერებს რა ამ სენის გავრცელების საშიშროებას და მის დამღუპველ შედეგებს, ნაწილობრივ მაინც უჭერს მხარს ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ცვლილებებს.

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებას არასამედიცინო თვალსაზრისით, აქ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ვთვლით ნარკოტიკისადმი ინდივიდის მზარდი დამოკიდებულების განვითარებას, რომლის მკურნალობის ეფექტური მეთოდიც დღეისათვის, სამწუხაროდ, მსოფლიოში არ არსებობს.

აუცილებლად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებაც, რომ, ხშირ შემთხვევაში, ნარკომანიის თანმხლებადაა მიჩნეული ისეთი მძიმე ინფექციური დაავადებები, როგორიცაა მაგალითად, შიდსი და „ც“ ჰეპატიტი და სხვ.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯერებთ და ერთიან თვალთახედვის არეში მოვაქცევთ, ნათლად შევძლებთ იმის დანახვას, თუ როგორ შეიძლება დაიძაბოს ნარკოსიტუაცია ნარკოტიკების თავისუფალი მოხმარების დაკანონებისას - ლეგალიზაციისას. საფრთხის წინაშე შესაძლოა დადგეს მთლიანად საზოგადოება, მისი ეროვნული გენოფონდი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ღირს კი ასეთი სარისკო ექსპერიმენტის ჩატარება ქვეყანაში, რომელიც ეს-ესაა დაადგა განვითარებისა და აღმშენებლობის გზას.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართულ პირთა შორის მატულობს როგორც ქალთა, ასევე არასრულწლოვანთა რიცხვი. მასზე დიდი გავლენა მოახდინა არსებულმა სოციალურმა

პრობლემებმა, მნიშვნელოვნად შესუსტდა ოჯახის გავლენა მოზარდ ახალგაზრდობაზე, ისედაც საგრძნობლადაა შესუსტებული მათთან აღმზრდელობითი მუშაობა. მეტად მწვავედ დგას ქალთა შორის ნარკომანიის გავრცელების პრობლემაც, რაც ძირითადად განპირობებულია ნარკომან ქალთა დიდი ნაწილის პროსტიტუციური საქმიანობით, ყოველივე კი, საგრძნობლად ნოყიერ ნიადაგს უქმნის საშიში, მძიმე ინფექციური დაავადებების გავრცელებას.

ჩვენის აზრით, უკანასკნელ წლებში, აღინიშნება კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია – მკვეთრად გაიზარდა ქალთა ხვედრითი წილი ისეთ მძიმე დანაშაულებში, როგორიცაა ნარკოტიკების რეალიზაცია და კონტრაბანდა, გახშირდა ამ საშიში დანაშაულის ოჯახურ „ბიზნესად" გამოყენების შემთხვევებიც.

საქართველო, როგორც ცნობილია, ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნად არ არის მიჩნეული, ამიტომ, ნარკოტიკების რეალიზაციის ყოველი ფაქტის უკან უნდა ვიგულისხმოთ ნარკოტიკების კონტრაბანდული გზით შემოტანა. ნარკოტიკულ საშუალებათა კონტრაბანდის ფაქტებთან ერთად გაიზარდა ნარკოდანაშაულში მხილებულ უცხოელთა ეროვნული კუთვნილების სპექტრიც. ამ სახის დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულთა შორის არიან როგორც ჩვენი უშუალო მეზობელი სახელმწიფოების: რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ასევე უკრაინის, ესტონეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, გერმანიის, ნიგერიის, ისრაელის მოქალაქეებიც.

ყოველი ქვეყანა გარკვეულ ეტაპზე იწყებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას. საქართველოში 90-იანი წლების ცნობილმა მოვლენებმა გარკვეულწილად შეაფერხა ეს პროცესი – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება საქართველოში ფაქტობრივად დაიწყო 1997 წლიდან.

1999 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის შესახებ", რომლის მომზადებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორიცაა:

„საკონტროლო შესყიდვა" და
„კონტროლირებადი მიწოდება".
ეს აქტები მოაწესრიგებენ გამავალი ტვირთების კონტროლირებად გადაადგილებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ტრანზიტით გავლის დროსაც. მოცემულ აქტებში სრულადაა ასახული მსოფლიოს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც ამ პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა გააჩნიათ. რაც მთავარია, ეს აქტები ჰარმონიზებულია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო არ არის ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა და მისი აბსოლუტური უმრავლესობა შემოედინება საზღვარგარეთიდან. ამასთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა საქართველოში დღითიდღე უფრო საშიშ მასშტაბებსა და ხასიათს იძენს. იზრდება ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა, რომელიც მიუთითებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გადინებაზე – საქართველოში შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების ნაცვლად (მისი საფასურის გადახდის სახით), ქვეყნიდან გაედინება დიდი ოდენობით ფული, ძვირფასეულობა და სხვა კულტურული თუ მატერიალური ფასეულობანი.

საერთაშორისო ნარკობიზნესი აქტიურად ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს. გავლენის სფეროში მოსაქცევ ახალ ქვეყნებში ნარკომაფიის ძირითადი სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ საწყის სტადიაზე, ამგვარ რეგიონს იგი იყენებს როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა სატრანზიტო გზას. თუმცა, იმავდროულად ამ რეგიონის ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ შეაქვს ნარკოტიკული საშუალებანი, ხოლო მას შემდეგ, რაც კარგად გაიდგამს ფესვებს, აქვე უკეთებს ორგანიზებას ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასაც. სწორედ ამგვარი საფრთხის წინაშე დგას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ყველა სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც.

როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალებების შესაძლო ლეგალიზაციაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გარემოებანი, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს ამ ქმედებას. საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების, მსოფლიო პრაქტიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალებზე დაყრდნობით, აუცილებელია გავერკვიოთ, თუ რა საშიში და მავნე შედეგები შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზებამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისთვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების აკრძალვამ. ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისთვის და არასამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისათვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების მომხრენი გვაძლევენ იმის „გარანტიას“, რომ იგი საზოგადოებას ვნებას არ მოუტანს. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა მდგომარეობაა ნარკოტიკული საშუალებების მხრივ საქართველოში, მაგრამ რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზებას, თუნდაც მოზარდ თაობაში.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტორიც, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობა თანდათან იმატებს, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მომხმარებელთა რაოდენობაც პარალელურად გაიზრდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელია იმის პროგნოზირება, რომ ლეგალიზაციის შემდეგ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება. 70-იან წლებში საქართველოში გამოჩნდა კანაფისებრი ოჯახის მცენარეებისაგან დამზადებული ნარკოტიკები, მაგალითად როგორიცაა მარიხუანა. 80-იან წლებში კი ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები. 90-იან წლებში უკანონო ბრუნვაში ჩანს ბევრად უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალებანი, როგორიცაა მაგალითად: ჰეროინი, კოკაინი და სხვა. ბოლო პერიოდში კი გამოჩნდა და ძლიერად მოიკიდა ფეხი ისეთმა ნარკოტიკულმა საშუალებამ როგორიცაა – სუბოტექსი (რომელიც მრავალ ქვეყანაში არ შედის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში).

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეს ჩვენთვისაა ცნობილი და მათი მოხმარების აკრძალვის გაუქმება ახალ იმპულსს მისცემს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას. ჩვენის აზრით, ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს აგრეთვე იმასაც, რომ მოსახლეობის პირობითად კანონმორჩილი ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, შესაძლოა გახდეს აქტიური მომხმარებელი. მას კი შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა რაოდენობის სერიოზული ზრდა, რაც მეტად ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროზე. მაგალითად:

დაუშვებელია, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ადამიანმა წარმოებაში ტექნიკურ მექანიზმებთან იმუშაოს.
დაუშვებელია ავტომანქანა მართოს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა.

დაუშვებელია ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი პირების მუშაობა სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში,. დაუშვებელია ნარკოტიკული საშუალებების მიღება არასრულწლოვნების მიერ და ა.შ.

პრობლემას ვერც ნაწილობრივ რბილი (შედარებით მსუბუქი) ნარკოტიკების, მაგალითად მარიხუანის ლეგალიზება მოხსნის, რადგანაც პრობლემა არა იმდენად ნარკოტიკულ საშუალებაშია, რამდენადაც მისი მოხმარების გამომწვევ მიზეზებსა და მასშტაბებში. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ გავაუქმებთ პასუხისმგებლობას მარიხუანას მოხმარებისათვის, ჰეროინისა და სხვა ძლიერმოქმედი ნარკოტიკების მომხმარებლები მაინც გააგრძელებენ ამ ნარკოტიკების მოხმარებას და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა მაინც გაგრძელდება.

ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზების მომხრეთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციისას ნარკოტიკული საშუალებანი გახდება ადვილი ხელმისაწვდომი კანონიერი გზით და ეს გარემოება დაუკარგავს მომხმარებლებს ნარკოტიკების მიღების ინტერესს. ეს პირობა არ შეიძლება იყოს იმის გარანტი, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება და პირიქით არ გაიზრდება. ამაზე მიგვითითებს იმ პირთა გამოკითხვის შედეგები, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალებების მიღებას თავი დაანებეს, მათი გადმოცემით, ნარკოტიკულ საშუალებათა მიღებისაგან თავის დანებების ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ მათ ნარკოტიკული საშაულებების მოსაპოვებლად ურთიერთობა უწევდათ კრიმინალური საქმიანობის მქონე ხალხთან. აქედან გამომდინარე, დადასტურებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნარკოტიკების მიღების ხელმისაწვდომობა და კანონიერება შეამცირებს იმ პირთა რაოდენობას, ვინც მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს. ნარკოტიკული საშუალებების (თუნდაც მსუბუქის) ლეგალიზება, ჩვენის აზრით, შესაძლოა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახოს ახალგაზრდობაზე და მათი ფსიქიკის სწორად ჩამოყალიბებაზე.

ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, მაგალითად: ნარკოტიკის ლეგალიზების შემთხვევაში, ისმის კითხვა, - სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასებში უნდა მიჰყიდონ ნარკოტიკული ნივთიერება მომხმარებელს? თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად უფრო მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი მიმართავს არაკანონიერ შავ ბაზარს. სხვათაშორის, ასეთი მდგომარეობა შექმნილია მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, თამბაქოსთან დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან. იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი ოპიუმის ნედლეულთან დაკავშირებით. შორეული აღმოსავლეთის კოლონიებში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დააწესებდა ნარკომოვაჭრეების მიერ დადგენილ ფასზე გაცილებით ნაკლებს. ამას შესაძლოა მოჰყოლოდა ნარკომოვაჭრეთა გაქრობა ნარკობაზრიდან, მაგრამ ამას შესაძლოა მოჰყოლოდა სხვა გაცილებით უფრო დიდი პრობლემა, კერძოდ: – ნარკოტიკების ფასები შემცირდებოდა და მისი შეძენა გაცილებით მეტი ადამიანისთვის იქნებოდა შესაძლებელი დაბალ ფენებშიც კი. საერთო ჯამში ეს გარემოება კი არ შეუწყობდა ხელს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებას, არამედ შესაძლოა გამოეწვია მათი რაოდენობის ზრდა.

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზებას ახალგაზრდებთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, კერძოდ, ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც სწორი აღრზდისას ხდება კანონმორჩილი, შესაძლოა სწორედ ამ მიზეზის გამო ამბობს უარს ნარკოტიკულ საშუალე-

ბათა მოხმარებაზე, რადგანაც მათი მოხმარება კანონით აკრძალულია. ლეგალიზების შემთხვევაში, ეს აკრძალვა უქმდება და კანონმორჩილმა ახალგაზრდობის ნაწილმა შესაძლებელია დაიწყოს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, რადგან კანონით ეს უკვე ნებადართული ხდება. ამ გარემოების უარყოფითი თანმდევი შედეგი შეიძლება იყოს შემდეგი: მეცნიერთა გამოკვლევით, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისას ყოველი მეხუთე-მეექვსე პირი შემდგომში უფრო ძლიერ ნარკოტიკზე გადადის, რამაც სამომავლოდ შესაძლოა მოგვცეს კიდევ უფრო უარყოფითი და სავალალო შედეგი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება ნარკომანებისთვის ახალს არაფერს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად კანონით მათი მოხმარების აკრძალვისა, ისინი მაინც ღებულობენ ნარკოტიკულ საშუალებებს. აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება დასაშვებია შეეხოთ იმათ, ვინც ადრე ნარკოტიკულ საშუალებებს არ მოიხმარდა. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მოცემული გარემოება ძალზედ დასაფიქრებელი და ღრმად შესასწავლი პრობლემაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომავალში თუკი მაინც მოხდება მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება, აუცილებლად გასათვალისწინებელი და ძირეულად შესასწავლი ყველა ის გარემოება, რაც ამ დროს ვლინდება და შესაბამისად უნდა დადგინდეს, იქნება თუ არა მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დასახული სწორი გზა.

*ამირან მოსულიშვილი*
*გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

*ამირან მოსულიშვილი*

## მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში

### რეზიუმე

მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში

ავტორი ნაშრომში გადმოგვცემს ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემას საქართველოში და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს საქართველოში მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ

**Амиран Мосулишвили**

## Возможные последствия легализации легких наркотических средств в Грузии

### Резюме

Автор в работе анализирует проблему наркомании и наркотического оборота в Грузии и высказывает свои соображения по поводу последствий в случае легализации в Грузии легких наркотических средств.

***Amiran Mosulishvili***

## Possible outcomes of the Legalization of light narcotic drugs in Georgia

### The summary

In the given paper the author considers the problem of drug addiction in Georgia. He gives his own viewpoint about the expected outcomes in case of the legalization of light narcotic drugs.

*ანა გრიგოლია*

# ნარკომანია: დაავადება თუ დანაშაული

“ჩვენ ვუთანაგრძნობთ ამ სენით დაავადებულებს.
ვუთანაგრძნობთ იმიტომ, რომ გვესმის, რამდენად მძიმეა
ეს ავადმყოფობა, მაგრამ ჩვენ არასოდეს შევურიგდებით
იმათ, ვინც ვაჭრობს ამ საშინელი საწამლავით!..”

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია **II**

თუ გავიხსენებთ, რომ მიზეზი ყოველგვარი ხორციელი უკეთურებისა ცოდვაა, მაშინ ნარკომანობა უპირველესად სულიერ ასპექტში უნდა განიხილებოდეს.

ნარკომანია წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას: სულიერს, ზნეობრივს, სამედიცინოს, სახელმწიფოებრივს, იურიდიულს, სოციალურს და პოლიტიკურსაც კი.

ვინ ებრძვის ნარკომანებს?

საქართველოში შეიძლება ითქვას, ნარკომანებს არავინ ებრძვის, ებრძვიან მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერების გამავრცელებლებს და ისიც არა ყოველთვის. მათ სრულიად სამართლიანად საზოგადოება ყველა ბოროტების სათავედ, ჩვენი ერის მოსისხლე მტრებად მიიჩნევს.

ნარკომანებისადმი დამოკიდებულება კი სხვაგვარია. ჩვენმა მეცნიერ-ნარკოლოგებმა, ნარკომანებს პირდაპირ გულისამაჩუყებელი სტატუსი უბოძეს – ავადმყოფი. დასნეულებული ადამიანები კი საზოგადოების ზრუნვას, მოფერებას, გულისხმიერებას მოითხოვენ. ისე გამოდის, რომ ნარკომანია მხოლოდ ავადმყოფობაა და მეტი არაფერი, არადა ნარკომანი საზოგადოებისათვის მეტად საშიში ადამიანია, რომელსაც მორალი არ გააჩნია. ნარკომანი საკუთარ დას და დედასაც გასწირავს, ოღონდ ნარკოტიკები ჩაიგდოს ხელში, რომლის არაერთ მაგალითს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით.

უძველეს დროში საზოგადოება შეწუხებული იყო კეთროვანების არსებობით. კეთრი ადვილად გადამდები იყო. ამიტომ დაარსდა ლეპროზორიები, სადაც კეთროვანებს იძულებითი წესით აგზავნიდნენ სამკურნალოდ. ეს ფრიად ნორმალური აქცია იყო, რომელიც ერის ინტერესებს ემსახურებოდა, ერის ჯანმრთელობას იცავდა.

არის თუ არა გადამდები ნარკომანია?!

რასაკვირველია არის.

ამ სენს კეთროვანებისგან განსხვავებით, ძალით ავრცელებენ თავად ნარკომანები. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ ნარკოტიკების შოვნის გაადვილების მიზნით ახალგაზრდობის ჩასათრევად ამ საშინელებაში. ჩნდება კითხვა, თუკი უბედურ კეთროვანებს აგზავნიდნენ ლეპროზორებში სამკურნალოდ, რატომ არ შეიძლება მოხდეს ნარკომანების იზოლაცია საზოგადოებისაგან.

როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ნარკომანიისადმი?!

ნარკომანია არის უმძიმესი ცოდვა სულისა და ხორცის ავადმყოფობა, რომელიც ადამიანის სულს მარადიულ სატანჯველს უქადის. ასეთი ადამანი, თუ დროზე არ იზრუნებს ამ საშინელებისაგან თავის დასაღწევად, გარდაცალე-

ბის შემთხვევათი, თვითმკვლელად ჩაითვლება. არანაირი საეკლესიო წესი არ შეუსრულდება და უფრო მეტიც, მისთვის არა საზოგადოებრივად (ტაძარში), არც ინდივიდუალურად (სახლში) ლოცვა არ შეიძლება.

არსებობს უამრავი მიზეზი, რის გამოც ადამიანი ნარკოტიკების მიღებას იწყებს. ადამიანთა ერთი ნაწილი მძაფრ შეგრძნებებს ეძებს და ცნობისმოყვარეობის გამო აკეთებს; მეორენი ნარკომანიას "მაგარი ბიჭობის" გამოვლინებად თვლიან. მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უამრავი პრობლემა გააჩნიათ და ნარკოტიკებს თავდავიწყების გამო ეტანებიან. ერთის მხრივ, არის ნარკომანთა ის რიცხვი, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ გააზრებული მათი მოქმედების სერიოზულობა, ხოლო მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, რომლებიც ითხოვენ დახმარებას, მიმართავენ ამა თუ იმ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს. ადამიანის ნარკოტიკებისადმი მიძალება გარე პირობებისა და გარშემომყოფი ადამიანებისგანაა გამოწვეული. ნარკოტიკს მოიხმარს ის ადამიანი, რომელსაც უჭირს დიდი ტკივილის ან გაჭირვების გადალახვა, უჭირს ოჯახური ან პირადი კონფლიქტების მოგვარება, ან, უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი "მე" და არ შესწევს ნებისყოფა არსებობისათვის ბრძოლა განაგრძოს. მაგრამ როგორც ჩვენი ერის სულიერი მამა და მოძღვარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: "სულით ძლიერი ადამიანი რეალურად უნდა ხედავდეს იმ პრობლემებს, რომელიც დგას როგორც ერის, ისე პირადად მის წინაშე და კი არ უნდა გაექცეს მას, არამედ უნდა მოიკრიბოს სულიერი და ფიზიკური ძალა და წინააღმდეგობა გაუწიოს მას. იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ღებულობს ნარკოტიკს, იგი გაურბის პრობლემებს, ამასთან, ოჯახი კარგავს თავის წევრს, და არა მარტო ოჯახი, მთელი სახელმწიფო კარგავს პიროვნებას, რადგან ის აღარ არის სრულყოფილი წევრი ჩვენი საზოგადოებისა".

ნარკომანია კაცობრიობის უდიდესი უბედურებაა. მას აურაცხელი ზიანი მოაქვს არა მარტო ადამიანებისთვის პირადად, არამედ საზოგადოებისა და ერისთვის. ამ ზიანის ქვეშ იგულისხმება ერის მომავლის – ახალგაზრდობის როგორც ფიზიკური, ასევე მორალური დეგრადაცია, გენოფონდის გადაგვარება, ფსიქიურად და ფიზიკურად დეფექტურ ბავშვთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, ერის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალის მკვეთრი შემცირება. ეს არის ერთ–ერთი საშიში და ბოროტი სენი, რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა ამ საუკუნეში მთელ მსოფლიოში.

ტერმინი ნარკომანია წარმოსდგება ბერძნული სიტყვისგან და ნიშნავს გაშეშებას. ნარკომანია ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო გამოყენებით განპირობებული დაავადებაა.

ნარკოტიკებს უწოდებენ ნებისმიერ ქიმიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელის სპეციფიურ გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნერკოტიკებს იყენებენ იმ სასიამოვნო შეგრძნებების გამო, რომლებიც მიღებისთანავე იჩენს თავს: ადამიანი დგება კარგ ხასიათზე, აქვს სასიამოვნო შეგრძნებები, დადებითი ემოციები, ხდება უფრო აქტიური, არ გრძნობს დაღლილობას, აქვს ხილვები. ეს ეფექტები ე.წ. კაიფი, ხანმოკლეა და შემდეგ იწყება გამოსვლის ფაზა, რასაც შემდეგი მოვლენები აღენიშნება: გახშირებული ან შენელებული გულისცემა და სუნთქვა, მომატებული წნევა, ოფლიანობა, მომეტებული სხეულის ტემპერატურა, თავის ტკივილი, უძილობა, თავბრუსხვევა, გულისრევა, პირის სიმშრალე, ხელების კანკალი, წონასწორობის დარღვევა. ნარკოტიკების მიჩვევა იწვევს შემდეგს: ძლიერი ტკივილები, უძილობა, ძლიერი გადაღლა, უსაფუძვლო შიშები და შფოთვა, უმადობა, მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები, ნარკოტიკების მტანჯველი სურვილი. ნარკოტიკები ანგრევს ადამიანის ორგანიზმს: ტვინს და ნერვულ სის-

ტემას, გულ-ღვიძლს, საჭმლის მომნელებელი სისტემას, ძვლის ტვინს, იკარგება ცხოვრების ინტერესი, ექვემდებარები ნარკოტიკს. ამ დაავადებისგან განთავისუფლება ძალიან ძნელია და იშვიათად, რომ ვინმემ შეძლოს. ხდება პიროვნების დეგრადაცია, შეიძლება განვითარდეს პარანოია, ფსიქოზი... ნარკოტიკი ამცირებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას: ნარკომანი კრიმინალურ გარემოში ტრიალებს, მისი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია, მაღალია აივ ინიცირების რისკი, არსებობს ზედოზირების საშიშროება, რაც ძალიან ხშირად იწვევს სიკვდილს.

## ისტორიული ცნობები ნარკოტიკული საშუალებების შესახებ

ნარკოტიკის გავრცელების ისტორიის ხანგრძლივობას რამდენიმე ათასწლეულის მიღმა მივყავართ.

ცნობილია, რომ ასირიელები, ეგვიპტელები და ბერძნები საძილე ყაყაჩოს ჯერ კიდევ 3-4 ათასი წლის წინათ იყენებდნენ. ანალოგიური სახის ჩვენებები შემორჩენილია ლეგენდებში, ხელნაწერებში. ჰომეროსის “ოდისეაში” მშვენიერმა ელენემ, მეფე მანელას ცოლმა, საძილე ყაყაჩოს ნაყენი დაალევინა ტელემაკს. საძილე ყაყაჩოსა და ოპიუმს, როგორც ძლიერმოქმედ საშუალებებს აღწერენ ბერძენი ისტორიკოსები და მედიკოსები: ჰიპოკრატე, ჰეროდოტე, არისტოტელე, ვირგილიუსი და სხვები.

ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ავიცენა (აბუ-ალი იბნ სინა, 980-1037) ოპიუმით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. ინდოეთში ოპიუმის გავრცელებას ალექსანდრე მაკედონელის სახელს, ზოგი არაბების ლაშქრობებს უკავშირებდა. არაბთა ხელნაწერებში ეს ნივთიერება XV საუკუნიდან არის აღწერილი.

XVI საუკუნეში ოპიუმის სამედიცინო მიზნებით გამოყენება პარაცელსმა, XVII საუკუნეში ინგლისელმა ექიმმა თომას რიდენხემმა დაიწყეს. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლომდე ნარკოტიკების გამოყენება საერთაშორისო პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან იგი გარკვეულ პერიოდში მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში იყო გავრცელებული და ამ ქვეყნების ადათად ითვლებოდა.

მედიცინაში ნარკოტიკული საშუალებები დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად: ისეთები, რომლებიც გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკეში და ისეთები, რომელთა წარმოება აკრძალულია და მედიცინაშიც არ გამოიყენება.

## ნარკოტიკები და კანონი

არასმკურნალო მიზნით ნარკოტიკული საშუალებების დამზადება და გავრცელება დანაშაულად ითვლება თითქმის ყველა სახელმწიფოში. კანონმდებლობის თანახმად მკაცრად ისჯება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადება, გასაღება, შენახვა, გადატანა-გადაზიდვა, გატაცება, მათი შემცველელი მცენარეების მოყვანა, ნარკოტიკების სახმარი “ბუნაგის” მოწყობა და სხვა.

ნარკოტიკული საშუალებების ხმარებისათვის დაწესებულია ადმინისტრაციული სასჯელი ან ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო წარმოება და გავრცელება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულია, რადგან იგი სცილდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას. ამიტომ ამ დანაშაულთან ბრძოლისათვის საჭიროა სახელმწიფოთა თანამშრომლობა.

1961 წელს გაეროს თაოსნობით მიღებულია ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ. მან დანაშაულად გამოაცხადა ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების უნებართვოდ მოყვანა, მათგან ნარკოტიკული საშუალებების წარმოება, ერთი ნარკოტიკისაგან მეორის დამზადება, ნარკოტიკული საშუალებების ყიდვა-გაყიდვა, მათი ხმარება სამედიცინო დაწესებულებების გარეთ და არასამკურნალო მიზნით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა სათანადო კანონმდებლობა და მკაცრი ადმინისტრაციული ზომები უნდა გამოიყენონ ამ დანაშაულთა აღსაკვეთად თავიანთი ტერიტორიაზე.

## მეცნიერება და ნარკომანი

მეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემებზე მუშაობს, თვლის, რომ ნარკომანი შეიძლება გახდეს ყოველი ადამიანი. ამის ხელშემწყობ წინპირობად მიჩნეულია ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფიზიკურად სუსტი და მოშლილი ნერვული სისტემის მქონე ადამიანთან.

მნიშვნელოვანი ამოცანაა ნარკომანიის “რისკის ჯგუფის” დროულად გამოვლენა ახალგაზრდებში, უპირველეს ყოვლისა კი მოსწავლეთა შორის, რადგან ეს უმძიმესი სენი ძირითადად ახალგაზრდობას შეეხო და მისი მკვეთრი მატების ტენდენციაც აშკარად გამოიკვეთა. მშობლებისა და პედაგოგების უმრავლესობას კი მკაფიო წარმოდგენა არ აქვს ნარკომანიის წარმოშობასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, ან უბრალოდ, არ დაფიქრებულან ამაზე.

მოზარდობის ასაკში, განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, თვითდამკვიდრების, დამოუკიდებლობის გზებისა და საშუალებების ძიება. ამ პერიოდში ხდება მოთხოვნილებათა საბოლოო ინტეგრაცია, რაც განსაზღვრავს პიროვნების სტრუქტურას. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს განაპირობებს მოზარდის ფსიქიკის დაძაბვას, თავის გამოჩენისადმი სწრაფვას. ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა მოზარდს დაიმკვიდროს შინაარსიანი, სოციალურად აუცილებელი და მიმზიდველი ყოფა? აქვს მას საშუალება დაიკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნილება?

სამწუხაროდ, ასეთი შესაძლებლობა გააჩნიათ მხოლოდ იმ ბავშვებს, ვისმა მშობლებმაც ისე მოაწყვეს ცხოვრება, რომ მშობელთათვის დახმარების გაწევა, ინიციატივა, სამეურნეო საქმიანობაში ჩართვა ბავშვის სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. მაგრამ, ასეთი ვარიანტები უფრო გამონაკლისია, ვიდრე საყოველთაო ნორმა. ამრიგად, მოზარდის ასაკობრივი შინაგანი შესაძლებლობები და მოთხოვნილებები ხშირად ეჯახება რეალურ შესაძლებლობათა სიღარიბეს. მოზარდს აღარ შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების აზრი, რაც თავისებურ ვაკუუმს ქმნის მის სულში. ეს სიცარიელე აუცილებლად უნდა შეივსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის გარდაუვალია მოზარდის ემოციური ნეიტრალობა და აპათია. ბუნებრივია, ასეთი სულიერი განწყობა თავისთავად ეწინააღმდეგება ინდივიდის ქმედების და თვითდამკვიდრების მოთხოვნებს, იწვევს დაძაბულობას, ფსიქიკას “მაძიებლურ” მდგომარეობაში გადასვლას, დაუკმაყოფილებლობას, დარდს, თვითდამკვიდრების ფარულ სურვილს.

რადგან მოზარდის მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება დამოუკიდებელი შემოქმედებითი აქტივობით, მისი ინტერესი თანდათანობით გადაინაცვლებს “იოლი” ცხოვრების, ანუ უსაქმურობის სფეროში. მისთვის თანდათან იგი იქცევა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების არეალად. მოზარდს უჩნდება ნარკოტიკის “გასინჯვის” სურვილი იმ იმედით, რომ სწრაფად და ეფექტურად მიაღწევს “ტკბობას”. ამას ადასტურებს სპეციალური გამოკვლე-

ვები. ნარკომანიის ფონზე ჩადენილ სამართალდარღვევათა ტიპიური მიზეზია სიამოვნების დაუყოვნებლად მიღწევის გაზრდილი სურვილია, რასაც საფუძვლად უდევს უნებისყოფობა, “აკრძალული ხილისადმი” ლტოლვა და სხვა მრავალი ფაქტორი.

მოზარდებში ნარკომანიის წარმოშობის ძლიერი ხელშემწყობი ფაქტორებია: ბავშვის არასწორი აღზრდა, ნერვული სისტემის ფუნქციური გადახრა. “ზემზრუნველობა”, ანუ მშობლების მცდელობა, დაიფარონ შვილები ყოველგვარი სიძნელეებისგან და დაუკმაყოფილონ ყველა მოთხოვნა, ბავშვი მიჰყავს უსუსურობამდე. ასეთი ბავშვები გარშემომყოფთაგან ელოდებიან ყველა სურვილის აუცილებელ შესრულებას. წარმოქმნილი ფსიქიკური დისკომფორტის მოხსნის ცდა ზრდასრულებში “დამცავი” მექანიზმების ჩართვას იწვევს, არასრულწლოვანში კი აღძრავს ფსიქოტრავმულ სიტუაციას, რაც ბათილდება ნარკოტიკების მიღებით. ასეთი სიტუაციის მიზეზი შეიძლება იყოს “ზემზრუნველობაც” და პირიქით, ბავშვისადმი გულგრილი, უზრუნველი, უსიყვარულო, ზოგჯერ სასტიკი დამოკიდებულებაც. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვები, უფროსებისაგან განსხვავებით, გაცილებით ადრე, თითქმის დაუყოვნებლივ იწყებენ გამოსავლის ძიებას, ემოციური დაძაბულობის მოხსნის საშუალებებს.

## ნარკოტიკული საშუალებების მოქმედება ორგანიზმზე

ნარკოტიკული საშუალებების მიღება ორგანიზმში იწვევს უამრავ ავადმყოფურ ცვლილებას. განსაკუთრებით ზიანდება ნერვული სისტემა. ნარკოტიკული საშუალებების ხანგრძლივი ხმარების შედეგად ვითარდება ნარკომანიისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

- ნარკოტიკული ნივთიერებების განმეორებითი მიღების დაუძლეველი მოთხოვნილება და მისწრაფება მისი შოვნისადმი, რასაც ეწოდება ნარკოტიკული საშუალებების მიმართ ე.წ. ფსიქიკური დამოკიდებულება.
- აბსტინენციური სინდრომი – ფიზიკური დამოკიდებულება, რაც მდგომარეობს შემდეგში: თუ გარკვეულ ვადაში არ მიიღებს მისთვის ჩვეულ ნარკოტიკულ პრეპარატს, განვითარდება ე.წ. “შიმშილის” მდგომარეობა მთელი რიგი დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნებით.
- ორგანიზმის “შეჩვევა” ნარკოტიკული პრეპარატებისადმი, რის გამოც საჭირო ხდება დოზების თანდათან მომატება.

ნარკოტიკუი ნივთიერებები მოქმედებენ ადამიანის ნერვულ უჯრედებზე და იწვევენ მათ დაღუპვას, რაც ადამიანის სულიერ დაგრადაციას იწვევს. როგორც ლოგიკური შედეგი, - ხდება პიროვნების გადაგვარება. პარალელურად შხამი მოქმედებს ადამიანის შინაგან ორგანოებზე – გულზე, ღვიძლზე, თირკმელებზე, კუჭ-ნაწლავზე და სხვა.

ცნობილია რომ 1% მორფიუმის 20-25 ამპულა “ჩვეულებრივი” ადამიანისათვის სასიკვდილო დოზად ითვლება, მაგრამ მიჩვევის შემთხვევაში ეს დოზა ნარკომანზე აღარ მოქმედებს. დროთა განმავლობაში ეს მიჩვევა იწვევს ორგანიზმის ქრონიკულ ინტოქსიკაციას, ე.ი. ისეთ მდგომარეობას, როდესაც მორფინი ორგანიზმში მთლიანად არ იშლება და მოქმედებს ტოქსიკურად. ეს კი, იწვევს არსებითი ხასიათის ფიზიკურ ცვლილებებს: ირღვევა ნახშირწყლოვანი ბალანსი, იწყება კანის სიმშრალე, იგი მოყვითალო-მიწისფერს იძენს, კბილების კარიესი, გუგები მკვეთრად ვიწროვდება, ქვეითდება სისხლის წნევა, მაჯისცემა, რეფლექსები.

ნარკომანებს აღენიშნებათ ასთმური მოვლენები, იწყება შეხურვებისა და შემცივნების შეგრძნებები, ვითარდება უძილობა, ხშირი ფიზიკური მტკივნეული შეგრძნებები, მეტყველება გაუგებარი ხდება, მოძრაობები ქაოტური და მერყევი.

განსაკუთრებით გამოიხატება ფსიქიური მოვლენები: მისწრაფებებისა და აქტივობის შესუსტება, დაღლილობის შეგრძნება, გაღიზიანებადობა, აპათიური გუნება-განწყობილება. საერთოდ მორფიუმის მოქმედება ორგანიზმზე 5-6 საათის შემდეგ ქრება, ამის შემდეგ კი იწყება შხამისადმი შიმშილი.

ფსიქიკის მხრივ კი აღსანიშნავია გამოხატული უგუნებობა, თვითმკვლელობის აზრები, აგრესიული ტენდენციები, ფსიქომოტორული მოუსვენრობა.

ნარკოტიკებს უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. საკმარისია, გავიხსენოთ გენიალური მუსიკოსი ბობ მარლი, რომელსაც კიბოს მეტასტაზები მთელ სხეულში ჰქონდა მოდებული. არანორმალური დოზების გამო კი ორგანიზმს ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებოდა.

გთავაზობთ ამონარიდს ირაკლი ჩარკვიანის წიგნიდან "მშვიდი ცურვა": "...ჩემი "ოხერი" თაობა, ასე ვუწოდებ მას, ანუ გაგარინელები, გულის სიღრმეში იმით ვამაყობდით, რომ ჩვენი კუმირი ჯიმი ჰენდრიქსი ჰეროინის დიდი დოზისაგან გაიპარა. ამ სიტყვას ვხმარობდით მაშინ და სწორედ ეს ოხერი სიტყვა შეიცავდა ყოველივე იმას, რაც ასე გვიზიდავდა: წარმატებას, ცრემლებს, სიამოვნებას, პროტესტს იმ დამჟავებული რეალობის მიმართ, რომელიც ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ დაამჟავა, წარბებიანი ბრეჟნევის მითითებით, რა თქმა უნდა. მოკლედ ჩვენ ყველას გაპარვა გვინდოდა, ამიტომ ბევრი გაგარინელი სწორედ რომ გაიპარა; მაშინ ჩვენში ჰეროინი არ შემოდიოდა და ანჰიდრიდის მჟავაც არ არსებობდა, ამოტომ ოპიუმს ყოველგვარი გასუფთავების გარეშე ვიკეთებდით. ეს კი იმის ტოლფასია, რომ ტროტილის ყუმბარა აიფეთქო თავში. თუ გადარჩი შენს შემდგომ მდგომარეობას კაიფი შეიძლება დაერქვას. ანჰიდრიდის აღმოჩენამდე ბევრი ჩვენგანი სწორედ ამ აფეთქების მსხვერპლი გახდა.... ჩვენი თაობის ალბათ ორასზე მეტი ბიჭი შეეწირა ნარკოტიკულ აფეთქებას..."

ალბათ ყველას ახსოვს საოცარი, გენიალური მუსიკოსი დავით ოძელაშვილი მეტსახელად "ოძელა". ის ვირტუოზულად უკრავდა ფლეიტაზე. ამ ინსტრუმენტზე შესრულებისას მნიშვნელოვანია ტუჩებისა და სუნთქვის მართვის სისტების სრულყოფილი ფლობა. დათომ პირის მოძრაობისა და ჩაბერვის საკუთარი ტექნიკა გამოიმუშავა. ისწავლა სუნთქვა ისე, რომ დაკვრისას ბგერა არ წყდება. გარდა ამისა, იოგას ვარჯიშების მეშვეობით შეიმუშავა სუნთქვის ტექნიკა პირდაპირ დიაფრაგმიდა. რაც უდიდესი ნებისყოფის ნაყოფია, მაგრამ ასეთი ნებისყოფის პატრონიც კი უძლური აღმოჩნდა ნარკოტიკების მიმართ და ცდუნებას ვერ გაუძლო.

მსოფლიოში უამრავი კლინიკა და სარეაბილიტაციო ცენტრი არსებობს ნარკომანების დასახმარებლად. ერთ-ერთი ასეთია "მედოუსი". ეს სამკურნალო კომპლექსი რამდენიმე ნაგებობებისაგან შედგება, რომელიც მაღალი ღობითაა გარშემორტყმული და შეიარაღებული დაცვა ყარაულობს. გარე სამყაროსთან კონტაქტი შეზღუდულია: ცენტრში არ არის ტელევიზორი, გაზეთები და ჟურნალები, მობილური ტელეფონიც კი აკძალულია. კლინიკაში ჩაცმის მკაცრი კოდექსიც კი მოქმედებს: პაციენტებს თავისუფალი მაისურები და ტომრის მსგავსი შარვლები აცვიათ. ამ დაწესებულებაში შიდა საცვლებიც კი მკაცრი ფორმისა და ფერისაა. სავადმყოფოში უამრავი ცნობილი ადამიანი გადიოდა სარეაბილიტაციო კურსს: კეით მოსი, ელ მაკფერსონი, rolling stones-ის გიტარისტი რონი ვუდი, ჰოლი ბერის ქმარი ერიკ ბენეტი და სხვა.

მსგავსი დაწესებულება ესპანეთში გაიხსნა. ის, რაც ახლა ჩვენთან ხდება, ესპანელებმა 30 წლის წინ გადაიტანეს. სწორედ ამ დროს გაჩნდა გაერთიანებები, სადაც ნარკომანები თვითონ ცდილობდნენ თავიანთი თავის და გზას აცდენილი თანამოძმეების დახმარებას. ეს კლინიკა არ არის დაკავებული "ტვინის წმენდით". წარსული წარსულს ბარდება და ავადმყოფები აწმყოთი ცხოვრობენ. კლინიკაში არ არის ფული და ღირებული ნივთები. იქ ვერაფერს მოიპარავ. ათასობით კილომეტრის რადიუსში არ არის ადგილები სადაც ნარკოტიკის შეძენა შეიძლება. ორკვირიანი კარანტინის შემდეგ ავადმყოფი იწყებს ხილის ბაღებში მუშაობას. კურსი ერთწლიანია და ჯერჯერობით ასპროცენტიან შედეგს იძლევა.

## ნარკომანია საქართველოში

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 24 ათასი ნარკომანიით დაავადებული ადამიანი. არაოფიციალური სტატისტიკით კი ეს რიცხვი 200 ათასამდე აღწევს. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2004 წელს საქართველოში 270 ათასი ნარკომანი ცხოვრობდა.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის დაქვემდებარებაში მყოფი უწყება, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭო ადასტურებს, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა სუბოტექსითა და მოზარდებში მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობა. მათივე თქმით, გაიზარდა ქალ და არასრულწლოვან ნარკომანთა რიცხვიც. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს ნარკომანთა სარეაბილიტაციო არც ერთი ცენტრი, სადაც დაავადებულ პაციენტთა მკურნაობა მოხდება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თითქმის არ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ნარკოტიკული საშუალებების მავნებლობასთან დაკავშირებით. ყოველივე აქედან გამომდინარე შედეგი სახეზეა: ნარკოტიკების მომხმარებელთა რააოდენობა ყოველქდიურად მატულობს.

ნარკოტიკებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს ძალიან რთული და ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად. ინდივიდმა თავადვე უნდა გააცნობიეროს ნარკოტიკების ნეგატიურობა. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ნარკომანიისგან განკურნებულ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა.

ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრების შეხმნა სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამჟამად მიმდინარეობა მსჯელობა და უახლოეს მომავალში საპატრიარქოს დახმარებით გაიხსნება ნარკომანთა სარეაბილიტაციო ერთი პილოტური კლინიკა. იმდენად დიდია მოთხოვნილება კლინიკის არსებობისადმი ნარკომანიით დაავადებულთა მხრიდან, რომ მხოლოდ ერთი კლინიკის არსებობა საკმარისი არ იქნება. იმედია, ხელისუფლების დახმარებით ასეთი კლინიკები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც გაიხსნება.

*ანა გრიგოლია*
*ქ. თბილისის 186-ე საჯარო სკოლის მოსწავლე*
*ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. პროფესორ ყარამან ფაღავას ნაშრომი "ნარკომანია"
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II-ის სიტყვა
3. ირაკლი ჩარკვიანის წიგნი "მშვიდი ცურვა"
4. გაზეთი: "La Republica"
5. გაზეთი: "24 საათი"
6. ჟურნალი: "журнал нового тисячелетиа" 2000г.
7. ვებ გვერდი: http://antinarcotics.ge/
8. ვებ გვერდი: http://www.voanews.com/



*ანა გრიგოლია*


## ნარკომანია: დაავადება თუ დანაშაული

### რეზიუმე


ნაშრომი ეხება ნარკომანიას და საზოგადოების დამოკიდებულებას ნარკომანებისადმი. დღეს არავინ დაობს, რომ ნარკომანია დაავადებაა, მაგრამ ნარკომანები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის.თემაში ასევე მოცემულია ისტორიული ცნობები ნარკოტიკების გავრცელების შესახებ; კანონის დამოკიდებულება ნარკომანიისადმი და განხილულია ნარკოტიკების დამანგრეველი ზემოქმედება ორგანიზმზე.

მეცნიერები თვლიან, რომ ნარკომანი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. ნარკოტიკებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია და ეს შეიძლება მოხდეს ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის სისტემატიურად განხორციელების საფუძველზე.



***Анна Григолия***


## Наркотики: болезнь или преступление

### Резюме


Эта работа - о наркотиках и об отношении людей к пользователям наркотиков. Никто не сомневается в настоящее время, что использование наркотиков - болезнь, но эта болезнь причиняет большой вред нашему обществу. Работа включает исторические факты о развитии наркотиков, законы относительно наркоманов, наркотиков и их ужасного влияния на здоровье человека.

Учёные полагают, что любой человек может стать пользователем наркотиков. Возможно избежать использовать их, но это может случиться только в результате длительного лечения.

***Ann Grigolia***

# Drug addiction: disease or crime

## The Summary

This work is about drugs and the attitude of the people to the drugs' users. Nobody doubts nowadays that the usage of the drugs is a disease, but they do great harm to our society. The work includes historic facts about the development of the drugs, laws concerning drugs' addicts and their terrible influence on the human's health.

The scientists think that any person can become the user of the drugs. It's possible to avoid using them but it can happen only as a result of durable treatment.

*აკაკი ჩალათაშვილი*

## ნარკოტიკის ზიანი ადამიანისათვის და მისი პრევენციული გზები

ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანა და გავრცელება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, რომელიც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მიუხედავად კანონით აკრძალვისა, არ მცირდება ნარკოიმპორტიორთა და გამსაღებელთა რიცხვი.

ნარკოტიკი არის ისეთი ნივთიერება, რომელიც ადამიანზე მოქმედებს როგორც ფსიქოტროპული საშუალება. ე.წ „წამალი" უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რითაც აიხსნება ნარკომანებში ჰალუცინაციები.

რატომ იკეთებენ ნარკოტიკს? პასუხი საკმაოდ პრიმიტიულია, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი.

ნარკოტიკებს იყენებენ იმ სასიამოვნო შეგრძნებების გამო, რომელსაც გრძნობს ნარკომანი ე.წ „კაიფის" დროს: ადამიანი ხდება უფრო ბედნიერი, გახარებული, დგება კარგ ხასიათზე, ტვინში მხოლოდ დადებითი ემოციები უმოძრავებს, ვერ გრძნობს დაღლილობას, ეწყება გაურკვეველი სახის ხილვები.

ე.წ. „კაიფის" შემდგომი ფაზა არის გამოსვლის სტადია. ამ დროს ნარკომანს აღენიშნება თავბრუსხვევა, უძლურობა, უხალისობა. გულისცემის ტემპი იცვლება, ეწყება ოფლიანობა, უძილობისა და გულისრევის შეგრძნება, სიმშრალე პირის ღრუში, კონვულსია. ტვინში ამ დროს ირთვება ე.წ თვითგადარჩენის მექანიზმი. ამ დროს ნარკომანი ფიქრობს მხოლოდ ნარკოტიკზე, მის შოვნასა და მომდევნო „კაიფზე'', ანუ აბსტენციაზე.

ნარკოტიკების მიჩვევა იწვევს უძილობას, ძლიერ ტკივილებს მთელ ორგანიზმში, უსაფუძვლო შიშებს, კუჭნაწლავის მოქმედების დაქვეითებას. იგი ანგრევს მთელ ორგანიზმს, მათ შორის პირველ რიგში ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ტვინს, საჭმლის მომნელებელ სისტემას მთლიანად, ძვლის ტვინს და სასქესო ორგანოების ქმედითუნარიანობას.

ნარკოტიკულ, ანუ ფსიქოტროპულ საშუალებას გააჩნია თვისება იმოქმედონ ადამიანზე და გამოიწვიონ ფიზიკური და ფსიქიკური მიჩვევა-დამოკიდებულება. მეცნიერული ხედვით, ამ დროს ადამიანი ზარმაცდება, ეცვლება დამოკიდებულება სამყაროსადმი, აღარ აინტერესებს გარემოში არსებული სხვა სახის სიამოვნების მომტანი მოვლენები, აღარ ადარდებს მეგობრები და ოჯახიც კი. მისი ტვინი გადართულია ნარკოტიკების ძიებაზე. ფიზიკურ დამოკიდებულებას იმ ფიზიოლოგიური მექანიზმების დარღვევა განაპირობებს, რომელიც უზრუნველყოფენ სიამოვნების, ანუ კაიფის პროცესს.

ბოლო 2-3 წლის მანძილზე ნარკოტიკების არჩევანის გაზრდასთან ერთად იმატა მასზე დამოკიდებული ახალგაზრდების რიცხვმაც და რამოდენიმე ასეული ათასი შეადგინა. მოზარდები, რომლებიც დისკოთეკებზე და სხვა გასართობ ღონისძიებებზე დადიან, სვამენ „ექსტაზს" ენერგიის მატებისათვის. მათ ჰგონიათ, რომ ერთი აბი სავსებით უვნებელია, მაგრამ, როგორც ექსპერტები გვიმტკიცებენ, შეუძლია სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

საინტერესოა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევები ნარკოლოგიურ დარგში.

იტალიელი მეცნიერები სამი წლის მანძილზე ატარებდნენ კვლევებსა და ცდებს ცხოველებზე. მათ ორგანიზმში ინექციის გზით შეყავდათ ექსტაზი და კოკაინი. ცდების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერებები იწვევენ არამარტო ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და კიბოს, არამედ გენეტიკურ მუტაციას. ამ შედეგით, იტალიელი მეცნიერები განცვიფრებული დარჩნენ, რადგან ცდებმა დაადასტურა, რომ კოკაინი და ექსტაზი გაცილებით საშიშნი ყოფილან, ვიდრე მანამდე ეგონა მსოფლიოს.

კიდევ ერთი საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს ახალ ზელანდიელმა მეცნიერებმა. შედეგებმა ცხადჰყო, რომ კანაბისის სახელით ცნობილი ნარკოტიკი უფრო საზიანოა, ვიდრე 5 ღერი სიგარეტი. ექსპერიმენტში მონაწილეობდა სამასზე მეტი მოხალისე. კანაბისის მწეველებს აღენიშნებოდათ ძლიერი ხველება, ქშენა და ტკივილი გულ-მკერდის არეში.

მინდა ყურადღება გავამახვილო „მმართავ ნარკოტიკზე". ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის ერთ-ერთ შტატში ჩაატარეს კვლევა. მოწვეულ იქნენ მოხალისეები და ჰკითხეს შეძლებდნენ თუ არა ისინი კაცის მოკვლას. პასუხი ყველა შემთხვევაში უარყოფითი იყო. მაგრამ მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ ისინი ცდებოდნენ. მათ სხეულში შეუყვანეს ნივთიერება, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა ადამიანის ტვინს, მის აზროვნებასა და ქცევებს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ე.წ „გაჭირვებული ნარკომანი" უმეტეს შემთხვევაში იყენებს სხვის მიერ უკვე გამოყენებულ ერთჯერად შპრიცს. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი რისკ-ფაქტორი ისეთი საშიში დაავადებების გავრცელებისა, როგორიც არის შიდსი, C-ჰეპატიტი და სხვა.

ასევე, ყურადღების ღირსად მინდა მივიჩნიო ის დამოკიდებულება ნარკომანისადმი, რომელსაც ავლენენ მისი გარშემომყოფები. მეგობრებს, ახლობლებს და ოჯახსაც კი ეცვლება მისდამი დამოკიდებულება, ზოგჯერ ზიზღითაც კი უყურებენ მას, ზოგჯერ სინანულით, აღარ უნდათ მასთან კონტაქტი, ერიდებიან და ცდილობენ თავი შორს დაიჭირონ, აღარ ენდობიან მას. რაღათქმა უნდა ნარკომანი ხედავს ამას, მაგრამ არსებით ყურედღებას არ აქცევს. შედეგად, იგი კარგავს ბევრს, ვისაც იგი უყვარდა. ასეთი ნარკომანი ხშირად ხდება საზოგადოებისაგან გარიყული.

დაბოლოს, ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით გამოყენება თვითმკვლელობაა და ეს ხშირად უნდა გამოცხადდეს თუნდაც ტელევიზიის საშუალებით ხმამაღლა არამარტო ნარკომანთა, არამედ მთელი ერის გასაგონად.

## პრევენცია

დღეს, მთელ მსოფლიოში ნარკოტიკების წინააღმდეგ დარაზმულია სამთავრობო, არასამთავრო, სამხედრო, სამედიცინო, ინტელექტუალური და სამართალდამცავი გზები. ასევე ეფექტურად მუშაობს მედია.

გაეროს მონაცემებით, საქართველოში ნარკომანთა რიცხვი საგანგაშოა-დაახლოებით 250-350 ათასი ადამიანი. ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით 70%-ით გაიზარდა. ექსპერტთა მონაცემებით, საქართველო ნარკომანთა რაოდენობით ლიდერია ევროპასა და აზიაში. გაიზარდა ასევე ნარკომანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი.

საქართველოს პარლამენტმა უამრავი კანონი გამოსცა საქართველოში ნარკომანთა და ნარკოიმპორტიორთა რიცხვის შესამცირებლად, მიღებულ იქნა

ახალი კონცეფციები, რომლებიც ასე თუ ისე, ამართლებს. მაგრამ სამწუხა-როდ, ეს არასაკმარისია. აუცილებელია ხალხის ინფორმირება, რადგან გაი-გონ, თუ როგორი საზიანოა ეს XXI საუკუნის გლობალური სენი მთელი კა-ცობრიობისათვის.

პრევენციული ზომები შეიძლება დავყოთ ორად: პიროვნული და გარემო.

პიროვნულ პრევენციაში იგულისხმება თვით ადამიანი. მას თავად შეუძლია წარმართოს საკუთარი მომავალი, აირჩიოს სწორი გზა და იცხოვროს ცხოვ-რების ჯანსაღი წესით. ასევე აუცილებელია ნებისყოფა, რადგან ამ შემთხვე-ვაში იგი წყვიტავს ადამიანის ბედს. ასეთი ადამიანის დაინფიცირება ნარკო-მანიით უფრო რთულია.

გარემო ფაქტორული პრევენციის სახეებად მიჩნეული მაქვს რამოდენიმე ფაქტორი: ოჯახი, სკოლა, საინტერესო საქმიანობა, ანუ ჰობი, ეკლესია, და-საქმება და რაც ერთერთი ყველაზე მთავარია-სახელმწიფო კონტროლი.

ნარკოტიკისაგან თავის არიდება ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს. ოჯახმა უნდა უზრუნველყოს ბავშვის უსაფრთხოება და აცნობოს ბავშვს ნარკოტიკის ზიანის შესახებ. საუბარი უნდა იყოს რაც შეიძლება გამარტივებულ ენაზე, ბავშვმა რომ კარგად გაიგოს და აითვისოს. მშობლებმა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყონ ფიქრი ბავშვის მომავალზე. რაღათქმა უნდა, შეუძლებელია შეურჩიონ შვილს სამეგობრო წრე, მაგრამ გარკვეულად შეუძლიათ ზემოქმე-დება.

ასევე დიდი როლი უჭირავს სკოლას. სკოლაში ბავშვი სწავლობს ყველა-ფერს, რასაც ხედავს. ამ დროს აუცილებელია მის ფსიქიკასთან სათუთი მო-პყრობა. მასწავლებელი არამხოლოდ უნდა ასწავლიდეს საგანს, არამედ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს ნარკოტიკის ზიზღი. როგორც ჩანს, ეს მეთოდი არ ამართლებს: საქართველოში მაღალი კლასების 30% უკვე გასინჯული აქვს ნარკოტიკი-იუწყებიან მკვლევარები. სკოლაში, ჩემი აზრით, შეუძლებელია თუნდაც სიგარეტის შეტანის აკრძალვა. მოსწავლე მაინც იყიდის და მოწევს. მაგრამ არის ერთი გამოსავალი: ხშირად ჩატარდეს მოსწავლეების შემოწმე-ბა, რასაც უზრუნველყოფს არა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენ-ლები, არამედ სკოლის მმართველობა.

ნარკოტიკისგან თავის არიდების საშუალება საინტერესო საქიამონობით დაკავებაა, თუნდაც ეს შეიძლება იყოს სპორტი. როგორც ცნობილია, სპორტსმენები თითქმის არ ავადდებიან ნარკომანიის სენით.

კიდევ ერთი საშუალება, რომელიც დღეისათვის არამხოლოდ ნარკომანებს ეხება, არამედ მთელ ხალხს, არის დასაქმება. მე მიმაჩნია ეს საკამოდ ეფექ-ტურად, რადგან ადამიანს ექნება სამუშაო, ექნება ფული და არც კი მოი-ფიქრებს ნარკოტიკების ყიდვას, თუ იგი არ არის ცნობისმოყვარე და არ აინტერესებს ნარკოტიკის გემო.

ეკლესია საკამოდ დიდი ხანია ასე ვთქვათ, ებრძვის ნარკომანიას. როდესაც ადამიანი ეკლესიურია, ხშირად კითხულობს ლოცვებს, ჰყავს საკუთარი მოძღვარი და ცდილობს ღვთის გზაზე იაროს, იგი არასდროს გაიკეთებს წა-მალს, რადგან მისი ფსიქიკა ამას არ მიიღებს.

საპატრიარქო ხშირად აწყობს კონკურსებს, კონფერენციებს და სხვა ღონის-ძიებებს ნარკომანიის წინააღმდეგ.

და ყველაზე მთავარი გზა ნარკოტიკების წინააღმდეგ არის სახელმწიფო კონტროლი და გეგმები.

როგორც უკვე განვაცხადე, საქართველოს პარლამენტში მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც მიზანმიმართულია საქართველოში ნარკომანიის განადგურებისაკენ. სამართალდამცავი სტრუქტურებიც საკმაოდ აქტიურად მუშაობენ ამ საკითხთან დაკავშირებით. არის გარკვეული პროგრესიც, მაგრამ საჭიროა რომ პრევენციის სამოქმედო გეგმაში მთელი საქართველო ჩაებას.

სერიოზული ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ გადადგა, იყო პირველადი პრევენციის გეგმა.

პირველადი პრევენციის სამოქმედო გეგმა კოორდინირებულია ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის ძირითად მიზნებთან. პირველადი პრევენციის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკების ზრდის აღკვეთა ცხოვრების ჯანსაღი წესის ქადაგებით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, პირად ცხოვრებაზე პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებით, თვითრწმენის გაძლიერებით და პოზიტიური ხასიათის მაგალითებისა და ალტერნატივების შეთავაზებით.

ამის გარდა, გეგმაშია პატარა სოფლების აშენება, სადაც მხოლოდ ნარკომანები იცხოვრებენ. ერთერთი ასეთი პროექტი კლინიკა „პროფესიონალს" ეკუთვნის. ასეთ სოფელში დაახლოებით 1-3 თვემდე იცხოვრებს ათასამდე პირი, რომლებსაც კომპლექსური სარეაბილიტაციო კურსი გაეწევათ. პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირება შრომათერაპიას და კაბერნის სამონასტრო კომპლექსის აღდგენას ნარკომანთა მიერ. როგორც ამბობენ, ასეთი სოფელი საკმაოდ ეფექტური იქნება: ნარკომანი შეხედავს სამყაროს სხვა თვალებით, გახდება უფრო ეკლესიური და შრომისმოყვარე.

ასეთი სოფლები უკვე შექმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და წარმატებითაც ფუნქციონირებს.

ამის მაგვარი ერთ-ერთი სოფელი ესპანეთშიცაა. იგი დასახლებული პუნქტიდან საკამოდ შორსაა და მთლიანად იზოლირებულია გარესამყაროსგან. ერთი თვის შემდეგ იქაური მაცხოვრებელი იწყებს მუშაობას ბაღში. კურსი ერთწლიანია და ჯერჯერობით ასპროცენტიან შედეგს იძლევა, ხოლო საქართველოში თითქმის იგივე გეგმას გვთავაზობს ცენტრი „თანადგომა".

ყურადღების ღირსია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწყებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკის მეტადონით ჩანაცვლებას. პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და უკვე 140-ზე მეტი ადამიანი გადის მეტადონით მკურნალობას.

ჩემი აზრით, ნარკოტიკების პრევენციისათვის უნდა არსებობდეს უფრო მძლავრი მექანიზმი: ხშირად უნდა გავიდეს ტელევიზორში ანტინარკოტიკული რეკლამები, უნდა გაშუქდეს ეს საკითხი მაქსიმალურად ობიექტურად. ასევე პოპულარიზება უნდა გაუკეთდეს თვით სარეაბილიტაციო ცენტრებს. შედეგად ნარკომანებს მოეხსნებათ შიში და კომპლექსი ამ დაწესებულებებში მისვლისა.

ასე რომ, სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული წინ, მთავარია მათი ხორცშესხმა.

დაბოლოს

არსებობს ბევრი მითი ნარკომანიასთან დაკავშირებით:
მითი: ვინც წამალს იკეთებს, ის „კაი ტიპია"
რეალურად: თუ ეს ადამიანი ოდესღაც კაი ტიპი იყო, ის ნარკოტიკებმა შეცვალეს.

მითი: ნარკოტიკი ადამიანს ათავისუფლებს.
ფაქტი: ნარკოტიკი ადამიანს მართლაც ათავისუფლებს ყველა ცხოვრებისეული სიამოვნებისაგან.

მითი: ყოველთვის შეიძლება ნარკოტიკებზე უარის თქმა.
რეალობა: ნარკოტიკებზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ ერთხელ-პირველად.

*აკაკი ჩალათაშვილი*

*ქ. თბილისის №61 საჯარო სკოლის მოსწავლე*
*ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი" №1,
2. საქართველო თბილისი, 2007
3. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო: http://www.molhsa.ge
   http://www.moh.gov.ge
   http://www.medportal.ge
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი:
   http://www.phd.gol.ge
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი:
   http://www.tsmu.edu
6. გაზეთი 24 საათი:
   http://www.24saati.ge
7. თბილისის ფორუმი:
   http://www.forum.ge
8. საქართველოს საპატრიარქო:
   http://www.orthodoxy.ge

***აკაკი ჩალათაშვილი***

## ნარკოტიკის ზიანი ადამიანისათვის და მისი პრევენციული გზები


### რეზიუმე:

ნარკომანია- XXI საუკუნის კაცობრიობის საფრთხეა, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა ებრძვის. როგორც უკვე მოგახსენეთ, ნარკოტიკს ადამიანისათვის კარგი არაფერი მოაქვს, მისი გამოყენებას ხშირად ლეტალური შედეგი მოაქვს. მილიონობით ადამიანი მომკვდარა ამ სენით და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. აუცილებელია როგორმე მისი შეჩერება. ჩვენს მიერ დასახელებული პრევენციული ზომები (ოჯახის გავლენა, სამეგორბო წრე, სკოლა, ჰობი და განსაკუთრებით ეკლესია, ასევე სახელმწიფო კონტროლის უდიდესი მნიშვნელობა) მიმაჩნია საუკეთესო ვარიანტად, რადგან სწორედ ეს ფაქტორები შეძლებენ ნარკომანების რაოდენობის შემცირებას, აუცილებელია აქტიური მუშაობა ამ საკითხებზე. ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ არის ეს ზომები  ეფექტური დღეს. მიმაჩნია, რომ დღეისათვის ამ პრობლემას არასაკმარისი ყურადღება ექცევა. პირველ რიგში მის დაძლევას ესაჭიროება დიდძალი მატერიალური სახსრები, რომელიც დღეისათვის  საქართველოს არასაკმარისი აქვს. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ საზოგადოებას არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული ამ პრობლემის სიმწვავე. გარკვეულ წილად ამას ქუჩის ფაქტორი და განსაკუთრებით ახალგაზრდობის დაუსაქმებლობა უწყობს ხელს. ამისათვის აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობა, რაც, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს ნარკომანთა რიცხვის შემცირებას და პერსპექტივაში მის დამარცხებას.


***Акаки Чалаташвили***

## Ущерб от наркотика и превентивные меры


### Резюме:

Наркомания-это угроза человечества XXI века, с которым борется целый мир. Как было вышесказанно, наркотик нечего хорошего не приносит людям. Его применение часто приводит к летальному исходу. Миллионы людей умирали от этой ужасной болезни и процесс продолжается. Необходимо это остановить. Нами предложенны превентивные меры (влияние семьи, круг друзей, школа, хоби и особенно церковь, а также огромное значение государственного контроля). Полагаю именно эти факторы будут способствовать уменьшению количества наркоманов. Обязательным фактором является активная работа. Встаёт вопрос, почему эти меры неэффективны на сегоднящий день. Считаю, что на данном этапе на эту проблему обращается недостаточное внимание. Для устранения этой проблемы в первую очередь необходимы большие материальные средства, которых, к сожалению в нашем государстве недостаточно. Нужно учесть и то, что общественность неполностью осознаёт остроту этой проблемы, а также „фактор улицы" и особенно нетрудоустройство молодёжи. Необходима работа в этом направлении, что уменьшит количество наркоманов и в конечном итоге будет способствовать избавлению от этой ужасной болезни-наркомании.

*Akaki Chalatashvili*

## The harm from drugs and the preventive ways


### The Summary

The world of the $21^{st}$. century runs the risk of drug addiction and every country stands against it.

As I've already mentioned, there is nothing positive in drugs and using them often has a fatal end. Millions of people have died with this disease, but the progress still continues. I've named some preventive ways (influence of the family, friends, school, hobby and especially church, also the huge significance of the state control ) which I think are the best. There is a question why aren't these factors effective nowadays? In my opinion, less attention is paid to them today.

On the one hand, to overcome this problem a big amount of money is needed, but all available funds aren't enough. One the other hand, not everybody understands the whole acuity of this problem.

I would like to say it again and again, each of us must try to find the right way out, in order to decrease the number of drug addicts and finally gain a victory over the enemy of the world-DRUGS.

*მარინა კვაჭაძე*

# კომენტარები საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობის შესახებ

ორგანიზებული დანაშაულის და მისი ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინების ნარკომანიასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე არაერთი მონოგრაფია, სტატიათა ციკლი, სამეცნიერო შრომაა გამოქვეყნებული საქართველოში. მაგრამ თუ გადავხედავთ მათ უმეტესობას, ისინი ძირითადად სისხლის სამართლის საკანონმდებლო ცვლილებებს ეძღვნება და თითქმის იშვიათად განიხილავს ანტი-ნარკოტიკული კანონმდებლობის გარემოს, ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობას მხოლოდ სამართლის პრიზმაში და ანტი-ნარკოტკული სტრატეგიიდან მოწყვეტით მოიაზრებს.

ამ უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა პრობლემის მიმართ სხვაგვარი მიდგომა. კერძოდ, ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობის პრობლემების განხილვას წინ უძღვის ანტი-ნარკოტიკული სტრატეგიის კონცეპტუალური განხილვა და მის საფუძველზე საკანამდებლო წინადადებების შემუშავება.

სტატიაში ვეცდებით წარმოვადგინოთ ნარკომანიასთან ბრძოლის სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც განიხილება დღეს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანში, უცხოეთის ქვეყნებში). აქვე განხილული იქნება სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ანტი-ნარკოტიკული სტრატეგია, საზღვარგარეთის გამოცდილება და ამ ფონზე შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებები.[9]

ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში ამიერკავკასიის ქვეყნები გადაიქცნენ ნარკოტიკების ტრანზიტის ქვეყნებად. უკონტროლო სახელმწიფო საზღვრები და ტერიტორიები, ამ პერიოდში განვითარებული სამოქალაქო ომები და კონფლიქტის კერების გაჩენა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების თარეში, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე, უმუშევრობა და სხვა მრავალი ფაქტორი, ხელს უწყობდა ამ სახელმწიფოებში ნარკობიზნესის განვითარების და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას. ამ დანაშაულის გაფართოების თავიდან აცილების მიზნით, სამივე სახელმწიფომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა 1992-2003 წლებში მოახდინეს გაეროს სამივე მნიშვნელოვანი კონვენციის[10] რატიფიცირება და იკისრეს გარკვეული ვალდებულებები. აღნიშნული კონვენციების მოთხოვნათა შესრულების მიზნით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა განახორციელეს თავის კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაცია და შექმნეს მათი აღსრულების მექანიზმები (შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, შეიქმნა სპეციალიზირებული კომიტეტები, კომისიები). [11]

საქართველოში სახელმწიფოს ანტი-ნარკოტიკულ სტრატეგიამდე შემუშავებული იქნა ნარკომანიასთან ბრძოლის 2 ძირითადი სტრატეგია. სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამა შეეხებოდა საქართველოში ნარკომანიის დაძლევის საკითხებს და

10 სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები გამოყენებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებებში.
11 გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, გაეროს 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და გაეროს 1988 წლის კონვენცია “ნარკოტიკული საშუალებებისა დაფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ”.
[11] Drug Situation in South Caucasus (Annual Report) 2004. p. 15.

ამ მიზნით გასატარებელ ძირითად ღონისძიებებს, კონცეფციას თან ერთვის საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი.

ამავე დროს არასამთავრობო ორგანიზაცია "ალტერნატივა-ჯორჯიას" მიერ ჩამოყალიბებული იქნა ანტინარკოტიკული სტრატეგია, რომელსაც ასევე თან ერთვოდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დეტალურად. "ალტერნატიული-ჯორჯიისა" და სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ფარგლებში შემუშავებული პროგრამის ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმწიფოს მიდგომა ნარკოტიკების მომხმარებლებთან. ამ კონცეფციებს აქვს საერთო შეხების წერტილებიც:

- ორივე ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისას მომხმარებლის და გამსაღებლის გამიჯვნას მოითხოვს.
- ორივე ჯგუფი ხაზს უსვავს მკაცრად განიხაზღვროს არალეგალური ბრუნვიდან ან მიმოქცევიდან ამოღებული ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მცირე, დიდი და განსაკუთრებული დიდი ოდენობის სიის გადასინჯვის აუცილებლობას. [12]

უნდა ითქვას, რომ 2005 წელს შემუშავებული სახელმწიფო ნარკოპოლი-ტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ცვლილებათა პაკეტი და "ალტერნატივა-ჯორჯიას" მიერ შემუშავებული ცვლილებები ერთმანეთისაგან განსხვავდება გარკვეულ საკითხებში. მაგალითად, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმ-საზღვრელი საბჭოს ცვლილებათა პაკეტი აუქმებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ ინარჩუნებს და ამტკიცებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო. რაც შეეხება "ალტერნატივა-ჯორჯიას" კონცეფციის ცვლილებათა პაკეტი გული-სხმობს ნარკოტიკების მოხმარებისათვის, როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმებას. ავტორთა აზრით, ამგვარი მიდგომა ეფუძნება ჰუმანურობის პრინციპს, ადამიანის უფლებათა დაცვას და ზიანის შემცირების პროგრამის გაადვილებას. [13]

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ნარკომანიასთან ბრძოლის სტარტეგია, ხოლო სამოქმედო გეგმის დამუშავება თანდათან მოხდება. ორივე დოკუმენტი ეფუძნება გაეროს 1961, 1971 და 1988წ კონვენციებს.

სტრატეგიის მთავარი დებულებების ფუძემდებლური პრინციპებია:

პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა; კვლევის წარმოება; ნარკოსტრა-ტეგიის მოგვარებაში ჩართული ყველა ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედება; საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია; გრძელვადიანი დაგეგმვა. სტრატეგიის პრიორიტეტული

---

[12] ნარკოვითარება საქართველოში. წლიური ანგარიში. თბილისი 2005წ. გვ.20.

[13] ნარკოვითარება საქართველოში. წლიური ანგარიში. თბილისი 2005წ. გვ.20- 21.

ა) ნარკომანია - დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალებების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსი-ქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო; ბ) ნარკომანიით დაავადებული პირი - პირი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი აქვს დიაგნოზი „ნარკომანია"; გ) მომხმარებელი - პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მის მი-მართ ჩამოყალიბებული არა აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება (მუხლი 2). ნარკოვითარება საქართველოში. წლიური ანგარიში. თბილისი 2005წ. გვ.20-21.

მიმართულებებია: ნარკოტიკების მოხმარების პირველადი პროფილაქტიკა; ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია; ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება; შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ნარკოსიტუაციის ანალიზი და კვლევა; კადრების მომზადება; საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია; საქმიანობათა კოორდინაცია. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრატეგია გარკვეულწილად კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მოითხოვს.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საკმაოდ საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ერთის მხრივ არსებობს სახელმწიფოს სტრატეგია, რომელშიდაც ნარკომანი ითვლება ავადმყოფ ადამიანად, ასეთივე განსაზღვრებას ვხვდებით საქართველოს კანონში "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ".[14] ამავე დროს ნარკომანი, ნარკოტიკების მომხმარებელი პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორების მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება დასჯადი ქმედებაა (სისხლის სამართლის 273-ე მუხლი), ასევე დასჯადია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე.

სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავი მთლიანად დაზუსტებას და დახვეწას საჭიროებს. ამაზე ხშირად მიუთითებენ სპეციალისტები.[15] განსაკუთრებით აღსანიშნავია სსკ 260-ე მუხლი, რომელიც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას, ან გასაღებას. ეს მუხლიც მკვეთრ ცვლილებებს მოითხოვს.

რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერებათა, ფსიქოტროპული საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას საქართველოს შრომის, სოციალურ და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა ამ ნივთიერებათა ოდენობა და საქართველოს პარლამენტი თავისი დადგენილებით ამტკიცებს "უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდ ოდენობის ნუსხას". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარლამენტის დადგენილება, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, კანონქვემდებარე აქტია.[16]

---

[15] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I.. თბილისი 2005.გვ.528-593.

[16] საქართველოში სუბოტექსის დიდი ოდენობით მომხმარებლებისათვის სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნა საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუცია 42-ე მუხლი"-ს ადვოკატები აღნიშნავენ, რომ გაეროს 1961, 1971 და 1988 წლის კონვენციების მიხედვით, ნივთიერება "ბუპრენორფინის" შემცველი პრეპარატი სუბოტექსი არის არა ნარკოტიკული, არამედ ფსიქოტროპული საშუალება. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, რომელიც კანონქვემდებარე აქტია, ბუპრენოფრინი შეყვანილია ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში. ამით, როგორც მიუთითებენ ადვოკატები, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა - საქართველოს შიდა კანონმდებლობა არ უნდა ეწინააღდეგებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ ქვეყნის შიგნით (კონსტიტუციის მე-6 მუხლი). წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებით ანუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მრავალი ადამიანი დღეს სასჯელს იხდის სუბოტექსის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღებისათვის, რომლისათვისაც გათვალისიწნებულია სასჯელი 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ასევე დასჯადია მოხმარება, რისთვისაც პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე (მუხლი 260), ნაცვლად ხსვა მუხლისა, რომელიც ით-

შემდეგი პრობლემა ეხება ზემოთაღნიშნულ ნივთიერებათა რაოდენობას. ევროკავშირში ძირითადი აქცენტი კეთდება არა იმაზე, თუ რა ნარკოტიკებს ფლობს (ინახავს) ადამიანი, არამედ იმაზე, თუ რა მიზნით ინახავს იგი ნარკოტიკს. ევროპაში შეიმჩნევა ნარკოტიკის მომხმარებელთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერბილების ტენდენცია, როგორც ევროკავშირის ქვეყნების ანტინარკოტიკული კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს თექვსმეტიდან მხოლოდ ოთხი ქვეყანა იყებს ნარკოტიკების “მცირე” რაოდენობის ზუსტი წონის მითითებას და აქედან ორ მათგანს მხოლოდ კანაბისათვის. ზოგიერთი ჯგუფის ქვეყნების ტექსტში მოხსენებულია “მცირე” რაოდენობა, თუმცა ნარკოტიკის “მცირე რაოდენობას” გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დამნაშავის განზრახვა. ევროკავშირის სახელმწიფოთა საკანონმდებლო აქტები არ ითვალისიწნებს ნარკოტიკების მომხმარებელსა და ნარკოტიკის მოვაჭრის დიფერენციაციას საქმეში არსებული ნარკოტიკის რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, მცირე რაოდენობის დადგენა კიდევ არ ნიშნავს პრობლემის გადაჭრას. მაგალითად, ნარკომოვაჭრეებს შეუძლიათ მცირე პარტიებით შეინახონ ნარკოტიკები და ისე ივაჭრონ, რომ მათი პასუხისგებაში მიცემა გართულდეს.

მთელ რიგ პრობლემებს ვაწყდებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლთან დაკავშირებით, მითუმეტეს, როდესაც საუბარია პარლამენტის მიერ მომზადებულ ცვლილებებზე, რომელიც შეეხება 45-ე მუხლის მე-3 პუნქტს.

*“3. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენისას თუ პირი უარს განაცხადებს გამოკვლევაზე, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი ჩაითვლება დადგენილად”.*

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (ნარკოტიკების მომხმარებელი) “*თავს არიდებს ნარკოლოგიურ გამოკვლევას და ამ გზით ცდილობს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას. აღნიშნული თავლთმაქცური ქმედებების აღმოფხვრისათვის მოქმედ კანონმდბლობაში არანაირი მექანიზმი არ არსებობს. ამ კატეგორიის პირები ადვილად აღწევენ თავს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას*”. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანია ნარკოლოგიურ გამოკვლევაზე წარდგენილი პირების მხრიდან ნარკოლოგიური შემოწმებისგან თავის არიდება ასეთი ფაქტების შემცირება და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებში დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა.

წარმოდგენილი პროექტი, ჩვენი აზრით, არღვევს ერთის მხრივ სამართლის პრინციპებს და მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებებს. განვიხილოთ საკითხი უფრო დეტალურად. სამართლის პრინციპიდან გამომდინარე, არც ერთი ადამიანი არ არის დამნაშავე, ვიდრე მისი ბრალი დამტკიცებული არ იქნება. ბრალის გარეშე არ არსებობს არავითარი პასუხისმგებლობა. “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის” 10-ე მუხლის

---

ვალისწინებს ფსიქოტროპული საშუალების, მისი ანალოგის ან ძლიერმომქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე (მუხლი 261). სწორედ ამ საფუძველზე იქნა აგებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარდგენილი სარჩელი “ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ”.

ანალოგიურ დებულებაა ასახული საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლში.[17]

მეორეს მხრივ, მტკიცების ტვირთი პირის სამართალდარღვევაზე სახელმწიფოზე გადადის და არა თვით ამ პირზე (კონსტიტუციის 40-ე მუხლის მე-2 პ).

როგორც ვხედავთ კანონი ამ მიმართულებითაც დასახვეწია.

შემდეგი პრობლემა უკავშირდება 2007 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონს. მართალია, შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები სავსებით შეესაბამება საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს - გაეროს 1961 წლის ერთიან კონვენციას ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, გაეროს 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ", მაგრამ არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გადახედვას მოითხოვენ.

1. წარმოდგენილი კანონპროექტის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" მე-3 მულის თანახმად სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლის ვადით ჩამოერთმევა:
   ა. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
   ბ. საექიმო საქმიანობის უფლება;
   გ. პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;
   დ. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;
   ე. პასიური საარჩევნო უფლება;
   ვ. იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება;

2. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობის ამ მუხლის ბ-ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები ჩამოერთმევა 5 წლის ვადით.

3. ამ კანონის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ-ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები ჩამოერთმევა უვადოდ.

4. ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ბ-ვ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები ჩამოერთმევა უვადოდ.

ანალოგიურად, ნარკოტიკული დანაშაულის და მათ შორის ნარკოტიკების მოხმარებისათვის სანქციები მკაცრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც. ახალმა კანონმა წარმოშვა კოლიზია, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს სასამართლო პრაქტიკაში. იმდენად რამდენადაც კანონი ითვალისიწნებს ზოგიერთ ისეთივე სანქციას, რაც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავში, გაურკვეველი ხდება რითი უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ- სისხლის სამართლის კოდექსით თუ ამ

[17] ანალოგიური მოთხოვნაა სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი.

კანონით? ბუნებრივია, აქ პასუხი ერთი შეიძლება იყოს. მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით, რამეთუ "1.სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით. 2. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე." (მუხლი 7. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი).

აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია როგორ უნდა მოხდეს ამ კანონით გათვალისიწნებული სანქციების გამოყენება. თუკი მოსამართლე ამ კანონით გათვალისწინებულ სანქციებს გამოიყენებს სისხლის სამართლის კოდექსის სანქციებზე დამატებით, ჩვენ სახეზე გვექნება სამართლის ერთ-ერთი პრინციპის **neb is in idem** დარღვევა.[18]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მისასალმებელია სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სურვილი და ამ კატეგორიის დანაშაული პრევენციის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ დამსჯელობითი ღონისძიებები შედეგს ვერ გამოიღებს თუ არ იქნა შემუშავებული ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციის ალტერნატიული ღონისძიებები. როდესაც საუბარია ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელზე და სახეზე არ გვაქვს გასაღება და გასაღების ხელშეწყობა, მაშინ მხოლოდ მკაცრი სასჯელის შეფარდება დადებით შედეგს ვერ გამოიღებს. აღნიშნული ღონისძიებები გავლენას ვერ იქონიებენ ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელთა რიცხვის შემცირებაზე და ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციაზე. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებთან ბრძოლის პრევენციის ალტერნატიული პოლიტიკის შემუშავებას. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს მკურნალობისა და რეაბილიტაციის ცენტრები, საზღვარგარეთის პრაქტიკაზე დაფუძნებით შემუშავდეს ნარკოდამოკიდებულების საწინააღმდეგო სამედიცინო და სოციალური ხასიათის ღონისძიებები და სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს გამოსწორებულ ნარკომანთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისაკენ. ნარკოტიკულ დამოკიდებულებაში მყოფ პირთა გამოსწორებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მოთხოვნას უყენებს წევრ-სახელმწიფოებს გაეროს 1961 წლის „ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ". გაეროს კონვენციის მეორე რეზოლუცია მითითებულია კონვენციის 38-ე მუხლზე (ნარკომანების მკურნალობა და რეაბილკიტაცია):

1. აცხადებს, რომ ნარკომანების მკურნალობის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მეთოდს წარმოადგენს მკურნალობა სტაციონარებში, სადაც ხელმიუწვდომელია ნარკოტიკული საშუალებები;
2. დაბეჯითებით მოითხოვს მხარეებისგან, რომელთათვის ნარკომანია წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და რომლებსაც აქვთ ეკონომიკური საშუალებები, უზრუნველყონ ასეთი დამხარების აღმოჩენა.

დასჯის ალტერნატიულ ღონისძიებაზე საუბარია ასევე კონვენციის 36-ე მუხლშიც, სადაც მითითებულია, რომ

[18] არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. კონსტიტუციის 42-ე მუხლი..

ა) „საკუთარ კონსტიტუციურ შეზღუდვ-ებიდან გამომდინარე, მხარეები ღებულობენ ყველა ზომას, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა კულტივირება და წარმოება, დამზადება, ამოღება, მომზადება, შენახვა, შეთავაზება, შეთავაზება გასაღების მიზნით, განაწილება, ყიდვა, გაყიდვა, ნებისმიერი პირობით მიტანა, გარიგება, გაგზავნა, გადა-გზავნა ტრანზიტით, ტრანსპორტირება, იმპორტირება, ექსპორტირება ამ კონვენციის დადგენილებების დარღვევით და სხვა რაიმე მოქმედება, რომელიც მხარეების აზრით შეიძლება იყოს ამ კონვენციის დადგენილებების დარღვევა - ჩაითვლება დანაშაულად. ეს სერიოზული დანაშაული დაისჯება შესაბამისი სასჯელით, კერძოდ პატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთის სხვა წესით.

ბ) ამ მუხლის წინა ქვეპუნქტში მოცემული დადგენილებების მიუხედავად, მხარეებს შეუძლიათ ამ პირების მიმართ, რომლებიც ბოროტად იყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს და სჩადიან დანაშაულს, დასჯის ან დაპატიმრების ნაცვლად, აგრეთვე სასჯელის დამატებით ზომად გამოიყენონ ისეთი ზომები, როგორიცაა მკურნალობა, აღზრდა, მათზე დაკვირვება მკურნალობის შემდეგ, შრომისუნარიანობის აღდგენა და მათი დაბრუნება შესაბამის საზოგადოებაში 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის „ნარკოტი-კული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ“ მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად „.... შესაბამის შემთხვევებში, როდესაც ხდება მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევები, მხარეებს შეუძლიათ პასუხისგების ან დასჯის ალტერნატივად გაითვა-ლისწინონ ისეთი ზომები, როგორიცაა აღზრდა, შრომისუნარიანობის აღდგენა ან სოციალური რეინტეგრაცია, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ნარკომანია, მისი მკურნალობა და მასზე შემდგომი ზედამხედველობა“. ხოლო ამავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით „მხარეებს შეუძლიათ ჩადენილ სამართლადარღვევაზე, რომელიც მიჩნეულია ასეთად წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით, პასუხისმგებლობისა და დასჯის მაგივრად ან ჩადენილ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობისა და დასჯის დამატებით, გაითვ-ალისწინონ სამართალდამრღვევის მკურნალობის, აღზრის, მკურნალობის შემდგომი ზედამხედველობის, შრომისუნარიანობის აღდგენისა და სოციალური რეინტეგრაციის ზომები“.

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ სიტუაცია ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. ეს გარემოება არა მარტო ექსპერტებმა, არამედ საზოგადოების დიდმა ნაწილმაც შენიშნა. აღნიშნული ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან დიდ ძალისხმევასა და დაფინანსებას მოითხოვს.

მიუხედავად ზემოთთქმულისა, უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში ანტინარკოტიკული პროგრამის გატარებისათვის გამოყოფილი თანხები საკმაოდ მწირია.

წლები გეგმა (ლარებში)[19]

| | |
|---|---|
| 1997 | 430 000 |
| 1998 | 500 000 |
| 1999 | 320 000 |
| 2000 | 350 000 |
| 2001 | 500 000 |
| 2002 | 551 000 |
| 2003 | 500 000 |
| 2004 | 348 000 |
| 2005 | 150 000 |
| 2006 | 50 000 |

გარდა ამისა, სავალალო მდგომარეობაა ნარკოდამოკიდებულ პირთა მკურნალობის მხრივაც. კერძოდ, საქართველოში 2005 წელს აღინიშნა წამალდამოკიდებულთა მკურნალობაზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. ამას მიუთითებს ჩატარებულ მკურნალობათა რაოდენობის მკვეთრი მატება გასულ წლებთან შედარებით: 603 პაციენტი 2005 წელს, წინააღმდეგ 2004 წელს ნამკურნალევი 300 პაციენტისა, ან 2003 წელს ნამკურნალები 320 პაციენტისა. 2005 წელს გამოიკვეთა კიდევ ერთი ახალი ტენდენცია: წარმოშვა არსებულ სტაციონარებში წინდაწინ სამკურნალოდ ჩაწერილ პაციენტთა რიგები, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონდა. ამგვარად, ნამკურნალევ შემთხვევათა რაოდენობა არ ასახავს ქვეყანაში მკურნალობაზე არსებული მოთხოვნის დონეს. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ წამალდამოკიდებულების მკურნალობის დაფინანსება არ ხდება არც სახელმწიფოს (გარდა აჭარის რეგიონისა) და არც დონორი თუ კერძო ორგანიზაციების მხრიდან – პაციენტები თავად იხდიან მკურნალობის თანხას. მხოლოდ დეტოქსიკაციის კურსის საფასური სხვადასხვა კლინიკაში 700-დან 1400 ლარამდე მერყეობს, რაც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე სოლიდური თანხაა. ასეთი საფასურის გადახდა მკურნალობის ბევრ მსურველს არ შეუძლია.

გარდა ამისა, საქართველოში სულ 4 სამკურნალო სტაციონალური დაწესებულებაა, აქედან 3 მდებარეობს თბილისში. ქვეყანაში არ არსებობს ნარკომანიის სოციალური რეაბილიტაციის ინსტიტუციური ერთეული. ეს ფუნქცია თავის თავზე იკისრა საქართველოს საპატრიარქომ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ. ასევე პრობლემას წარმოადგენს მომსახურების სპექტრის სიღარიბე. ნარკოლოგიური ტიპის სამკურნალო დაწესებულებებში მკურნალობის ძირითად სახეს წარმოადგენს დეტოქსიკაცია (საშუალოდ ორკვირიანი კურსი) შემდგომი ამბულატორიული რეაბილიტაციით, თუმცა ეს უკანასკნელი საკმაოდ არასრულფასოვანია, მოიცავს მხოლოდ მოკლევადიან (ერთი - ორი კვირა) ფსიქოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურისა და ფიზიოთერაპიის კურსებს, სადაც დიდია მკურნალობის მიტოვების სტატისტიკა. [20]

---

[19] ნარკოვითარება საქართველოში. 2005 წ. წლიური ანგარიში.

[20] მაგალითად, ქვეყანაში წლიდან წლამდე მცირდება სახელმწიფოს ხარჯზე ნამკურნალევ პირთა რაოდენობა: თუ 2003 წლისათვის ოფიციალურად რეგისტრირებულ ნამკურნალევ 330 შემთხვევიდან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იყო 17, ხოლო 2004 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული ნამკურნალევი 300 შემთხვევიდან - მხოლოდ 14 შემთხვევა, 2005 წელს ნამკურნალევი 603 შემთხვევიდან არც ერთი არ იყო დაფინანსებული სახელმწიფოს მხრიდან. ნარკომანიის მკურნალობის ჯაჭვში მოისუსტებს რეაბილიტაციის რგოლი: არ არსებობს ჯეროვანი ამბულატორიული თუ სტაციონარული სარეაბილიტაციო სისტემები; ჩანაცვლებითი თერაპია გლობალური ფონდის დაფინანსებით მხოლოდ 2005 წლის ბოლოსათვის დაიწყო მოკრძალებული მასშტაბის მეთადონური ჩანაცვლების პროგრამის სახით, რომელიც 2005 - 2006 წლების მანძილზე 200 პირის მოემსახურა; საპატრიარქოს ხელშეწყობით ნარკომანიით დაავადებულთა რეაბილიტაციამ ქვეყნის მონასტრების ბაზაზე შედარებით

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ პრობლემის განხილვისას უნდა იქნას გათვალისიწნებული, შეეხება 2005 წლიდან საქართველოში განხორცილებულ ძლიერმომქმედი ნარკოტიკების მეთადონით ჩანაცვლების თერაპიის პროგრამას.

ვფიქრობთ, საკანონმდებლო ცვლილებებით ნარკოტიკის მომხამრებელთა მიმართ სასჯელის მკვეთრად გამკაცრების პირობებში მეთადონის ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება აზრს კარგავს.

საგულისხმოა ისიც, თუ როგორ აღიქვავს საზოგადოება ნარკოტიკის მოხმარებასთან, როგორია მათი შეფასება, ნარკოტიკის მოხმარება მათ მიერ ფასდება როგორც დანაშაული თუ როგორც ავადმყოფობა. აღნიშნულის ცოდნა, საჭიროა რათა სახელმწიფომ სწორი პოლიტიკა განსაზღვროს ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციისთვის. კერძოდ, 1999 წლიდან ქვეყანაში შედარებითი რეგულარობით ტარდება ახალგაზრდათა გამოკითხვები პომპიდუს ჯგუფის კითხვარის (**ESPAD**) ქართულ სინამდვილესთან ადაპტირებული ვერსიის მეშვეობით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ მკაცრ და რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას არ მოაქვს სასურველი შედეგი და არ განაპირობებს ნარკოტიკული დანაშაულის კლებას. ამის დასტურია იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც ნარკოტიკების მოხმარებაზე გათვალისწინებულია უმაღლესი სასჯელი-სიკვდილით დასჯა. ქვევით მოყვანილი მონაცემები ნათლად ცხადყოფს თუ რა დამოკიდებულებაა მკაცრ სასჯელსა და ნარკომანიის შემცირებას შორის.

---

სისტემატიზირებული ხასიათი მიიღო, თუმცა, ეს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნას წამალდამოკიდებულების რეაბილიტაციაზე ვერ აკმაყოფილებს და აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა.

## ნარკომანიის გავრცელება და სიკვდილით დასჯა

| ქვეყანა | მონაცემთა წელი | ნარკომანიის გავრცელების მაჩვენებელი | სიკვდილით დასჯა კანონის მიხედვით | სიკვდილის დასჯის გა-მოყენება პრაქტიკაში |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2001 | 2.1% | არა | არა |
| გაერთიანებული სამეფო | 2001 | 0.9% | არა | არა |
| აშშ | 2000 | 0.6% | კი | კი |
| ტაილანდი | 2001 | 0.5% | კი | კი |
| ახალი ზელანდია | 2001 | 0.5% | არა | არა |
| ავსტრალია | 2004 | 0.5% | არა | არა |
| საფრანგეთი | 1999 | 0.4% | არა | არა |
| კანადა | 2000 | 0.4% | არა | არა |
| გერმანია | 2000 | 0.3% | არა | არა |
| ნიდერლანდები | 2001 | 0.3% | არა | არა |
| ტაივანი | 2002 | 0.3% | კი | კი |
| მალაიზია | 2000 | 0.2% | კი | კი |
| ჩინეთი | 2003 | 0.2% | კი | კი |
| ჰონკ კონგი | 2002 | 0.2% | არა | არა |
| მექსიკა | 2001 | 0.1% | არა | არა |
| სინგაპური | 2002 | 0.1% | კი | კი |
| იაპონია | 2002 | 0.1% | კი | კი |
| შვედეთი | 1998 | 0.1% | არა | არა |
| ფინეთი | 1999 | 0.1% | არა | არა |

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს ნარკოსტრატეგია[21] და შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რაც საქართველოს ჯერ კიდევ წინა აქვს, განსაზღვროს საზოგადოება ნარკოდამოკიდებულ პირს აღიქვავს დამნაშავედ თუ ავადმყოფად, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.

*მარინა კვაჭაძე*
*სამართლის დოქტორი, პროფესორი*

[21] ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგის ცენტრი ნარკოსტრატეგიას განსაზღვრავს, როგორც იმ ინსტრუმენტთა და მექანიზმთა ერთობლიობას, რომელიც ნარკოპოლიტიკის პრინციპებს მიზნებისკენ მიმართავს. http://www.yawningbread.org/arch_2005/yax-508.htm

*მარინა კვაჭაძე*

## კომენტარები საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობის შესახებ

### რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ნარკომანიასთან ბრძოლის სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც განიხილება დღეს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანში, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში). აქვე განხილულია სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ანტინარკოტიკული სტრატეგია, საზღვარგარეთის გამოცდილება და ამ ფონზე შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებები.

*Марина Квачадзе*

## Комментарии к законодательству борьбы с наркоманией в Грузии

### Резюме

В статье представлены некоторые подходы в сфере борьбы с наркоманией, которые обсуждаются сегодня в Грузии (а также в Армении. Азербайджане и в других странах зарубежья). Здесь же представлена антинаркотическая стратегия предложенная правительством, международный опыт и принятые на этом фоне законодательные предложения.

*Marina Kvachadze*

## Comments under the legislation of struggle against a drug use in Georgia

### The Summary

In clause it is presented some approaches on struggle against a narcotism which are discussed today in Georgia (not only in Georgia but also in Armenia and Azerbaijan, and in the foreign countries). Here it is presented antinarcotics strategy offered by the government, experience of foreign countries and legislative offers accepted on this background.

*ირმა მანჯავიძე*

# მოზარდის ფსიქო-საოციალური თავისებურებები და მოტივაცია ნარკოტიკების მოხმარებისათვის

მოზარდობის პერიოდის დეფინიცია

მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის განმარტებით მოზარდები (**Adolescencens**) არიან ინდივიდები 10-დან 19 წლამდე; ხოლო ახალგაზრდებს (**Youth**) მიეკუთვნებიან 15 დან 24-წლამდე ასაკის ჯგუფის ადამიანები, ხოლო ახალგაზრდა თაობას (**Young people**), კი ის პირები, რომელთა ასაკია 20-დან 24 წლამდე.

მოზარდობა- არის ფიზიკური, ემოციური, კოგნიტიური, შემეცნებითი და სოციალური ზრდა-განვითარების პერიოდი, გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან მოზრდილობისაკენ. Error! Reference source not found.

- ფიზიკურ სფეროს მიეკუთვნება -სხეულისა და ორგანოების ზომა და ფორმა, ტვინის სტრუტურა, სენსორული შესაძლებლობები (შეგრძნებები) და მოტორული (სამოძრაო) უნარები;
- შემეცნებითი სფერო მოიცავს გონებრივ შესაძლებლობებს-აღქმას, მეხსიერებას, აზროვნებას, მეტყველებას და წარმოსახვას;
- სოციალური სფერო გულისხმობს პიროვნულ თავისებურებებს და სოციალურ უნარებს, როგორიცაა ქცევა და ემოციური რეაგირების ინდივიდური სტილი, ანუ ის თუ როგორ აღიქვამს ადამიანი სოციალურ გარემოს და როგორ რეაგირებს.

ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის თანახმად მოზარდობის პერიოდი მოიცავს გარკვეულ კრიზისებს. ამ პერიოდის კრიზისს თვით- იდენტურობის ჩამოყალიბება უდევს საფუძვლად.

მოზარდობა იწყება პუბერტული (მეორადი სასქესო) ნიშნებით, ხოლო დასასრული განპირობებულია უფრო ფსიქოსოციალური ფაქტორებით, ვიდრე ბიოლოგიურით. მოზარდობა დაყოფილია სამ სუბფაზად (ადრეული, შუალედური და გვიანი), რომელიც განსხვადება ერთმანეთისაგან. (2)

**ადრეული მოზარდობის** ფაზა იწყება პუბერტული პერიოდიდან, დაახლოებით 10-11 წლიდან გოგონებში და 12-13 წლიდან ვაჟებში. ძირითადად გამოხატულია სწრაფი ზრდა-განვითარება. მოზარდი ცდილობს დაეწიოს თავის ცვლილებებს გარეგნობაში და მოახდინოს კონტროლი მის სწრაფად მზარდ ორგანიზმზე. ამ ასაკში ***სხეულის იმიჯი*** განისაზღვრება ისე როგორიც მას წარმოუდგენია საკუთარი თავი. ეს ყოველთვის იგივე არ არის, რაც სარკეში მიღებული სხეულის გამოსახულება, არამედ მოიცავს ინდივიდის სუბიექტურ გრძნობებს საკუთარი სხეულის შესახებ. სხეულის იმიჯი აყალიბებს საკუთარ იმიჯს მოგვიანებით პერიოდში.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ოპერატიული აზროვნების ფორმირება, რაც არის კოგნიტური განვითარების საბოლოოო ეტაპი. ყალიბდება აზროვნების ანალიზის და სინთეზის უნარი. როცა მოზარდები აანალიზებენ, რომ დრო მიდის და ისინი იწყებენ გეგმების ჩამოყალიბებას მომავლისთვის, სახავენ გზებს ამ მიზნის "ცხოვრების აზრის" მისაღწევად. მეგობრობა ამ პერიოდში წინა პლანზეა წამოსული. ასევე იზრდება ინტერესი საპირისპირო სქესისადმი, ამ პერიოდში ეს ურთიერთობები ნაკლებადაა დაკავშირებული ემოციებთან.

იცვლება დამოკიდებულება ოჯახის მიმართაც. მოზარდი ამ პერიოდში ცდილობს უფრო მეტად იყო შესამჩნევი გარშემომყოფთათავის, ამჟღავნებს საკუთარ თავს და ცდილობს საკუთარი აზრები იყოს დაფასებული ოჯახის მხრიდან.

**შუა მოზარდობის პერიოდი** ამ ფაზას მიეკუთვნებიან პირები 15-დან 18-წლამდე. ეს ეტაპი ხასიათდება ემოციური ლაბილობით, სოციალური იდენ-ტურობით და კონფლიქტით ავტორიტეტულ პირებთან. მეგობრობის ფორმა იცვლება. თანატოლთა (Peer) ჯგუფები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მო-ზარდის განვითარებაში. ემოციური ლაბილობა ამ პერიოდში აისახება ყვე-ლასთან მიმართებაში. ამ პერიოდს ახასიათებს ლეგენდარული რომანტიული სიყვარული და დანაკარგის ტკივილი. ძლიერდება მიჯაჭვულობა მეგობრებ-თან, მშობლები თავს გრძნობენ უარყოფილად და რაღაც ეტაპზე შეიძლება ხელიც კი შეუშალონ შვილების მეგობრობას. ამ კონფლიქტურ პირობებში მოზარდი ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი დამოუკიდებლობა და თავისი ინდივიდურობა მშობლების თუ მეგობრების წინაშე.

**მოგვიანებითი მოზარდობის პერიოდი** ეს ფაზა მოიცავს 19 წელსა და ზევით ასაკობრივ ჯგუფის მოზარდებს. სოციალურ-კულტურული ფაქტორები თამა-შობენ მნიშვნელოოვან როლს ამ ფაზისათვის დამახასიათებელი ნიშნების განვითარაებაში.

უკანასკნელი ფაზა ხასიათდება იდენტურობის გადაწყვეტით და სენსიტიუ-რობის განვითარებით. მეტაფორულად, მოზარდი თავს უყრის გამოცდილებას, ცოდნას, ინფორმაციას და ფასეულობებს. ეს არის ყოველი ინდივიდისთვის პასუხი კითხვაზე “ვინ ვარ მე?” როდესაც იდენტურობის ფორმირება დას-რულებულია მოზარდს გააჩნია საკუთარი ფასეულობები, რაც ხდის მას გა-ნუმორებელს.

გვიანი მოზარდობა ეს არის პერიოდი, როცა ისინი შედიან მჭიდრო კონ-ტაქტში მომავალ საქმიანობასთან. ეს არის მომავლის დაგეგმარების პერიო-დი, აქტივობისა და იდეოლოგიების განსაზღვრის. იდენტურობის ფორმირების ჩავარდნა იწვევს ფსიქოლოგიურ დარღვევას, რაც გამოიხატება იდენტურობის დაკარგვით, რაც კლინიკურად შეიძლება გამოიხატოს მრავლობითი ფსიქი-კური დარღვევის სიმპტომებით მსუბუქი დეპრესიიდან დაწყებული მწვავე ფსიქოზური მდგომარეობით დამთავრებული.

**მოზარდთა პერიოდის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კლი-ნიკური თავისებურებანი**

მოზარდებისათვის დამახასიათებელია ღრმა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების ცვლილებები. მოზარდობა სწრაფი ტრანს-ფორმაციისა და ასევე მომატებული რისკისა და დისფუნქციის პერიოდია. ეპიდემიოლოგიური კვლევების საფუძველზე მოზარდთა დაახლოებით 20%-ს აღენიშნებათ გამოხატული გონებრივი დარღვევები. ვლინდება სარისკო ქცე-ვა, ხშირია დეპრესიული დაავადებები, რაც ხშირად დაკავშირებულია დანა-შაულებრივ ქცევასთან.

მოზარდობის პერიოდში ხორციელდება გენეტიკურად დეტერმინირებული ორგანიზმის განვითარების პროგრამის რეალიზაცია, კონსტიტუციური ტიპის ჩამოყალიბება. ასევე მორფოლოგიური და ფუნქციონალური სტრუქტურების, რეპროდუქტიული სისტემების და შესაბამისი სექსუალური ქცევის ჩამოყალი-ბება. წამყვანია ზრდის ნახტომი, შესაბამისი ნეიროენდოკრინული ცვლილე-ბებით. ამ პერიოდში მიმდინარეობს სისტემებისა და ორგანოების ჰეტეროქ-რონიული, არათანაბარზომიერი განვითარება, რასაც თან ახლავს შინაგანი

ორგანოების ჰორმონული, ნეიროგენული და ვეგეტატიური მარეგულირებელი სისტემების არასტაბილურობა. სწორედ ამ პერიოდში ვლინდება ისეთი პათოლოგიები როგორიცაა დისტონიები,  დისკინეზიები და რეფლუქსები, სომატური და ფსიქიკური მოსაზღვრე მდგომარეობანი, პუბერტატული პერიოდისათვის სპეციფიკური დაავადებები (ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია, იუვენილური შაქრიანი დიაბეტი, ოსტეოქონდრო-პათიები, ცვლილებები კანზე და სხვ). მოზარდობის პერიოდში ვლინდება ფსიქოქარაქტეროლოგიური თავისებურებები, ყალიბდება ქცევის სტერეოტიპები.

ფიზიკურად გაზრდილი და სქესობრივად მომწიფებული მოზარდები თავს უკვე დიდებად თვლიან და ცდილობენ გახდნენ დამოუკიდებლები, რასაც, ბუნებრივია, მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა ხვდება და იწყება კონფლიქტი. ოჯახში იცვლება ურთიერთობები, მაგრამ ამის მიზეზი არ არის მხოლოდ შვილების პრობლემები. ხშირად მოზარდობის სიჭაბუკის პერიოდს ემთხვევა მშობლების ე.წ „საშუალო ასაკის კრიზისი”, როცა ადამიანი იწყებს განვლილი ცხოვრების შეფასებას და აცნობიერებს, რომ აწმყოდ იქცა დრო, რომელშიც უმთავრესი მიზნებისა და გეგმების განხორციელება ჰქონდა განზრახული. ხშირ შემთხვევაში კი მშობლები საკუთარი განუხორციელებელი გეგმების განხორციელებას მიზნად უსახავენ საკუთარ  შვილებს მოზარდობის პერიოდში. რაც ზრდის მოთხოვნებს საკუთარი შვილისადმი და აძლიერებს მოზარდის აგრესიულობასა და დეპრესიას. (1)

***სოციალური სფერო.*** გარდამავალი ასაკის ძირითად სირთულედ მიიჩნევენ კონფლიქტს მშობლებთან და სხვა უფროსებთან. რომლებიც მოზარდთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიისაკენ სწრაფვას ეწინააღმდეგებიან. როგორც ირკვევა, არც მოზარდთა ემოციური გაუწონასწორებლობა და არც უფროსებთან კონფლიქტი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ ატრიბუტს. მოზარდების დიდი ნაწილი მოზრდილებთან მშვიდობიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებს.

***ავტონომიის*** განსაზღვრაში ძირითადი აქცენტი კეთდება უფროსების ზეგავლენისგან განთავისუფლებაზე, მაგრამ შეუძლებელია, რომ გარდამავალ ასაკში ადამიანი არ იყოს მათზე დამოკიდებული. სრული თავისუფლება არც მოზარდებისთვის არის ხელსაყრელი, რადგან აფრთხობთ პასუხისმგებლობა, რომელიც თან ახლავს დამოუკიდებლობას.

***აბსტრაქტული აზროვნების*** ჩამოყალიბების  საფუძველზე იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე „ვინ ვარ?”„როგორი ვარ?”, გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე და იდეალებთან შედარება. პარალელურად, მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების აზრის წვდომასაც ცდილობენ.

საკუთარი ფიზიკური ცვლილებების მიმართ გაძლიერებული ყურადღება იწვევს მოზარდების გარკვეულ ეგოცენტრიზმს. მათ მიაჩნიათ რომ მათი ქცევა ისევე საინტერესოა ირგვლივმყოფთათვის როგორც მათთვის. მოზარდებს პატარებზე ბევრად მეტად აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე სხვები – ისინი თითქოს გამუდმებით სცენაზე არიან წარმოსახვითი მაყურებლის წინაშე და თავს ახალ-ახალ როლებში სცდიან. 15-16 წლისათვის ასეთი ეგოცენტრიზმი კლებულობს: ხვდებიან, რომ ადამიანთა უმრავლესობა არ არის ამდენად დაინტერესებული მათი პიროვნებით და ისინი არც ისე უნიკალურები და განსაკუთრებულები არიან, რომ საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდნენ.

გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით იზრდება თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა. ფიზიკური, ემოციური და სოციალური ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებთან გასამკლავებლად მათ თანაგრძნობა და მხარდაჭერა

ესაჭიროებათ. ამას კი ბუნებრივია, იმათთან ეძებენ, ვისაც მსგავსი პრობლემები აწუხებს, ანუ თანატოლებთან. თანატოლთა წრე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევენის განვითარებაში. ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბებას. მოზარდები, რომლებიც ერთი შეხედვით ყოველგვარ ნორმებს და წესებს აპროტესტებენ, საკმაოდ მკაცრად იცავენ თანატოლთა ჯგუფებში არსებულ ნორმებს. აქ სწავლობენ ჯგუფისადმი სოლიდარობას, ჯგუფში აღიარებული წესების დაცვას და ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

*მოზარდის ხასიათის თავისებურებანი:*
ფსიქოლოგების აზრით ზრდასრული ადამიანების მხოლოს 40%-ს აქვს ე.წ გაწონასწორებული ხასიათი. ეს არის მოქნილი, სტრესულ სიტუაციაში მდგრადი, ზომიერად მგრძნობიარე ხასიათი შფოთვის დაბალი დონით. მოზარდებს შორის ასეთი გაწონასწორებული ხასიათი მხოლოდ 5%-ს აქვს. ამდენად, ადამიანთა უმრავლესობას აქვს არა გაწონასწორებული, არამედ აქცენტიურებული ხასიათი. ეს არის არა ნორმიდან გადახრა, არამედ ნორმის უკიდეურესი ხასიათი, რომლის დროსაც ხასიათის ესა თუ ის თავისებურება მკვეთრად არის გამოხატული, უფრო თვალშისაცემია. აქცენტუირებული ხასიათის მქონე ადამიანი გადაჭარბებულად მგრძნობიარეა ზოგიერთი ფაქტორის მიმართ. მაშინ როცა სხვა, თუნდაც პრობლემური ფაქტორებისადმი სიმყარეს ავლენს. შესაბამისად, ერთსა და იმავე სიტუაციაში ზოგიერთი ადამიანი კარგად და მშვიდად გრძნობს თავს, ზოგი კი იბნევა, ღელავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი არანორმალურია.

გამოყოფენ მოზარდთა ხასიათის აქცენტუაციის სხვადასა ტიპებს (5,6), თითოეულ ტიპს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ე.წ. „სუსტი წერტილი", რაც იმას ნიშნავს, რომ ხასიათის თავისებურებების გამო გარკვეულ სიტუაციში მოზარდი თავს ცუდად გრძნობს, იქცევა არაადექვატურად. ერთი შეხედვით მშობლებისათვის თითქოს უმტკივნეულო მიმართვამ, შენიშვნამ ან ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს მოზარდის დეპრესია, პროტესტი, გაღიზიანება. თუმცა ხასიათის აქცენტუაციის გათალისწინებით მოზარდები შესაძლოა ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რაც მათ კარგად გამოსდით. მნიშვნელოვანია მათ დავეხმაროთ ასაკობრივი სირთულეების დაძლევაში.

***ჰიპერთიმული*** *მოზარდები* ხალისიანი გუნებგანწყობით გამოირჩევიან, იზიდავთ ახალი ურთიერთობები, უჩნდებათ სურვილი მოსინჯონ საკუთარი ძალები ახალ სიტუაციაში. უყვართ რისკი და თავგადასავლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასეთმა მოზარდებმა შეიძლება თანატოლებზე ადრე დაიწყონ ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მიღება, სექსუალური აქტივობა. მათ გამძაფრებული აქვთ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ენერგიულობისა და ხალისიანობის წყალობით ადვილად იკავებენ ლიდერის ადგილს თანატოლთა ჯგუფში.

***ციკლოიდური ტიპი*** ბავშვობაში ხშირად ჰიპერთიმულს წააგავს. მხოლოდ გარდატეხის ასაკში იწყება პერიოდული უგუნებობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აპათიურობა, უხალისობა, ვერაფერს გულს ვერ უდებენ, უჭირთ მეცადინეობა, აღიზიანებთ ხალხთან ურთიეთობა, თანატოლებსაც თავს არიდებენ. ყველაფერს პესიმისტურად აღიქვამენ. საყვედურმა ან უმნიშვნელო წარუმატებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დეპრესია ან მძაფრი აფექტური დეფრესია ან მძაფრი აფექტური რეაქცია თვითმკვლელობის მცდელობით.

***ლაბილური ტიპის*** მოზარდები ბავშვობაში არ გამოირჩევან თანატოლებისაგან, ამ ტიპის ბავშვებისათვის დამახასიათებელია გუნებ-განწყობის მკვეთრი და ხშირი ცვალებადობა. მათ ახარებთ და სტიმულს მატებთ ყოველგვარი

ყურადღების გამოვლენა, საყვედურებს და გაკიცხვას ძალინ მტკივნეულად განიცდიან. სერიოზულმა პრობლემებმა, ფსიქიკურმა ტრავმებმა შეიძლება მძიმე ნევროზული რეაქციები გამოიწვიონ.

***ფსიქასთენიური ტიპისათვის*** კრიტიკულია სკოლაში სწავლის დაწყება, როცა იზრდება პასუხისმგებლობა, ძლიერდება შფოთვა, სიძნელეების და წარუმატებლობის შიში. ამიტომაც ისეთმა კრიტიკულმა სიტუაციამ, როგორიც გამოცდებია შესაძლებელია გამოიწვიოს სულიერი წონასწორობის დაკარგვა. ამ ტიპის მოზარდებში შესაძლებელია გამოვლინდეს ისეთი პათოლოგიური ქცევა, როგორიცაა სახლიდან გაქცევის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღების, თვითმკვლელობის მცდელობის სურვილი.

***შიზოიდური (აუტისტური) ტიპის*** მოზარდებისათვის დამახასიათებელია გარიყულობა და ჩაკეტილობა. ხშირად მათი გატაცებები გამოირჩევა უჩვეულობით, ხშირია ინტელექტუალ-ესთეტიური ჰობი, მაგრამ გატაცებები ყველასგან დამალულია.

***ეპილეპტოიდური ტიპის*** მოზარდებისათვის დამახასიათებელია მუდმივი ჭირვეულობა, ზოგჯერ ისინი სისასტიკეს იჩენენ-აწვალებენ ცხოველებს, თავისზე პატარებს და სუსტებს. თანატოლებთან ურთიერთობაში ცდილობენ მოიპოვონ ძალაუფლება, დაამყარონ ჯგუფში თავისი წესები.

***ისტეროიდული (დემონსტრატიული) ტიპის*** მთავარი დამახასიათებელია ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუცხრომელი სურვილი. გარდატეხის ასაკში თანატოლების ყურადღების მისაპყრობად ხშირად მიმართავენ წესრიგის დარღვევას, შეიძლება იტრაბახონ, რომ ბევრს სვამენ ან ნარკოტიკებს იღებენ, მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილების მოსახდენად კეთდება.

***არამდგრადი ტიპი*** ბავშვობიდანვე გამოირჩევა მოუსვენრობით, მშიშარაა, მუდმივად თვალყური ჭირდება. ასეთი ტიპის მოზარდები არ გამოირჩევიან სკოლაში სწავლის სურვილით, არ უნდათ რაიმე მოვალეობის შესრულება. განსაკუთრებით ისწრაფვიან სიამოვნების მიღებისაკენ.

მოზარდობის პერიოდშივე ესწრაფვიან მძაფრი განცდებისა და შთაბეჭდილებისაკენ. ამ მიზნით შეიძლება ალკოჰოლს ან ნარკოტიკებსაც მიმართონ, წესრიგის დარღვევა ან წვრილმანი სამართალდარღვევებიც უფრო გართობის მიზნით ხდება.

***კონფორმული ტიპისათვის*** განსაკუთრებით დამახასიათებელია გარემოს გადაჭარბებული კონფორმულობა. კარგ გარემოშო ყალიბდებიან დადებით, შემსრულებელ პიროვნებებად, ხოლ ცუდ წრეში თანდათან ითვისებენ ამ წრისათვის დამახასიათებელ ქცევებსა და მანერებს.

ამრიგად. ზემოაღნიშნული ხასიათის აქცენტუაციის საფუძველზე ნარკოტიკების მომხმარებისათვის მოტივაცია უპირატესად გამოხატული აქვთ ჰიპერთიმულ, ფსიქასთენიურ, ისტეროიდული დ არამდგრადი ქცევის ფსიქოლოგიური ტიპის მოზარდებს.

**მოზარდის არჩევანი-რეალობისგან გაქცევა**

გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი გამძაფრებული ცნობისმოყვარეობა, (4, 11, 12) ხასიათის პარადოქსულობა, ეგოცენტრიზმი, ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნილება, მძაფრი შთაბეჭდილებებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, პრობლემებთან გამკლავებისა და ადაპტაციის არასაკმარისი უნარი მოზარდს ბევრ სირთულეს უქმნის. ეს სირთულეები იწვევენ შფოთვას, დაძაბულობას, დაურწმუნებლობის გრძნობას და შინაგანი

წონასწორობის დაკარგვას. ამ უსიამოვნო განცდებისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება ფსიქოაქტიური ნივთიერება იყოს გამოყენებული, რასაც შემდგომში ადიქტიური ქცევის ჩამოყალიბება მოყვება.

**ადიქტიური ქცევა** მავნე ჩვევების ნაირსახეობას წარმოადგენს, ეს არის, ერთგავრი, ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელიც განმტკიცებულია მრავალჯერადი განმეორებით. ჩვევა შეიძლება იყოს სასარგებლო, უსარგებლო და მავნე. თუ მავნე ჩვევა სტაბილურია, მყარია, ძნელად კორექტირდება, ზიანს აყენებს თავად პიროვნებას და ირგვლივმყოფებს, საქმე გვაქვს პათოლოგიასთან.

ადიქტური ქცევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეალობისაგან გასვლის მიზნით, ადმიანები ცდილობენ ხელოვნური გზით შეცვალონ თავიანთი ფსიქიკური მდგომარეოაბ, რაც მათ უსაფრთხოების, შინაგანი წონასწორობის აღდგენის ილუზიას უქმნის. ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლა ხდება ქიმიური ნივთიერებების მიღებით ან გარკვეულ საქმიანობაზე ყურადღების მუდმივი გადატანით, რასაც თან ახლავს ინტენსიური ემოციური რეაქცია. ადიქტიური მექანიზმით გუნებ-განწყობის შეცვლის სურვილი კმაყოფილდება სხვადასხვა ადიქტიური აგენტების საშუალებით. ასეთ აგენტებს მკიეკუთვნება:(3, 5, 10)

1. ნივთიერებები, რომელიც ცვლიან ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობასფიქოაქტიური ნივთიერებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, მედიკამენტები, ტოქსიკური ნივთიერებები);
2. ქცევის (საქმიანობის) სხვადასხვა ფორმები-აზარტული თამაშები, კომპიუტერი, სექსი, სამსახური, რიტმული მუსიკის მოსმენა, ბევრი ჭამა ან შიმშილობა და ა.შ.

ნებისმიერი ტიპის დამოკიდებულების დროს ეს წამალთდამოკიდებულებაა თუ ქცევითი დამოკიდებულება, არსი ერთი აქვს:

- ადამიანს არ შეუძლია, უარი თქვას დამოკიდებულების ობიექტზე (კონტროლის დაკარგვა, თავის შეკავების შეუძლებლობა);

- ადამიანი ცდილობს, დამალოს ან შეარბილოს თავისი მდგომარეობის სერიოზულობა

- უფასურდება სხვა ინტერესები-ადამიანის ინტერესების სფერო თანდათან ვიწროვდება და ბოლოს მხოლოდ დამოკიდებულების ობიექტით შემოიფარგლება.

დამოკიდებულება არის რეალურობისაგან გაქცევისა და მისი მიღწევის საშუალებებზე მუდმივი ფიქრის მდგომარეობა, რასაც ადამიანის დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი მიაქვს, ასეთი ინდივიდების შიგნით მეორე „ადიქტიური პიროვნება" ცხოვრობს, (7, 9) რომელსაც თავისი საკუთარი ლოგიკა, ემოციები, ღირებულებები და ფსიქოლოგიური დაცვის სისტემა გააჩნია.
რეალობიდან განსვლა ძლიერ ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული. თუკი ადამიანი ერთხელ წამოეგო „ემოციურ სატყუარას", მერე მისი მართვა ძალიან ადვილი ხდება. ფაქტურად დამოკიდებულია არა პრეპარატზე, არამედ ემოციაზე.

**ადიქციური ქცევის მოდელები**

ადიქციური ქცევის რამოდენიმე მოდელი არსებობს, მათ შორის გამოყოფენ: (6,7, 8, 11)

1. *დამამშვიდებელი მოდელი* - ფსიქოაქტიური ნივთიერებეის მოხმარება ხდება სულიერი სიმშვიდის მოპოვების მიზნით. მოზარდებს, რომელთაც უძნელდებათ ინტერპერსონალური დამოკიდებულებანი და უჭირთ გარემოსთან შეგუება, მუდმივი ფსიქიკური დაძაბულების მდგომარეობაში იმყოფებიან, ხოლო ნარკოტიკი უხსნის ემოციურ დისკომპორტს.
2. *კომუნიკაციური მოდელი*–ნარკოტიკების მიჩვევის ეს მოდელი შეიძლება აღმოცენდეს, თუკი არ კმაყოფილდება თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობების, სიყვარულის მოთხოვნილება, ხოლო ფსიქოაქტიური ნივთიერებების ფონზე მათ უადვილდებათ თანატოლებთან ურთიერთობა.
3. *გამააქტივებელი მოდელი*–ზოგჯერ, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მოზარდები მოიხმარენ ძალების მოზღვავების, ტონუსში ყოფნის, აქტიურობის მომატების მიზნით. გარდატეხის პერიოდისათვის დამახასიათებელი არამყარი თვითშეფასება, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა მათ დისკომპორტს უქმნის. თრობის მდგომარეობაში უფრო ადვილია არსებული და წარმოსახვითი შესაძლებლობების რეალიზება, „გმირული საქციელის" ჩადენა.
4. *ჰედონისტური მოდელი* – ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება სიამოვნების მიღების, ფსიქო-ფიზიკური კომფორტის მიღწევის მიზნით. მოზარდები ცდილობენ შეიქმნან მოჩვენებითი ფანტასტიური სამყარო, შეიგრძნონ განცხრომის მდგომარეობა. ქიმიური ნივთიერებების მიღების გზით სიამოვნებისაკენ სწრაფვის მიზეზს ის წარმოადგენს, რომ მათ არა აქვთ საშუალება ან არ იციან, როგორ გაირთონ თავი სხვა გზით (სპორტული, შემოქმედებითი ან სხვა აქტივობით). მხოლოდ ნარკოტიკების მიღების გზით ცდილობენ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების რეალიზებას.
5. *კონფორმული მოდელი*-მოზარდის სწრაფვა, მიბაძოს არ ჩამორჩეს თანატოლებს, აღიარებული იქნას მათ მიერ. ყოველივე ეს შეიძლება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების საბაბი გახდეს. ძალიან ხშირად ნარკოტიკების მოხმარება იწყება არაფორმალურ ჯგფებში, რათა მიღებულ იქნას თანატოლების მიერ, შეიგრძნოს ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის სასიამოვნო მდგომარეობა, გაიმყაროს სოციალური სტატუსი, მოზარდი იძულებეულია გაიზიაროს ჯგუფში არსებული ყველა ნორმა თუ ქცევის მოდელი.
6. *მანიპულაციური მოდელი*- შესაძლოა ფსიქოატიური ნივთიერებების მოხმარება გამოყენებულ იქნას სხვებით მანიპულირების, სიტუაციის საკუთარი თავის სასარგებლოდ შეცვლის, რაიმე უპირატესობის მოპოვების მიზნით. მაგალითად ისტერიული ხაზების მატარებელი მოზარდები ალკოჰოლს ან ნარკოტიკს ეტანებიან ყურადღების მისაქცევად ან საკუთარი უნიკალურობის სადემონსტრაციოდ. ეპილეპტოიდური მოზარდები ნარკოტიკების საშუალებით ცდილობენ აკონტროლონ სიტუაცია, ლიდერის როლი მოიპოვონ.
7. *კომპენსატორული მოდელი*- ქცევის ამ მოდელს განაპირობებს პიროვნული არასრულფასოვნების ან ხასიათის დისჰარმონიის კომპენსირების საჭიროება. ნარკოტიკების მოხმარება მათ სირთულეების დაძლევის საჭიროებას უქმნის.

***მოზარდობის პერიოდის კრიზისი ადიქტიური ქცევის მნიშვნელოვან რისკ-*****ფაქტორს წარმოადგენს.**

<u>*კრიტიკული ასაკი ნარკოტიკების მიმართ*</u>

გამოყოფენ სამ კრიტიკულ პერიოდს ნარკოტიკებით დაინტერესების მიმართ. **8-11 წლის ასაკისათვის** (6, 8, 9) ბავშვს აინტერესებს ყველაფერი, რაც ნარკოტიკებთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდისათვის ნარკოტიკი

იდუმალებით მოცული, უცნობი და აკრძალული ხილია. ნარკოტიკების შესახებ ყურმოკრული, ნაწვეტ-ნაწყვეტი ინფორმაცია გააჩნიათ, გასინჯული აქვს ერთეულებს. ამ ასაკში აქტიური მოხმარება ყველაზე ხშირად აქროლადი გამხსნელების (წებო, ბენზინი) შესუნთქვასთან არის დაკავშირებული.

**11-14 წელი** ნარკოტიკების შესახებ ამ ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ ბევრი იციან. ინფორმაციის ძირითად წყაროს თანატოლები წარმოადგენენ, ნარკოტიკების მიმართ განწყობა უფრო პოზიტიურია, რომელსაც თან ახლავს გარკვეული “მომხიბვლელობა”. ამ ასაკში უფრო ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ქიმიური ნაწარმი და მედიკამენტები (ბენზინი, წებო, აცეტონი, დამამშვიდებლი აბები).

**14-17 წელი** ყველაზე კრიტიკული ასაკია ნებისმიერი ფსიქოაქტიური ნივთიერებეით ექსპერიმენტირების დაწყების თვალსაზრისით. რაც ხშირად ხდება დისკოთეკებზე, ახალგაზრდულ წვეულებებზე, ღამის კლუბებში. მოზარდების დიდ ნაწილს აქვს საკუთარი გამოცდილება ნარკოტიკების მოხმარების მიმართ.

**სოციუმის გავლენა ადიქტიური ქცევის ფორმირებაზე**
ნარკომანიის გავრცელება დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ კრიზისზე, იმაზე თუ როგორია აღზრდის ხარისხი, საზოგადოებრივი ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის დონე, საზოგადოების უნარი მოაგვაროს სოციალური პრობლემები. მოზარდზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, მასობრივი ინფორმაცის საშუალებები და საზოგადოება.

<u>ოჯახი.</u> ბავშვის სოციალიზაციის პირველი ინსტიტუტი ოჯახია თავის მრავალი ფუნქციითა და სხვადასხვაგვარი სტრუქტურით. ოჯახის ფუნქცია მრავალგვარია, როგორიცაა აღმზრდელობითი, ემოციური, სულიერი ურთიერთობის, პირველადი სოციალური კონტროლის ფუნქციები და სხვა. იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოზარდის სოციალურ მომწიფებას, ერთი მხრივ მშობლებმა შვილებს უნდა შეუქმნან თბილი, მოსიყვარულე გარემო, მეორე მხრივ, უნდა შეეგუონ მოზარდის მზარდ ავტონომიას-ის ხომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ემზადება. ამ პროცესის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მშობლების ქცევის სტილი. მშობლების შვილებთან ურთიერთობის ოთხ ძირითად სტილს გამოყოფენ: დემოკრატიული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდეფერენტული. ნათელია, რომ მხოლოდ დემოკრატიული მშობლები ინარჩუნებენ ავტორიტეტს შვილების თვალში. მხოლოდ ნდობაზე დამყარებულ კონტროლს შეუძლია უზრუნველყოს მოზარდში სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა, ექსპერიმენტების მოყვარულ მოზარდებს შეუძლიათ წარუმატებლობის შემთხვევაში მშობლებთან მსჯელობა თავიანთ პრობლემებზე, მიიღონ მხარდაჭერა და აღიდგინონ სულიერი წონასწორობა.

<u>სკოლა</u>. სკოლა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და განვითრების პერსპექტივაზე. სკოლას მრავალგვარი ფუნქცია აკისრია: ცოდნის გადაცემა, კულტურალური და მორალური ღირებულებების ჩამოყალიბება, სოციალური ადაპტაციისა და პიროვნული ზრდის ხელშეწყობა. სკოლა ის ადგილია, სადაც თანატოლთა გარემოცვაში მოზარდი სხვადასხვა ქცევების მოსინჯვასა და ექსპერიმენტირებას იწყებს (მათ შორის ნარკოტიკების გასინჯვასაც); ხოლო მეორეს მხრივ სკოლა ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის უნიკალურ საშუალებას იძლევა. მოზარდის პიროვნული ზრდისა და სოციალური მომწიფების ხელშეწყობა ადიქტიური ქცევის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მედიის დომინანტური როლი სხვადსხვაგავარდ ვლინდება. მედია წარმართავს ღირებულებების და აზრების ფორმირებას; დღეისათვის ელექტრონული მედია გავლენიან და გავრცელებულ "აღმზრდელად" გვევლინება. მედიის მიერ ახალგაზრდა თაობა განუწყვეტლად "იბომბება" შერეული ცნობებით თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია უფროსებისათვის და რომელთა ინტერპრეტირება არასწორად ხდება ბავშვების მიერ. არასწორი ან გაუფრთხილებელი მიდგომით მედიამ შესაძლოა ფსიქოაქტიური საშულებების პროპაგანდა და რეკლამირება აწარმოოს.

საზოგადოება. უკანასკნელ წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ძველი ღირებულებებისა და ნორმების უმრავლესობის გაუფასურება, რის პარალელურად გაჩნდა ახალი ფასეულობები. ღირებულებების გადაფასების პროცესი საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. საზოგადოების დეკლარირებული და რეალური ღირებულებების წინააღმდეგობრივი ხასიათი შეიძლება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების არაპირდაპირ მასტიმულირებელ ფაქტორად მოგვევლინოს.

**დასკვნა** მოზარდობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებანი, განაპირობებენ გარკვეული ქცევის ტიპების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოტივაციას ნარკოტიკების მოხმარებისათვის. თუმცა ამ პერიოდში შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება სკოლებში თანატოლთა განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

*ირმა მანჯავიძე*
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო*
*უნივერსიტეტის პედიატრიული დეპარტამენტის*
*ასისტენტ-პროფესორი, ასოციაცია*
*„უფლება ჯანმრთელობაზე" პრეზიდენტი*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. თვალი გავუსწოროთ რეალობას ანუ რა ვასწავლოთ ნარკომანიაზე, წიგნი პირველი, თბილისი, 2003წ.
2. ბავშვთა და მოზარდთა ქცევითი პრობლემები, თბილისი, 2005წ.
3. თანასწორთა განათლება, სახელმძღვანელო. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2006წ.
4. ჯანსაღი ცხოვრება-ჩვენი არჩევანი! ინტენსიური სასწავლო კურსი აივ ინფექცია/შიდსისა. სგგდ და სხვა დაავდებათა პრევენციისათვის, თბილისი, 2006წ.
5. Березин С.В. , ЛИСЕЦКИЙ К.С. Психология ранней наркомании. Москва,2000.
6. Колесов Д.В. Антинаркотическое воспитание. Москва. 2001
7. Pataki CS (2000). Mood disorders and suicide in children and adolescents. In: SAdock BJ, Sadock VA (eds). Comprehensive Textbook of psychiatry. 7th ed. Baltimore: lippincott Williams & Wilkins, pp:2740.
8. Stanton, B. F., Li, X., Galbraith, J., Cornick G., Feigelman, S., Kaljee, L., et al. (2000). Parental underestimates of adolescent risk behavior: A randomized, controlled trial of a parental monitoring intervention. *Journal of Adolescent Health*, *26*, 18–26.

9. Rushton JL, Forcier M, Schectman RM (2002). Epidemiology of depressive sumptoms in the National Longitudinal Study of Adolescent Health. J Am Acad Child Adolesc Psychiatry, 41 (2): 199-205
10. Ogden, J. (2003). Some problems with social cognition models: A pragmatic and conceptual analysis. *Health Psychology*, *22*, 424–428.
11. Rai, A., Stanton, B. F., Wu, Y., Li, X., Pack, R., Harris, C., et al. (2003). The effect of parental monitoring on adolescent risk behaviors: An analysis of six cross-sectional data sets from 1992–1999. *Journal of Adolescent Health*, *33*, 108–118
12. Wu, Y., Stanton, B. F., Galbraith, J., Kaljee, L., Cottrell, L., Li, X., et al. (2003). Sustaining and broadening intervention impact: A longitudinal randomized trial of three adolescent risk reduction approaches. *Pediatrics*, *111*, e32–e38.

*ირმა მანჯავიძე*

## მოზარდის ფსიქო-სოციალური თავისებურებები და მოტივაცია ნარკოტიკების მოხმარებისათვის

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია მოზარდობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებანი და ქცევის ტიპების ჩამოყალიბების საფუძვლები; რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოტივაციას ნარკოტიკების მოხმარებისათვის. თუმცა ამ პერიოდში შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება სკოლებში თანატოლთა განათლებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

**Ирма Манджавидзе**

## Психо-социальные особенности подросткового возраста и мотивация к применению наркотических веществ

### Резюме

Физическое, половое и психо-социальное развитие подростка определяют тип формирования поведения, которое может способствовать к мотивации применения наркотиков в подростковом возрасте.

*Irma Manjavidze*

## Psycho-social particularities of adolescence and motivation to drug abuse

### The Summary

Physical, sexual and psychosocial development makes influence on Adolescence behaviour. Therefore it basically formats motivation for Drug Use and Drug Abuse.

# მრგვალი მაგიდის
# “ახალგაზრდობა და ნარკომანია”
# დასკვნითი რეკომენდაციები

- **საჭიროა** სიღრმეული, მრავალმხრივი ფუნდამენტური გამოკვლევის ჩატარება, რომელიც მოგვცემდა რეალურ სურათს, სწორი დასკვნებისა და პროგნოზირების ასევე ეკონომიკური და ადამიანური რესურსების სწორი გათვლების გასაკეთებლად, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენის-თანა შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

- საჭიროა ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების მუდმი-ვი სტრუქტურული, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური სრულყოფა კანონსაწინააღმდეგო სფეროში მიმდინარე პროცესების ადეკვატურად.

- აუცილებელია საკანონმდებლო სისტემის ისეთი უნივერსალიზაცია, რომელიც შესამჩნევად გააძლიერებს საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუ-ფების მუშაობას და უზრუნველყოფს ასეთი ჯგუფების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ეფექტურ საქმიანობას და ნარკოტიკული ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას.

- მნიშვნელოვანია, ნარკომანიით დაავადებულ პირებთან სამედიცინო, სოციალური და რეპრესიული მეთოდებით მუშაობის სწორი სისტემის შემუშავება, ამ კონტიგენტთან მომუშავე უწყებების და სამსახურების კომპეტენციის მკვეთრი გამიჯვნა.

- მოზარდებში ნარკომანიის პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო და-წესებულებებში ჯგუფური არტ-თერაპიული მეთოდის დანერგვა ხელს შეუწყობს მოზარდთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და სტიმულირებას.

- ჟურნალისტებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ისეთი ინფორმა-ციის გამოქვეყნებისგან, რომელიც შეიძლება ვიღაცისთვის მომხიბლა-ვი აღმოჩნდეს.

- ლეგალიზაციის შედეგად გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავალი. იგი გამოიწვევს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოზიდვას, იმ ქვეყნები-დან სადაც ნარკოტიკები არაა ლეგლიზებული, რაც დამატებითი შე-მოსავლის წყარო იქნება.

- ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება ნარკომანიის პრობლემის დაძლევის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა. ნარკომანიასთან ბრძოლაში გარდა, სახელმწიფოს მხრიდან და მასობრივი საინფო-რმაციო საშუალებებით მხარდაჭერისა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს საზოგადოებისა და მესამე სექტორის როლი (არასამთავრობო ორგანიზაციები). ამ კეთილშობილური საქმის განსახორციელებას სჭირდება ასევე კარგი სოციალური მუშაკები.

- ნარკოტიკისგან თავის არიდების საშუალება საინტერესო საქიამონო-ბით დაკავებაა, თუნდაც ეს შეიძლება იყოს სპორტი.

- ნარკოტიკისგან თავის არიდების საშუალება, რომელიც დღეისათვის არამხოლოდ ნარკომანებს ეხება, არამედ მთელ ხალხს, არის დასაქმე-ბა. და ყველაზე მთავარი გზა ნარკოტიკების წინააღმდეგ არის სახელმწიფო კონტროლი და გეგმები.

- სახელმწიფომ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს ნარკოსტრატეგია და შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. რაც საქართველოს ჯერ კიდევ წინა აქვს, განსაზღვროს ნარკოდამოკიდებულ პირს აღიქვავს დამნაშავედ თუ ავადმყოფად, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.

- მოზარდობის პერიოდისათვის შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება სკოლებში თანატოლთა განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით

## მრგვალი მაგიდის „ახალგასრდობა და ნარკომანია" დასკვნითი რეკომენდაციები

### რეზიუმე

2008 წლის 29 თებერვალს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

## Рекомендации принятые в рамках круглого стола „ Молодежь и наркомания“

### Резюме

Участники круглого стола, проведенного 29-го февраля 2008 г. центром исследования и прогнозирования преступности, разработали рекомендации которые были позже представлены законодательному и исполнительному властям.

## Recommendations developed at the round table "Youth against Crime"

### The Summary

Participants of the round table meeting organised on 29 February, 2008 by the Centre for the Research and Predictionof Crime, developed recommendations which were later presented to the legislative and executive authorities.

*გიორგი ღლონტი*

# ადამიანის "ტრეფიკინგის" კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით

ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელდა ტრეფიკინგთან ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისკენ მიმართული რიგი ღონისძიებები, კერძოდ, მიიღეს კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ, შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, ასევე სპეციალური მუხლები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელთა საფუძველზე მოხდა ადამიანთა ტრეფიკინგის კრიმინალიზება. ეს მუხლებია:

"მუხლი 143.1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006 №3530)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მიტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:
   ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
   ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
   გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება ჩადენილი:
   ა) არაერთგზის;
   ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
   გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
   დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
   ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
   ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით".

მუხლთან დაკავშირებულ სპეციალურ შენიშვნაში კანონმდებელი იძლევა ექსპლუატაციისა და მონობის მაკვალიფიცირებელი თავისებურებების განმარტებას.

1. ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ანდა არაადექვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს.”

მუხლში ასევე დაფიქსირებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა:

2. “ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით ან ჯარიმით.”

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა ვერ შეძლო ტრეფიკინგის ცნების მკვეთრი ფორმულირება და 143.1 მუხლის პირველ ნაწილში გამოიყენა იურიდიულად ბუნდოვანი ტერმინები “ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა”. მსგავსი დეფინიცია სირთულეებს უქმნის საგამოძიებო ორგანოებს სწორი კვალიფიკაციის მიცემისა და დამნაშავისათვის ბრალდების წაყენებისას.

მუხლის სერიოზული ნაკლია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ტრეფიკინგი არ განიხილება, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც ობიექტური მხარის კვალიფიკაციისას აუცილებელ პირობად ითვალისწინებს დაზარალებულის გადაყვანას ან ტრანზიტს სხვა ქვეყანაში ან წარმოშობის ქვეყნის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (მაგალითად საქართველოსვის აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში). ამგვარი მიდგომა ნაკარნახევია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციით, რომლის რეკომენდაციითაც ტრეფიკინგი უნდა განიხილონ, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც საფრთხეს უქმნის ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ადამიანის უფლებების დაცვას. თვით ტერმინი “traffic”-იც ხომ გადაადგილებას, ტრანსპორტირებას ნიშნავს.

ცალკე მუხლადაა გამოყოფილი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი:
მუხლი 143.2. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სადაც მოცემულია მისი განმარტება:

“არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით”.

მაკვალიფიცირებელი ნიშნები ანალოგიურია 143.1 მუხლის შესაბამისი ნიშნებისა.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი პრაქტიკულად 143.1 მუხლის იდენტურია, მიზანშეწონილია მათი გაერთიანება და არასრულწლოვნის ან მცირეწლოვნის ტრეფიკინგის დამამძიმებელ გარემოებად გამოტანა.

მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინება გაზრდიდა ბრძოლის ეფექტურობას ტრეფიკინგთან, როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და საერთაშორისო მიდგომებთან შესაბამისობაში მოიყვანდა ჩვენს კანონმდებლობას.

*გიორგი ღლონტი*
*გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის*
*სრული პროფესორი*

გიორგი ღლონტი

## ადამიანის "ტრეფიკინგის" კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით

### რეზიუმე

აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი ეხება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას თანამედროვე საქართველოში: ბრძოლას ადამიანის "ტრეფიკინგის" წინააღმდეგ, როგორც ადამიანის ექსპლუატაციის საშიშ ფორმასთან. ახალი კანონმდებლობა წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლაში, მაგრამ იგი საჭიროებს დახვეწას.

***Гиоргии Глонти***

## Некоторые вопросы квалификаций торговли людьми согласно новому грузинскому законодательству

### Резюме

Эта научная статья касается одной из актуальных проблем в современной Грузии: борьбы с торговлей людьми, как с опасной формой преступной эксплуатации людей. Новое правовое законодательство является мощным инструментом в борьбе с торговлей людьми, но оно нуждается в усовершенствовании, законов и механизмов, что и рассматривается в статье.

***Georgi Glonti***

## Qualification issues of human "trafficking" according to the new Georgian legislation

### The Summary

This scientific paper is devoted to one of the actual problem in contemporary Georgia: struggle with human trafficking as dangerous form of criminal exploitation of human beings. The new criminal legislation is powerful instrument in combating with trafficking but it needs improvements described in article.

## Международное сотрудничество на Южном Кавказе для борьбы с торговлей людьми

...«Меня продали через Тбилиси в Дубай. Полтора года меня не выпускали даже на улицу, потом полгода я была в тюрьме Дубая, теперь я почти полгода в Тбилиси в ожидании суда, где я должна дать показания, но суд до сих пор не назначен... Я прошу Вас помочь мне скорее вернуться домой в Узбекистан, к моим детям...» - такими словами молодая женщина в черной чадре обратилась к участникам международной встречи в Тбилиси 27 октября 2006 г.. Ее трагическая черная чадра придали особую значимость рабочим встречам с участием представителей правоохранительных структур и неправительственного сектора из Азербайджана, Армении, Грузии, России, Турции, Узбекистана, Украины, Эстонии.

Проживание в Грузии пострадавшей от трефикинга девушки из Узбекистана в течение восьми месяцев, которые понадобились для завершения расследования и участия в судебных заседаниях, обеспечивалось в рамках программы[22] по оказанию помощи пострадавшим от торговли людьми (трефикинга) Ассоциации «Общество содействия гармоническому развитию человека».

В рамках программ по борьбе с торговлей людьми организация работает с 1999 г., способствует распространению информации по проблеме, работает для повышения квалификации сотрудников правоохранительных структур и НПО сектора, оказывает экстренную помощь жертвам трафикинга, участвует в исследовательских проектах, работает для развития сетей по обмену информацией и опытом в регионе. Накоплен большой опыт по проведению тренингов для сотрудников правоохранительных структур и по работе с группами риска.

Помощь пострадавшим, их перенаправление из Турции и ОАЭ в Грузию, или через Грузию в Армению, Азербайджан и Узбекистан осуществляется посредством сотрудничества между партнерскими неправительственными организациями стран не первый год.Из опыта работы с пострадавшими, когда на каждом шагу приходилось сталкиваться с трудноразрешимыми проблемами, стало ясно, что целесообразно расширить работу и начать сотрудничество для борьбы с торговлей людьми на уровне НПО сектора в регионе Южный Кавказ и работать для создания международного реферального механизма.

С сентября 2007г. совместно с постоянными партнерами в Эстонии, Армении и Азербайджане начата работа[23] по исследованию проблем, связанных с торговлей людьми, созданию сети горячих линий и убежищ для оказания помощи пострадавшим, по повышению профессиональной подготовки представителей правоохранительных структур, обмену опытом между специалистами для создания международного реферального механизма и усовершенствования его на национальном уровне.

Это сложная работа, требующая взаимодействия специалистов из госструктур и НПО, а также сотрудничества на международном уровне. Сегодня можно с уверенностью сказать, что решительные шаги со стороны госструктур во всех трех странах предприняты и процесс создания национального реферального механизма успешно

[22] «Victim First», в 2006 – 2007 гг. работа осуществлялась при финансовой поддержке Женской программы Фонда «Открытое общество - Грузия», а с сентября 2007 по апрель 2009, Европейской Комиссией.
[23] NGO and Governmental Cooperation Across the South Caucasus to Develop a Joint Response to Trafficking in Women and Children, No DDH/2006/118-051, supported European Commission

начат. Впереди много работы. Ниже краткий перечень существующих проблем, выводы и рекомендации для их решения.

## Проблемы защиты прав пострадавших от торговли людьми (трефикинга) в Грузии

1. Обеспечение конфиденциальности личных данных пострадавшей в ходе судопроизводства на данном этапе невозможно, и трафикер всегда будет иметь возможность воздействия на пострадавшего, выступающего в деле как обвиняющая сторона или как свидетель;
2. Практически невозможно обеспечить безопасность пострадавших от трефикинга, когда она/он вернется домой: у трафикеров есть связь с вербовщиками и своими партнерами, они могут принять меры для того, чтобы пострадавшая отказалась давать показания;
3. Пострадавшие от трефикинга граждане других стран, находящиеся на территории Грузии, чаще всего не имеющие документов, удостоверяющих личность пострадавшей, сталкиваются со сложностями в процессе обеспечения законности их пребывания в Грузии, обслуживания в нотариальных конторах, трудоустройства и пр.
4. Нарушается конфиденциальность персональных данных пострадавшей при ее возвращении домой, если представители госструктур страны транзита или назначения направляют документы, содержащие личные данные пострадавших от торговли людьми, в страну происхождения, что противоречит положениям международного законодательства;
5. Существует дефицит опыта осуществления адвокатской защиты пострадавших от трефикинга;
6. Существующие индикаторы не поощряют госструктуры к выявлению большего количества пострадавших от торговли людьми (трефикинга), они поощряют увеличение количества дел по статье о трефикинге, что иногда приводит к тому, что по статье 143 осуждают сутенеров, а пострадавшие от торговли людьми (трефикинга) оказываются в тюрьме за нелегальный переход границы.
7. Существует серьезная проблема в сфере идентификации пострадавших от торговли людьми (трефикинга) и информированности о законодательстве, защищающем жертв, о чем свидетельствуют пострадавшие от торговли людьми, которые оказались в тюрьме за нелегальное пересечение границы, потому что сотрудники правоохранительных органов, адвокаты, судьи не идентифицировали и не применили к ним положения действующего законодательства Грузии, тем самым нарушив закон и международные стандарты по защите жертв трафикинга.

**Выводы:**

1. Анти-трефикинговое законодательство не стыкуется с действующим законодательством Грузии и, в целом, международные нормы по защите прав пострадавших от торговли людьми (трефикинга) не имплементированы в достаточной мере в действующее законодательство;
2. Процедура расследования и судопроизводства не обеспечивает конфиденциальности персональных данных;
3. Механизмы перенаправления пострадавших от торговли людьми (трефикинга) в недостаточной мере обеспечивают конфиденциальность персональных данных;
4. Нет достаточной мотивации для пострадавших от торговли людьми (трефикинга), чтобы они обращались в правоохранительные органы;
5. Существует низкий уровень информированности в сфере национального и международного законодательства, защищающего пострадавших от торговли людьми (трефикинга).

**Рекомендации:**

1. Поднять уровень профессионализма сотрудников правоохранительных структур, судов, сотрудников консульских учреждений и МИДа, адвокатов;
2. Лоббировать внесение поправок в законодательство и гармонизацию с международными стандартами;
3. Применять программу защиты свидетелей в отношении пострадавших от трефикинга для обеспечения конфиденциальности во время судебного расследования, при входе и выходе в здание суда и пр.;
4. Оказывать материальную поддержку идентифицированным жертвам трефикинга непосредственно после их идентификации, независимо от того, будут ли они давать показания против трафикеров, для облегчения их адаптации по возвращению домой;
5. Оптимизировать механизмы перенаправления пострадавших от трефикинга для сохранения конфиденциальности их персональных данных согласно требованиям международного законодательства;
6. Упростить процедуру получения документа на возвращение домой для пострадавших от трефикинга, с них также не должен взиматься консульский сбор;
7. Создавать рациональные механизмы сотрудничества между НПО и госструктурами;
8. Индикаторы достижений в сфере борьбы с торговлей людьми (трефикингом) должны поощрять выявление пострадавших и быть скорее качественными, чем количественными, необходимо использовать корреляционные методы анализа данных.

***Цовинар Назарова***
***Председатель Общество содействия гармоническому развитию человека***

*Tsovinar Nazarova*

## International collaboration in struggle against human trafficking in South Caucasus

### The Summary

There is discrepancy between anti-trafficking legislations and actual legislation of Georgia. On the whole, the international norms on protecting rights of trafficking victims are not sufficiently implemented in current legislation; Investigation and judicial proceedings do not provide confidentiality of personal data; Referral mechanisms do not guarantee the confidentiality of personal data of the victims of trafficking in humans. There is not sufficient motivations for the victims to address law enforcement bodies. The level of awareness on national and international legislation is low.

We recommend to raise professional qualification of the law enforcements, consular departments of Ministry of Foreign Affairs, attorneys; Lobbying amendments in legislation and harmonization with international standards. Using the program of witness protection in cases of trafficking victims for ensuring confidentiality during judicial investigation, while entering and leaving courts etc. Providing identified victims with material assistance immediately after identification, not withstanding their intention to testify or not against traffickers; for their better adaptation and simplifying the process of returning to home country. Optimize referral mechanisms for guarantying confidentiality of personal data in accordance with the demands of international regulations; Simplifying the procedure of obtaining documents for returning home, the victims should not be charged with consular fees either; Creating rational mechanisms of cooperation between state bodies and NGOs; Indicators of achievements in the field of fighting trafficking in humans should encourage identification of victims and be more qualitative instead of quantitative; it is necessary to exploit correlation methods of data analysis.

*წოვინარ ნაზაროვა*

## სამხრეთ კავკასიაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობა

### რეზიუმე

გამოძიების პროცესში დაზარალებულის პირადი მონაცემების კონფიდეციალურობის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ამიტომ ტრეფიკიორს ყოველთვის ექნება საშუალება გავლენა იქონიოს დაზარალებულზე, რომელიც საქმეში ფიგურირებს როგორც ბრალმდებელი მხარე ან როგორც მოწმე.

პრაქტიკულად შეუძლებელია ტრეფიკინგით დაზარალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ: ტრეფიკიორებს კონტაქტი აქვთ იმ ადამიანებთან, რომლებიც გადაბირებაში იღებენ მონაწილეობას ან მათ პარტნიორებთან და მათ შეუძლიათ ყველა ღონისძიებას მიმართონ, რათა დაზარალებულმა უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.

ტრეფიკინგის მსხვერპლ სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც მეტწილად არ აქვთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სირთულეებს აწყდებიან საქართველოში მათი კანონიერი ყოფნის უზრუნველყოფის პროცესში, ნოტარიულ ბიუროებში მომსახურებისას, სამუშაოზე მოწყობისას და ა.შ.

ტრეფიკინგით დაზარალებულთა საადვოკატო დაცვის გამოცდილების არარსებობა.
დაზარალებულის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა ირღვევა მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ტრანზიტის ან დანიშნულების ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურები მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში აგზავნიან პიროვნების შესახებ ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას.

სერიოზული პრობლემები არსებობს ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიკაციის სფეროში და კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ტრეფიკინგით დაზარალებულები საზღვრის არალეგალური გადაკვეთის ბრალდებით აღმოჩნდნენ ციხეში, რადგან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, ადვოკატებმა და მოსამართლეებმა არ მოახდინეს მათი იდენტიფიკაცია და არ გამოიყენეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, რითაც დაარღვიეს კანონი და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

დასკვნები:

1. ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობა არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და, საერთოდ, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო ნორმები საკმარისად არ არის იმპლემენტირებული მოქმედ კანონმდებლობაში.
2. გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცედურები არ უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას.
3. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგით) დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმები არასაკმარისად უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას.
4. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია რათა მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს.

5. არსებობს ინფორმირებულობის დაბალი დონე ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის სფეროში.

რეკომენდაციები:

1. სამართალდამცავი სტრუქტურების, საკონსულო დაწესებულებათა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, მოსამართლეებისა და ადვოკატების პროფესიონალური დონის ამაღლება.
2. კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი შესწორებების შეტანისა და ჰარმონიზაციის ლობირება.
3. ტრეფიკინგით დაზარალებულთა მოწმეების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით დაცვის პროგრამის მიღება სასამართლო გამოძიებისას, სასამართლო დარბაზში შესვლისას, გამოსვლისას და ა.შ.
4. ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა მატერიალური დახმარების აღმოჩენა უშუალოდ იდენტიფიკაციის შემდეგ მიუხედავად იმისა, მისცემენ თუ არა ისინი ჩვენებას ტრეფიკიორების წინააღმდეგ, რათა მათ შეუმსუბუქდეთ ადაპტაციის პროცესი სამშობლოში დაბრუნებისას.
5. საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ტრეფიკინგით დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმების ოპტიმიზაცია მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.
6. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სამშობლოში დასაბრუნებელი დოკუმენტების მიღების პროცედურის გამარტივება; მათ ასევე არ უნდა გადაიხადონ საკონსულო მოსაკრებელი/შესატანი.
7. არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის რაციონალური მექანიზმების შექმნა.
8. ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არსებული მიღწევების ინდიკატორებმა უნდა გაზარდოს დაზარალებულთა გამოვლენა და უნდა იყოს უფრო ხარისხობრივი, ვიდრე რაოდენობრივი; აუცილებლად იქნას გამოყენებული მონაცემთა ანალიზის კორელაციური მეთოდები.

*მიხეილ ბაძაღუა*

# ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და განსაკუთრებით უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ტრეფიკინგის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა საქართველოში. საქართველოს მოქალაქეები არა მარტო თვითონ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, არამედ ამ დანაშაულის ჩადენაში ბევრი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით საქართველო გახდა სატრანზიტო ქვეყანა ტრეფიკინგის საერთაშორისო ქსელში.

საქართველოში ადამიანების ტრეფიკინგის ან მის მსხვერპლთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, რაც ართულებს ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული დანაშაულის სრული სურათის შექმნას. თუმცა თუ დავეყრდნობით ექსპერტთა მონაცემებს საქართველოდან ემიგრირებულთა საერთო რაოდენობის შესახებ 800 ათასს აღწევს, რომელთა უმრავლესობა არალეგალურ შრომით საქმიანობითაა დაკავებული, შესაძლებელია ამ დანაშაულის გავრცელების სერიოზულ მაშტაბებზე შეგვექმნას წარმოდგენა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში დადებითად იქნა შეფასებული.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2006 წელს ქვეყანაში ადამიანით ვაჭრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 27 სისხლის სამართლის საქმეზე. სასამართლოში გაიგზავნა 13 სისხლის სამართლის საქმე 16 პირის მიმართ; აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით განაჩენი დადგა 16 სისხლის სამართლის საქმეზე 19 პირის მიმართ.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისათვის ამ დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დანაშაულის ეფექტური გახსნისათვის საქართველოში როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკული საქმიანობის კუთხით, მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა.

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გამკაცრდა ტრეფიკინგის ჩადენისათვის გათვალისწინებული სანქცია. შესაბამისად, საქართველის პარლამენტმა მიიღო კანონი – "ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". კანონის საფუძველზე, 2006 წელს შეიქმნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; კანონმა, ასევე, გაითვალისწინა ადამიანით ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების – თავშესაფარის შექმნა. პირველი თავშესაფარი ამოქმედდა და მასში მოთავსებული არიან ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ან მსხვერპლად ცნობილი ადამიანები.

ამასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით, შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც არის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

საქართველოში არსებობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც სამთავრობო სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივად შეიმუშავეს და ქვეყნის პრეზიდენტის 2007 წლის 25 იანვრის №23 ბრძანებულებით დამტკიცდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 22 დეკემბერს მოახდინა "ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება. რითაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდა ევროსაბჭოს წევრ 47 ქვეყანას.

რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამ პრობლემას დაძლევისაკენ, კონვენციის ძირითადი შესაძლებლობები მოიცავს:

- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სავალდებულო დახმარების საშუალებები და რეფლექციის ყველაზე მცირე 30 დღიანი პერიოდი;
- მსხვერპლთათვის ცხოვრების უფლების მიცემა არა მხოლოდ ძალოვან სტრუქტურების თანამშრომლობის საფუძველზე, არამეედ ადამიანური თვალსაზრისით;
- "კლიენტთა" კანონდარღვევებად აღიარების შესაძლებლობა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა არადასჯის სტატია;
- გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემა და დამოკიდებული მექანიზმი, GRETA, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მონაწილე მხარეთა მის სათანადო განხორციელებას.

აქვე უნდა აღინიშოს, რომ კონვენციის დამუშავებაში მონაწილე ექსპერტები შეეცადნენ შეექმნათ უნივერსალური ცნება და სტრუქტურაში ჩაერთოთ ადამიანთა ტრანსნაციონალური ექსპლუატაციის ყველა სახე, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა მათ ეს ვერ შეძლეს. ბოლომდე სრულად არ არის ასახული ამ რთული მოვლენის – ტრეფიკინგის ძირითადი ნიშნები და სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის ირგვლივ მიმდიარეობს სათანადო ღონისძიებები, ტრეფიკინგთან ბრძოლისა და პრევენციის მეთოდების შემდგომში დახვეწის მიზნით.

საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებით სერიოზული კვლევა ქართულ ენაზე ძალიან მწირეა, ცნობილია მხოლოდ პროფესორ გიორგი ღლონტის ნაშრომი – "ტრეფიკინგი", ამასთან საკმაოდ ბევრია, მცირე მასშტაბიანი კვლევები, სტატიები, შეფასებები საქართველოში ტრეფიკინგის შესახებ მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებით თავისი მნიშვნელობით გამოვყოფდი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტოს ყოველწლიურ მოხსენებებს, რომლებშიც ასახულია საქართველოში შექმნილი რეალური სიტუაცია და შეფასებები.

ღრმა საგნობრივი ანალიზი დანაშაულის გამომწვევ მიზეზებისა და პირობების, შესწავლა გვაძლევს მათი სამართლებრივად სწორად აღქმის საშუალებას პრაქტიკული და სტატისტიკური მონაცემების შეფარდებით ამ საქმიანობის განსაზღვრულ კანონმდებლობასთან.

საკითხის მიმართ ახლებურმა მიდგომამ (შესწავლამ და ანალიზმა) გვიჩვენა, მიელ რიგ შემთხვევაში აღნიშული პრობლემატიკა პერიოდულ სახეცვლილებას განიცდის, ამდენად თანამედროვე დონეზე მათი შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი აუცილებელი მიზანია და მას შეუძლია მრავალი სიახლე შეიტანოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემატიკაში.

ჩვენს მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალისა და საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ტრეფიკინგი წარმოადგენდა და დღესაც რჩება ერთ-ერთ უმძიმეს, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად;
2. გაეროსა და ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული კონვენციები და დამატებითი ოქმები, საშუალებას იძლევა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დონეზე შექმნან ქმედითი მექანიზმები ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში;
3. ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში, მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება ტრეფიკინგთან, განსაკუთრებით ბავშვთა ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში;
4. უნდა დაიხვეწოს სახელმწიფო პროგრამა ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენის საკითხებს;
5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტურად მოახდინონ ტრეფიკინგის არსის, მეთოდების, მასთან ბრძოლის პოპულარიზაცია, რაც მიგვაჩნია, რომ ეფექტური ზომა იქნება. ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთან მუშაობის; საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება (არა კომპანიურად არამედ სისტემატურად) ხელს შეუწყობს ამ დანაშაულთან ბრძოლას და პროფილაქტიკას.


*მიხეილ ბაძაღუა*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის*
*უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის*
*დოქტორანტი, ცენტრის თანადამფუძნებელი*


## გამოყენებული ლიტერატურა:


1. "ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში", გ. ღლონტი, თბ., 2005წ.
2. **Kevin Bales** *Disposable People: New Slavery in the Global Economy* by University of California, 1999.
3. მ.ვ. ბაძაღუა "ჯგუფური დანაშაულობის ევოლუცია". მინსკი, 2000 წ. (რუსულ ენაზე).
4. "ოჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი". ნინო ბაქაქური, თბ – 2004წ.
5. "გსურთ თუ არა ღირსება, თავისუფლება და ჯანმრთელობა გაცვალო გალიაში ცხოვრებაზე?" მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში, კიევი, 1998წ.
6. ამერიკის შეერთებული შტატების ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000"
7. Trafficking of Migrants, Iom Policy and Responses. March, 1999.
8. Trafficking in Human Beings: Implications for the OSCE. Warsaw. 1999.
9. Country reports on human rights Practices for 2006 U.S. department of State. Washington D.C.
10. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია მიღებული 2000 წლის 15 ნოემბერს
11. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი – ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ მიღებული 2000 წლის 12 დეკემბერს.

12. "ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". მიღებული 2005 წლის 16 მაისს.
13. ადამიანთა კონტრაბანდის პრობლემები: ეუროს ამოცანები. მიმოხილვითი კონფერენცია სექტემბერი 1999. კონფერენციის მასალები.
14. "ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს საკოორდინაციო საბჭოს " დებულება.
15. სსიპ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის " დებულება.
16. მ.მ. ბაძაღუა ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – სამართლებრივი დახმარება მოსახლეობისათვის, სამართლებრივი ნორმები და რეკომენდაციები. ქ. თბილისი 2007 წ.
17. www.iom.int
18. www.police.ge
19. www.cspc.org.ge
20. www.dait-maeci.ge.ca/internationalcrime/human_trafficking-en.asp

*მიხეილ ბაძაღუა*

### ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სახელმწიფო პოლიტიკა მის მიმართ საქართველოში. აქვე აღნიშნულია რომ ადამიანების ტრეფიკინგის ან მის მსხვერპლთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, რაც ართულებს ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული დანაშაულის სრული სურათის შექმნას.

ნაშრომში ჩამოთვლილია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ღონისძიებები რომელიც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა ამ დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დანაშაულის ეფექტური გახსნისათვის. ნაშრომში, გაანალიზებული მასალის, საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების შესწავლის საფუძველზე მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

***Михеил Бадзагуа***

### Торговля людьми (трефикинг) и государственная политика в Грузии

#### Резюме

В труде рассмотренны вопросы, связанные с торговлей людьми (трефикинг) и государственная политика по отношению к трефикингу в Грузии. Здесь же подчеркнуто, что по трефикингу и по жертвам трефикинга не имеются полноценные статистические данные, что затрудняет воссоздание полной картины этого преступления в нашей стране.

В труде рассмотрены те важные шаги и мероприятия, которые в последнее время проводились правительством Грузии для превенции этого преступления, защиты жертв и эффективного раскрытия преступления. На основе анализа международных и национальных правовых актов представленны определённые рекомендации.

Mikheil Badzagua

## Human trafficking and state policy in Georgia

### The Summary

In a theme is basically about trade in people (trefficking) and a state policy in relation to Trefficking in Georgia. Here it is underlined that, on trefficking and victims of Trefficking there are no high-grade statistical data that complicates a reconstruction of a full picture of this crime in our country.

In work are stated those important steps and actions which recently were spent by the government of Georgia for prevention of this crime, protection of victims and effective disclosing of a crime. Because of a analysis of the international and national legal certificates there are atated the conclusions and recommendations.

*თამთა შაგულაშვილი*

# ტრეფიკინგი ანუ მონობა XXI საუკუნეში

სიტყვა ტრეფიკინგი მოდის სიტყვიდან "ტრეფფიკ", რაც სიტყვა სიტყვით აკრძალული საქონლით ვაჭრობას ნიშნავს. დღეისთვის კი ამ ტერმინს მიღებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა: "ადამიანით ვაჭრობა".

მონობის პროცესზე დაკვირვება შეიძლება ჯერ კიდევ მონათმფლობელური პერიოდიდან დავიწყოთ. ადრე, როდესაც შავკანიან ადამიანებს მონებად ჰყიდდენ ეს სავსებით ნორმალური იყო. შორს აღარ წავიდეთ და ვნახავთ, რომ საქართველოშიც იყო უამრავი ასეთი ჩვენს ქვეყანაში ხომ ტყვეებით ვაჭრობა XIX სს-ის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. ამის თვალნათელი მაგალითი კი ქართული ფილმი "მამლუქი", სადაც პატარა ბავშვებს იტაცებენ და უცხო ქვეყნებში ტყვეებად ყიდიან. მაგრამ როდესაც მიიღეს დეკლარაცია ადამიანის თანასწორობის შესახებ ყველაფერი შეიცვალა. ძალიან ცოტა ადამიანი თუ გაბედავს სხვის ცხოვრებაში და უფლებებში ჩარევას.

ტრეფიკინგი რა თქმა უნდა დიდი გლობალური პრობლემაა. ეს არის XXI საუკუნის მონობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცივილიზებულ სამყაროში, სადაც არის კონსტიტუცია, ბევრი ადამიანი რასისა და წარომავლობის განურჩევლად ხდება მონა, ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამის მიზეზი კი ყველასათვის ცნობილია. როგორ შეიძლება გავექცეთ მონობას?! (ტრეფიკინგს). სამწუხაროდ ამ ბოლო დროს ჩვენ თავად საკუთარი თავის მონობაში ვიმყოფებით. ტრეფიკინგი ანუ ადამიანით ვაჭრობა მრავალგვარია, ეს ხდება როგორც პატარა ბავშვებში ისე მოზარდებში და არასრულწლოვანებში. იგი მოიცავს: ადამიანით იძულებით პროსტიტუციას ან სხვა სახის ძალადობას, იძულებით მუშაობას ან ორგანოების გადანერგვას, მაგრამ მე მინდა ყურადღება გავამახვილო იძულებით პროსტიტუციაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხდება ქალებში, უფრო ხშირად კი ახალგაზრდებში და არასრულწლოვანებში.

ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებია: უმუშევრობა, ეკონომიკური უთანასწორობა, სოციალური დისკრიმინაცია და ა.შ. ტრეფიკინგის მაგალითები ხშირ შემთხვევაში მსოფლიოს ღარიბ რეგიონებში ხდება იქ სადაც ნაკლები ეკონომიკური და სოციალური პირობებია, სადაც ხალხი იძულებულია უმუშევრობის, არასრულყოფილი განათლებისა და არასაკმარისი ფინანსების გამო ხელი მოაწეროს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც შეიძლება არაკანონიერი აღმოჩნდეს და შემდგომში ის ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდეს. უამრავი ადამიანი, რომელიც ეძებს სამუშაოს, ან სურს სასწავლებლად საზღვარგარეთ წასვლა ტრეფიკიორები პირდებიან კარგ ანაზღაურებად სამუშაოს, სწავლის ხარისხს, შემდგომში ისინი ექსპლუატატორების მსხვერპლნი და იძულებით პროსტიტუციაში ჩათრეულნი ხდებიან.

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) უკვე რამდენიმე წელია საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების საგანს წარმოადგენს, რაც სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული.

1. პირველი ფაქტორი თავად ამ დანაშაულის სიმძიმეა. ტრეფიკინგი უხეშად თელავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებას. მის პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის თავისუფლების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და თვით მისი სიცოცხლისათვისაც კი. ტრეფიკინგის დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნები უმრავლეს შემთხვევაში არის ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობა, ან ძალადობის მუქარა თავისუფლების აღკვეთა, იძულება, მონურ მდგომარეობაში ჩაყენება.

2. მეორე ფაქტორი არის ამ დანაშაულის გავრცელების მართლაც შემაშფოთებელი მასშტაბები. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ყოველ წელს 600 000 ათასიდან 800 000 ათასამდე კაცი, ქალი და ბავშვი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათ შორის დაახლოებით 80% ქალები და ახალგაზრდა გოგონები არიან, აქედან 50% პროცენტი კი მოზარდები. ტრეფიკინგი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე და თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. განვითარებადი ქვეყნები ძირითადად წარმოადგენენ წარმოშობის სახელმწიფოებს, რომლის მოქალაქე ან იქ მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი. საიდანაც ადამიანები მოვაჭრეებს ტრეფიკინგის მსხვერპლნი ტრანზიტის სახელმწიფოების გავლით (სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა ტრეფინგი) ან პირდაპირ გადაჰყავთ დანიშნულების სახელმწიფოში. (სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე ადამიანის ვაჭრობის მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას) მეტწილად დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში. ხშირად ერთი ქვეყანა შეიძლება იყოს, როგორც წარმოშობის ისე ტრანზიტისა და დანიშნულების სახელმწიფოც, მაგალითად ჩინეთი.
3. მესამე ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ტრეფიკინგი იარაღსა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან წყაროს წარმოადგენს, ორგანიზებულ დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის, მართლაც გამოთვლებით ტრეფიკინგსაც ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიარდის მოგება მოაქვს დანაშაულებრივი სამყაროსთვის.

ტრეფიკინგის პრობლემები მწვავედ დგას საქართველოში, საქართველო ძირითადად წარმოშობისა და ტრანზიტის სახელმწიფოა, საიდანაც ტრეფიკინგის მსხვერპლნი მეტწილად გერმანიაში, თურქეთში, საბერძნეთში და არაბეთის ემირატებში გადაჰყავთ.

ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტრეფიკინგის წინააღმდეგ.

2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლითაც დადგენილია სახელმწიფო სტრუქტურათა ვალდებულებები და გასატარებელი ღონისძიებათა სახეები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სს კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ადამიანით ვაჭრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 12-წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ერთი წლის ვადით, ხოლო 143-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა, მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანპორტირება, აგრეთვე მისი გადაცემა შეფარება, ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 8-და 12 წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

კანონების გარდა ჩვენ შეგვიძლია უამრავი მაგალითი მოვიყვანოთ ტრეფიკინგზე. ძალიან შორს თუ არ წავალთ ვნახავთ, რომ ასეთ ფაქტებს ჩვენ ძირითადად ტელევიზიის, ფილმებსა და პრესის საშუალებით ვგებულობთ, მაგრამ კარგად, რომ დავუფიქრდეთ მივხვდებით, რომ ყოველდღიურად ცხოვრებაში თუმცა შეიძლება უფრო მსუბუქ ფორმებში ბევრი ასეთი რამ ხდება, ბაზრობებზე, ქუჩებში და ა.შ. ხალხს ამუშავებენ, ანაზღაურებას არ უხდიან, ან უხდიან მცირეს, შეუსაბამოს ახალგაზრდა გოგონები ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანები ჩამოჰყავთ სოფლებიდან, შემოჰყავთ საზღვარგარეთიდან ან გაჰყავთ და პროსტიტუციას აიძულებენ. ამასგარდა ახალგაზრდა

ბავშვებს იტაცებენ, ზოგს ორგანოებს აცლიან და ჰყიდიან, ზოგს გარეგნობას უმახინჯებენ ახლობლებმა რომ ვერ იცნონ და ქუჩაში მათხოვრობას აიძულებენ.

ახალგაზრდები მოტყუებით მიყავთ საზღვარგარეთ სასწავლებლად, ექსკურსიებზე, ან ცეკვის და ა.შ. გასტროლების სახით და შემდეგ მათზე სხვადასხვა ძალადობის ფორმებით მოქმედებენ. ეს სავსებით არაადამიანური და არაეთიკური ქმედებაა, ამის ჩადენა ალბათ მხოლოდ უგრძნობელ და გულქვა ადამიანს შეუძლია.

საქართველოში მოხდა ერთი ასეთი მაგალითი: ახალგაზრდა გოგონა ტრეფიკიორებმა პროსტიტუციისათვის გაიყვანეს, იქიდან კი ვიღაც კეთილშობილმა ადამიანმა შეიწყალა და გამოაპარა, თან გააფრთხილა არავის ენდოო. ამის შემდეგ გოგონა ერთმა მოხუცმა ცოლ-ქმარმა იპოვეს, 6 თვე თავისთან ამყოფეს და საქართველოში დააბრუნეს შემდგომში კი ის ადამიანები ვინც ეს გოგონა გაიყვანეს საზღვარგარეთ აღმოჩნდა, რომ რეალურად არ არსებობდნენ და მათი სახელები გაყალბებული იყო. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის №437 ბრძანებულებით შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვის და დახმარების ფონდი, როლის მიზნებია:

ა) ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა.
ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრით იურიდიული, ფსიქოლოგიური ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა.
გ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
დ) ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემა.

პრეზიდნეტის 2006 წლის პირველი სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინატო საბჭოს ამოცანები: ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილება, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტრეფიკინგის მსხვერპლად დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდიანცია და ა.შ.

2006 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის საბჭოს მიერ 2005 წლის 16 მაისს მიღებული "ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება. კონვენციამ გაითვალისწინა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის შექმნა (GRETA), რომელიც მონიტორინგს გაუწევს მონაწილეთა მიერ კონვენციის განხორციელებას (GRETA წევრებს არჩევს მონაწილეთა კომიტეტი ოთხი წლის ვადით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებიდან).

საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში განმტკიცებული დებულებები ყველა კანონიერ საფუძველს და პირობას ქმნის იმისთვის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა უფლებები, განხორციელდეს დამნაშავეთა ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნა და მოხდეს ტრეფიკინგის თავიდან აცილება. თუმცაღა ამ ყველაფერს სისრულეში მოყვანისა და რეალობად ქცევისთვის არა მხოლოდ ნორმატიული აქტები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებიც თანამშრომელთა კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური თანამშრომლობა იქნება საჭირო.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი ვრცელდება ეროვნულ საზღვრებს და აქედან გამომდინარე ამ მოვლენასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვისათვის საჭიროა პან-ევროპული სტრატეგიის შექმნა, ევროპის სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

ამასგარდა იმისთვის, რომ ადამიანი არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი საჭირო, ამ ადამიანმა კარგად გამოარკვიოს თუ რა ხელშეკრულებას დებს ამა თუ იმ ორგანიზაციასთან. საჭიროა დარწმუნდეს, რომ ეს ორგანიზაცია კანონიერად არსებობს და ამის დასტური მიიღოს ან ამ ქვეყნის საელჩოში, ან რომელიმე კანონიერი გზით.

ადამიანი უბრალოდ ყოველგვარი კანონების გაუთვალისწინებლობით არ უნდა მიენდოს უცხო ორგანიზაციის წარმომადგენლობას, არ უნდა ანდოს თავისი პასპორტი სხვას, არ უნდა გამოეხმაუროს საეჭვო განცხადებებს, საზღვარგარეთ სწავლასა ან სამუშაოს შესახებ, მაგრამ თუ მაინც გამოეხმაურება წასვლამდე და ხელშეკრულების დადებამდე უნდა გამოარკვიოს არსებობს თუ არა ეს ორგანიზაცია კანონიერად და აქვს თუ არა რაიმე კანონიერი საბუთი არსებობისა.

ამას გარდა ადამიანი, რომ არ გახდეს ტრეფიკინგისა და ტრეფიკიორების მსხვერპლი დიდი წვლილი ამაში მთავრობამაც უნდა შეიტანოს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სახის ტრეფიკინგის გავრცელების, საფრთხეს და ასევე დაცულნი უნდა იყვნენ მსხვერპლნიც. უნდა გაკეთდეს სხვადასხვაგვარი რეკლამები, განცხადებები, აქციები, საჭიროა ტარდებოდეს ტრეინინგები ტრეფიკინგის წინააღმდეგ, სკოლები უნდა იყოს უზრუნველყოფილნი, რომ საკლასო პროგრამა შეიცავს ექსპლუატაციის, სექსუალური ძალადობისა ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ ინფორმაციას, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ბავშვები და ახალგაზრდები და მათ მიერ თავის დაცვის გზები. ეს ინფორმაცია ასევე უნდა გადაეცემოდეს მშობლებსა და საგანმანათლებლო სისტემის მიღმა მყოფ ახალგაზრდებში. ადამიანი კარგად უნდა იცნობდეს იმ საფრთხის თავიდან აცილების გზებს რასაც ტრეფიკინგი ჰქვია.

*თამთა შაგულაშვილი*
*ქ. თბილისის 137-ე საჯარო სკოლის მოსწავლე*
*ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს წევრი*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის კოდექსი
2. www.wikipedia.org
3. www.internet.ge
4. www.google.ge

*თამთა შაგულაშვილი*

## ტრეფიკინგი ანუ მონობა XXI საუკუნეში

### რეზიუმე

ამ თემაში მოცემულია დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ტრეფიკინგი (ადამიანებით ვაჭრობა), რომელიც ამ ბოლო დროს ძალზედ აქტუალური პრობლემაა ჩვენს საზოგადოებაში.

თრეფიკინგი ეს არის XXI-ს საუკუნის მონობა, რომლის მსხვერპლიც არიან, როგორც არასრულწლოვანები, ისე სრულწლოვანები. უფრო ხშირად კი ქალები.

ამ დანაშაულის განხორციელება შეიძლება მოხდეს, როგორც მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანით ისე ქვეყნის საზღვრებს შიგნით.

ამ თემაში ასევე მოცემული ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ის ძირითადი მიღებული კანონები, წესები და ა.შ, რომლებმაც შეიძლება თავიდან აგვაცილოს ტრეფიკინგის დანაშაული, ასევე მოცემულია ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ანტიტრეფიკინგს და ამუშავებენ მის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებს და კიდევ ის თუ როგორ შეიძლება მოვიქცეთ, რომ თავიდან ავიცილოთ ეს არაადამიანური პრობლემა, რასაც ტრეფიკიგნი ჰქვია.

***Тамта Шагулашвили***

## Трефикинг или рабство в XXI веке

### Резюме

В этой теме затрагивается на сегодняшний день один из важнейших вопросов, проблема трефикинга (торговля людьми), который является одним из актуальных проблем в нашем обществе.

Трефикинг, это рабство в XXI веке, жертвами которого являются как совершеннолетние, так и несовершеннолетние, и чаще всего женщины. Это может происходить как выводом жертв за границу, так и внутри страны. В статье рассмотренны все проблемные вопросы связанные с трефикингом.

Здесь также даны причины, вызывающие трефикинг и принятые основные законы, правила и т.д. которые дают возможность защитить нас от трефикинга.

Также дан анализ тех организации, которые борятся с трефикингом, и обрабатывают разные методы борьбы, рассмотренны вопросы как нужно себя вести, чтобы предотвратить эту проблему, которая называется трефикингом.

*Tamta Shagulashvili*

## Human trafficking or slavery in the XXI century



### Resume

We want to speak about one of the most important question, which unfortunately takes place in our daily life and is one of the actual problem in our society about trafficking (selling of people).

Trafficking is a slavery of XXI century and its victims may be adults, teenagers and little ones as well. More often they may be woman.

Victims of trafficking may be taken from the country abroad and it also may happen inside of it.

We also speak about the reasons of trafficking and about those laws and rules which can protect us from it.

It is also written here about those anti-trafficking organizations which make different kinds of methods for fighting with this problem. And of course, how to behave in order to stop this inhuman problem which has the name trafficking.

*სოფიო ბარნაბიშვილი, ეკა საათაშვილი*

## ტრეფიკინგი - ახალგაზრდობის "გადარჩენის" გზა

სოციალური პირობების გაუარესებამ საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობა დაბადა. გადარჩენისთვის ბრძოლა აუცილებლობით შეინიღბა. ელემენტარული ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაჭირდა, მიზანი – გაეგრძელებინა არსებობა უკვე ყველა საშუალებას ამართლებდა. ამგვარმა ფორმამ ხელი შეუწყო ტრანსნაციონალურ დანაშაულად წოდებულ ტრეფიკინგს მძლავრად გაედგა ფესვები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა) ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობის მსგავს მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. გამოიყო მიგრანტების ხუთი ძირითადი მიმართულება: რუსეთი-დსთ, კანადა, დასავლეთ-ცენტრალური ევროპა, თურქეთ-საბერძნეთი და ისრაელი. დღესდღეისობით ადამიანის ტრეფიკინგი, როგორც დანაშაული, თავისი სიმძიმითა და გავრცელების არეალით, ასევე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების ოდენობით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. გაეროს მონაცემებით ყოველწლიურად 2.000.000 ადამიანი ხდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი – უმრავლესობა მათგანი ქალები და ბავშვების. ზოგადი ანალიზის საფუძველზე ყოველწლიურად მისი შემოსავალი 8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. იძულებითი მუშაობა ანუ არალეგალური მიგრანტების გამოყენება ძირითადად სამ სფეროში ხდება: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სექსინდუსტრია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოველგვარი მოსამზადებელი პერიოდის გავლის გარეშე მიღებულმა დამოუკიდებლობამ, ფასეულობათა გადაფასებამ და სოციალური პირობების გაუარესებამ მიგრაციის მსურველთა რიცხვი ერთიორად გაზარდა. საზღვრების გახსნასთან ერთად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი მიაწყდა კარგ ანაზღაურებად სამუშაოსა და ცხოვრების უკეთესი პიობების მოლოდინში, რამაც აღნიშნულ დანაშაულს აქამდე არნახული მაშტაბები შესძინა. გაზეთ "ჯორჯიან თაიმსში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ბელგიის სამეფო კონსულთან საქართველოში პიერ ორლოვთან: " ჩვენი ქვეყანა ფართოდ გაშლილი ხელებით ღებულობდა დევნილებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან. ისინი თავს პოლიტიკურ დევნილებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი ეკონომიკური დევნილები იყვნენ. უმეტესობა ცხოვრების უკეთეს პირობებს ეძებდა, ვზრუნავდით მათზე და გარკვეული დროის შემდეგ ვანიჭებდით ლტოლვილის სტატუსს." ბელგიის სამეფო ის ერთ-ერთი სახელმწიფოა, სადაც მიგრანტებს ლმობიერად ექცევიან და როგორც სოციალურ ისე სამართლებრივ დაცვას სთავაზობენ. მიგრაციის მსურველთა უმეტესობა რეალურ საფრთხეს რაციონალურად ვერ იაზრებს. საქართველოც ერთ–ერთია იმ პოსტსაბჭოთა სივრციდან რომლისთვისაც ადამიანით ვაჭრობა ანუ ტრეფიკინგი ნაცნობ მოვლენად იქცა...

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე მიგრაციის სურვილს მძიმე სოციალურ ეკონომიკური პირობების არსებობა იწვევს. ეს ფართო ცნება თავის მხრივ მოიცავს უმუშევრობის მაღალი კოეფიციენტისა და საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასის არსებობას, რომელიც გაწეული სამუშაოს ექვივალენტური ნამდვილად არაა. იმდენად დიდია გადარჩენის სურვილი, მითუმეტეს ახალგაზრდებში, რომ ისინი ადვილად თანხმდებიან გაემგზავრონ განვითარებულ ქვეყნებში, იყვნენ არალეგალები და გამოიყენონ ყველა იქაური სამართლებრივი

საშუალება, რომ თავი პოლიტიკურ დევნილებად გაასაღონ და ამით მათი რეალური სტატუსი დამაჯერებლად შენიღბონ.

ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, რომელსაც კლასიკური იურიდიული განათლება არ გააჩნია ამ სახის ტრანსნაციონალური დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ კარგად მომუშავე სექსინდუსტრიასთან ასოცირდება. საზოგადოება ნაკლებადაა ანფორმირებული ამ ტიპის დანაშაულის შესახებ და ალბათ არც ფიქრობს, რომ მსხვერპლი თითოეული ჩვენგანი ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამგვარი მოსაზრების ჩამოყალიბებას ხელი იმან შეუწყო, რომ აქცენტი საზღვრებს გარეთ სექსინდუსტრიაში ჩაბმულ პირებზე კეთდება, რადგან რეალურად ეს ადამიანთა ექსპლუატაციის ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტულ ქვეყნებში არალეგალი მიგრანტების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები მივიდნენ დასკვნემდე შეექმნათ არალეგალთა უფლებების დამცველი სამართლებრივი აქტები. ტრეფიკინგთან საბრძოლველად მსოფლიო მასშტაბით ტარდება პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, ცვლილებები მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციათა კანონმდებლობაში, მათ შორის საქაეთველოშიც. სახელმწიფოთა სხვადასხვა გაერთიანებები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულის მომწესრიგებელი ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტის მიღება აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ თემასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა შემდეგი სახის საერთაშორისო აქტები:

- გაეროს კონვენციის ოქმი “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ”;
- გაეროს კონვენცია “ტრანსაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ”;
- ევროსაბჭოს კონვენცია “ადამიანით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”.

აშშ-სა და ბელგიის კანონმდებლობით ტრეფიკინგის მსხვერპლი დაცულია სამართლებრივი და მატერიალური კუთხით.
აშშ-ს კანონმდებლობა:

აშშ-მ 2000 წელს მიიღო სპეციალური კანონი – “ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000”, რომლითაც შეერთებულმა შტატებმა აღიარა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებს და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ისინი დაცვითა და დახმარებით.

აღნიშნული კანონით მოხდა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია და შეიქმნა დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის სისტემა. კანონის თანახმად, ტრეფიკინგის მსხვერპლი უფლებამოსილია ყველა იმ სოციალური სარგებლისა და მომსახურების მიღებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ლტოლვილთათვის.

იმისათვის რომ პირს მიენიჭოს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სამართალდამცავი ორგანოების შეფასებით უნდა იყოს მსხვერპლი და პოტენციური მოწმე მომავალ სასამართლო პროცესზე, ფიზიკურად იმყოფებოდეს აშშ-ს ტერიტორიაზე ტრეფიკინგის შედეგად, დათანხმდეს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე და არსებობდეს საფუძლიანი ვარაუდი, რომ სამშობლოში დაბრუნების შედეგად მას ემუქრება სერიოზული საფრთხე. ასეთი პირისათვის აშშ-ში დარჩენის ნებართვა “თ ვიზის” სახით გაიცემა გენერალური პროკურორის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე.

პირს, რომელსაც მიენიჭება ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი, უფლება აქვს მიიღოს პირველადი უფასო სამედიცინო დახმარება და ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულები არიან ასეთი ადამიანი გაუგზავნონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აშშ-ში ყოფნის პერიოდში მსხვერპლს უწევენ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას. "თ ვიზა" მის მფლობელს უფლებას აძლევს ლეგალურად იმუშაოს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. თუ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრებისადმი ანგარიშსწორების საფუძვლიანი საშიშროება, "თ ვიზა" შეიძლება გაიცეს ოჯახის წევრებზეც.

თუ ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს "თ ვიზას" და ამ საფუძველზე იმყოფებოდა შეერთებული შტატებში სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით და გაუწია მნიშვნელოვანი დახმარება სამართალდამცავ ორგანოებს ან ამერიკის ტერიტორიის დატოვების შემთხვევაში ემუქრება საფუძვლიანი საფრთხე, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მას შეიძლება მიეცეს აშშ-ს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ნებართვა.

რაც შეეხება ბელგიის კანონმდებლობას:

დღესდღეობით ბელგიის კანონმდებობა ტრეფიკინგის სფეროში ევროპაში ყველაზე პროგრესულია. ტრეფიკინგის შესახებ ნორმები შესულია ბელგიის იმიგრაციის შესახებ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად აკვალიფიცირებს ტრეფიკინგს იძულებითი პროსტიტუციის მიზნით, ხოლო იმიგრაციის კანონი ყველა სხვა სახის ტრეფიკინგს.

თუ არსეობს ეჭვი, რომ პირი ტრეფიკინგის მსხვერპლია, პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია დაუკავშირდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვაზე მომუშავე სამი არასამთავრობო ორგაიზაციიდან ერთ-ერთს. ეს ორგანიზაციები სახელმწიფოს მიერ აღჭურვილია სპეციალური ნებართვით სოციალური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება გაუწიოს ტრეფიკინგის მსხვერპლებს და წარმოადგინოს ისინი სასამართლოში. მსხვერპლს ეძლევა 45-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი, რათა გადაწყვიტოს, აპირებს თუ არა საჩივრით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს. ამ ხნის განმავლობაში ის იმყოფება ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ თავშესაფარში და სარგებლობს სოციალური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით, ასევე გაეწევა იურიდიული კონსულტაცია მისი სტატუსისა და უფლებების შასახებ. 45 დღის გასვლის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ მოისურვებს საჩივრის შეტანას, მოხდება მისი ქვეყნიდან დეპორტაცია.

იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლი გადაწყვიტავს იჩივლოს, მას ეძლევა ახალი 3-თვიანი დარჩენის უფლება. აღნიშნული ვადა შასაძლებელია კიდევ 6 თვით გაგრძელდეს, თუ ამ ხნის განმავლობაში წინასწარი გამოძიება არ დასრულდა ან საქმე არ გადაეცა სასამართლოს. საერთო ჯამში, მსხვერპლს უფლება აქვს ბელგიის ტერიტორიაზე კანონიერად იმყოფებოდეს გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დასრულებამდე. ბელგიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის ქვეყანაში განუსაზღვრელი ვადით ცხოვრების ნებართვის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრეფიკინგში დამნაშავეთა გამოვლენასა და სასამართლოს წინაშე წარდგენაში და თუ სასამართლო დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ბელგიის კანონმდებლობას აშშ-ს კანონმდებლობისაგან განასხვავებს, 45-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდია. ეს პერიო-

დი აუცილებელია იმისათვის, რომ მსხვერპლმა მიიღოს პირველი სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, მშვიდად გააცნობიეროს საკუთარი მდგომარეობა და გადაწყვიტოს, სურს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. ასეთი მოსაფიქრებელი ვადა მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით ევროპის სხვა ქვეყნების (ნიდერლანდები, გერმანია) კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული, თუმცა ამ კანონიერების ნაკლოვანება ისაა, რომ ყველა სახის იძულებითი შრომა ტრეფიკინგად არ კვალიფიცირდება.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების მანძილზე მრავალი ღონისძიება განხორციელდა, დაწყერილია პროექტი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასახმარებლად როგორც სოციალური ისე სამართლებრივი კუთხით. საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 28 აპრილს მიიღო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ტრეფიკის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს; კანონი ასევე არეგულირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

შევეცდებით უფრო დეტალურად გავამახვილოთ თქვენი ყურადღება იმ მიზეზებსა და გარემოებებზე, თუ რატომ იქცა ტრეფიკინგი ახალგაზრდობის “გადარჩენის” გზად. საბჭოთა კავშირის დაშლამ ეკონომიკური არასტაბილურობა გამოიწვია, ამ ქაოსში კი ჩვენი მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილმა ნახა გამოსავალი – საკუთარი ოჯახისა და შვილების გადასარჩენად საზღვრებს იქით მოუწია გადახვეწა. აქ დარჩენილებს კი დაბალანაზღაურებადი სამსახური ან უმუშევრობა ხვდათ წილად, რამაც მათი ოჯახები სიღატაკამდე მიიყვანა. იქიდან თავის დაღწევის ვალდებულება კი მათ შვილებს გადაეცათ ასასრულებლად. ამიტომ ტრეფიკინგი ანუ ადამიანით ვაჭრობა ჩვენი თაობის აქტუალურ პრობლემად იქცა. მძიმე სოციალური პირობები ახალგაზრდების ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება და თავისებურ დაღს ასვამს მას. ვინც ცხოვრებისეულ პრობლემასთან შეძლებს გამკლავებას, საბოლოოდ, ის გადარჩება – გადარჩენისა და სიცოცხლის სურვილი თითოეულ ჩვენგანს გაათმაგებული აქვს თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდები ვართ. როცა ქვეყანა ვითარდება და ცხოვრება წინ მიდის არსებობა სიცოცხლის სურვილად იქცევა ხოლმე. ხშირ შემთხვევაში სურვილი მხოლოდ ნატვრად რჩება და მის ასახდენად თითოეულ ჩვენგანს რეალური შესაძლებლობა არ გააჩნია. ძლიერდება და ვითარდება კერძო სექტორი უამრავი შემოთავაზება არსებობს მათი მხრიდან ჭკვიანი ახალგაზრდების მიმართ... მიუხედავად ამისა პრობლემა – უმუშევრობა ისევ მოუგვარებელია და გამოსავალი მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, რადგან საკმარისია შრომითი ურთიერთობა დაამყარო რომელიმე შემომთავაზებელთან და იტვირთო დამქირავებლის ვალდებულება, ჩვენდაუნებურად ვხდებით ტრეფიკინგის მსხვერპლნი იმ გაგებით, რომ მოთხოვნები მაქსიმალურია, ხოლო შესრულებული სამუშაოს ექვივალენტური ანაზღაურება პრაქტიკულად არ არსებობს. უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჯობია გქონდეს დაბალი ანაზღაურება და იყო შენს ქვეყანაში, ვიდრე იზრდებოდეს თანხა, იყო არალეგალი და გემუქრებოდეს ტრეფიკინგი. საზოგადოების ეს მოსაზრება სავსებით მისაღებია, მაგრამ ესეც მაღალი იდეალების შემცველი თეორიაა.

მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რეფორმები, როგორც სამართლებრივი ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, შემუშავდა უამრავი სოციალური პროგრამა, მაგრამ მათში მონაწილე პირთა რაოდენობის მინიმუმი საზოგადოებაში კეთილგანწყობას ჯერჯერობით ვერ ბადებს. პროგრესია ამ

პროგრამის არსებობა, მაგრამ ისინი ადამიანს ცხოვრების სურვილს ვერ უმძაფრებენ. როდესაც ახალგაზრდა ხარ და ხვდები, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება ყველას არ ყოფნის, მიდიხარ დასკვნემდე – თუ გაქვს მცირედით მეტი შესაძლებლობა სხვებთან შედარებით, დატოვო საზღვრები და წახვიდე უცხო ქვეყანაში საკუთარი მომავლის გადასარჩენათ. როცა ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი არ ემთხვევა ჩვენს შესაძლებლობებს, მიდიხარ რისკზე, ვეღარ ფიქრობ მოსალოდნელ შედეგებზე და უპირობოდ ეწერები ტრეფიკინგის სამსხვერპლო სიაში. უკანონოდ გადაკვეთილი სამშობლოს საზღვარი, დანაშაულია რომელიც საზოგადოებისა და უკვე ქართველი სამართალდამცავების აზრით სამართალდარღვევად არ უნდა ჩაეთვალოს ტრეფიკინგის მსხვერპლს, რადგან გადარჩენის მიზანი გამოყენებულ ყველა საშუალებას ნამდვილად ამართლებს. საზოგადოების აზრით, რადგან ამ დანაშაულის მიზეზი მძიმე ეკონომიკური პირობებია, მათ მორალური და მატერიალური დახმარება ჭირდებათ, ამასთან ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად შესაბამისი უცხოური სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გაწეული დახმარება ითვლება – ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამშობლოში დაბრუნების მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტმა აქტიურად იმუშავა საერთაშორისო აქტების რატიფიცირებაზე, ხელისუფლებამ პრევენციული ხასიათის ღონისძიებები გაატარა, რომელიც კონკრეტულ ქმედებებში აისახა:

- 2006 წლის 16 ივნისს შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა.
- 2006 წლის ივლისში დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების პირველი დაწესებულება – თავშესაფარი, რომელშიც უზრუნველყოფილია მსხვერპლთა იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურება, მათი რეაბილიტაციის და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
- დაიგეგმა და მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა 2007 წლის მეორე ნახევარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მეორე თავშესაფრის გასახსნელად აღმოსავლეთ საქართველოში.
- საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც მანამდე მოქმედი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი საუწყებათაშორისო კომისია შეცვალა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესი. ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის მიზანია ადამიანით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობა, მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) საბრძოლველად სახელმწიფო ორგანოთა ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის, კოორდინაციისა და მობილიზაციის ხელშეწყობა.

საქართველოს პრეზიდენტის 178 (2007წ.) ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი, რომლის მიხედვითაც მსხვერპლი პირველად კონტაქტს ამყარებს სასაზღვრო პოლიციასთან ან სხვა ნებისმიერ უწყებასთან,

რომელთა მხრიდანაც უნდა მოხდეს მსხვერპლთათვის უფლებების განმარტება და სოციალური თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა შესაბამისი მობილური ჯგუფების დახმარებით. პირველ რიგში მათ უნდა განემარტოთ, რომ დანაშაულში მონაწილეობისათვის, როგორც დაზარალებულს სსპ არ დაეკისრება.

იმისათვის რომ ამ დანაშაულის მსხვერპლთა სიაში ახალგაზრდების რიცხვი ოდნავ მაინც შემცირდეს ხელისუფლებამ ოდნავ მაინც უნდა იზრუნოს, რომ გაცემული თანხები: პრემიების, სტიპენდიების, ხელფასის სახით შესამაბისობაში მოიყვანოს მოქალაქის მიერ გასაწევ ხარჯებთან, იყოს ხარჯებზე მეტი და არა ნაკლები. როცა ადამიანი გრძნობს, რომ მისი დახარჯული შრომა ფასდება, მას შრომისუნარიანობა უათმაგდება და დიდი სურვილი უჩნდება იმისა, რომ საკუთარი წარმატება და კეთილდღეობა სამშობლოს წამატებად და კეთილდღეობად აქციოს, ხელისუფლებასთან ერთად დაიცვას საჯარო ინტერესები და იამაყოს იმით, რომ ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა. პრობლემა ცალმხრივი არასოდეს არაა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ. უკეთეს მომავალზე ზრუნვა შედეგიანი მაშინაა, როცა ეს სურვილი, როგორც სახელმწიფოს ისე თითოეულ ჩვენგანს ამოძრავებს. არსებულის შეფასება, მისი გაკრიტიკება და საკუთარი აზრის დაფიქსირება მისაღებია, მაგრამ უმჯობესია თუ თითოეული ჩვენგანი ეცდება ვურჩიოთ ხელისუფლებას როგორ აქციონ ჩვენი “დაწუნებული” “მოწონებულად”.

როცა ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა რთულია მოითხოვო მკვეთრი ქმედებები და მითუმეტეს ამ მოქმედებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. თითოეულ ჩვენგანს მართებს დაფიქრება – მთავარია ვებრძოლოთ მიზეზებს და არა უკვე დამდგარ შედეგებს. ტრეფიკინგის შესახებ საუბარი ბოლო წლების მანძილზე გააქტიურდა, თუმცა მხოლოდ პროფესიონალთა შორის ამ თემაზე საუბარი პრობლემას ვერ მოაგვარებს. მასობრივი საშუალების ჩართვა და სწორი ინფორმაციის მიწოდება ვფიქრობ, საზღვარგარეთ გამგზავრებით დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მეტი სიფრთხილე გამოჩინონ და ნებისმიერი სახის კონტრაქტი კვალიფიციურ სპეციალისტებს აჩვენონ. იმიგრანტთა უმრავლესობას გამგზავრებამდე მრავალი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. ამ კითხვებზე პასუხს კი “ვიღაცისგან” სამშობლოდან შორს ეძებენ და ხშირად ვერ პოულობენ პასუხს. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთიანი და ვრცელი პროცესია, სადაც მონაწილეობა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად. ამ კუთხით დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო პოლიტიკას – რა სახის პრევენციული ხასიათის ღონისძიებას შესთავაზებს ის საზოგადოებას... დოკუმენტების სამართლებრივი ჭეშმარიტება და მკაცრად განსაზღვრული გამგზავრების მიზანი ნამდვილად შეამცირებს დანაშაულის რაოდენობას. სწორი ინფორმაციის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა კი ბიძგი იქნება ზოგადად საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა. ხელისუფლების პრიორიტეტად მდიდრებსა და ღარიბებს ზღვარის მოშლა უნდა იქცეს, რათა თითოეულ ჩვენგანს განვითარების თანაბარი პირობები შეექმნას. თითოეულ ჩენგანს აქვს განათლების უფლება – განათლება 21-ე საუკუნეში კი ძვირი და ამასთანავე იშვიათი სიამოვნებაა. თუ გვსურს რომ ვიყოთ ჯანსაღი თაობა და შემდეგ უკვე წარმატებული ერი ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ ჩეზარე ბეკარიას თეორია რეალობად ვაქციოთ: **“განავთ დანაშაულის თავიდან აცილება, გააკეთე ისე, რომ განათლება გადადიოდეს ხელიდან ხელში თავისუფლებასთან ერთად...”**

*ᲡᲝᲤᲘᲝ ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲙᲐ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები*

*სოფიო ბარნაბიშვილი, ეკა საათაშვილი*

## ტრეფიკინგი-ახალგაზრდობის “გადარჩენის” გზა

### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი სტუდენტების მოსაზრება თუ რატომ არის დღეს ტრეფიკინგი ასე აქტუალური და რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მისი წარმოშობისა და გამოვლენის მიზეზებად. თემაში “ტრეფიკინგი ახალგაზრდების “გადარჩენის” გზა”, საუბარია მის გამომწვევ მიზეზებსა და თავიდან აცილების გზებზე. აქ ნებისმიერი მცდელობა და პრევენციული ხასიათის ღონისძიება უშედეგოა თუ მასში მონაწილეობა თითოეულმა ჩვენგანმა არ მიიღო. თაობა, რომელმაც ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს – ახალგაზრდობაა, ჩვენი სტუდენტობაა, რომელსაც ხელშეწყობა და განვითარების თანაბარი პირობების შექმნა ჭირდება...

***Софо Барнабишвили, Ека Сааташвили***

## Трефикинг-путь ”спасения” молодёжи

### Резюме

В настоящей работе представлены мнения грузинских студентов - почему трефикинг является таким актуальным и что может быть причиной его происхождения и проявления. В теме - Трефикинг-путь ”спасения” молодёжи, - говорится о причинах и путях устранения трефикинга. Здесь всякая попытка и превентивные меры бесполезны, если в нём не участвует каждый из нас. Поколение, которое должно внести большой вклад в строительство государства – молодёжь, наши студенты, которым необходимо помочь и создать для них одинаковые условия для развития.

***Sofo Barnabishvili, Eka Saatashvili***

## Trafficking - the way of “saving” youth

### The Summary

In above work it is stated, the opinion of the Georgian students why Trafficking is such actual and what can be the reason of its origin and the display reason. In a theme "Trafficking-the way of “saving” for Youth”, is told the reasons and the ways of elimination Trafficking.. Here, any attempt and measures would be in vain, if each of us does not participate in it. Generation, which should bring the big contribution in building the state – is youth, our students for whom it is necessary to help and create for them identical conditions for development.

*ია დადუნაშვილი*

## საქართველო, როგორც შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყარო ქვეყანა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში წარმოიშვა შრომით მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაკადები. ხალხი დასაქმების მიზნით ტოვებდა სამშობლოს კანონიერი თუ უკანონო გზებით. უმეტესობა საზღვარგარეთ მოქმედი შრომის ნებართვის გარეშე მუშაობს.

კავკასიის რეგიონის მიგრანტთათვის ძირითადი დანიშნულების ქვეყნებია: რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, საბერძნეთი, იტალია, გერმანია და ავსტრია.

საქართველოში მცხოვრები ბევრი ოჯახისათვის საზღვარგარეთ მომუშავე მიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფული ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

გლობალიზაციის დღევანდელი ტენდენციის დამახასიათებელი ნიშანია მსოფლიო ბაზრის ინტეგრაცია საზღვრებს გარეთ. ამავე დროს მისი ზეგავლენა ადამიანების და შრომითი რესურსების მიგრაციაზე ხდება კიდევ უფრო შეზღუდული, რეგულირებული სამიგრაციო კანონებით, რათა შენარჩუნდეს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი. მიუხედავად ამისა, გლობალიზაციას მაინც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საერთაშორისო შრომით მიგრაციაზე.

შრომითი მიგრაციის ძირითადი ტენდენციები მსოფლიო შრომის ბაზარზე გამოწვეულია მრავალი ფაქტორით.

შრომისუნარიანობის ასაკს მიღწეული მრავალი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ან საერთოდ ვერ პოულობს სამსახურს ან ვერ პოულობს სამსახურს ადექვატური ანაზღაურებით იმისათვის რომ ირჩინოს საკუთარი თავი და თავისი ოჯახი.

ამავე დროს სხვა ქვეყნებში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში მუშაკთა ნაკლებობას განიცდიან.

შრომითი მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები აგრეთვე მოიცავს დემოგრაფიულ ცვლილებას და სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისებს.

დანიშნულების ქვეყნებში გადახდილი მაღალი ხელფასები იზიდავს ბევრ სამსახურის მაძიებელს, განსაკუთრებით მშობლიურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული დაუსაქმებლობის და ნაკლებად დასაქმებულობის, ან ღირსეული სამუშაო პირობების არქონის პირობებში.

შრომითი მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორია დანიშნულების ადგილის ქვეყნებში დამსაქმებელთა მოთხოვნა იაფ და მოქნილ მუშახელზე, რომელიც მზად არის შეავსოს ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის მეტწილად არასასურველი სამუშაო ადგილები.

სათანადო სამიგრაციო არხების არარსებობა საზღვარგარეთ სამუშაო პირობების შესახებ სანდო და რეალისტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობასთან ერთად ზრდის მიგრანტ მუშაკთა დაუცველობის ხარისხს.

მიგრანტების არალეგალურად გადამყვანი პირები და ტრეფიკერები იყენებენ შექმნილ ხარვეზებს და ადამიანებს პირდებიან ისეთ სარფიან სამუშაო ადგილებს საზღვარგარეთ, რომლებიც ან საერთოდ არ არსებობს, ან კიდევ სრულიად განსხვავდება რეალობისგან.

ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი დამსაქმებელი იღებს მაღალ მოგებას იმ არალეგალურ მიგრანტ მუშაკების ექსპლუატაციით, რომლებმაც არ იციან თავიანთი უფლებები, ან ეშინიათ მათი ექსპლუატატორების დაბეზღების.

ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია ზღვარის გავლება ადამიანებით ვაჭრობასა და მიგრანტების არალეგალურ გადაყვანისა, იძულებით შრომასა და არასტანდარტული სამუშაო პირობებს შორის.

იძულებითი შრომა არის ნებისმიერი სამუშაო თუ მომსახურება, რომელსაც აიძულებენ ნებისმიერ ადამიანს დასჯის მუქარის ქვეშ, და რომელსაც ეს ადამიანი ასრულებს საკუთარი ნების წინააღმდეგ.

იძულებით შრომას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც საჯარო ან კერძო ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საშუალება და ძალაუფლება აიძულოს თავისი მუშაკი შეზღუდვებისა და მუქარის მეშვეობით იმუშავოს, ან მოათავსოს იგი კაბალურ სიტუაციაში, საიდანაც გამოსავალი არ არის. ასეთი იძულება ხშირად ხდება შემდეგი მეთოდებით:

- ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა,
- გადაადგილების შეზღუდვა ან
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა,
- მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ან ხელფასის დაკავება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა გლობალურმა კვლევამ აჩვენა რომ მსოფლიოში იძულებითი შრომის სულ ცოტა 12.3 მილიონი მსხვერპლი არსებობს.

აქედან 9.8 მილიონი ექსპლუატირებულია კერძო ორგანიზაციების მიერ, ხოლო 2.4 მილიონი წარმოადგენს შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლს. ეს ციფრები შემდეგნაირად ნაწილდება:

- 9,490,000 აზიასა და წყნარი ოკეანეს რეგიონში;
- 1,320,000 ლათინო ამერიკასა და კარიბის ზღვის რეგიონში;
- 660,000 საჰარის აფრიკაში;
- 360,000 ინდუსტრიულ ქვეყნებში (ევროპა და ამერიკა);
- 260,000 შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში; და
- 210,000 განვითარებად ქვეყნებში.

შრომითი ტრეფიკინგიდან მიღებული შემოსავლის გლობალური შეფასება 31.6 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენს. საიდანაც ინდუსტრიულ ქვეყნებზე მოდის 15.5 მილიარდი, ხოლო განვითარებად ქვეყნებზე – 3.4 მილიარდი.

მიგრანტ მუშაკთა იძულებითი ეკონომიკური ექსპლუატაცია ძირითადად მოდის შემდეგ ეკონომიკურ სექტორებზე:
- ტექსტილის, ტანსაცმელის, ტყავის, ფეხსაცმელის დამზადება;
- მშენებლობა;
- შინამეურნეობა;
- ჯანდაცვა;
- სასტუმრო, სარესტორანო და ტურიზმის ბიზნესი;

- სოფლის მეურნეობა, პლანტაციები და სხვა სასოფლო საქმიანობები.

არსებობს რამდენიმე დოკუმენტირებული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მიგრანტ მუშაკებს ამყოფებენ დამოკიდებულ და ექსპლუატირებულ მდგომარეობაში, ესენია: პირადობის დამადასტურებელი საბუთების მათი მფლობელებისგან დამალვა, დეპორტაციის მუქარა იმ შემთხვევაში თუ მიგრანტს არალეგალური სტატუსი აქვს, კაბალური ვალი, ძალადობა, ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.

რაც შეეხება შრომით ტრეფიკინგს საქართველოში, მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობის მონაცემები არ არსებობს, თუმცა ცალკეული სასამართლო საქმეები განიხილება. თუმცა დაახლოებით ერთი წლის წინ აღმოჩენილ იქნა შრომითი ექსპლუატაციისთვის ტრეფიკინგის რამოდენიმე შემთხვევა საქართველოს ტერიტორიაზე, ანუ შიდა შრომითი ტრეფიკინგის შემთხვევები.

იმისათვის რომ შრომით ტრეფიკინგთან ბრძოლა უფრო წარმატებული იყოს საჭიროა გადაიდგას შედეგი ნაბიჯები:

საჭიროა შრომის ინსპექციის გაუქმების პრობლემის გადაჭრა, რადგანაც შრომის ინსპექტორებს დიდი როლი გააჩნია შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლების პირველად იდენტიფიცირებაში და მათ გადამიმართულებაში, ამრიგად, კარგი იქნება, რომ შრომითი ინსპექტორები ეროვნული რეფერალური მექანიზმის ნაწილად ჩაითვალონ. სასურველია, რომ შრომითი ინსპექციის ინსტიტუტი აღდგეს და აისახოს როგორც ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ასევე სამოქმედო გეგმაში.

აგრეთვე საჭიროა ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწა, რათა მან მოიცვას შრომითი ტრეფიკინგის პრობლემაც. აგრეთვე რათა შრომის ბაზრის ინსტიტუტები – პროფკავშირები და დამსაქმებლები – გახდნენ ეროვნული რეფერალური მექანიზმის მონაწილეები.

ყურადღება უნდა მიექცეს შიდსის და იმუნოდეფიციტის ვირუსის საკითხს ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მიმართებაში – სამწუხაროდ ეროვნული რეფერალური მექანიზმი არც ერთ ეტაპზე არ ეხება ამ საკითხს. სამწუხაროა, რომ არსებობს სტერეოტიპი რომ ტრეფიკინგის ყოველი მსხვერპლი დაავადებულია შიდსით, თუმცა კვლევებმა სხვა ქვეყნებში აჩვენა რომ ეს ასე არ არის.

*ია დადუნაშვილი*
*საქართველოში შრომის საერთაშორისო*
*ორგანიზაცია წარმომადგენელი*

*ია დადუნაშვილი*

## საქართველო, როგორც შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყარო ქვეყანა

### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში ჩამოთვლილია ის მიზეზები რის გამოც საქართველო იქცა შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყარო ქვეყანად. თემაში მოცემულია ზოგადად ტრეფიკინგის დახასიათება და მოცემულია რეკომენდაციები რათა შრომით ტრეფიკინგთან ბრძოლა უფრო წარმატებული იყოს.

**Иа Дадунашвили**

## Грузия, как страна источник трудовой миграции и торговлей людьми

### Резюме

В представленной работе перечислены те причины из за которых Грузия превратилась в страну- источник трудовой миграции и торговлей людьми. В теме дано обшее описание трефикинга и выработаны рекомендации для эффективной борьбы против него.

**Ia Dadunashvili**

## Georgia, as the source country of labour migrations and Human trafficking

### The Summary

In above work are stated those reasons because of what Georgia became the source country of labour migrations and Human trafficking. In a theme are stated description of trafficking and the recommendation for affective struggle against it.

*ნატალია მაისურაძე*

# ტრეფიკინგის პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში
## (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)

"თანამედროვე მონობა" – ეს არის ტრეფიკინგის ერთერთი დეფინიცია. ტრეფიკინგი არ არის მხოლოდ 21-ე საუკუნის მოვლენა, მას მეტად ღრმა ისტორიული საწყისები აქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამ დანაშაულის მასშტაბებმა კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. მის განვითარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლამ, საზღვრების გახსნამ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოსახლეობის ფართო მიგრაციამ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ეს თავისთავად განაპირობებული იყო მომხიბლავი ცხოვრებისა და უკეთესი სამუშაოს მოლოდინით. სწორედ ამიტომ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში შედარებით მძიმე სიტუაციაა ტრეფიკინგის პრობლემის თვალსაზრისით. ამ ქვეყნებისთვის აღნიშნული დანაშაული გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს, ამიტომაც ძირითადად არ არსებობს ტრეფიკინგთან ბრძოლის გამოცდილება. სათანადო კანონმდებლობის შემუშავებაც, ძირითადად სულ რაღაც რამოდენიმე წელია დაიწყო.

ჩემს ნაშრომში შევეცდები განვიხილო ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში და ასევე შევეხო ამ კუთხით ჩვენს მეზობელ ქვეყნებს: აზერბაიჯანსა და სომხეთს. ტერიტორიული სიახლოვის გამო, სამწუხაროდ, თითოეული სახელმწიფო ხშირად ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა სატრანზიტო გზა ან თავშესაფარი. გარდა ამისა, ტრეფიკერები სამუშაო ადგილად, არცთუ იშვიათად სწორედ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიას ირჩევენ. რაც განპირობებულია საზღვრის გადაკვეთის სიმარტივით.

მაინც რა არის ტრეფიკინგი? დანაშაულობა, რომელიც თავისი ძალადობით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევის მწვავე ხასიათით გამოირჩევა. მან გავრცელების სისწრაფითა და სიმწვავით, მრავალ დანაშაულობას გადააჭარბა. სწორედ ამიტომ, 2000 წელს, მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციას და ოქმს "ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ". ვინაიდან ეს ხელმოწერა ქალაქ პალერმოში შედგა, აღნიშნულ ოქმს, ხშირად პალერმოს ოქმის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.

პალერმოს ოქმის მე – 3 მუხლის თანახმად:

"*ადამიანების ტრეფიკინგი" ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადამალვას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე.*[24]

აქვე განმარტებულია, რომ:

*ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს, ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას,*

[24] Protocol to prevent, suppress and punish Trafficking in persons, especially women and children, supplementing the united nations convention against transnational organized crime, G.A. res 55/25, annex II, 55 U.N GAOR supp.(#49) at 60, U.N. Doc. A/45/49 (Vol. I),2001, P.2

*მონობაში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში მყოფებას, სერვიტუტს ან ადამიანის ორგანოთა გადანერგვას.*

აღნიშნული დეფინიციიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ ადამიანების ტრეფიკინგი მძიმე დანაშაულია, რომელიც იწვევს ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შელახვას, წამებას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევას, იძულებით შრომასა და მონობას, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს როგორც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე მის ფსიქიკას.

რაც შეეხება ტრეფიკინგის დანაშაულებრივ მახასიათებლებს, შეიძლება ითქვას შემდეგი:

- ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ქალი და ბავშვი, ხშირად მამაკაციც.
- ტრეფიკინგი არა მხოლოდ პროსტიტუცია ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია, არამედ ყველა სახის იძულებითი სამუშაო და მომსახურებაა, რომელიც მონობის ან მის მსგავს სიტუაციაში აყენებს ადამიანს.
- ტრეფიკინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა საზღვრის გადაკვეთით, ისე ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე. ასე რომ, ადამიანებით ვაჭრობა გვევლინება როგორც ტრანსნაციონალურ, ისე ლოკალურ დანაშაულად.

საქართველოში ტრეფიკინგის კრიმინალიზაციას სათავე დაუდო საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებულებამ, რომელიც შეეხო ადამიანით ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005 – 2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებას. მას მოჰყვა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციებისა თუ სამართლებრივი აქტების რატიფიცირება. საქართველო აქტიურად ჩაება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა სამწუხაროდ ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები ხშირად არაეფექტურია, ამას კი მრავალი ფაქტი განაპირობებს. უპირველესი კი ალბათ გახლავთ ის, რომ რიგ ქვეყნებში (მაგადასკარი, ანდორა, კუბა, სამხრეთ აფრიკის ქვეყნები და სხვ.) ტრეფიკინგის პრობლემაზე კანონმდებლობაც კი არ არსებობს და მსხვერპლნი ჯერ კიდევ განიხილებიან როგორც დამნაშავეები. მათი კანონმდებლობის თანახმად, ტრეფიკინგის მსხვერპლთ აპატიმრებენ საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ქვეყანაში არალეგალური ცხოვრების, შრომის, პროსტიტუციის ბრალდებით და ათავსებენ წინასწარი პატიმრობის ადგილებში ან პირდაპირ ციხეში. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, კი ხდება მსხვერპლის დაუყოვნებლივი დეპორტაცია. დანაშაულის ორგანიზატორები კი დაუსჯელნი რჩებიან მათ წინააღმდეგ მტკიცებულებათა არ არსებობის გამო. ცხადია, ისინი კვლავ აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და სულ ახალ-ახალ მსხვერპლთ აგებენ მახეში.

სწორედ ამ არასწორმა მიდგომამ, ფართოდ შეუწყო ხელი ადამიანებით ვაჭრობას. აღნიშნული დანაშაულობა მეტად რთული ხასიათის აღმოჩნდა რეალურ დამნაშავეთა გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით.

საქართველოში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი – ადამიანით ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) შესახებ, რომლის მე – 18 მუხლის, მე – 2 პუნქტის თანახმად: *"დაუშვებელია დაზარალებულის მოთავსება დაკავების, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, ციხეებსა და საპყრობილეებში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევისა, თუ შესაძლებელია მათი სხვათაგან განცალკევებით მოთავსება."*

ადამიანთა ტრეფიკინგი, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დანაშაულთა ისეთ კატეგორის მიეკუთვნება, რომელთა გახსნისთვის დაზარალებულის, მსხვერპლის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია მათი თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან. აღსანიშნავია, რომ გამოძიებისა და საქმის წარმოების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს დაზარალებულის უსაფრთხოება დაცული. ადამიანების ტეფიკინგის მსხვერპლის ვინაობის საჯარო გაცხადება, მეტად ზრდის მის მიმართ, ადამიანებით მოვაჭრის მხრიდან, ანგარიშწორების რეალურ საფრთხეს. ხშირად უსწორდებიან არა მხოლოდ ყოფილ მსხვერპლს, არამედ მის ოჯახის წევრებს, ახლობლებს და აბავენ მათ ტრეფიკინგის ახალ ქსელში. სწორედ ამიტომ, პალერმოს ოქმის მე – 6 მუხლის მიხედვით:

*თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა, აგრეთვე ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონფიდენციალურობა.*[25]

ეს ნორმა ავალდებულებს სახელმწიფოებს, აკრძალონ ტრეფიკირებულ პირთა სახელების, მისამართებისა და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნება. და თუ მაინც მოხდა მსგავსი რამ, მაშინ სახელმწიფო მზად უნდა იყოს რომ მოახდინოს მსხვერპლთა და მის ახლო ნათესავთა მაქსიმალური დაცვა ხელახალი ზეწოლისგან. ნიშანდობლივია, რომ ეს ნორმა ჩვენ სახელმწიფოშიც მოქმედებს.

მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი, რომელიც აჭარის რეგიონში, კერძოდ კი ქალაქ ბათუმში გაიხსნა 2006 წლის 20 ივლისს. თავშესაფარი მეტად გასაიდუმლოებული და გარეშე პირთათვის შეუღწეველი ორგანიზაციაა, რომელიც დაზარალებულს მისსივე თანხმობით უწევს უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, უფასო იურიდიულ კონსულტაციას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარი, შეიმუშავებს და ახორციელებს დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მრავალ პროგრამას.

მიუხედავად ამისა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სრული ანონიმურობის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მაინც ვერ ხერხდება, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით: მსხვერპლი არის დაზარალებული და ამასთანავე მოწმე. შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეში ფიქსირდება მისი დემოგრაფიული მონაცემები, რაც ხელმისაწვდომი ხდება ბრალდებული მხარის ადვოკატისთვის.[26]

თუმცა, საქართველოს კანონის – ადამიანით ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) შესახებ მე – 12 მუხლის, I პუნქტის თანახმად: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.

---

[25] Protocol to prevent, suppress and punish Trafficking in persons, especially women and children, supplementing the united nations convention against transnational organized crime, G.A. res 55/25, annex II, 55 U.N GAOR supp.(#49) at 60, U.N. Doc. A/45/49 (Vol. I),2001, art.6(1), p.3

[26] საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, ( 2006 წლის I ნახევარი, გვ. 291 )

აღნიშნული მუხლი დაზარალებულს უტოვებს ალტერნატივას, რომ გადაწყვეტილება თავად მიიღოს. ჩემი აზრით, მსხვერპლთა უმეტესობა არ დათანხმდება სასამართლო პროცესის დაწყებას, რაც სრულიად ბუნებრივია დღევანდელ პირობებში და უკვე ჩამოთვლილი ფაქტორების გამო. ამიტომ, სახელმწიფო სტრუქტურები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ ეს პრობლემა მოაგვარონ და დაზარალებულის სასარგებლოდ გადაჭრან. აუცილებელია ღირსეული და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება დანაშაულზე, რომელიც ძალიან საშიშ ხასიათს ატარებს, რათა გამოვლენილი იქნენ, ადამიანით მოვაჭრეები. სამწუხაროდ, საქმის გახსნას ისიც ართულებს, რომ ეს განსაკუთრებულად ორგანიზებული დანაშაული, არცთუ იშვიათად სახელმწიფო თანამდებობის პირთა მფარველობის საგანია, რომლებიც ულირსად იყენებენ თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას იმ კოლოსალური თანხების მისაღებად, რაც ადამიანებით ვაჭრობის ბიზნესს მოაქვს.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველომ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშში, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლაში, საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველომ, წინა წლებთან შედარებით, ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. იქვე განხილულია 2006 წელს ჩატარებული მრავალი ანტიტრეფიკინგული კამპანია და პროექტი. აღნიშნულია, რომ წარმატებით ხორციელდება შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება. ასევე გამახვილებულია ყურადღება ქვეყნის შიგნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებზე, რომელიც ძირითადად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე გვევლინება.[27]

საქართველო დღესაც აქტიურად განაგრძობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას და ახალ სტრატეგიებს ავითარებს. დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციისთვის, 2007 წლის 25 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დამტკიცდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2007 – 2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომელის თანახმად, სათანადო უწყებებს დაევალათ შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული გეგმა მოიცავს, როგორც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, ასევე დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

უფლებამოსილი ორგანოების გარდა, ამ და სხვა მსგავს პროექტებში ჩართულია მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელნიც თავის მხრივ, მეტად დიდ როლს ასრულებენ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. აღსანიშნავია აგრეთვე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მოღვაწეობა ამ კუთხით. იგი 2000 წლიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, ახორციელებს სხვადასხვა მიზნობრივ კვლევებს, პრევენციული ხასიათის სარეკლამო კამპანიებს, ტრეფიკინგის მსხვარპლთა უსაფრთხო დაბრუნებასა და რეინტეგრაციას სამშობლოში და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სფეროში რეგიონალური პროექტის განხორციელებას - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ზომების განვითარების შესახებ. პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და განხორციელდება ორი წლის განმავლობაში. მისი ბიუჯეტი 1.87 მილიონი ევროა. იგი მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს. პროექტი ავლენს სამი საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის: შრომის საერთაშორისო ორგანიზა-

[27] "Trafficking in Persons Report", Released by the Office to Monitor and Combat Trafficking in Persons. June 12, 2007 http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2007/82805.htm

ციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისიისა და საერთაშორისო მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ცენტრის ერთობლივ ძალისხმევას. იგი ეხმარება სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ზომების დახვეწაში.[28]

სწორედ აღნიშნული პროექტის გაცნობის შემდეგ დავინტერესდი გამეგო თუ რა მდგომარეობაა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მხრივ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. რა საერთო და განმასხვავებელი დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა ეს ორი ქვეყანა; როგორია ტრეფიკინგთან ბრძოლის მათეული სტრატეგია და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

აზერბაიჯანში, ისევე როგორც საქართველოსა და სომხეთში, მეტად მწვავედ დგას ტრეფიკინგის საკითხი. ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძირითადად მიჰყავთ თურქეთში, არაბეთში, პაკისტანში, საბერძნეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ირანში, ინდოეთში და სამწუხაროდ საქართველოშიც. ქალები ძირითადად პროსტიტუციაში არიან ჩაბმულნი და უმეტესად ეს ხდება თურქეთის ტერიტორიაზე. ცნობილია ბავშვთა ტრეფიკინგის მრავალი მაგალითიც. მათ არა მხოლოდ სექსუალური მიზნებისთვის იყენებენ, არამედ ხშირად აიძულებენ, რომ იმათხოვრონ და ქუჩის გლახაკებად, პატარა მაწანწალებად იქცნენ. რაც შეეხება აზერბაიჯანიდან ტრეფიკირებულ მამაკაცებს, ისინი ძირითადად რუსეთში ხვდებიან იძულებით მუშებად. არცთუ იშვიათად პროსტიტუციის გარდა, აზერბაიჯანელი ქალებიც არიან ჩაბმულნი იძულებით საქმიანობაში, რაც ძირითადად შავი, მძიმე სამუშაოს შესრულებაში გამოიხატება.
აზერბაიჯანი არის სატრანზიტო ქვეყანა, რომლის გავლითაც ხდება უზბეკეთის, ყირგიზეთის, მოლდოვეთის მოქალაქეების ტრეფიკირება თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თითოეული ტრეფიკინგის მსხვერპლისგან ხდება ყოველთვიურად 12,000 – 15,000 დოლარის გამომუშავება.
სტატისტიკას თუ გადავხედავთ წლების მიხედვით, აზერბაიჯანში ასეთი მდგომარეობაა:

- ✓ 2006 წელს დაფიქსირდა ტრეფიკინგის 211 შემთხვევა. აქედან საქმე აღიძრა მხოლოდ 107 საქმეზე;
- ✓ 2007 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 112 პირზე, რომელთაგან 72 პირდაპირ ბრალდებულია ტრეფიკინგის დანაშაულში.

აზერბაიჯანი აქტიურად არის ჩაბმული ანტიტრეფიკინგის კამპანიაში. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის ოქტომბერს, ბაქოში გაიხსნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი. რომელიც ეხმარება მსხვერპლთ უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური თუ იურიდიული კონსულტაციებით. ასევე ახორციელებს მათ რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციას საზოგადოებაში.

ქვეყანაში შექმნილია ე.წ ადვოკატთა კავშირი, სადაც 33 ადვოკატი ერთად ახორციელებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ძირითადად მომავალ მსხვერპლთა მაქსიმალური დაცვით გამოიხატება. ეს კავშირი ძირითადად ახალგაზრდობის დანაშაულისგან თავის არიდებისა და დაზღვევის კუთხით მოღვაწეობს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშში ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება, ცდილობს კანონმდებლობის მაქსიმალური პენალიზაციით მოახდინოს ამ დანაშაულობის პრევენცია. აღნიშნულია, რომ იმატა ადამიანით ვაჭრობის შე-

[28] http://www.ungeorgia.ge/userfiles/files/Rep_Geo_Reduced.pdf

სახებ სისხლის სამართლის პროცესებისა და დამნაშავეების გამოვლენის ფაქტებმა. თუმცა, მიუხედავად სახელმწიფო ორგანოების დიდი მცდელობისა, ქვეყანა მაინც მძიმე მდგომარეობაშია და ვერ ახორციელებს ეფექტურ პროგრამებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ. [29]

რაც შეეხება სომხეთს, უნდა ითქვას რომ ამ ქვეყანაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაა, განსხვავებით საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან. თუ რატომ, ამას ქვემოთ განვიხილავ.

სომხეთის მოქალაქეების ტრეფიკირება ხდება როგორც საქართველოში, რუსეთში, თურქეთში, ასევე არაბეთში. ძირითადად გავრცელებულია ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგი. მამაკაცისა და ბავშვების ტრეფიკინგის მაჩვენებელი არც ისე დიდია. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ჩართულნი არიან როგორც პროსტიტუციის ქსელში, ასევე იძულებითი სამუშაოს შესრულებაში. სატრანზიტო გზად ხშირად მოსკოვი გვევლინება, საიდანაც ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაყავთ. განსაკუთრებით კი ხშირია სომხეთის მოქალაქეების დუბაიში ტრეფიკირება. რამაც უკვე არნახულ მასშტაბს მიაღწია.

ტრეფიკინგის დანაშაულობის სტატისტიკა სომხეთში ასეთია:
- ✓ 2004 წელს მხოლოდ 14 დანაშაულზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე;
- ✓ 2006 წელს ეს რიცხვი იყო 32;
- ✓ 2007 წელს კი სისხლის სამართალწარმოება იყო 20 დანაშაულზე.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკა საქართველოსა და აზერბაიჯანთან შედარებით საოცრად მწირია, რაც სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებს. სასამართლო საქმის აღძვრა 10, 20, ან თუნდაც 50 შემთხვევაზე, ქვეყანას სარგებლობას ვერ მოუტანს მაშინ, როდესაც ყოველწლიურად ათასობით მისი მოქალაქე ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი და ეს რიცხვი შემცირების ნაცვლად, სულ უფრო და უფრო მატულობს.

სომხეთის გენერალური პროკურორი თავის მოხსენებაში სწორედ ამ საკითხზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ადამიანებით ვაჭრობამ სომხეთში საგანგაშო ზღვარს მიაღწია და სასწრაფოდ უნდა მიექცეს მას სათანადო ყურადღება. აქვე დასძენს, რომ ეს დანაშაულობა ვერ შემცირდება მანამ, სანამ სომხეთის კანონმდებლობა ასეთი ლმობიერი იქნება ტრეფიკერთა მიმართ.[30]

სომხეთის ხელისუფლება მართლა ვერ დაიკვეხნის ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროექტებისა თუ ნოვაციების სიმრავლით, თუმცა მცირედი პროგრამების შემუშავება მაინც ხდება.

ერთერთ ასეთ პროექტს ახორციელებს სომხეთის პარლამენტი. ეს ანტიტრეფიკინგის კამპანია ე.წ AIR ACT მოიცავს მგზავრთა წინასწარ გაფრთხილებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მგზავრებს თვითმფრინავის აფრენის წინ უტარდებათ სემინარი - პრეზენტაცია, რომელიც მათ აცნობს უსაფრთხოების წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან უცხო ქვეყანაში ჩაფრენის მომენტიდან, თუ არ სურთ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მორიგ მსხვერპლად იქცნენ. მგზავრებს ასევე ურიგდებათ შესაბამისი საცნობარო ბროშურები. [31]

---

[29] http://gvnet.com/humantrafficking/Azerbaijan.htm

[30] http://gvnet.com/humantrafficking/Armenia.htm

[31] http://www.stopvaw.org/printview/Armenian_Parliament_Passes_Act_on_Human_Trafficking3.html

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშს, მისი მიხედვით, სომხეთი მეტად წარუ-მატებელი ქვეყანაა ტრეფიკინგთან ბრძოლაში, ამაზე მეტყველებს ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების საგრძნობი ზრდა წინა წლებთან შედარებით. მიუხედავად იმასა, რომ სომხეთის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს შეიმუშაოს ეფექტური ანტიტრეფიკინგური პროექტები, უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ ამართლებენ. სპეციალური ანგარიშიც სწორედ სომხეთის ამ არასრულფასოვან მცდელობებზე ამახვილებს ყურადღებას.[32]

მე, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, დამაინტერესა ამ სა-კითხებმა იმიტომ, რომ მიმაჩნია ახალგაზრდობის შესაბამისი განათლება და მსჯელობები ტრეფიკინგთან დაკავშირებით, მეტად დაეხმარება სახელმწიფოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

განათლების სფეროში აღნიშნულ საკითხს მართლაც ექცევა ყურადღება, თუმცა რამდენად დიდი და მნიშვნელოვანი, შევეცდები ეს ჩემი განხილვის საგნად ვაქციო და შევაჯერო ის აღნიშნულ ქვეყნებთან მიმართებაში.

აზერბაიჯანში, ისევე როგორც სომხეთში, განათლების შესაბამისი სტრუ-ქტურები მხოლოდ ზოგადად არიან ჩართულნი ანტიტრეფიკინგის კამპანიაში. უფროსკლასელთათვის და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, სომხეთში შექმნილია შესაბამისი ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც ისინი იღებენ ამომწურავ ინფორმაციას ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის შესახებ. აზერბაიჯანში, ძირითადად ბროშურების დარიგებით და ერთჯერადი ლექციებით შემოიფარგლება აღნიშნული კამპანია.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო აქტიურადაა ჩარ-თული მოსწავლეებისა და სტუდენტების ინფორმირებაში ადამიანებით ვაჭ-რობის შესახებ. ამაზე მიუთითებს ის მრავალი პროექტი, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში. 2005 – 2006 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შერჩეული იქნა 100 საპილოტე სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ახ-ალი სასწავლო პროგრამით, რომელიც ფართოდ მოიცავდა სამოქალაქო გა-ნათლების ტრეინინგებს. 2006 – 2007 წლებში აღნიშნულ პროცესში ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აქტიურად ჩაერთო. ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის მრავალი საკითხი, რომელიც ტრეფიკინგის პრობლემას შეეხე-ბა. ეს მასალა, ძირითადად ასახულია მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის სას-წავლო პროგრამაში.

სამწუხაროდ ასეთი მასშტაბური პროექტები არ ხორციელდება ყველა უმაღ-ლეს სასწავლებელში. ჩემი აზრით, კი პრიორიტეტი სწორედ მათ უნდა მიე-ნიჭოს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანით ვაჭრობის ორგანიზატორ-თათვის ყველაზე მომგებიანი ახალგაზრდა, მომხიბვლელი თაობაა. მათ გა-ცილებით ძვირად ყიდიან ან უწევენ ექსპულატაციას, ვიდრე ასაკიან ხალხს ან არასრულწლოვანებს. ამ ახალგაზრდა მსხვერპლთა დიდი უმეტესობა საზღვარგარეთ უმეტესად სასწავლებლად, ან სამუშაოდ მიდიან. მათ არ აქვთ ტრეფიკინგის საფრთხეზე სათანადო ინფორმაცია, და ძირითადად ეს ხდება მათი ამ დანაშაულობაში ჩაბმის მიზეზი.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სოციოლოგიური გამოკვლევა ჩავატარე, საიდანაც მეტად საგულისხმო და სავალალო პასუხები მივიღე.

[32] http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2007/82805.htm 22.03.2008

ჩემს მიერ გამოკითხული 100 სტუდენტიდან, უმრავლესობამ,(კითხვაზე თუ რა არის ტრეფიკინგი), მიპასუხა, რომ ეს არის მხოლოდ პროსტიტუციის ერთ-ერთი სახე. აღმოჩნდა, რომ უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას მოიცავს რეალურად ადამიანით ვაჭრობა. მათთვის ეს მხოლოდ პროსტიტუციასთან და თურქეთში ტრეფიკირებულ ქართველ ქალებთან ასოცირდება.

გამოკითხულთა გარკვეულმა ნაწილმა მხოლოდ ის მიპასუხა, რომ ეს არის ადამიანით ვაჭრობა. თუ როგორი და რა სახის ამაზე მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

სტუდენტთა შორის მართალია მცირე, მაგრამ მაინც იყო ნაწილი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა რა იყო სიტყვა ტრეფიკინგი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩემს მიერ გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლიტურ უმეტესობას სურს საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ წასვლა.

ჩატარებული გამოკითხვიდან ნათლად დავინახე, რომ საზოგადოებაში ტელევიზიით ან მასმედიის სხვა საშუალებებით ჩატარებული ანტიტრეფიკინგული კამპანიები ან მცირე მეტრაჟიანი სარეკლამო - საინფორმაციო ვიდეო რგოლები, მეტად არაეფექტურია და ალბათ დანაშაულის პრევენციას მხოლოდ მცირე რაოდენობით ახდენს.

აუცილებელია, რომ დაინერგოს უფრო ეფექტური გზები ამ მიზნით. ანტიტრეფიკინგულ კამპანიას უნდა მიეცეს მასობრივი ხასიათი და ეს, ჩემი აზრით, ახალგაზრდობის აქტიურობითა და კამპანიაში ჩაბმით უნდა გამოიხატოს. ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძალზე ხშირად სტუდენტები ხდებიან, მიმაჩნია, რომ რეფორმების გატარება უნივერსიტეტებიდან უნდა დაიწყოს. საჯარო სკოლებში აღნიშნული პროექტი მხოლოდ 2006 – 2007 წლებში დაიწყო, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ რა ქნას იმ უფროსმა თაობამ, რომელიც ვერ გახდება ამ პროგრამის მონაწილე?! უმაღლეს სასწავლებლებს ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა ყველაზე დიდ რისკ ჯგუფში სწორედ სტუდენტები შედიან.

ჩემი აზრით, საუკეთესო საშუალება ამ მხრივ არის შესაბამისი ჯგუფის შექმნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ტრეფიკინგის შესახებ სტუდენტების სათანადოდ ინფორმირების. შეიძლება ეს განხორციელდეს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სათანადო საცნობარო ბროშურების დარიგების, ან ერთჯერადი მასტერ კლასების ჩატარების გზით. მისასალმებელი იქნება, თუ აღნიშნულ ღონისძიებებს შესაბამისი კვალიფიკაციის ტრენერები ჩაატარებენ, თუმცა აგრეთვე შესაძლებელია, რომ ასეთი აქცია სამართალდამცავი ორგანოების ან სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ჩაატაროს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმაც, რომელთაც ამ სფეროში სათანადო ცოდნა ექნებათ.

სწორედ ამიტომ, უმაღლეს სასწავლებლებში, იურიდიულ ფაკულტეტებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი საკითხების შესწავლას შემდეგ სალექციო კურსებში : კრიმინოლოგია, სამართალდამცავი ორგანოები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და ა. შ.

სამწუხაროდ, აღნიშნული საგნების შესწავლა მხოლოდ ერთეულ უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს და ისინიც სათანადო სრულყოფას საჭი-

როებენ ამ კუთხით. ამიტომ მიმაჩნია, რომ აუცილებელია დაინერგოს შესაბამისი სასწავლო სისტემა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ახალგაზრდა სამართალმცოდნეების ჩაბმა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეტად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოსთვის, რომლის სასიკეთო შედეგსაც ვფიქრობ, მალე ვიხილავთ.

საუბრის დასასრულს, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ჩემს მიერ წამოჭრილი პრობლემატური საკითხი არ დარჩება ყურადღების მიღმა და სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს. ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთვება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში და აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლიც სულ უფრო და უფრო ნაკლები საქართველოს მოქალაქე გახდება!

*ნატალია მაისურაძე*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. "ჩვენი უფლებები" საქართველოს კანონმდებლობა, ადამიანებით ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) შესახებ, თბილისი 2005 წელი
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ალმანახი, ნინო ბაქაქური - ადამიანების ტრეფიკინგი, 2004 წელი, №19.
3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი – ცნობარი, თბილისი 2005 წელი
4. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, რონა კ. მ სმიტი, სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა
5. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები (2006 – 2007 წლები)
6. გიორგი ღლონტი, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოში, თბილისი 2005 წელი
7. Protocol to prevent, suppress and punish Trafficking in persons, especially women and children, supplementing the united nations convention against transnational organized crime

*ნატალია მაისურაძე*

## ტრეფიკინგის პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)

### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობის ანალიზს, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით. თემაში მოცემულია ზოგადად ტრეფიკინგის დახასიათება; განხილულია თუ რა ღონისძიებებს მიმართავს ამ დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად თითოეული ქვეყანა და რამდენად არის ანტი – ტრეფიკინგულ კამპანიაში ჩაბმული მათი განათლების სისტემები.

ნაშრომში აგრეთვე მოცემულია, რეკომენდაციები საქართველოში ახალგაზრდობის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვის შესახებ.

***Наталья Маисурадзе***

## Проблема трефикинга в страннах Южного Кавказа
(Грузия, Азербайджан, Армения)

### Резюме

Данная работа анализирует состояние стран Южного Кавказа и вопросы торговли людьми. В работе дана обшая характеристика трефикинга, расмотрены мероприятия которые проводятся каждой страной с целью предотврашения этого преступления, затронуты вопросы борьбы с трефикингом.

***Natalia Maisuradze***

## Problems of trafficking in the countries of South Caucasus (Georgia, Azerbaijan, Armenia)

### The Summary

The report analyses of the human trafficking situation in countries of South caucasion. It covers the general characteristics of trafficking, as well as the prevention efforts undertaken by each country (Georgia, Azerbaijan, Armenia).

The report also discusses the anti – trafficking role of those countries education systems and it suggests the more efficient ways of youth's trafficking prevention in Georgia, versus the current measures taken.

*თამარ მარდალეიშვილი*

# ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობები საქართველოში

ა. *საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.*

პარტნიორ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მსო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მთავრობას მისი ანტი-ტრეფიკინგის პოლიტიკის განვითარებაში.

მსო არის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი, რომელიც აკონტროლებს საქართველოს ანტი-ტრეფიკინგის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მსო რეგულარულად უზიარებს გამოცდილებას მთავრობას და მონაწილეობას იღებს ანტი-ტრეფიკინგის ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლებაში. მსო აგრეთვე ჩართულია ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიკაციისა და მსხვერპლის სტატუსის ოფიციალურად მინიჭების ბოლო დროს მიღებული მექანიზმების განხორციელებაში.

*ბ) სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლების პოტენციალის განვითარება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით*

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს 18 თვიან პროექტს, რომლის მიზანია ძირითადი სამთავრობო სტრუქტურების პოტენციალის ამაღლება. ტრენინგი ტარდება სამართალდამცავი სტრუქტურების 130 თანამშრომლისათვის (პროკურატურისა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის), მოსამართლეებისათვის, სასაზღვრო პოლიციისათვისა და საკონსულოს თანამშრომლებისათვის. ეფექტურ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული პროექტის სპეციალური კომპონენტები ითვალისწინებს სასაზღვრო პოლიციასთან თანამშრომლობას და დახმარებას ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული კომპლექსური მოდულის განვითარებაში, რომელიც ჩაირთვება სასაზღვრო მილიციის სასწავლო პროგრამაში. მსო აგრეთვე თანამშრომლობს შსს-ს აკადემიასთან, რათა განვითარდეს სტრუქტურის შიგნით ინსტრუქტორების ინსტიტუტი, რომლებიც თავად მოამზადებენ პოლიციის თანამშრომლებს ადამიანით ვაჭრობის ძირითად ასპექტებში.

პროგრამა ასევე მოიაზრებს კონფლიქტურ ზონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში - ფაქტების მოძიების მისიას, აგრეთვე ორმხრივ შეხვედრებს ქართველ და თურქ სამართალდამცავ და მსხვერპლთა დახმარების სტრუქტურებს შორის ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

*გ) ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ინფორმირებულობის დონის ამაღლება*

პროექტის მიზანია სამხედრო კადრების ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის საკითხში: მათთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გადაცემა, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ საქართველოს საზღვრებს გარეთ სამხედრო მისიების დროს. მსო აგრეთვე თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ქართველი სამხედრო მოსამსახურეების პოტენციალის ასამაღლებლად საერთაშორისო სტანდარტების შესა-

ზამისად, ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად საჭირო უნარ-ჩვევების ჩათვლით.

## *დ. ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის დახმარების აღმოჩენა.*

მსო-ს ცენტრალური ოფისისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნების მსო-ს მისიების მხარდაჭერით მსო-ს თბილისის ოფისი ზოგიერთ შემთხვევაში დახმარებას უწევს ტრეფიკინგის მსხვერპლებს თავიანთ სამშობლოებში დაბრუნებაში. ეს შეეხება როგორც საზღვარგარეთ ტრეფიკირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოში ან საქართველოს გავლით ტრეფიკირებულ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს. დახმარება ითვალისწინებს დაბრუნებამდე დაცვას, წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხო დაბრუნებაში დახმარებას (სატრანზიტო აეროპორტებში დახმარების ჩათვლით) და დაბრუნების შემდგომ რეაბილიტაციას.

2004 წლიდან მოყოლებული მსო-მ დახმარება აღმოუჩინა ტრეფიკინგის 30 მსხვერპლს (მესამე ქვეყნების 22 მოქალაქეს და თურქეთში გადაყვანილ საქართველოს 8 მოქალაქეს).

## ე) საინფორმაციო-პრევენციული კამპანია

ევროკავშირის მიერ დაფინანსეული ინფორმირებული მიგრაციის პროექტის ფარგლებში, მსო-ს გახსნილი აქვს მიგრაციული რესურს-ცენტრები თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და გურჯაანში. ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით მოქმედებს ცხელი ხაზები და საკონსულტაციო ცენტრები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრებზე რიგდება საინფორმაციო მასალა: საინფორმაციო ბიულეტენები სავიზო პროცედურების, დასაქმების შესახებ შემოთავაზების სანდოობის შემოწმების, თავშესაფრის მიღების პროცედურების და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, პლაკატები და ბროშურები.

***თამარ მარდალეიშვილი***
*საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

*თამარ მარდალეიშვილი*

## ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული მსო-ს საქმიანობები საქართველოში

### რეზიუმე

ნაშრომში საუბარია ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაციის საქმიანობები საქართველოში. პარტნიორ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მსო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მთავრობას მისი ანტი-ტრეფიკინგის პოლიტიკის განვითარებაში. მსო არის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი, რომელიც აკონტროლებს საქართველოს ანტი-ტრეფიკინგის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მსო რეგულარულად უზიარებს გამოცდილებას მთავრობას და მონაწილეობას იღებს ანტი-ტრეფიკინგის ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლებაში. მსო აგრეთვე ჩართულია ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიკაციისა და მსხვერპლის სტატუსის ოფიციალურად მინიჭების ბოლო დროს მიღებული მექანიზმების განხორციელებაში.

***Тамар Мардалеишвили***

## Действия международной организации миграции против трефикинга в Грузии

### Резюме

Тема в основном касается действия международной организации миграции в Грузии. Координируя с международными организациями и неправительственными организациями, международная организация миграции является активным органом в поддержке правительства Грузии для развития и модернизации ее политики против торговли людьми. Международная организация миграции – член Межведомственного Совета Координации, который наблюдает за выполнением плана действий против торговли людьми в Грузии. Международная организация миграции также официально вовлечена в выполнение механизмов для идентификации предполагаемых жертв торговли людьми и предоставлении официального статуса жертвы.

***Tamar Mardaleishvili***

## Counter trafficking activities of IOM in Georgia

### The Summary

The theme is basically about Counter Trafficking Activities of IOM in Georgia. Coordinating with partner international organizations and NGOs, IOM is active in supporting the Government of Georgia to develop and updrage its counter-trafficking policy.

IOM is a member of the Interagency Coordination Council, which oversees the implementation of Georgia’s counter-trafficking action plan. In that capacity IOM regularly provides expert advice to the government, such as for the development of the Strategy for the Rehabilitation.

## მრგვალი მაგიდის "ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა" დასკვნითი რეკომენდაციები

- სამართალდამცავი სტრუქტურების, საკონსულო დაწესებულებათა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, მოსამართლეებისა და ადვოკატების პროფესიონალური დონის ამაღლება.

- კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი შესწორებების შეტანისა და ჰარმონიზაციის ლობირება.

- ტრეფიკინგით დაზარალებულთა მოწმეების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით დაცვის პროგრამის მიღება სასამართლო გამოძიებისას, სასამართლო დარბაზში შესვლისას, გამოსვლისას და ა.შ.

- ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა მატერიალური დახმარების აღმოჩენა უშუალოდ იდენტიფიკაციის შემდეგ მიუხედავად იმისა, მისცემენ თუ არა ისინი ჩვენებას ტრეფიკიორების წინააღმდეგ, რათა მათ შეუმსუბუქდეთ ადაპტაციის პროცესი სამშობლოში დაბრუნებისას.

- საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ტრეფიკინგით დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმების ოპტიმიზაცია მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სამშობლოში დასაბრუნებელი დოკუმენტების მიღების პროცედურის გამარტივება; მათი საკონსულო მოსაკრებელი/შესატანიდან განთავისუფლება.

- არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის რაციონალური მექანიზმების შექმნა.

- ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არსებული მიღწევების ინდიკატორებმა უნდა გაზარდოს დაზარალებულთა გამოვლენა და უნდა იყოს უფრო ხარისხობრივი, ვიდრე რაოდენობრივი; აუცილებლად იქნას გამოყენებული მონაცემთა ანალიზის კორელაციური მეთოდები.

- უმაღლეს სასწავლებლებში, იურიდიულ ფაკულტეტებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) საკითხების შესწავლას შემდეგ სალექციო კურსებში: კრიმინოლოგია, სამართალდამცავი ორგანოები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და ა. შ.

- საჭიროა შრომის ინსპექციის გაუქმების პრობლემის გადაჭრა, რადგანაც შრომის ინსპექტორებს დიდი როლი გააჩნია შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლების პირველად იდენტიფიცირებაში და მათ გადამიმართულებაში, ამრიგად, კარგი იქნება, რომ შრომითი ინსპექტორები ეროვნული რეფერალური მექანიზმის ნაწილად ჩაითვალონ. სასურველია, რომ შრომითი ინსპექციის ინსტიტუტი აღდგეს და აისახოს როგორც ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ასევე სამოქმედო გეგმაში.

- აგრეთვე საჭიროა ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწა, რათა მან მოიცვას შრომითი ტრეფიკინგის პრობლემაც; რათა შრომის ბაზრის ინსტიტუტები – პროფკავშირები და დამსაქმებლები – გახდნენ ეროვნული რეფერალური მექანიზმის მონაწილეები.

- ყურადღება უნდა მიექცეს შიდსის და იმუნოდეფიციტის ვირუსის საკითხს ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მიმართებაში – სამწუხაროდ ეროვნული რეფერალური მექანიზმი არც ერთ ეტაპზე არ ეხება ამ საკითხს. სამწუხაროა, რომ არსებობს სტერეოტიპი რომ ტრეფიკინგის ყოველი მსხვერპლი დაავადებულია შიდსით, თუმცა კვლევებმა სხვა ქვეყნებში აჩვენა რომ ეს ასე არ არის.

- მუხლი 143.2. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სადაც მოცემულია მისი განმარტება:

– "არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით".

– მაკვალიფიცირებელი ნიშნები ანალოგიურია 143.1 მუხლის შესაბამისი ნიშნებისა.

– იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი პრაქტიკულად 143.1 მუხლის იდენტურია, მიზანშეწონილია მათი გაერთიანება და არასრულწლოვნის ან მცირეწლოვნის ტრეფიკინგის დამამძიმებელ გარემოებად გამოტანა.

- ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში, მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება ტრეფიკინგთან, განსაკუთრებით ბავშვთა ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში;

- უნდა დაიხვეწოს სახელმწიფო პროგრამა ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენის საკითხებს;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტურად მოახდინონ ტრეფიკინგის არსის, მეთოდების, მასთან ბრძოლის პოპულარიზაცია, რაც მიგვაჩნია, რომ ეფექტური ზომა იქნება. ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთან მუშაობის; საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება (არა კომპანიურად არამედ სისტემატურად) ხელს შეუწყობს ამ დანაშაულთან ბრძოლას და პროფილაქტიკას.

## მრგვალი მაგიდის „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა" დასკვნითი რეკომენდაციები

### რეზიუმე

2008 წლის 4 აპრილს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

**Chris Eskridge**

## Crime and Justice in the 21st Century:

I have been asked to address to the topic of crime and justice issues in the 21st century. There are indeed a host of forces and factors on the present and/or near horizon, many of which are inter-related, that will drive crime and security matters for decades to come. My laundry list includes the following:

1. Migration - There will be massive migration of individuals across nations and across continents in this next century, both legal and illegal, and the world will experience a significant measure of disruption because of it. This will come about due to a variety of reasons:

A. Globalization - Human capital markets will become increasingly fluid in a geographic context due to constantly shifting employment supply and demand needs. Better markets (and better hunting grounds) have always driven the human race, and the globalized economic system feeds directly into and off of that basic element of human nature.

B. Persistent poverty – One of the dark aspects of globalization, and of capitalism in general, is the problem of persistent poverty. Those at the lower end of the economic scale will, in this globalized world, seek job security and job enrichment in response to their present state of unemployment/ underemployment, and will move accordingly. Migration of the poor and disenfranchised from transitional nations into developed ones is already a political hot button item the world over, and a most profitable market for organized crime. Human smuggling will be come a huge concern for law enforcement in this next century.

C. Rising energy costs/decreased energy access - Individuals will gravitate to regions where costs are lower and access is greater out of a pure survival instinct.

D. Environmental degradation and the accompanying famine and overall health concerns - As agricultural productivity declines and food and water supplies diminish, masses will flock to regions where basic food, nutrition and health needs can be met. A 50 percent increase in food production is needed by 2030, and we are not likely going to see that in the increasingly erratic and volatile agricultural environment. Consider the strife and turmoil surrounding the African feminine scenarios of the last 25 years; multiply that by several fold, and the magnitude of the problem becomes most overwhelming.

E. Population growth - As implied, the world's population continues to grow at what now appears to be an unsustainable rate. As food, water, and energy supplies become taxed, social peace and basic security may become undeliverable.

2. Youth demographics - In nations where 40 percent of the populationare youth age 25 and under (the so-called youth bulge), there is a two fold increase in the probability of a revolution, and a higher than usual rate of violence. Countries that have significantly more males than female, which obviously presents a situation where males have a lesser chance of marriage, are more likely to experience revolution, and have higher violent crime rates. This is known as the bare branch syndrome. These youth demographics have profound potential international impacts due to the globalization of trade and commerce. A nation in the midst of a multi-year spike in violence and/or one experiencing revolution, will of course be less likely to be engaged in international trade, and less likely to attract external investment. Interestingly, 21 of the 22 Arabic League states, most of which are oil producers, are currently dealing with both of the demographic realities.

3. Internal strife - It is my premise that this next century will see violence between sovereign states diminish. Violence within nations, however, will escalate due to many of the factors we are exploring today (youth bulges and bare branches as we just dis-

cussed.). The world's military units (the U.S. in particular) will need to re-tool themselves, and instead of preparing for World War III, focus instead on carrying out a response to asymmetric regional and civic strife. The law enforcement community will need to take on more of a social service/problem solving orientation, focusing on both preventative and curative orientations, partnering with prominent civic, business, educational and religious leaders within the neighborhoods and measuring success not just by crime and victimization rates, but by other social indicators such as the communal literacy rate, illegitimate pregnancy rate, unemployment rates, high school graduation rates, economic growth, reduction in communal diseases, etc. This is the roles of the police in the 21st century - community based problem solving partners.

4. Ineffective government-based security institutions in transitional nations - When government based security institutions are ineffectual, people tend to look to extended family, tribal, ethnic, and/or religious entities for protection. These entities have taken the form of militias and insurgency groups in the Middle East. They will not go away until the government can provide security, and even then, since the militias have so firmly established themselves, it will likely take some years to dismantle them, and the dismantling will of necessity come via an internal velvet glove, not an external iron fist.

5. Islamic inspired terrorism -Terrorism, emanating from the Muslim world, will continue to be a geo-political factor for decades to come. There appears to be two primary sources:

A. The young and disenfranchised who can be turned from terrorism with hope and legitimate socio-economic opportunity structures

B. The religious zealots who will not be so easily turned as they wish to destroy all there is in the West for Allah, who is standing by, even at the gates, to start a new world, an Islamic world, with the scraps of the old.

It is my premise that Islam is now experiencing much the same internal strife that characterized Western Christianity in the Middle Ages, when Catholic and Protestants engaged in virtual non-stop war throughout Europe for hundreds of years, and even exporting the conflict to other continents as well. We are in for much of the same, but now emanating from the Islamic community. The real question is whether we, the West, can absorb form the Islamic East, the same level of blood and horror we the West wreaked upon the world when we were in the midst of our reformation period.

6. Power vacuum - The current status of the United States as the world's sole superpower, the hyperpower, is clearly coming to an end for a variety of reasons (debt, loss of moral authority, the "rise of the rest"). What is of concern is that once that power becomes diminished, the world currently seems poised to move, not toward a balance of power, but one where there is an absence of power...a power vacuum, for there is no other entity in place at present to take the lead. A true power vacuum would be calamitous - religious fanaticism would emerge, economic stagnation, waning social cohesion, de-globalization, fear and xenophobia reigning supreme. These are the Dark Age experiences that such a world would encounter, and it is a sobering notion.

As a counterpoint, there are a host of transnational organizations that, taken together, have the potential to fill this void; the International Monetary Fund, the World Bank, the United Nations, the World Trade Organization. At present, however, these entities are too splintered and more representative of an adolescent in puberty than a mature statesman capable of mitigating international crises. The contemporary American decline and the coming power vacuum will clear center stage, however, and it will be most interesting to see who, if anyone, can step up and hold center court.

I wish to digress for a moment and focus for a few minutes on the much-discussed topic of decline of America. I would like to make four points in that context:

A. The United States is still the military superpower and will be for decades to come. There is no military on earth that can match America's military technology or fire-power, and the time, money and expertise needed to reach that level is out of reach to all but a handful of countries, and those countries are choosing to spend their time, money and expertise on industrial growth and domestic development. Consequently, the U.S. will remain the world's sole military superpower for at least another 50 years. However, the 21st century will see violence between sovereign states diminish and violence within states escalate in the form of regional and civil conflicts. The U.S. military is prepared to fight a large-scale international war, a World War III if you would, and it is not oriented toward regional/civil war. Consequently, its massive military might in a 21st century context, will likely prove to be irrelevant.

America is, in fact, slipping in every other sphere – moral (particularly in the aftermath Iraq, Guantanamo, Abu Grihab; we have completely lost our good example), industrial, financial, political, social, cultural. America's decline will not be the catastrophic collapse of the Soviet Union, but more like the British empire's long ride into the sunset that began at the end of the previous century. In a positive sense, our influence, like theirs, will be felt for decades, if not centuries, akin to the Roman Empire, but our influence is clearly waning.

America's decline is best viewed not in an absolute sense, but rather in a relative one. The issue is not so much that the U.S. power has subsided, but rather that there are a host of other nations rising….other nations are catching up. I turn to my own experience. I lived in the Philippines in the early 1970s. I returned 30 years later and was shocked by the progress I saw. The 30 year time frame from 1940 to 1970 saw little or no economic and social development, but the 30 year time period from 1970 to 2000 saw massive growth, and the Philippines are not even a good example, for they are still a developing nations. Better examples of "the rise of the rest" as Zakaria describes it, would be Turkey, Brazil, the United Arab Emirates, India, Thailand, Taiwan, China, Russia, Chile, Argentina, many of the former Soviet states that are now in the EU. There are a host of decidedly modern, peaceful, industrialized states who have risen into the developed, industrialized ranks, who are producing top scholars and involved in cutting edge research, who are culturally absorbing the notion of the rule of law, who have clearly moved to a post-war orientation, who now have a stake in and rightfully wish to influence world affairs, and who are ready and totally capable of taking their place at the table.

The United States needs to recognize these changes in the international landscape and move away from the arrogant, sanctimonious, monologue diplomacy model that became so particularly prominent in the Bush years. The Bush administration was a government of zealots and extremists, belligerently intolerant of those with divergent views, who, filled with certitude, did not weigh alternative views nor considered the possibility of personal error. Civilization requires a shunning of monologue and certitude; its foremost threat, a surplus of both. The greatest asset the United States possessed in the post World War II era was its good example. That is now gone, replaced with the nauseating stench of arrogance and condescending superiority. Such an orientation is passé, and the United States needs to now engage in a diplomacy of cooperative dialogue, with its accompanying egalitarian orientation. American has been the rule maker and the rule enforcer for several decades, but it has not always played by those rules. This too needs to end, and will eventually end as other nations exercise their powers. This will be hard for a nation with a proud sense of deistic manifest destiny, but America's time is over. Its manifest destiny has been realized, and the world is now entering a new phase of global power and influence, a phase where the U.S. will no longer be dominant…a major player, but no longer ascendant.

7. Ethnic and religious tension - Ethnic and religious divisions are growing increasingly pronounced in some quarters, and as a result, the notion of a cooperative and peaceful international community is increasingly threatened. The power and influence of fundamentalists of every ilk (Christian, Muslim, Buddhist, Sikh) cannot be ignored. Fun-

damentalism by nature advances monologues and mantras, retreatism, de-globalization, tribal/local/regional autonomy, the creation of social and cultural enclaves with an extreme focus on the preservation of identity, independence manifested in the form of isolation, an irrational demand for absolute sovereignty, culminating in outbreaks of xenophobia with all its destructive manifestations. By the same token there is a countervailing force seeking collective governance and cross-national commerce, trade and social/cultural intercourse. There is tension now, and there will be tension for centuries to come, between fundamentalism and globalization, between the drive for collective governance and local sovereignty/retreatism, as there has been in this world for centuries. The struggle simply continues, with new verses and new faces.

Longitudinally, I tend to put my faith in the eventual emergence of collective governance, in enhanced trade and cross-national social and culture intercourse, in economic integration, in globalization. In the end, economic interests will trump belligerence. Economic vibrancy will yield domestic tranquility. As evidence I offer the past ten years. Over the past decade, political turmoil has swept the world. There have been the 9/11 attacks, bombings in Bali, Casablanca, Istanbul, Madrid and London. There have been two major American-lead wars in Afghanistan and Iraq which have been protracted and horribly destabilizing. Add to this the war between Israel and Lebanon, Iran's bid for regional supremacy, North Korea's nuclear sword-rattling, the Chinese-Tibet crisis, Russia's continuing clashes with its neighbors. Yet, during this same period, the world economy has experienced unprecedented growth. We are experiencing today something that has not happened in recorded history - simultaneous growth worldwide. The U.S., Europe and Japan are doing well, but so is China, and India and Brazil and Argentina and Chile and Turkey and Thailand and the United Arab Emirates. Their rise is powering the new global order.

Globalization is more powerful, widespread and resilient than even the economists realized. It is amazingly elastic, but, we should probably not be so surprised, for globalization in micro appeals to the individual interests of the world's body politic who see it as a way out, a way for them and for their families to move forward. There are, in point of fact, massive numbers of persons, entire nations visualizing hope en mass for the first time in human history. That power will trump civic strife and turmoil in the end. There will be more body bags, too many more, but the spirit of globalization has reached the four corners of this globe. It has been universally embraced, and as previously noted, that genie will not be put back into the bottle. While globalization has some decidedly negative impacts, I see it, in sum total, as a mitigating factor to many of the global crime problems of the 21st century.

I have an additional thought on this matter. One particular family of collateral demands of globalization is the entire notion of civic stability and order; the establishment of a genuine rule of law, creation, growth and development of equitable and efficient institutions of public order and dispute resolution, conformity to international trade norms, rational governance, and political transparency. These will simply be demanded, as without them, a nation will be decidedly handicapped as it attempts to compete in the global economy, which is a reason to simultaneously embrace justice education, but more on that later.

8. A rise in nationalism - This has been a sleeping phenomenon for the last half-century. As economic fortunes rise, so inevitably will nationalism, and also inevitably will some of the negative aspects of nationalism. Pride, an interest in attaining international recognition and respect, frustrated over having been forced to accept an American narrative of world events for so long, aggravated with having been cast as bit players for so long and accompanied by the concurrent drive to now have a viable seat at the table, a desire to right historic wrongs; these are all factors that will aggravate the issue. Newly arising nations are going to be strongly assertive of their ideals and interests. How are we going to get so many actors to work together? As mentioned a moment ago, the traditional mechanisms of international cooperation are fraying, and are nearly all out of step with the times. The G8 does not include China, India or Brazil. The IMF is always headed

by a European, the World Bank by an American. These country club ideals are passé, but finding a way, finding mechanisms that can include more countries and more NGOs as viable and empowered players with a seat at the table will be hard, but it does need to be done. If China, India, Brazil, Thailand, etc. all have a contributing stake in the world order, there will be less chance of war, depression, and general social unrest, and less chance of unbridled nationalism raising its ugly head. But, that is not the only answer, for some may have a seat at the table and still want more power. Then of course there are those nations that will feel left out, cheated, betrayed, and the negative aspects of nationalism will be easily fanned into flames by opportunistic politicians in such settings. Heaven forbid that another Hitler arrive on the world scene, especially in this nuclear age.

I would note that we are already seeing some of the negative elements of nationalism emerge in several countries. North Korea is certainly one example, where nationalism is being driven by an internal engine of propaganda, isolation, and hero worship, and with nuclear warheads on the table, this nationalistically driven state cannot be taken lightly. Then there are several nations (Russia, Venezuela, Iran), all empowered and embolden by oil wealth, that are rattling the saber of forward-leaning, self-serving nationalism, to the current and potential further detriment to communal peace and prosperity of their neighbors. Note that all of these nations are currently headed by a propaganda spouting sole ruler who is plucking at the nationalistic heartstrings of his body politic as a means of staying in power. Whatever the factors, and there will be unique justifications and motives based on contingencies of the moment, customs, and cultures, the 21st century will see the re-emergence of the negative side of nationalism, and the world community will need to contend with its potentially destructive ramifications.

9. Organized crime - I add to this list the usual suspect of organized crime with all its offerings - drugs, arms, prostitution, human trafficking, counterfeit goods, and organized crime's Siamese twin, government corruption. There is strong evidence that organized crime entities around the globe are beginning to build partnerships in a classic division of labor context. Globalization's impact in illegitimate trade and commerce is just as vibrant and dynamic as it is in the legitimate. Law enforcements fragmented responses will be no match.
10. Middle class revolt - I see on the horizon, some social unrest percolating from the middle class sector of the industrialized nations as social welfare commitments go unmet. We are a few years away yet, but I think this has the potential for some serious social disruption.
11. The seemingly endless cycle of interpersonal violence - As a former criminal investigator, I am personally concerned with the seemingly eternal cycle of violence that is settling in to many communities, especially in those nations with high socio-economic inequity coefficients. The child abuse and spousal abuse that runs from one generation to the next to the next is most distressing.

12. The overuse of prisons – I wish to add as item #12, the truly irrational and utterly counterproductive over use of prisons particularly in the United States, which is contributing significantly to the crime problem, both in the short term and in the long term. A full 25 percent of the world's prison population is in the United States, and this is contributing to the American crime problems, not mitigating it

As I looked over this list, I thought of myself for a moment, not as a criminologist, but rather as a physician, and instead of addressing crime problems, addressing medical problems, and not of the 21st century, but rather of the 19th century. And the reason I draw this analogy is that I believe that the field of criminology today is very much like the field of medicine 200 years ago. There were seemingly insurmountable health issues then, as there are seemingly insurmountable crime problems today…small pox, bubonic plague, malaria, infections, consumption, scurvy. There was a lot of guesswork in medicine in 1800, a very limited epistemological understanding, no body of knowledge of consequence, no consistently proven

treatment modalities. What did medicine do to move from where it was then, when life, as Thomas Hobbes wrote, was nasty, brutish and short (short indeed as life expectancy at the time was roughly 40 years of age) to the situation of today. Death has not been eliminated, and yes, there is still some guesswork in medicine, but there is a body of knowledge today, there is epistemological understanding, there are hundreds and hundreds of proven, successful treatment modalities, many of life's serious diseases have been eliminated and the severity of the nature of disease in the aggregate has been significantly mitigated. Life expectancy has extended to 80 years of age in the developed nations, and it is a markedly improved quality of life in the health context. What has happened? What accounts for this progress? What can we in criminology learn? The field of medicine did four things:

1. It moved toward a ubiquitous, cross-national educational model. Schools of medicine have sprouted up in quality institutions of higher education the world over in the last 200 years and there is an extensive amount of professional cooperation, interaction and exchange.

2. It adopted the principle of experimental design and evidence-based evaluation

3. It embraced an inter-disciplinary perspective. It is not unusual today to see an article in a medical journal authored by half-a-dozen researchers from half-a-dozen different disciplines (and from half-a-dozen different institutions, per point #1).

4. It integrated scientific inquiry with the political. Medicine realized that it needed to get its message out to the masses to realize real preventative and curative progress.

I wish to return to the theme that there are great parallels between medicine and criminology. We in criminology cannot eliminate crime anymore than physicians can eliminate death, but we can, like medicine, reduce the severity of the nature of crime through preventative and curative mechanisms, just as medicine can reduce the severity of disease through preventative and curative means.

There was little understanding in 1800 that different diseases needed different treatments, and that different people with the same diseases sometimes needed different treatments. There was no understanding as to the difference between a bacteria based and a viral based disease. But, once the four basic premises were implemented (cross national education, experimental design, interdisciplinary orientation, political medicine), and once Louis Pasteur came along, the field of medicine exploded. No, it cannot nor ever will eliminate death, we cannot eliminate crime, but we both can reduce the severity of the nature of crime and disease, and we can do so by embracing the four principles - cross national education, experimental design, interdisciplinary orientation, political criminology. Improvements in crime and punishment matters and the reduction of corruption throughout the world in the 21st century, depend upon criminology moving in this same strategic direction. As the American writer Ralph Waldo Emerson once wrote, for every 100 people hacking at the leaves, there is only one digging at the root of the problem. We cannot address the crime problems by hacking at the leaves in a piecemeal fashion. We need to come at this from a fundamental, etiological, epistemological, systemic orientation and adopt the same procedural model as did medicine. I wish to briefly address all four procedural methodologies which medicine embraced, and apply them to criminology:

***Chris Eskridge***
***School of Criminology***
***University of Nebraska***

*კრის ესკრიჯი*

### კრიმინოლოგია და თანამედროვე სამყაროს გამოწვევები 21-ე საუკუნეში


#### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში ჩამოთვლილია დანაშაულობასთან ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები:

- მიგრაცია – რომელშიც შედის: გლობალიზაცია, მუდმივი სიღარიბე, ფასების ზრდა ენერგიაზე, ეკოლოგიური დეგრადაცია, შიმშილი და ჯანმრთელობის პრობლემები;
- ახალგაზრდობის დემოგრაფია;
- შინაგანი ბრძოლა;
- არაეფექტური მთავრობა;
- ისლამური შთაგონების ტერორიზმი;
- ძალაუფლების ვაკუუმი;
- ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობა;
- ნაციონალიზმის გაძლიერება;
- ორგანიზებული დანაშაულობა;
- საშუალო კლასის აჯანყება;
- დაუმთავრებელი ციკლი აბონენტთაშორისი ძალადობის;
- პრობლემები ციხეებში;


***Крис Ескридж***

### Криминология и проблемы современного мира в 21 веке


#### Резюме

В выше изложенной работе перечислены те факторы преступности многие из которых взаимосвязаны в современом мире. Конкретно в работе рассмотренны следующие вопросы:

- Перемещение – глобализация, постоянная бедность, возрастающая цена на стоимость энергии, доступ к энергии, экологическая деградация и сопровождающий голод и проблемы здоровья, прирост населения;
- Демография молодёжи;
- Борьба внутри общества,
- Неэффективное правительство;
- Исламский терроризм;
- Вакуум власти;
- Этническая и религиозная напряженность;
- Повышение национализма;
- Организованная преступность;
- Восстание среднего класса;
- Бесконечный цикл межабонентского насилия;
- Проблемии втюрьмах.

# შენიშვნებისთვის

პროექტის ასისტენტი თეა კალანდია
დიზაინერი დავით მეფარიშვილი
ტექნიკური რედაქტორი არჩილ კოპალეიშვილი

Assistant of the project Tea Kalandia
Designer David Meparishvili
Technical editor Archil Kopaleishvili

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0160, ჯანო ბაგრატიონის 6.
ტელ: (995 32) 385 849, 384 406
ფაქსი: (995 32) 252 981
E-mail: gr_uni@posta.ge

Grigol Robakidze University
6, Jano Bagrationi Street
Tbilisi 0160, Georgia
Tel.: (995 32) 385 849, 384 406
Fax: (995 32) 252 981
E-mail: gr_uni@posta.ge